# კვირის პალიტრა

№ 36 (396) ◆ 9 – 15 სექტემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




— ჩვენ ვაგებთ საინფორმაციო ომს, რადგან არა ვართ კარგად მომზადებულნი და კვლავაც წავაგებთ. ჩვენი რეაქციები „რეაქტიულია“, ანუ დამოკიდებულნი ვართ გამოწვევაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე, ანუ რუსეთი თოჯინასავით გვათამაშებს და რასაც უნდა, იმას დაგვმართებს.

როდესაც ხელისუფალი საჯაროდ ლაპარაკობს კორუფციაზე, ნიშნავს იმას, რომ მას საკუთარი თავი არ მიაჩნია სისტემის ნაწილად, რომელსაც აკრიტიკებს და თუ მას არ მიაჩნია თავი ამ სისტემის ნაწილად, ადასტურებს იმას, რომ მთლიანად სისტემაა ძირმომპალი!

გვ.3

ჟანრი კაშია

— წყაროს ვერ დავასახელებ, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომელსაც თქვენს გაზეთს ვუმხელ პირველად — აჭარის მიმდებარე ტერიტორიაზე, გურიასა და მესხეთ-ჯავახეთში კრიმინოგენული ვითარების გამწვავების გამო იგეგმება სპეცდანაყოფების შეყვანა... დააკვირდით მოვლენებს და მალე ნახავთ, რაც მოხდება.

...„პანკისური ოპერაციები“ ვილაცის თვალის ასახვევი ღონისძიებაა და მალე დარწმუნდებით ამაში. წინასწარ რომ ფახიფუხობენ, ანტიტერორისტულ ოპერაციას ვიწყებთო, რომელი ტერორისტი დახვდებათ იქ?



გვ.7

## „ჩემი მეუღლის „საროჩკაში“ გაუხვევია ბავშვი და ვედროში ჩაუჩურთავს“



პატარა გიორგის და-ძმა



ნაგავსაყრელზე გადაგდებული გიორგის დედა

„სისხლდენა დაეწყო და სასწრაფოთი „ჩაჩავაში“ წაიყვანეს. ისე მძიმედ ყოფილა, რომ გზაში სასწრაფოს სამჯერ გაუჩერებია, სისხლი გადაუსხეს. მერე ექიმს უკითხავს: შენ სრულყოფილი მშობიარობა გქონია, სად არის ბავშვიო? არა, მხოლოდ სისხლის კოლტები იყოო, — ასე უპასუხია.“

*„...ცოცხალი იყო, რომ გადააგდე-მეთქი? — არ ვიცი, ხმას არ იღებდაო. მერე ვცემე. გაგიჟებული დავრბოდი, უკვე აღარ ვიცოდი, რას ვაკეთებდი.“*

„...დილის თერთმეტის ნახევარზე მიუტანია ჯერჯერობით დაუდგენელი მედიკამენტი ბასარიას, რომლის თქმით, ამ მედიკამენტს უკეთებენ ძროხას, „უმტკივნეულო მშობიარობისთვის“.

გვ.5,11

## რას წერენ ჩვენზე:

## სიზმრები აფხაზეთზე...



ჩვენს სასტუმროს „სამშიტოვაია როშჩა“ ჰქვია. ეს აფხაზეთში საუკეთესო სასტუმროა, თურქებმა ააშენეს ბიჭვინთის კონცხზე. ათსართულიანია. ბოლო სართულიდან, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს ბზიფის, კოდორის, ენგურის ვერცხლისფერი ზოლები.

ვნახე ლეგენდარული აფხაზი მეფის, ლეონის რეზიდენცია — მისტიკური ანაკოფია.

გვ.14,27

ოგონიოკი

## ასეც ხდება

გვ.13

## გინესის ახალი რეკორდი თბილისის სამშობიაროში

სენსაცია!




წამები წყვეტდა ყველაფერს, საკეისრო კვეთასაც თითქმის აღარ ჰქონდა აზრი და ექიმებმა გადაწყვიტეს, მთელი ყურადღება დედის გადარჩენისაკენ მიემართათ. მაგრამ...

ახალბედა მამა, რომელიც ყველაფერს ვიდეოკამერაზე აფიქსირებდა, განცვიფრებას ვერ ფარავდა მომხდარის გამო. სწორედ ვიდეოკამერის წამმზომის შედეგად დაფიქსირდა ოპერაციის რეკორდული დრო.

**თეორიულად, რაც 31 წამში გაკეთდა, სამედიცინო ნორმებით 7-10 წუთში უნდა შესრულდეს**

## ჭკუა უფრო მეტი აქვთ თუ ფული ქართველ პოლიტიკოსებს?

მკითხველის შეკითხვები

გვ.35

## „თბილისში ერთი გარემოვაჭრეც აღარ გაიჭაჭანებს“



გვ.6

**რამდენი 50 ათასი დოლარი გაიცა გამწვანების ზოლის დასასაკუთრებლად?**

წერეთლის პროსპექტზე გაშენებული ვეებერთელა ბაღი, სადაც აკაკი წერეთლის ძეგლიც დგას, დღეს უკვე ბაზრობადაა გადაქცეული. ბაღში უკვე სტაციონარული სავაჭრო დახლები დგას და მოსეირნეებს იქ აღარაფერი ესაქმებათ. ყველგან დახლებია და მიდის გახურებული ვაჭრობა. მოვაჭრეები იქვე იმზადებენ საჭმელს და ნარჩენებს ხეების ძირში ყრიან, რომლებსაც დროგამოშვებით მდუღარე წყალს უსხამენ.

## სამხედრო თემაზე:

## რუსი მესაზღვრეები ქართველი კოლეგებისა და მონადირეების დაჭერაში „ვარჯიშობენ“

ერთ-ერთი დაკავებული საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერის ზურაბ კერვალიშვილის ვაჟი ყოფილა.

გვ.8

გვ.12

## ერთი დღე ზვიადისტების ტყვეობაში

**გაიღო კარი და შემოჰყავთ ბადრაგით საღსალამათი ყარყარაშვილი...**

— ა, თქვენი ყარყარაშვილი, დაპატიმრებული... თუ ხართ დიდი ჟურნალისტები, აიღეთ ახლა ამისგან ინტერვიუ და მოყვეს, როგორ უნდა აელოთ ზუგდიდი, ორმოცი კაცით!..



გვ.20

## „ახლა პოლიციაში დავდივარ და ოპერების მუშაობას ვაკვირდები...“

**თქვენ გვემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## რას მოიტანს „საგულისხმო ინიციატივა“

რუსეთის დუმის ზედა პალატის, ფედერაციის საბჭოს ჩრდილოეთისა და მცირერიცხოვან ხალხთა კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრ ნაზაროვი ფრიად „საგულისხმო“ ინიციატივით გამოვიდა — რუსეთის გენერალურ პროკურატურას 1990 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის მიერ უფლებამოსილებათა გადამეტების ფაქტების მოკვლევა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსთხოვა(!). ლაპარაკია ე.წ. შევარდნაძე-ბეიკერის ხელშეკრულებაზე, რომლის საფუძველზეც ბერინგის ზღვის 8 ათასი კვადრატული კილომეტრი აშშ-ს გადაეცა. ზღვის ეს ნაწილი მდიდარია თევზით და რუსების მტკიცებით, რუსეთი წელიწადში 200 მილიონ დოლარს კარგავს. ამერიკელებს იქ სანაპირო დაცვის ფლოტი ჰყავთ ჩაყენებული და რუსეთის თევზსაჭერ ხომალდებს ახლოსაც არ აჭაჭანებენ. ნაზაროვის ინიციატივას მხურვალედ გამოეხმაურნენ დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი როგოზინი და სხვა დეპუტატები. რუსეთის დუმამ უკვე ოფიციალურად მიმართა გენპროკურატურას „მოქალაქე შევარდნაძის წინააღმდეგ საქმის აღძვრისა და ევროპის სასამართლოს მეშვეობით მისთვის პასუხის მოთხოვის შესახებ“. აღნიშნული ხელშეკრულება რატიფიცირებული აქვს აშშ-ის კონგრესს, რუსეთს კი — არა; ახლა მოსკოვი აპირებს მოსთხოვოს ვაშინგტონს, გადაისინჯოს შევარდნაძე-ბეიკერის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, თუმცა საღად მოაზროვნე რუსები ხვდებიან, რომ ეს ამაო ძალისხმევა იქნება, ისევე როგორც „მოქალაქე შევარდნაძის“ გასამართლება და დასჯა!

## პუტინი მერყევი პოზიციისთვის გვაკრიტიკებს

ზემოთ აღნიშნულ ამბებს ძალზე საეჭვოდ დაემთხვა აშშ-ის ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ის მიერ გავრცელებული და ერთი შეხედვით სენსაციური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ის სპეცსამსახურებმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებიდან 15 წუთის შემდეგ დააფიქსირეს სატელეფონო საუბარი, სადაც ბინ ლადენის უახლოესი თანამებრძოლი ავღანეთიდან პანკისის ხეობაში მყოფ „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთ წევრს აუწყებდა ტერაქტების წარმატებით განხორციელებას! ეს ინფორმაცია უმალვე აიტაცა რუსეთის პროპაგანდამ და საქართველოს „ალ-ქაიდას“ მფარველობა დასდო ბრალად, რაც კატეგორიულად უარყო ოფიციალურმა თბილისმა. იმავე დღეს კი პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიიღო პუტინის წერილი, სადაც კოლეგა პრეზიდენტი სასტიკად აკრიტიკებს მას ჩეჩენი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლენილი მერყევი პოზიციის გამო და რჩევასაც აძლევს, რომ პანკისიდან რუსეთისკენ განდევნილი ჩეჩენი მებრძოლები ქართველებმა საჰაერო დაბომბვებით გაანადგურონ(!).

## ექსპერტები სეკვესტრს გვიწინასწარმეტყველებენ

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის განხილვისას მრეწველთა ფრაქციის წევრმა დავით სალარიძემ ბრალად დასდო მთავრობას ის, რომ აგვისტოს თვის საბიუჯეტო გეგმა ხელისუფლებამ ბანკებიდან აღებული კრედიტების წყალობით შეასრულა და რომ ამ თანხამ 25 მილიონი ლარი შეადგინა... ფინანსთა სამინისტრომ კი წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც აგვისტოს თვის საბიუჯეტო გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული, თუმცა ექსპერტები სკეპტიკურად არიან განწყობილნი სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული დეფიციტის გამო და უკვე წინასწარმეტყველებენ სეკვესტრს!

## რუსი გენერლები არ ჩამოვიდნენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ხუთშაბათს მთელი დღის მანძილზე ელოდნენ თბილისის აეროპორტში რუსეთის გენერალიტეტის 20-კაციანი დელეგაციის ჩამოსვლას, რომელმაც ქართულ მხარესთან ერთად უნდა გამოიძიოს 23 აგვისტოს პანკისის ხეობის დაბომბვის ფაქტი. მაგრამ მათი თვითმფრინავი „იგვიანებდა“. ქართველ სამხედროებსა და ჟურნალისტებს კარგა ხანს მოუხდათ აეროპორტში ყურყუტი, მაგრამ ამაოდ — რუსი გენერლები არ ჩამოვიდნენ.

## „მოქკავშირი“ კვლავ „მწყობრშია“

ფრიად საინტერესოდ წარიმართა „აღორძინებული“ მოქალაქეთა კავშირის რიგგარეშე ყრილობა, სადაც ჟვანია-სააკაშვილის გუნდს სულ ფაშისტები და ჯიბის ფიურერები უძახეს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ კი ლამის ხატზე დაიფიცა, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ საპარლამენტო არჩევნებსაც მოიგებს და საპრეზიდენტოსაცო, რასაც ოპერის თეატრში შეკრებილი აქტივისტების ყიჟინა და ოვაცია მოჰყვა(!). თავყრილობაზე კვლავ დააფუძნეს პარტიის თბილისის ორგანიზაცია და სამოქმედო გეგმებიც დასახეს. ფორუმს მხურვალედ მიესალმნენ „მოქკავშირის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები და საქართველოს ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილის სახელით(!) შევარდნაძესა და ჯორბენაძეს მხარდაჭერას შეჰპირდნენ... ამ ამბებს ირონიულად შეხვდნენ ჟვანიას დემოკრატებიც და სააკაშვილის ნაციონალებიც, რომელთა თქმით „აღორძინებულ“ „მოქკავშირს“ პოლიტიკური პერსპექტივა არა აქვს და მომავალ არჩევნებშიც სრული პოლიტიკური განადგურება ელის...

## ნაციონალები კანონპროექტს ამუშავებენ

ფრაქციამ „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტი“ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიისთვის ქონების დაბრუნებას ითვალისწინებს. ნაციონალები ამ კანონპროექტს პარლამენტის ბიუროს პირველივე სხდომაზე წარადგენენ. მიხეილ სააკაშვილის თქმით, წლების მანძილზე პრეზიდენტი შევარდნაძე აყოვნებდა ამ საკითხის განხილვას პარლამენტში, თვით საქართველოს პატრიარქის წერილიც კი არ ილეს ყურად, ახლა კი ყველაფერს ვიღონებთ, რათა ბოლშევიკების მიერ ეკლესიიდან გატანილი ქონება კვლავ ეკლესიას დაუბრუნდესო. თავად საპატრიარქო არ გამოთქვამს ჩამორთმეული ქონების სრულად დაბრუნების პრეტენზიას. საარქივო მასალების საფუძველზე უნდა მოხდეს ქონების შეფასება, რის შემდეგაც ამ თანხის 3-4% — მიწების, ტყეებისა და ფულადი დახმარების სახით ეკლესიას გადაეცემა.

## ერთი თვის ხელფასი და ისიც დაქვითული?

შაორჰესის თანამშრომლებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს და შიმშილობა დაიწყეს 21-თვიანი სახელფასო დავალიანების მიღების მოთხოვნით. უხელფასობის გამო ჰესი თვე-ნახევარია, რაც გაჩერებულია, განმკითხავი კი არავინაა. ამას წინათ გაფიცულებს ერთი თვის ხელფასს დაჰპირდნენ, მაგრამ გამოყოფილი სახელფასო თანხიდან ნახევარი... დაუქვითეს(!). ენერგეტიკოსები იმუქრებიან, რომ შიმშილობას მანამ არ შეწყვეტენ, სანამ კუთვნილ ფულს არ მიიღებენ!

## ბანალური ჩხუბი — პოლიტიკური პროვოკაციის მიზეზი

ორი თვის წინ მომხდარი ჩხუბისთვის ანტიკორუფციული საბჭოს წევრი და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გივი თარგამაძე ვაკე-საბურთალოს სასამართლოში ადვოკატთან ერთად გამოიძახეს წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების შესაფარდებლად. გამოძიებამ თარგამაძეს ბრალი ხულიგნობის მუხლით წაუყენა, რაც სამიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლოს დახურულ სხდომაზე გამოძიებამ აღმკვეთ ღონისძიებად თარგამაძისთვის პოლიტიკური ზედამხედველობის დაწესება მოითხოვა, მაგრამ მოსამართლე თემურ ტაბატაძემ გამოძიების ეს მოთხოვნა არაკანონიერად ჩათვალა და თარგამაძეს არაფერიც „არ მიუსაჯა“. გამოძიება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. მეტიც, მოითხოვენ, რომ გივი თარგამაძე დროებით გამოწვეულ იქნეს ანტიკორუფციული საბჭოს წევრობიდან, რათა მან „ზეწოლა არ მოახდინოს ჭეშმარიტების დადგენაზე“. გივი თარგამაძე მომხდარს პოლიტიკურ პროვოკაციას უწოდებს და აცხადებს, რომ შევარდნაძეს მისი მოშორება ანტიკორუფციული საბჭოდან შემოვლითი გზებით სურს (იხ. გვ. 7).

## ვალი ვალიაო!

პარლამენტში ფრაქცია „21-ე საუკუნის“ სხდომაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ენერგეტიკის მინისტრს შორის დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა. ამჯერად დაპირისპირების მიზეზი გახდა ენერგოსისტემაში დაგროვილი გახმაურებული 46,5-მილიონიანი დავალიანება, რომელიც სახელმწიფომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის რუსეთიდან მიწოდებული ელექტროენერგიისთვის უნდა გადაიხადოს. ფრაქცია „21-ე საუკუნე“ და არასამთავრობოები ამ ვალის აღიარებას დაუშვებლად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ასეთი პოლიტიკა სახელმწიფოს გააკოტრებს! დეპუტატებმა აღშფოთებით იკითხეს — რატომ უნდა გადავუხადოთ რუსებს ვალი, ნუთუ აღარ გვახსოვს, რა დღეში ჩაგვაგდეს აფხაზეთშიო?! მირცხულავა კი აცხადებდა, ეს არის ისეთივე აღიარებული ვალია, როგორიც თურქმენეთისთვის საქართველოს 400-მილიონიანი ვალი! პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე მთავრობის მიერ ამ ვალის აღიარებას ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს, დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას უწოდებს და აცხადებს, რომ სტრატეგიული ობიექტების გასხვისება სწორედ მსგავსი ვალების ნაცვლად ხდება!

## მირცხულავას სულ ორი კვირა აქვს

მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრმა კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს დავით მირცხულავას და ქართულ ენერგეტიკას „ყველაზე კორუმპირებული დარგი“ უწოდა. შესაბამისად, „ყველაზე კორუმპირებული ჩინოვნიკების“ სამსახურიდან გაგდება მოითხოვა. მან ასევე გააკრიტიკა მირცხულავას მიერ წარმოდგენილი პროექტი ზამთრის სეზონისთვის მზადების შესახებ და განუცხადა პრეზიდენტს, მომავალი ზამთრის სეზონზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნიო. ჯორბენაძემ სთხოვა ანტიკორუფციულ საბჭოს, ჩაერიოს საქმეში და წარმოადგინოს ამომწურავი ინფორმაცია ენერგეტიკის კორუმპირებული სისტემის შესახებ, რათა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება (ჩინოვნიკთა გარეკვა პოსტებიდან) შევძლოთო! კულუარებში კი უკვე აღარ მალავენ, რომ წმენდა ენერგეტიკის სფეროში შეიძლება დავით მირცხულავას გადაყენებით დაიწყოს, თუ ის ვერ შეაჩერებს ენერგეტიკოსთა გაუთავებელ გაფიცვებსა და საპროტესტო აქციებს. მთავრობის სხდომაზე მირცხულავას პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმაც „დაარტყა“, რომელმაც მინისტრი ენერგეტიკოსთა უფლებების იგნორირებაში დაადანაშაულა და „ზოგადად“ დასვა იმ ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ხელფასს ვერ აძლევენ ენერგეტიკოსებს.

## ქონების მართვის სამინისტრო აღარ იარსებებს

ენერგეტიკის მინისტრის გადაყენების შესახებ საუბრის ფონზე, მოულოდნელად დარტყმის ქვეშ მოექცა ქონების მართვის სამინისტრო და მისი მინისტრიც. ანტიკორუფციულმა საბჭომ მინისტრ პავლიაშვილს მკაცრად შეახსენა, რომ სახელმწიფო წილებისა და აქციების სამართავად უნდა შეიქმნას სააქციო საზოგადოება-ჰოლდინგი და მეორეც: ქონების მართვის სამინისტრო დეპარტამენტის სახით უნდა შეუერთდეს ფინანსთა სამინისტროს, ანუ გაუქმდეს! საინტერესოა, რომ ამ რეკომენდაციის უკან პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის „პოლიტიკური ნება“ დგას, რომელსაც მხარს უჭერს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი. ხოლო, ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი კახა უგულავა აცხადებს, რომ ქონების მართვის სამინისტროს გაუქმება მომგებიანი იქნება ხალხისთვის, რომელსაც აღარ მოუწევს გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის შენახვა და უფრო „ნაკლები მჭამელი“ ეყოლება ქვეყანას. პავლიაშვილს არ გაუპროტესტებია ეს რეკომენდაციები და სავარაუდოდ, 2003 წლის 1 იანვრიდან ქონების მართვის სამინისტრო აღარ იარსებებს, თუმცა საკითხავი ის არის, რამდენად მიზანშეწონილია ფინანსური თვალსაზრისით პავლიაშვილის უწყების ფინანსთა სამინისტროსთან შერწყმა, რომელსაც უკვე „შეესისხლხორცა“ ორი კორუმპირებული სტრუქტურა — საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო და საბაჟო დეპარტამენტი, სადაც კვლავ ყვავის კორუფცია...

## შარაძეს აგენტობა არ დაუმტკიცდა

პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ შეისწავლა თავისუფლების ინსტიტუტის წევრის ლევან რამიშვილის მიერ დეპუტატ გურამ შარაძის მიმართ გამოთქმული ბრალდებები და დაასკვნა, რომ შარაძე კგბ-სთან არ თანამშრომლობდა! გურამ შარაძე, რომელსაც ამ ბრალდებების გამო დროებით დატოვებული ჰქონდა პარლამენტარის მანდატი, კვლავ დაბრუნდა პარლამენტში და განაცხადა, რომ იგი გააგრძელებს ბრძოლას თავისუფლების ინსტიტუტის ანტიეროვნული საქმიანობის წინააღმდეგ. ახლა, როგორც ჩანს, შარაძესა და რამიშვილს ურთიერთობების გარკვევა თბილისის საოლქო სასამართლოში მოუწევთ. მანამდე კი გურამ შარაძე მომხრეებითურთ იეღოველთა სულიერი ლიდერის, ტიუნგლერის სახლს მიადგა და კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოდან წასვლა. ტიუნგლერი კი მეუღლითურთ ბინაში ჩაიკეტა და ფანჯრიდან ვიდეოკამერით მალულად იღებდა სახლის წინ მიმდინარე აქციას...

## კობა ნარჩემაშვილი არ ადასტურებს...

შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა სიცრუე უწოდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის გრიზლოვის განცხადებაზე დაყრდნობით რუსეთის მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს ბაქოში გამართული დსთ-ის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების სამიტზე საქართველო და რუსეთი პანკისში ტერორისტების წინააღმდეგ ერთობლივ ოპერაციაზე შეთანხმდნენ. ნარჩემაშვილის თქმით, მას გრიზლოვთან მსგავს თემაზე არანაირი საუბარი და მით უმეტეს შეთანხმება არ ჰქონია და რომ განიხილეს მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობისა და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის შესახებ საკითხები.

## ნაპოვნია „მაფიის მეთაური“

ლეიბორისტულმა პარტიამ თბილისის მერის, ვანო ზოდელავას წინააღმდეგ საიმპიჩმენტო კამპანია დაიწყო და თბილისის საკრებულოში რეგისტრირებულმა ლეიბორისტმა დეპუტატებმა ზოდელავას თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვეს. შალვა ნათელაშვილმა ზოდელავას თბილისის მაფიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ხელისუფლების ერთგული საყრდენი უწოდა და მოუწოდა საკრებულოში შესულ სხვა პარტიათა დეპუტატებს, აქტიურად ჩაერთონ ზოდელავას პოსტიდან გათავისუფლების საქმეში. ვანო ზოდელავამ ნათელაშვილს „დემაგოგი ლიკლიკაძე“ უწოდა და განაცხადა — ორი ბატი რომ ჩააბარო, მასაც ვერ მიხედავსო — და ამის დამადასტურებლად თბილისის წინა საკრებულოში ლეიბორისტთა ფრაქციის დაშლა-განადგურება და ამჟამადაც ლეიბორისტთა რიგებში არსებული განხეთქილება დაასახელა.

ლეიბორისტებს ზოდელავას იმპიჩმენტის საკითხში სრულ მხარდაჭერას უცხადებენ ნაციონალები, თუმცა დავით ბერძენიშვილი აცხადებს, ზოდელავას გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება კანცელარიაში ნათელაშვილის გარეშეც უკვე მიღებული აქვთო!

## საიდუმლო კარს მიღმა

თბილისში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის დუმის ყოფილი თავმჯდომარე ივან რიბკინი, რომელმაც კონფიდენციალური საუბარი გამართა პრეზიდენტ შევარდნაძესთან. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, ამ საუბრის დეტალები მისთვისაც უცნობია და იცის მხოლოდ ის, რომ რიბკინი პანკისის ხეობის პრობლემის გადაწყვეტაში ჩართვას ითხოვს(!).

## ირიბარენი ოფისების დაცვას გააძლიერებს

„ეი-ი-ეს თელასის“ ჩუღურეთის ოფისს ავტომატიანი ბანდიტები დაესხნენ, იარაღის მუქარით თანამშრომლებს კარი გააღებინეს, მილეწ-მოლეწეს იქაურობა და 10 ათასი ლარიც გაიტაცეს. გაირკვა, რომ ოფისს დაცვა მხოლოდ ღამის საათებში ჰყავდა, ამიტომ იგნასიო ირიბარენმა გასცა განკარგულება „ეი-ი-ეს თელასის“ ყველა ოფისის დაცვის გაძლიერების შესახებ. ბანდიტებს ეძებენ, შექმნილია მათი ფოტორობოტები. ირიბარენი აცხადებს, რომ წერილიც მიიღო, სადაც „ურჩევენ“ წაეთრიოს საქართველოდან, თორემ სიკვდილს ვერ ასცდება.

## სტიქიამ ოზურგეთი დაარბია

ოზურგეთის რაიონში მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა და ძლიერმა წვიმამ საცხოვრებელ სახლებს სახურავები ახადა და ძირფესვიანად მოგლიჯა ნარგავები. მოვარდნილმა ნიაღვარმა ოზურგეთის ბაზარი და მაღაზიები დატბორა.

## ოსი კრიმინალები და პოლიციელები დაერივნენ

ცხინვალის რეგიონში ოსი კრიმინალები და ცხინვალელი პოლიციელები დაერივნენ ერთმანეთს და საქმეში „კალაშნიკოვებიც“ გაუშვეს. ოსი პოლიციელები რაღაც ტვირთს აცილებდნენ ერგნეთის ბაზრობისკენ, როცა ნიღბიანი ბანდიტები დაესხნენ თავს. ორმხრივი სროლისას დაიღუპა ერთი პოლიციელი, გვარად კოკოევი, მეორე კი დაიჭრა. დაიჭრა ასევე ბანდიტი ალბოროვი.

## ჯარისკაცები ისევ იღუპებიან

ახმეტის რაიონში დისლოცირებულ თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფში შაბათს ზემდეგმა წიქარაძემ ურთიერთშელაპარაკებისას რიგითი კობიაშვილი დანით მოკლა. ზემდეგი ადგილზევე დააკავეს. კობიაშვილი, თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მკვიდრი, სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა...

კვირას, დილით, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე მესაზღვრე დიმიტრი შაშიაშვილმა სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი ლეიტენანტი რამაზ გამახარიშვილი ავტომატით დაცხრილა, ჯარისკაცები ჩაკეტა ოთახში, გაიტაცა სამი ავტომატი და მიიმალა. მკვლელობის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. საგუშაგოდან კიდევ ერთი ჯარისკაცი გაუჩინარდა, რომელიც გამოძიების ვერსიით, მკვლელის თანამზრახველი უნდა იყოს...

კოჯრის სამხედრო ბატალიონში კი სამხედრო პოლიგონზე მყოფმა ჯარისკაცმა შერმადინ მუმლაძემ მოულოდნელად გონება დაკარგა და გარდაიცვალა. ექსპერტიზა ადგენს მისი გარდაცვალების მიზეზს...

## რეპლიკა

2002 წლის 2-8 სექტემბერს **„კვირის პალიტრაში“** (№35 (395)) დაიბეჭდა ჟურნალისტ ზვიად ჩაკვეტაძის წერილი „ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრი გასამართლდება“. ჟურნალისტი მიუთითებს: „სურათი რომ უფრო ნათელი ყოფილიყო, გავესაუბრეთ სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ ყოფილ მთავარ ინჟინერს ავთანდილ გობეჩიას...“

ბატონ ზვიად ჩაკვეტაძეს მართლაც შევხვდი ა. წ. 17 აგვისტოს. იგი ჩემმა ნაცნობმა წარმომიდგინა როგორც თავისი მეგობარი და ჟურნალისტი. რამდენიმე კითხვა დამისვეს „თბილგაზის“ რეაბილიტაციის ალტერნატიული 10-წლიანი ბიზნესგეგმის შესახებ. მათ კითხვებს ვუპასუხე. შემდეგ კი უშუალოდ ზ. ჩაკვეტაძემ მომმართა კითხვებით, კერძოდ, მართალია თუ არა, რომ „საქგაზტრანსმრეწვის“ ხელმძღვანელს ემუქრებოდნენ; რომ გაზის დანაკარგი 70%-ზე მეტს შეადგენს; რომ „თბილგაზი“ სახელმწიფომ 30 მლნ-ზე მეტი ლარით დააფინანსა. ყველა კითხვას ერთი და იგივე პასუხი გავეცი — ამის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ; ხოლო ის, რაც ვიცი, მზად ვარ ხელის მოწერითაც დავადასტურო-მეთქი. ასეც მოვიქეცი და ხელი მოვაწერე სამ ინფორმაციას პრივატიზაციის შესახებ (ინფორმაცია ბატონ ჩაკვეტაძეს უკვე ხელთ ჰქონდა).

***პატივისცემით, ავთანდილ გობეჩია***




## ბუშმა მოუწოდა, მაგრამ ვერ დაიყოლია

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მოუწოდა საფრანგეთის, რუსეთისა და ჩინეთის პრეზიდენტებს, მხარი დაუჭირონ აშშ-ს სადამ ჰუსეინის დამხობაში. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კვლავ გაიმეორა, რომ ერაყის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს. ვლადიმირ პუტინს კი უშუალოდ ესაუბრა ტელეფონით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელიც მხარს უჭერს აშშ-ს სადამ ჰუსეინის დამხობის საქმეში და შეეცადა დაეყოლიებინა რუსეთის პრეზიდენტიც ალიანსში შესვლაზე, მაგრამ ამაოდ. ერაყის წინააღმდეგ ომს არც ჩინეთი უჭერს მხარს.

შაბათს დიდგორობა აღნიშნა ქართულმა საზოგადოებამ და ფრიად შთამბეჭდავადაც. ზეიმს, სხვა უცხოელ დიპლომატებთან ერთად, რუსეთის ელჩიც ესწრებოდა. ძნელია იმის თქმა, რა „გრძნობებს აღუძრავდა" მას დიდგორობას გამოხატული ქართველთა ერთიანობა და საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვისთვის იქ წარმოდგენილი მართლაც ამაღელვებელი თეატრალურ-ქორეოგრაფიული სცენები, თუ განცხადებები (მსგავსი სანტიმენტები, ცივსისხლიან დიპლომატებზე, როგორც წესი, არანაირ გავლენას არ ახდენს), მაგრამ რუსეთის ელჩზე, როგორც ჩანს, იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, თეატრალიზებული წარმოდგენისას აბჯარში ჩამჯდარი ქართველთა მხედრობისა და დავითის დროშების გამოჩენამ, როგორ დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, თვალზე ცრემლი აუკიაფა. არ ვიცი, ეს ცრემლი თავის პოლიტიკურ წინაპართა მიერ ერთმორწმუნე, გმირული და ტრაგიკული წარსულის მქონე ქართული სახელმწიფოს მოსპობის ფაქტის გახსენებამ მოჰგვარა, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული არანორმალური ურთიერთობისა და საქართველოს და კავკასიის სამუდამოდ დაკარგვის რეალურ პერსპექტივაზე ფიქრმა, თუ ეს რუსი კაცის ე.წ. უბრალო სულის გამოხატულება იყო... მაგრამ ფაქტია, რომ დადგა დრო, როცა რუსეთმაც და რუსებმაც უნდა გააცნობიერონ, რა ჩაიდინეს და რას სჩადიან სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ. ჯერჯერობით კი, გრძელდება საინფორმაციო ომი და მოსკოვი უკვე შემთხვევას აღარ უშვებს ხელიდან, საერთაშორისო თანამეგობრობას დაუმტკიცოს, რომ საქართველო არათუ მხოლოდ ტერორისტების „საზღვარია", არამედ [illegible] კავშირმა 11 სექტემბრის ტერაქტებამდე. ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ის პატარა ინფორმაცია, რომ უშუალოდ 11 სექტემბრის ტერაქტების წუთებში ავღანეთიდან პანკისში უსამა ბინ ლადენის თანამებრძოლები ტელეფონით ესაუბრებოდნენ და ტერაქტების წარმატებით მიმდინარეობას ულოცავდნენ ერთმანეთს, რუსეთის მასმედიამ დროშად აიტაცა. საქართველო კი, კვლავ ყრუ თავდაცვაზე გადავიდა... იმის კითხვა — როდის დასრულდება და რა გზებით და საშუალებებით შეძლებს ქართული ოფიციალური თუ თავისუფალი მასმედია, გნებავთ, პრობლემა ამ უპრეცედენტო ფსიქოლოგიური ზეწოლის განეიტრალებას და თუნდაც შეტევაზე გადასვლას? ამ და სხვა საკითხებზე მოსაზრებების გამოთქმა ვთხოვეთ ამჟამად თბილისში მყოფ ჩვენს თანამემამულეს, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტისა და ქართული, კავკასიური და ევრაზიული ცივილიზაციების კვლევის ცენტრის დირექტორს **[illegible]**, რომელიც 10 წელი რადიო „თავისუფლებაში" მუშაობდა და კარგად იცნობს საინფორმაციო ომის ტექნოლოგიას.

— რადიო „თავისუფლება" თავიდანვე სპეციფიური წარმონაქმნი გახლდათ და ნაწილობრივ მართალია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც არა მარტო პროპაგანდას ეწეოდა, არამედ გარკვეულ ინფორმაციას მოიპოვებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის საწარმოებლად. ეს იყო ისტორიული გათვლილი და დასახული მიზანი და, რაც მთავარია, კარგად შესრულებული. ჩვენ ეს ომი მოვიგეთ. როცა 1982 წელს მივედი მიუნხენში, რადიო „თავისუფლების" თავმჯდომარე გახლდათ მწერალი და ლინგვისტი ჯორჯ ბეილი. ეს იყო რეიგანის პრეზიდენტობის დრო. მახსოვს, ერთი გამოსვლის [illegible], — შეგვიძლია თუ არა ამერიკელებს საბჭოთა კავშირის გარეშე, საკუთარი ძალებით და შესაძლებლობებით განვითარდეთ? უპასუხეს, რასაკვირველია და რეიგანმაც წარმოთქვა ფრაზა, რომლის მნიშვნელობაც დღემდე ვერ გაუაზრებიათ აქ — დაივიწყეთ საბჭოთა კავშირის არსებობა! ამას მოჰყვა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, ანუ ე.წ. „ვარსკვლავური ომების" პროგრამის რეალიზაციის გამოცხადება, რამაც დიდად შეუწყო ხელი ამერიკის ტექნოლოგიურ წინსვლას. ამას მოჰყვა „პერესტროიკა" საბჭოთა კავშირში და მისი დანგრევა! ამდენად, რადიო „თავისუფლებამ" დაკარგა ფუნქცია და ვისთან უნდა ებრძოლა? ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო სრულიად სხვა მიმართულებით. კერძოდ, ვისურვებდი, რომ ამ რადიოს [illegible] ნამდვილი ჟურნალისტების აღსაზრდელად და ეჩვენებინა, თუ რას ნიშნავს ჟურნალიზმი, რომელიც საქართველოში მაშინ დაბალ დონეზეა.

**— ტელევიზია და პრესაზე რას იტყოდით?**

— ორივე ძალიან სუსტია. არ ვგულისხმობ ტექნიკურ გაწყობას, რადგან სხვებთან შედარებით უკეთესად გამოიყურებიან და ამას სრულიად ობიექტურად მოგახსენებთ. პრესა თუ საზოგადოების საინფორმაციო საკითხებს წინა პლანზე არ აყენებს, ხოლო უწყობს [illegible] პრობლემების გაღრმავებას, არაფრის მაქნისია, მაგრამ, პრესა ყოველთვის არის საზოგადოებისათვის და არა ვინმესთვის, იქნება ეს მთავრობა, პარტია თუ სხვა... იგივე რადიო „თავისუფლება" ვინმეს კი არ ებრძვის, არამედ [illegible] ობიექტური ინფორმაცია.

**— რას იტყოდით რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე საინფორმაციო ომზე [illegible] „თავისუფლების" [illegible]**

[illegible] რომელიც [illegible] ინფორმაციისა და წარმოჩენა [illegible] თვალსაზრისი ისევე, როგორც [illegible] რუსეთი თავისუფლად [illegible] თავიანთ პოზიციას. ეს ხდებოდა ყოველგვარი ისტერიის გარეშე. ორი თვალსაზრისი თავისთავად უკვე აძლევდა მსმენელს არჩევანის საშუალებას და იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი; შესაბამისად, შეფასებებიც მასზე იყო დაფუძნებული. ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ძალიან აკლია ქართულ მასმედიას. სამწუხაროდ, ჩვენ ვაგებთ საინფორმაციო ომს, რადგან არა ვართ კარგად მომზადებულნი და კვლავაც წავაგებთ. ჩვენი რეაქციები „რეაქტიულია", ანუ დამოკიდებულნი ვართ გამოწვევაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე, ანუ რუსეთი თოჯინასავით გვათამაშებს და რასაც უნდა, იმას დაგვმართებს. საქართველოში რომ არ მოისმინონ რუსეთის ტელევიზიიდან წამოსული დეზინფორმაცია, საჭიროა სხვა პროგრამაზე ტელევიზორის გადართვა, რითაც ერთი პრობლემა გადაწყდება. მაგრამ ჩვენ მაზოხისტებივით მივჩერებივართ ეკრანს იმის გასაგებად, თუ ვინ გვთხრის თვალს, ვინ გვიწევს ყურს, ვინ გვწიწკნის და შემდეგ სიამოვნებასაც ვიღებთ ჩვენი აღშფოთებისა და რეაქციის გამოხატვისას. კვლავ რეიგანის ნათქვამს გავიმეორებ, — დაივიწყეთ საბჭოთა კავშირი და ის გაქრება! ქართულში არის სიტყვა „უხსენებელი". ყველა ერთად შევთანხმდეთ — არ ვახსენებ მას, რეაქცია არა მაქვს მასზე (რუსეთზე). ჩვენ დამოკიდებულნი ვართ იმ ფსიქოლოგიურ ველზე, რომელსაც გვიქმნიან რუსები და ეს ველი უნდა დავძლიოთ იმით, რომ საქმე ვაკეთოთ და არა ის, რომ ყურებდაცქვეტილებმა ვუსმინოთ. სამწუხაროდ, არა გვაქვს საკუთარი საინფორმაციო პოლიტიკა და შედეგად, რუსები გვლანძღავენ, ჩვენ ვპასუხობთ; ისინი გვბომბავენ და ვიწყებთ ვიშვიშს — ეს რა გვიქნეს, რატომ გვიქნესო და ა.შ. სიმართლის დადგენას სჭირდება უდიდესი ძალისხმევა და მეჩვენება, რომ საქართველოში საქართველო არავის უნდა, არამედ ესწრაფვიან მხოლოდ საკუთარი საცხოვრისის მოწყობას...

**— უწინარესად, ვისი ბრალია ეს — ჩვენი საზოგადოების თუ ხელისუფლების?**

— საქართველოში საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არსებობს. საზოგადოება ნიშნავს საზოგადოებრივი ინტერესისა და საერთო მიზნის არსებობას, რაც არავის აქვს. ასპარეზზე მყოფი პარტიებისა და პოლიტიკოსების მიზანი კი ერთია — გაიწიოს ის, რათა მივიდე მე! ასე არ აშენდება სახელმწიფო და საზოგადოება. ჩვენ დავიწყეთ გამოსვლა ტოტალიტარიზმიდან, ასოციალური მდგომარეობიდან, როდესაც აზრი და ფიქრიც კი, უკვე „ნაფიქრი" იყო სხვის მიერ. მეგონა, რომ სწრაფად დავაღწევდით თავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ ვყოფილვართ საამისოდ მზად. ახალი არაფერი წარმოიქმნა მიუხედავად იმისა, რომ ვითომ რაღაცა ხდება, ვითომ მეწვრილმანე ვაჭრებს აძლევენ ვაჭრობის საშუალებას და იმავდროულად, ახრჩობენ ზემოდან, ანუ სახელმწიფოს არ სურს გაუშვას ხელიდან ძალაუფლება, რადგან მიაჩნია, რომ ძალაუფლება მისი კერძო საკუთრებაა. ხელისუფალი ეწოდება ადამიანს, ვინც საზოგადოებისთვის მუშაობს, ხოლო ხელისუფალი, რომელიც ჰპარავს საზოგადოებას, დამნაშავეა. ადრე, მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარიზმის პირამიდა საზოგადოებაზე იყო დამხობილი და არ აძლევდა განვითარების საშუალებას, მაშინაც კი არსებობდა საზოგადოებაში გარკვეული ფენები: ინტელექტუალები, ინტელიგენცია, მოსამსახურეები და ა.შ. ანუ ქართული საზოგადოება ბეკონს ჰგავდა, სადაც მჭლეც იყო, ქონიც და გარკვეულ სტრუქტურას წარმოადგენდა. დღეს ეს სტრუქტურაც წაიშალა და ქართველობა წარმოვადგენთ დიდ ქონს, რომელიც ძირში გაქვავებულია, ზემოდან კი მოქცეულია მოყანყალე პატარა ქონის ნაჭერი. ამიტომაცაა, რომ ერთმანეთს ვერ უგებს ვერავინ. პირადი კეთილდღეობის მიღება თანამდებობის საშუალებით არის წმინდა წყლის ტოტალიტარიზმი, ანუ ხელისუფლება კი არ ემსახურება საზოგადოებას, არამედ პირიქით. ლაპარაკი კერძო საკუთრებაზე ცარიელი სიტყვებია და სიტყვის თავისუფლებაც ლაქლაქის თავისუფლებას უფრო ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტი სიტყვის თავისუფლებას. შედეგად, ლაქლაქი არ მოქმედებს არავისზე. ადამიანი გაზეთს კითხულობს იმიტომ, რომ შეიტყოს ვინ ვის ჭორავს, ლანძღავს და ა.შ.

**— მოდით, ჩვენს ტრადიციას, მენტალობასაც შევეხოთ, რამაც ტოტალიტარიზმთან ერთად ალბათ მნიშვნელოვანწილად განაპირობა დღევანდელი ყოფა.**

— ყველამ დიდი შეცდომა დავუშვით თავის დროზე, ვინც კი დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების შესახებ წერდა, მუშაობდა, აანალიზებდა საკითხებს. ანალიზისას ჩვენ დავეყრდენით ქართულ კლასობრივ საზოგადოებას და მის იმ ნარჩენებს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე. ვგულისხმობ შემდეგს: ქართული ქრისტიანული კულტურა არის ინდივიდუალობისა და რჩეულობის ძლიერი ელემენტის მატარებელი. ამიტომ, როდესაც გავაანალიზეთ ეს კულტურა, დავასკვენით, რომ გრძელდება ტრადიცია, მით უმეტეს, რომ არსებობდნენ პიროვნებები, პარტიულებიც კი, რომლებსაც ეს თვისებები ჰქონდათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესენი იყვნენ უკანასკნელი მოჰიკანნი წინა წყობის საზოგადოებისა. მერე რა, რომ მეფის რუსეთის შემადგენელი ნაწილი ვიყავით. მეფის რუსეთი იყო იმ სტრუქტურის მქონე, რომელიც წარმოქმნიდა არისტოკრატიას და ის არისტოკრატია იყო ერის წარმმართველი ძალა. შემდეგ კი მოხდა პროლეტარიზაცია, ანუ სანამ ქართული არისტოკრატიის ნარჩენები არსებობდნენ, საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, მათგან აეღო ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითები და ამ ინერციით 60-იან წლებამდე მოვედით. მაგრამ ის ადამიანები წავიდნენ და გაჩნდა დიდი ნაპრალი, სამაგალითო, ფაქტობრივად, აღარავინ დარჩა, ახალმა თაობებმა არსებულ ტოტალიტარულ გარემოში ვერ მისცეს ისეთი მაგალითი საზოგადოებას, რომ შექმნილიყო ეროვნული ხერხემალი. შედეგად — მოხდა საქართველოს სრული პროლეტარიზაცია, რაც არა მხოლოდ უქონლობას ნიშნავს, არამედ ულირსებობასაც. საქართველო, თავისი ბუნებით, კულტურით იყო არაპროლეტარული ქვეყანა და მისმა გაპროლეტარებამ ბოლო 50 წლის მანძილზე საშინელი შედეგები მოგვიტანა. სრულიად წაიშალა ღირსების გრძნობა და ურთიერთობის ტრადიციული ფორმები, რაც დღემდე აქა-იქ ოჯახებსა და სამეგობრო წრეებში თუ არის შემორჩენილი, ისიც ძალიან მკრთალად. ანუ ის ქართული კულტურული ბადე, რომლისთვისაც იბრძოდნენ მე-19 საუკუნეში, ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე დაირღვა. თქვენ წარმოიდგინეთ, 50 წლის წინანდელი ქურდული სამყაროც სულ სხვა იყო, სადაც არსებობდა მკაცრი „წესი და კანონი", რომელსაც ქურდი თუ დაარღვევდა — სასტიკად ისჯებოდა. დღეს კი, ქურდული სამყაროც ისეთივე გაქვავებული ქონია, როგორიც საზოგადოება, სადაც არანაირი კანონები არ მოქმედებს...



# ჩვენ იმავე გზაგასაყარზე დავდექით, რა გზაგასაყარზეც ერეკლე მეორე იდგა

**— ანუ ულირსებობის, უკანონობის მეტასტაზები [illegible] მოდებული ქართულ საზოგადოებას, რომელიც გვლუპავს, საშველი კი არა და არ ჩანს.**

— დიახ და შემიძლია გითხრათ, რომ უცხოეთი საქართველოს აღიქვამს, როგორც კრიმინალურ ქვეყანას და იცის, რომ აქ შემოსული ნებისმიერი პროექტი იყვლიფება არამიზნობრივად. დასავლეთს აქვს თავისი ინტერესები და მისწრაფება, რაც არ არის მხოლოდ გეოპოლიტიკასთან დაკავშირებული. დასავლეთს სურს, რომ მეტ-ნაკლებად ჰომოგენური, ცივილიზებული საზოგადოებები არსებობდნენ. ამიტომ გვიწევენ დახმარებას, გვმფარველობენ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გვაფინანსებენ, რათა განვითარდეს ის ტიპი საზოგადოებისა, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოსაცნობია ევროპელებისთვის. ხშირად მომიკრავს ყური, დასავლეთმა გარყვნილება და ათასგვარი სიბინძურე შემოიტანა საქართველოშიო, რაც მტკნარი სიცრუეა. ფაქტია, რომ ის გარყვნილი ხალხი არ ჩამოდის აქ, ე.ი. გარყვნილება შემოიტანა ინფორმაციამ, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ და ნიადაგი, რომელსაც ეცემა ეს ინფორმაცია, ისე მზადაა გარყვნილებისათვის, რომ ირყვნება ძალიან სწრაფად, ე.ი. სათავე და მიზეზი ამისა, არის აქ და არა იქ! ჩვენ ვცხოვრობთ დასავლეთში და ვერავითარ გარყვნილებას საზოგადოებაში ვერ ვხედავთ. ვისაც უნდა გარყვნილი იყოს, არის კიდეც და ეს არაფერს ვნებს საზოგადოებას, რადგან საზოგადოება ჯანსაღია. ხოლო როცა საზოგადოება დამპალია, მაშინ ის მხოლოდ გარყვნილებას, ძალადობას და ყველანაირ უხამსობებს იღებს. ჩვენთან ვერ გააცნობიერეს, რომ გადმოღება რაიმესი, ნიშნავს, რომ იღებ იმას, რაც შენ ხარ. იგივე ითქმის პრესაზეც. დასავლეთში ათასი ჯურის პრესა გამოდის და როცა ამ პატარა ქვეყანაში გაზეთები ადამიანებს კვებავენ ისეთი ინფორმაციებითა და წერილებით, რომელიც არ წაიკითხება, ნიშნავს იმას, რომ აღრმავებ ინსტინქტებს, რომელიც შემდეგ იჩენს თავს და არ მოგწონს. ამას დეკულტურიზაცია ჰქვია, რაც მსოფლიო მოვლენაა, მაგრამ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა უნდა მივიღოთ ის და დავამკვიდროთ, რაც ჩვენი ბუნებისა და ტრადიციებისთვის უცხოა.

**— პრეზიდენტ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი, თქვენი დაკვირვებით, კვლავ არსებობს დასავლეთში და ახდენს რაიმე გავლენას თუნდაც ინერციით, თუ წასულია, რომ იტყვიან, ფსკერისკენ.**

— დიდი ხნის განმავლობაში, როცა დასავლეთის პრესა შევარდნაძის შესახებ რაიმეს წერდა, ჯერ აღნიშნავდნენ, რომ ის არის ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და შემდეგ უმატებდნენ, — საქართველოს პრეზიდენტიაო. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტობა არანაირ ღირსებად არ ეთვლებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს. უკვე მეორე ეტაპზე, 1997-1998 წლებიდან, მისდამი დამოკიდებულება შეიცვალა და შევარდნაძის შეფასებები დაიწყეს იმის მიხედვით, თუ რა კეთდება საქართველოში, როგორია შედეგი ქვეყნის განვითარების პროექტის რეალიზაციისა. სამწუხაროდ, საქართველოში ეს პროექტი არ არსებობს და არავინ იცის, რა ტიპის სახელმწიფო შენდება საქართველოში. დასავლეთში პოლიტიკოსები დამოკიდებულნი არიან ანალიტიკოსებზე. იქ ყველაზე ჭკვიანი პრეზიდენტი კი არ არის, არამედ ის გარემო, რომელიც მას ახვევია. ხოლო როცა ეს გარემოცვა არ არის სათანადო დონისა, შედეგიც სავალალოა. შედეგის მიხედვით საქართველოში დისკრედიტებულია ყველაფერი სასიკეთო. ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველოს შესაძლებლობების რეალიზება ხდება ასიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში. შესაბამისად, ქვეყანა მოშლილია, სოფელი სოფელს აღარა ჰგავს, თბილისი — თბილისს და ა.შ. არსებული სისტემა ვერ იყენებს ქვეყნის შესაძლებლობებს, არადა ეს გახლავთ ყველაზე დიდი კრიტერიუმი, შესაძლებლობების რეალიზაცია, რითაც იზომება სახელმწიფო და არა იმით, გაიყვანს ნავთობსადენი თუ არა. არადა საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე თვითკმარი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავი დააკმაყოფილოს პირველადი მოხმარების საგნებით, პროდუქციითა და სურსათით. როდესაც ხელისუფალი საჯაროდ ლაპარაკობს კორუფციაზე, ნიშნავს იმას, რომ მას საკუთარი თავი არ მიაჩნია სისტემის ნაწილად, რომელსაც აკრიტიკებს და თუ მას არ მიაჩნია თავი ამ სისტემის ნაწილად, ადასტურებს იმას, რომ მთლიანად სისტემაა ძირმომპალი!

**— მოკლევადიან პერსპექტივაში, ვთქვათ, 2005 წლამდე როგორ გესახებათ საქართველოს განვითარების პერსპექტივა და რა არის ის უმთავრესი გადასაწყვეტი საკითხი, ურომლისოდაც ამ პერსპექტივაზეც კი ლაპარაკი ზედმეტი იქნება.**

— ჩვენ იმავე გზაგასაყარზე დავდექით, რა გზაგასაყარზეც ერეკლე მეორე იდგა. საქმე ის არის, რომ არჩევანი — რუსეთი თუ დასავლეთი — არ არსებობს სინამდვილეში. არჩევანი შეიძლება იყოს ერთი — იარსებებს თუ არა ჩვენი ქვეყანა, როგორც საქართველო? ანუ ჩამოყალიბდება თუ არა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება. თუ ასეთი სახელმწიფო იარსებებს, შემდეგ იმასთან იქნები დაკავშირებული, ვისგანაც მეტ მოგებასა და სარგებელს მიიღებ. არავითარი დიდი ფილოსოფია იმის უკან, თუ ვისი მოკავშირე ვიყო, არ არის იმ შემთხვევაში თუ იცი რა და ვინ ხარ და სად დგახარ. თუ ეს არა გაქვს, მაშინ ხარ ნაფოტი! ამიტომ დღეს ჩვენი ორიენტირი არც რუსეთია და არც აშშ. ხოლო ევროპა იმდენადაა საქართველოს ორიენტირი, რამდენადაც ჩვენ ამ კონტინენტზე ვართ. აი, საქართველოს ყოფნა დსთ-ში ჩემთვის გაუგებარია, რადგან როცა მისი ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს, იქ ისეთ რამეებზე მიდის საუბარი, წყდება საკითხები, რომელიც სინამდვილეში არავინ არ იცის. დიდი და საერთო სიყალბის გარსი აკრავს გარედანაც და შიგნიდანაც საქართველოს, რომელიც ხელს უშლის მოსახლეობასაც და იმ ადამიანებსაც, რომლებსაც მართლაც სურთ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთება. სიყალბეში ყოფნა კი მაცდური ყოფნაა და ქართულ ენაში მაცდური — სატანას ჰქვია! სანამ ჩვენს თავთან არ მივალთ, არც ორიენტირი გვექნება და დავრჩებით დამყაყებულ სისტემაში და გნებავთ კორუფციული სისტემა დაარქვით მას, გნებავთ ქურდული, გნებავთ დემოკრატიული თუ პროლეტარული. სტაგნაციამ საბჭოთა კავშირი დაშალა, დღეს კი სტაგნაცია შლის ქართულ კულტურასა და სახელმწიფოებრიობას. ეს არის უმთავრესი პრობლემა, თორემ რუსეთთან და ამერიკასთან იმდენად უნდა ვიყოთ დაკავშირებული, რამდენადაც ეს ხელსაყრელია საქართველოსთვის და არა იმათთვის. ამასთან საქართველოში მდიდრები არ არსებობენ, რადგან შექმნილ სოციალურ პირობებში სიმდიდრეს აზრი არა აქვს. არიან ფულიანი ხალხი, მომხვეჭელები, მაგრამ ისინი მდიდრები არ არიან იმ თვალსაზრისით, რომ ცნება — მდიდარი — განიზომება საზოგადოებისთვის გაღებული ქველმოქმედებით. მილიარდიც რომ გქონდეს, არ იქნები მდიდარი მანამ, სანამ ამ მილიარდის ნაწილს არ გასცემ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. მერე ხდები მდიდარი, როგორიც იყო სარაჯიშვილი, ხოშტარია და სხვები. დღეს კი ყველა ერთნაირად ლატაკი და პროლეტარიზებულია.

საერთოდ, მომხრე ვარ საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის არისტოკრატიზაციის, რადგან ლიბერალური ეკონომიკა თავისი არსებით აუცილებლად მოითხოვს არისტოკრატიულ წყობას. თუ გვინდა, რომ საქართველო მოეწყოს, ის უნდა იყოს არისტოკრატიული და ამაში იგულისხმება გლეხიც, მოსამსახურეც, მუშაც, ინტელექტუალიც, პოლიტიკოსიც... არისტოკრატიული წყობა კი ნიშნავს იმას, რომ უნდა დაბრუნდეს სამოქალაქო ღირსების ცნება და განცდა, უნდა დაისახოს საერთო მიზანი, უნდა აღდგეს ადამიანში სიყვარული თავისი მშობლიური ადგილისადმი სოფლადაც და ქალაქშიც. თუ სოფელში ვარ უნდა ვიღვწოდე მისთვის. თუ ქალაქში ვცხოვრობ, ჩემი სადარბაზო უნდა მიყვარდეს უწინარესად. ხოლო თუ მე ნაგავში ვცხოვრობ, სადარბაზო საპირფარეშოს სუნით ყარს, შეუძლებელია ქვეყნისთვის რაიმენაირ სიყვარულზე ლაპარაკიც კი. ამ ელემენტარული ცნებებიდან იწყება სახელმწიფო.

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# ანდრია პირველწოდებულის მეორედ მოსვლა საქართველოში

ბედნიერი დღეები უდგას საქართველოს — სტუმრად ჩამოსულმა ბერძენმა მთავარეპისკოპოსმა — ქრისტოდულუსმა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა ჩამოაბრძანა მისგან ნათელღებულ ქვეყანაში. ქართულ ტაძრებში იმართება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა და პარაკლისები, საზეიმოდ რეკენ ზარები,





თბილისიდან აჭარამდე თავს ადგას საქართველოს ის სარწმუნოებრივი ნათელი, რომელიც ოცი საუკუნის წინ მოჰფინა წმინდანმა თავისი მოძღვრებითი-მქადაგებლური მოღვაწეობით.

გამორჩეული, განსაკუთრებული პატივი მოსავს საქართველოში წმინდა ანდრიას სახელს: როდესაც მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა და საქართველო მარიამ ღვთისმშობელს ერგო წილად, ანგელოზმა აუწყა, რომ წილხვდომილ ქვეყანაში თავის მაგივრად ანდრია პირველწოდებული მიევლინებინა, რომელიც კაცთა მოდგმიდან პირველი დაიმოწაფა უფალმა (ამიტომაც ეწოდა პირველწოდებული). დედა ღვთისამ წარგზავნა ანდრია და თან თავისი ხელთუქმნელი ხატიც გამოატანა, რომელზეც მისი სახება იყო გადატანილი. ამასთანავე, დააბარა კიდეც: *„მე მარად ვიქნები ქართველთა ცხოვრების განმგებელი, მარად შევეწევი, არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მათ“.*

ჩამოვიდა მოციქული ანდრია საქართველოში და დათესა მარცვლები ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, რომლებიც სამი საუკუნის შემდეგ აღმოცენდნენ წმინდა ნინოს მეოხმყოფობით. პირველმა ანდრია პირველწოდებულმა განარღვია ჩვენში სიბნელე კერპთაყვანისმცემლობისა და ჩვენი სამშობლო სამოციქულო ქვეყნად აქცია, ხოლო უკვე განვითარებული ქრისტიანობის ჟამს, მისი პირველწოდებულობით შეინარჩუნა საქართველომ საკუთარი ეკლესიის თვითმყოფადობა: ბერძენი პატრიარქის სამსჯავროზე, სადაც ქართულ ეკლესიას ავტოკეფალიური უფლებების შეზღუდვას უქადდნენ, წმინდა გიორგი მთაწმინდელმა, ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობით დაუმტკიცა საეკლესიო საკრებულოს, რომ რადგან პეტრე მოციქული (რომლის „საყდარსა ზედა მსხდომარედ“ თვლიდნენ თავს ბერძნები) წოდებული იყო ანდრიასაგან, სწორედ წოდებული უნდა დამორჩილებოდა მწოდებელს და თუ უფლებამოსილებათა გადანაწილებაზე იქნებოდა საუბარი, მაშინ ბერძნები უნდა დამორჩილებოდნენ ქართველებს და არა პირიქით!

და აი, თავის მიერ სარწმუნოებრივად განათლებულსა და დამოუკიდებელ საეკლესიო ერთეულად დამკვიდრებულ საქართველოში ოცი საუკუნის შემდეგ მეორედ ჩამობრძანდა წმინდა მოციქული. თითქოს საგანგებოდ შეურჩია დრო: დღეს, როდესაც ორი ათასი წლის წინათ ნათელღებული ქვეყანა მსოფლიოს თვალში სახელშელახულია საკუთარ შვილთა უდებებით, პოლიტიკური და ეკონომიკური უმწეობითა და უმწიფრობით; როდესაც ნაღალატევი და გაძარცული ერი გახლეჩილია და დათითოკაცებულია; როდესაც მის წმინდა სარწმუნოებაში პირველად, ოცსაუკუნოვან ისტორიაში, საბუდარი უპოვიათ სქიზმატებსა და რჯულგანდგომილებს — ჩამობრძანდა ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთხელ დასახსნელად და გადასარჩენად.

მართლმადიდებელი ქართველობაც ღირსეულად დახვდა თავის განმანათლებელს. ტაძრების ეზოები, სადაც ეს სიწმინდე იყო დასვენებული, ვერ იტევდა მლოცველთა რიგებს. საათობით იდგნენ ქართველები უწყვეტ ნაკადად მომდინარე ამ რიგებში — იმ მცირე დროის განმავლობაში, რაც საქართველოში უნდა დაეყო ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილს, ყველა ცდილობდა, მოესწრო და მთხვეოდა ამ სიწმინდეს და მით სულიწმიდის მადლს მიახლებოდა!

ამ დღეების განცდა იმის იმედსაც იძლევა, რომ დროებით ჩამობრძანებული სიწმინდის მიმართ ამგვარი „მოსწრების“ სურვილმა იქნებ სამომავლოდაც აღძრას მოშურნეობის გრძნობა მორწმუნე საზოგადოებაში. და, რადგან, სადაც არავინ იცის, როდის მთავრდება უფლისგან ჩვენთვის ნაბოძები ჟამი, თუ მოსწრებაა, ძალ-ღონე არ უნდა დავზოგოთ, რათა ყველა იმ სიწმინდეების თაყვანისცემა მოვასწროთ, რომლებიც ჩვენშია დავანებული და არსად წაღებას არ უპირებენ.

ასეთი სიწმინდეები კი მრავლად არის დაცული საქართველოში: სიონში დასვენებულია წმინდა მოციქულ თომას თავის ქალა და წმინდა ნინოს ჯვარი; საქართველოს საპატრიარქოში — სამსჭვალი, რომლითაც ჯვარზე იყო გაკრული მაცხოვარი; მცხეთაში — კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; ბოდბეში — წმინდა ნინოს განსასვენებელი; ზუგდიდში — დედა ღვთისმშობლის კვართი, გონიოში — წმინდა მოციქულ მატათას სავანე და, რაც მთავარია, ჩვენ დაკარგული გვაქვს წმინდა მოციქულ სვიმონ კანანელის საფლავი, რომელიც აფხაზეთის წმინდა მიწაში განისვენებს. ამიტომ, ჯერ ის მიწა უნდა დავიბრუნოთ და მერე — მოციქულის საფლავი! ამას გვავალებს ჩვენი წმინდა მართლმადიდებლური სარწმუნოება, ამას გვავალებს ჩვენი ქრისტიანული სინდისი და ამისთვის შევთხოვთ ჩვენს შემწესა და მფარველს, წმინდა ანდრიას:

*წმინდაო მოციქულო, მოციქულთა უპირატეს წოდებულო ანდრია, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სოფელსა მშვიდობა მოანიჭოს, და სულთა ჩუენთა დიდი წყალობა!*

**ზურაბ ქართველიშვილი**

# „ბოროტსა სძლია კეთილმან“

ქართველები რომ მსოფლიოში გამორჩეული ერი ვართ და სხვადასხვაგვარი უკიდურესობა გვახასიათებს, არახალია. უცხო ტომის მიმართ მეტისმეტი სიყვარულისა და სითბოს გაღება, გაჭირვებულთათვის გულის აჩუყებამდე სიბრალულის გამოხატვა და უკანასკნელი ლუკმის გაყოფა რომ შეგვიძლია, ესეც ყველასათვის ცნობილია. მოკლედ, სხვათა ტკივილისა თუ გასაჭირის გაზიარებაში ალბათ მსოფლიოში ბადალი არ გვყავს. სწორედ ამის გამოხატულებაა ჩვენი დედაქალაქის მერიის ინიციატივით აშშ-ში 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტის წლისთავთან დაკავშირებით, დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის აღმართვა თბილისში. როგორც დედაქალაქის მერმა, ბატონმა ვანო ზოდელავამ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში განაცხადა, ქანდაკების ავტორი ცნობილი ქართველი მოქანდაკე ზურაბ წერეთელი გახლავთ და იგი ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინასთან მდებარე მის მიერვე შექმნილი მემორიალის ზუსტ ასლს წარმოადგენს (ქანდაკება 1990 წელს აღიმართა). როგორც ცნობილია, მემორიალის სახელწოდებაა „ბოროტსა სძლია კეთილმან“, ხოლო მისი ასლი, რომელიც თბილისში 300 არაგველის მემორიალის შორიახლო დაიდგმება, ორიგინალთან შედარებით მცირე ზომის იქნება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ზაურ თაბაგარის განცხადებით, საგულისხმო და სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ქანდაკება დაახლოებით იმ ადგილას აღიმართება, სადაც 1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე ტერორისტული აქტი განხორციელდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მემორიალს თავად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახსნის და ამით კიდევ ერთხელ ხაზს გაუსვამს აშშ-სა და საქართველოს შორის არსებულ განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და ურთიერთპატივისცემას.



P.S. ამერიკელი ხალხის მიმართ 11 სექტემბრის არნახული ტრაგედიის გამო ამა თუ იმ ფორმით თანაგრძნობისა და სოლიდარობის გამოხატვა უდავოდ მისასალმებელია, მით უმეტეს, ზემძლავრი სახელმწიფოს მიერ საქართველოსთვის ბოლო წლებში გაწეული უზარმაზარი დახმარებების ფონზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ერთ შორეულ, პატარა საქართველოში ამერიკელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის აღმართვა თავად ამერიკელთა მხრიდან ყურადღების მიღმა ნამდვილად არ დარჩება და ალბათ ამ მორალური მხარდაჭერის გამოხატულებას სათანადოდაც შეაფასებენ, მაგრამ ასევე მართებული და უპრიანი იქნებოდა, თუ საკუთარ ტკივილსაც არ დავივიწყებდით. უკვე მეცამეტე წელი მიდის მას შემდეგ, რაც მთავრობის სახლის წინ დაიდო ლოდი, რომელზე გაკეთებული წარწერაც 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის აღმართვას გვპირდება, მაგრამ დღემდე არ დაადგა საშველი ამ საქმეს. სხვა არაერთი სასიქადულო მამულიშვილის, თუნდაც იმავე ჟიული შარტავას ხსოვნასაც მხოლოდ ლოდზე არსებული ანალოგიური წარწერით უკვდავყოფთ. სასურველი იქნებოდა, თუ დედაქალაქის ხელმძღვანელობა და ქვეყნის ხელისუფლება ამ მხრივაც გამოიჩენდნენ ინიციატივას და ბოლოს და ბოლოს, გამოძებნიდნენ სახსრებს თუ მეცენატებს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის წამებულთათვის ღირსეული პატივის მისაგებად.

**მამუკა ხუციშვილი**

# «დავეძებ თბილისს»



თბილისს განუმეორებელი ხიბლი აქვს, გამორჩეულად შეგაყვარებს თავს ადამიანს. ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი თბილისი გვიყვარს... დიდუბელებს და ვაკელებს, გლდანელებს და ვერელებს... ადრეც წერდნენ და ახლაც წერენ თბილისელობაზე, თბილისურ ქუჩებსა და ქუჩის ძაღლებზე, თუმცა... დამეთანხმებით, სულ სხვაა „სასკლეროზთაშორისო მაგნიტოტვინი“, რომელსაც ბევრი რამ ახსოვს. კაი ბიჭები, ლექსის წერაში ექვმიტანილები და თბილისელი ღვინოზავრები, ქართველ-ქურთველები და ნუგეშა-იმედები. მათი თბილისი სულ სხვა ყოფილა კიდევ: — მადლობა ღმერთს, ყველას თუ თავისი თბილისი უყვარს. ასეც უნდა იყოს, მაგრამ მე მეჩვენება, ჩვენი სიყვარული უფრო გულწრფელი და ტევადი იყო, — უჩვეულო სევდით გვითხრა ხალისიანმა და იუმორით სავსე **გიზო ნიშნიანიძემ**, — თავს კი არ ვაწონებ ვინმეს, მართლა ასე ვგრძნობ... თუ ყველას თავისი თბილისი უყვარს, სად გარბიან, მილიონ-ნახევარი რომ წასულია საქართველოდან? თბილისის სიყვარული, იცით, რა არის? ბავშვმა რომ უთხრა დედას, — როცა შენთან ვარ, მაშინაც კი მენატრებიო... ალაგებულ სცენას ჰგავს ჩემი უბანი, ახლა აქ სხვა სპექტაკლი გადის, სხვა კაბაკუბანი. ისეთ დროში ვცხოვრობთ, ყველა ოჯახს შეუჩნდა ბოროტების და გულგრილობის ჭია, ყველა გამოხრა. დარჩა ვინმე მთელი? ხალხი გარბის... თბილისი გასაქცევი ქალაქია?

1967 წელს ორი კვირით ვიყავი პარიზში. ძლივს გავძელი, სული ძლივს ჩამოვიტანე, ვარაზისხევი რომ დავინახე, ამოვისუნთქე, გადავრჩი-მეთქი. მარტო მე კი არ ვგრძნობდი ამას. ცნობილი კაცი იყო თავის დროზე გოგი გელაშვილი, ყოფილი ფეხბურთელი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მთელი ჯიგარით თბილისელი კაცი. ისე იცხოვრა, თბილისიდან არ გასულა... შოთა დედაბრიშვილი — შიო არაგვისპირელის ვაჟი!.. ვერელი ბიჭები „პაპაშას“ ვეძახდით, განათლებული კაცი იყო, ცოტა სმა უყვარდა. პლეხანოვზე, სადაც ახლა აფთიაქია, კოქტეილ-ბარი იყო, „ობლების ბარს“ ეძახდნენ. ყველა უპატრონო იქ ჭამდა იაფად. შოთა დედაბრიშვილი ობლების პრეზიდენტი იყო. ერთხელ გამოვიდა ბარიდან კარგად შეჭიკჭიკებული და შემთხვევით რაიონის ავტობუსში ჩაჯდა. ბორჩალოში რომ ამოჰყო თავი, კინაღამ გაგიჟდა. ერთი წუთი არ გაჩერებულა იქ, ძლივს ჩამოიტანა სული თბილისში. მაშინ თქვა:

„Здравствуйте, мои тбилисские
тротуары,
Пишите свои тротуарные
мемуары.“

ეჰ, რამდენი რამ ახსოვთ თბილისის ქუჩებს!

**— და ბევრი საიდუმლოც მხოლოდ ქუჩებმა იციან...**

— მარტო ქუჩამ იცის, რას ვეუბნებოდი ლამაზ გოგოს, საბედნიეროდ, ორი წუთით რომ გამიჩერდა. ქუჩა მოწმეა იმის, როდის ვიგრძენი პირველად თავი კაცად... ზემელზე ვცხოვრობდით, იქ ახლა კინოს სახლია. მაშინ რუსთაველის ძეგლი არ იდგა, მხოლოდ ბაღი იყო. დედაჩემს ბოთლებით „ვიშნოვკა“ ჰქონდა დაკიდებული გარეთ. ვიღაც „მაუზერისტს“ ჩამოუვლია (ასე იმათ ვეძახდით, ვინც იარაღით დადიოდა). ამოუღია იარაღი, დაუმიზნებია „ვიშნოვკისთვის“. ვიღაც ჩემი ხნის, 15-16 წლის ბიჭს უთქვამს: ბიძაჯან, მანდ ჩვენი ძმაკაცი ცხოვრობს, არ ესროლოოო... მაშინ ვიგრძენი, რომ უკვე კაცი ვიყავი... მეორედ იცით, როდის მოხდა ეს? ყველაზე საშინელი დრო რომ იყო თბილისში, ხელჩართული ომი. ჩემი სახლის ფანჯარას ტყვია მოხვდა. შინ გაჩერება შეუძლებელი იყო. გადავწყვიტეთ, ჩემს დასთან წავსულიყავით ვერაზე... ტყვიები ზუზუნებდა... ამ მხარემაც გამატარა, იმ მხარემაც... მაშინაც ვიგრძენი, რომ კაცი ვიყავი...

**— როცა თბილისზე ლაპარაკობთ და გენატრებათ ძველი ქალაქი, ადამიანურ ურთიერთობებს გულისხმობთ, არა?**

— რა თქმა უნდა. ტრანსპორტის მინისტრი იყო, თეიმურაზ დავითაშვილი. მითხრა: — თბილისელობა ყველაზე მეტად მძღოლებს აქვთ შემონახული. სემიონოვკელი მოხუცები ქალაქში ვერ ჩამოდიან პროდუქტების საყიდლად. მძღოლებს გაატანენ ფულს, ისინი აუტანენ პურს, შაქარს, როგორც საკუთარ მშობლებს, ყურადღებას ისე აქცევენო. თავის დროზე ერთი „იზვესტიელი“ გოგო (გაზეთ „იზვესტიაში“ მუშაობდა) ჩამოვიდა თბილისში. მაგარი გოგო იყო. ვიფიქრე, გავასეირნებ-მეთქი, მითხრა: არ გინდა, ნუ გაივლი ჩემთან, ცუდი წერილი უნდა დავწერო თბილისზე, ასე მაქვს დავალებული, ერთად თუ გვნახავენ, მერე ბევრი მტრად მოგეკიდებაო. ორი დღის შემდეგ მირეკავს: ცუდს ვერაფერს დავწერ თბილისზე და რა ვქნა... ტრამვაიმ ფეხმძიმე ქალს გაუჩერა შუა გზაში. მძღოლს ვუთხარი: აქ ხომ გაჩერება არ არის, რატომ გააჩერეთ-მეთქი. რას ამბობთ, ფეხმძიმე ქალს გავუჩერეო, — მითხრა. რომელ ქალაქშიც ასეთი რამ ხდება, იმაზე ცუდს როგორ დავწეროო.

ადრე, თბილისში კაცი რომ მიდიოდა მარტო და იცინოდა, იტყოდნენ, უხარია, რომ ცოცხალიაო. რამხელა სიბრძნეა ამ ნათქვამში. თუ ვნახავდით, ვინმე დაღვრემილი მიაბიჯებდა, წამოვეწეოდით, ლაპარაკს გავუბამდით. ანეკდოტს მოვუყვებოდით...

**— ჩვენს დაღვრემილ მკითხველსაც შევაწიოთ ერთი-ორი ანეკდოტი.**

— აი, გუშინ მითხრეს სწორედ: სეროჟას ჰკითხეს, რას ფიქრობ, ვალს როდის დამიბრუნებო. აბა, მე რა ვიცი წინასწარ, ნოსტრადამუსი ხომ არა ვარო... ან კიდევ — გივი სიხარულიძემ მითხრა ასეთი ამბავი: თუთიყუში ჰყოლია 30-იან წლებში კაცს, თურმე საბჭოთა მთავრობას აგინებდა უშვერი სიტყვებით. გაუგიათ კგბ-ში და მისულან. აბა, გვაჩვენე, სად არის შენი თუთიყუშიო. კაცს გამოუღია მაცივარი, მერე საყინულე, გამოსულა ნახევრად გაყინული ფრინველი, ძლივს ანძრევდა თურმე ნისკარტს და დაუძახია: გაუმარჯოს კომუნისტურ მთავრობასო! ეს ის თუთიყუში არ არისო!.. ის არის, ოღონდ გალია საყინულით (ციმბირით) შევუცვალე და ახლა სხვანაირად ჭიკჭიკებსო.

**— ათასი ჯურისა და ცხოვრების წესის ადამიანი გინახავთ...**

— არ გაგიგონიათ, ღმერთი სათნოებას ეძებდა და ყაჩაღში იპოვაო... ბანდიტები ჩვენს დროსაც იყვნენ, მაგრამ ახლა მათი ავტორიტეტი სახელმწიფო დონეზე გადის. ვინც ამბობს, ქურდები არ ვართო, ისინი ქურდობენ, ვინც ქურდული წესებით ცხოვრობს, მათში მეტია კანონიერება. ამათ კი, ხელისუფლებაში რომ არიან, კანონი ჩვენთვის აქვთ, თავისთვის — არა. ერთი ამბავი გამახსენდა: ცნობილ კანონიერ ქურდს თავის სახლთან მანქანა გაუჩერებია და „სეკრეტით“ დაუკეტია. რას შვრები, ანზორ, არიფულად იქცევიო? სჯობს, არიფად დაიძინო და ქურდად გაიღვიძო, ვიდრე ქურდად დაიძინო, მანქანა მოგპარონ და არიფად გაიღვიძოო, — უპასუხია.

**— ბატონო გიზო, ბრძანეთ, თბილისიდან გარბიანო. მაგრამ არ გინახავთ, რამდენი ჩამოდის თბილისში პერიფერიებიდან?..**

— ოთარ მამფორიას 3-საათიანი საღამო მოვუწყვეთ. მეორე დღეს ლხინში თამადა უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ დაღლილი ვიყავი, არ შემეძლო და უარი ვთქვი. ამ დროს ცნობილი ქუთაისელი თამადა აწრიალდა, ეტყობა, თამადობა უნდოდა. ოთარმა უთხრა: რა იყო, ბიჭო, სოსოია, რას ცმუკავ, როგორ აკლიხარ ქუთაისს და რა ზედმეტი ხარ თბილისშიო... ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ზოოლოგია არ მისწავლია, მაგრამ მერე წავიკითხე, არსებობს ორნაირი მერცხალი: ქალაქის და სოფლის. სხვა მხრივ ერთნაირები არიან, ოღონდ სხვადასხვანაირად ჭიკჭიკებენო.

**— მოკლედ, დღევანდელ თბილისელს ბევრი რამ აწუხებს...**

— მე რაც მაწუხებს, სახელი ვერ დამირქმევია იმისათვის, ალბათ ეს ორი სტრიქონი იტევს ყველაფერს:

„რა ჰქვია ამას — მონატრება დედის
და შვილის,
თბილისში ვცხოვრობ და თბილისში
დავეძებ თბილისს.“

**ლელა ჯიყაშვილი**



# „მე და ირაკლიმ ბოლოს იმ „ორგანიზმისთვის“ ვიჩხუბეთ, ხალხი რომ დაჩეხა და ვალერი ასათიანს აბრალებდა...“

## პეტრე გელბახიანი გურამ აბსანძის გზას ირჩევს?

გასულ კვირას ციხიდან გაათავისუფლეს „ზვიადისტებს“ შორის ყველაზე ცნობილი სახეები, პეტრე გელბახიანი და ირაკლი დოკვაძე. შეიძლება ითქვას, ბოლო 10 წლის განმავლობაში, პოლიტიკური დაპირისპირებისა და ანგარიშსწორების ფონზე, მათ გადაიტანეს ყველაზე მძიმე და სტრესული წლები. „ყვარლის ტყის“ საქმეში და ჩიქოვანის ქუჩაზე ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტში დადანაშაულებულ აქტივისტ ზვიადისტებს 1995 წელს უზენაესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. „ყოველთვისაა მოსალოდნელი, გაიღოს კარი და დაგხვრიტონ“, — იხსენებს პეტრე გელბახიანი, რომელმაც სიკვდილმისჯილთა საკანში ორწელიწად-ნახევარი გაატარა. საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმება მისთვისაც და ირაკლი დოკვაძისთვისაც მეორედ დაბადების ტოლფასი იყო. პეტრე გელბახიანი დღესაც კატეგორიულად უარყოფს ხილიანის ქუჩაზე მომხდარ ტერაქტში მონაწილეობას, თუმცა ტერაქტის დროს დაღუპული უდანაშაულო 5 წლის ბავშვის მამა გოჩა ერაძე დღესაც ტერორისტებს უწოდებს დოკვაძე-გელბახიანს და დარწმუნებულია, რომ ეს ცოდვა მათ ბუმერანგივით დაუბრუნდებათ. მას შემდეგ 10 წელი გავიდა. სახელმწიფო მანქანის წყალობით დღეს ჩვენს საზოგადოებაში უამრავი გაუბედურებული ადამიანია, ვისაც ქვეყნის უბედურება პირად ტრაგედიად ექცა. ვესაუბრებით **პეტრე გელბახიანს**.

— **ბატონო პეტრე, ბოლო წლების განმავლობაში ადამიანის უფლებების დამცველებმა არაერთხელ შემოგთავაზეს თქვენც და ირაკლი დოკვაძესაც ე.წ. შეწყალების წესით გათავისუფლება, მაგრამ თქვენ უარს აცხადებდით და მაინცდამაინც სასამართლო დარბაზიდან გინდოდათ ციხის კედლების დატოვება, რატომ?**

— ეს იყო ჩვენი მხრიდან იგნორირების ფორმა, როდესაც არ ცნობ ხელისუფლების სამართლებრივ აქტებს. შეწყალება დანაშაულის აღიარებას გულისხმობს. მართლაც იყო ეს შემოთავაზებები, კეთილის მსურველთა რჩევები — რა უჭირს, გამოდი, რაც მთავარია და ფორმალურად დაწერე ეს შეწყალება... მაგრამ არა, უფრო სწორად და უფრო ვაჟკაცურადაც მიმაჩნდა ჩვენი პოზიცია: არ დავწერ! ვიჯდები ციხეში.

— **მაგრამ ბოლო პერიოდში სხვა ტრადიცია დამკვიდრდა. მაგალითად, ხაჩიშვილმა და პაპუკაშვილმა, როგორც რუსუდან ბერიძემ განაცხადა, არ დაწერეს შეწყალებაზე თხოვნა. ხაჩიშვილი, გელაშვილი და პაპუკაშვილი უპირობოდ გაათავისუფლა პრეზიდენტმა. თქვენც შემოგთავაზეს მათთან ერთად გათავისუფლება, მაგრამ მაინც უარი თქვით...**

— კი, ეს ფაქტია. მაგრამ ის ფორმა, რა ფორმითაც გამოვიდა ხაჩიშვილი და ის მადლობები პრეზიდენტის მისამართით, ბოდიშის ტოლფასად მიმაჩნია. უფრო მეტსაც ნიშნავს.. რა გამოდის — მადლობას უხდი ადამიანს, რომელმაც გაწვალა. წარმოიდგინეთ, ერეტიკოსს მორწმუნემ მადლობა რომ გადაუხადოს. ხელისუფლებას იმიტომ უნდოდა ჩვენი გამოშვება, რომ ჩვენი მადლობით რადიკალური ფონი გაემკრთალებინა.

— **თუ ზვიადისტებს გადავხედავთ, იმდენად დაქსაქსულები არიან, შეიძლება გამსახურდიას მომხრე კაცი დაიბნეს კიდეც — საით წავიდეს. რას აპირებთ — ცალკე დადგებით, თუ...**

— სამწუხაროდ, ზვიადისტები დღეს მართლაც დაქსაქსულნი არიან. რაც შეეხება ხელისუფლებას, გნებავთ, დააკვირდით: ხალხი მიეჩვია ხელისუფლების გარეშე ცხოვრებას. არავის არაფრად მიაჩნია ხელისუფლება. ჩართავთ ტელევიზორს, არსებობს ხელისუფლება, როგორც კი გამორთავთ, იქ მთავრდება — უკვე აღარ არსებობს ის. რაც შეეხება პოლიტიკას, სამწუხაროდ, ვერც პოლიტიკას ვხედავ. აქ არის დაპირისპირებები. ვინ ვის უპირისპირდება? ხომ უამრავი პარტიაა, ოფიციალურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინამდვილეში ორი პარტიაა: 1) საქართველოს ინტერესებისთვის; 2) ინტერესების საწინააღმდეგოდ. აი, ამ დაპირისპირებაში, რა თქმა უნდა, მივიღებ მონაწილეობას, ჩავერთვები.

— **და სად მოიაზრებთ თქვენს თავს?**

— რა თქმა უნდა, იმ ძალებთან, რომლებსაც 1992 წლის მოვლენები კატასტროფად მიაჩნიათ. თქვენ თქვით, რომ ეს ძალები დაქსაქსულია და სამწუხაროდ, თეორიულადაც კი არ არსებობდა შანსი, რომ ეს ძალა ყოფილიყო ერთიანი და ქმედითუნარიანი, რადგან ის აღმოჩნდა ტერორის მსხვერპლი და დაიშალა. მიუხედავად ამისა, იმდენად მომგებიანია ეროვნულ მოძრაობაზე შექმნილი პოლიტიკური ძალის იდეა, რომ ქმედითუნარიანობისა და კონსოლიდაციის აღდგენა ერთ თვეშიც კი შესაძლებელია. პრინციპში დღეს ორი ძირითადი ფრთაა: ქალბატონი მანანა არჩვაძის და ბატონ გურამ აბსანძის. იცით, ქალბატონ მანანასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, მქონდა და მექნება, მაგრამ ალბათ, უფრო გურამ აბსანძესთან ვითანამშრომლებ.

— **როგორ უყურებთ ზვიად ძიძიგურს, ასევე „XXI საუკუნეს“?**

— იცით, იჩქარა ზვიადმა. ძალიან იჩქარა. სხვათა შორის, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა, ციხეში მომინახულა და ვთხოვე, ნუ იჩქარებ-მეთქი, მაგრამ მაინც აჩქარდა. ის, ვინც თავის პარტიაში აწევრებს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს და ამით საკუთარ რეიტინგს ამაღლებს, ვფიქრობ, რომ ცდება.

— **თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ იმავე გურამ აბსანძის ძალა სხვა პარტიების ფონზე ერთობ სუსტია და არც ისაა გამორიცხული, რომ არჩევნების პერიოდში იგი „აღორძინებასთან“ ან სხვა ძლიერ პარტიასთან ალიანსში აღმოჩნდეს.**

— თუ ეს ასე მოხდება, მე იქ არ ვიქნები, რადგან ეს იგივეა, განვაცხადო, რომ დეპუტატობა მინდა.

— **პრინციპში, რატომ არ უნდა გინდოდეთ?**

— ამ პარლამენტის და არც შემდგომი პარლამენტის დეპუტატობა არ მინდა, რადგან შემდეგი ამ პარლამენტის მემკვიდრე იქნება. მთავარი რა არის, იცით? ამ ხელისუფლებაზე მოვახდინოთ ზეწოლა, რათა დღევანდელი დაპირისპირება შეცვალონ პოლიტიკური პროცესებით. თუ საქართველოში დაიწყება პოლიტიკური პროცესები, მაშინ პარლამენტში ყოფნასაც ექნება აზრი.

— **რა მოხდა ჩიქოვანის ქუჩაზე?**

— არ მინდა თავის მართლება გამომივიდეს, მაგრამ საერთოდ არ მიმიღია ამ ტერაქტში მონაწილეობა. ეს საშინელი ტრაგედია იყო... სადაც აფეთქება მოხდა, იქ ჩემი მეუღლის ოჯახის ბინა იყო. იმ სახლთან იმ დღეებში მომპარეს მანქანა და ვეძებდი. ბუნებრივია, იქ ვტრიალებდი... და ერთ დილას აფეთქდა „ზაპოროჟეცი“. შემდეგ გამოვიდა ისე, რომ თითქოს ის „ზაპოროჟეცი“ მე მქონდა ახალი ნაყიდი. ამ დროს როგორი აბსურდი იყო, იცით?! ამისი დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობდა.

— **გარკვეულ წრეებში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ პრეზიდენტი თქვენს ოჯახზე გადაკიდებულია, რომ ჯერ თქვენი ბაბუა დააპატიმრა, შემდეგ მამათქვენი და თქვენ... იქნებ მოგვიყვეთ, რამ გამოიწვია ეს დაპირისპირება?**

— კი. ბაბუასთან დაპირისპირება მართლაც ჰქონდა. თურმე ბაბუას მისთვის უთქვამს, პრიმიტივი ხარო. მაშინ ედუარდ შევარდნაძე იყო შს მინისტრი, დიდი პეტრე — სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი. ისე, აქვე გეტყვით, რომ ჩემი ციხეში ყოფნა ამ დაპირისპირების მასშტაბებს სცილდება, თუმცა გარკვეული როლი მაინც ითამაშა. თუნდაც მის კაპრიზებში, იგივე მის დამოკიდებულებაში ჩვენი საქმის მიმართ, რომელიც ტენდენციური იყო. წარმოიდგინეთ, 1992 წელს დაპატიმრებული ხალხი ჯერ კიდევ როდის გაათავისუფლა და ჩვენ შემონახული ვყავდით, ასე ვთქვათ, „დესერტისთვის“.

— **რა მოხდა დიდ პეტრე გელბახიანსა და შევარდნაძეს შორის ისეთი, რომ მან შს მინისტრს პრიმიტივი უწოდა?**

— კონკრეტულ შემთხვევას მოგიყვებით. ეს მართლა პირველწყაროდან ანუ ბაბუაჩემისგან ვიცი: თურმე არსებობდა რაღაც პროგრამა, რომელიც ებრძოდა ნარკომანებს. ამასთან დაკავშირებით ბაბუაც აკეთებდა მოხსენებას და შევარდნაძეც, რომელსაც ნარკომანების დაჭერა ევალებოდა. საუბრობდა თურმე იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მორფინი ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ. ამას სამედიცინო ენაზე ფარმაკოდინამიკა ჰქვია. ბაბუას უთქვამს: ედუარდ, აქ აკადემიკოსები ვსხედვართ და ფარმაკოდინამიკა არ გვაინტერესებს, შენ თქვი, როგორ უნდა დაიჭიროოო. ის თურმე ისევ ფარმაკოდინამიკაზე საუბრობდა. ერთი ოთხჯერ-ხუთჯერ რომ შეაჩერა, მერე უთქვამს: პრიმიტივი ხარ, ვერ გაგაგებინეო... იცით, დღევანდელ საქართველოს რომ ვუყურებ, მართლა ვეთანხმები ბაბუას.

— **მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენსა და ირაკლი დოკვაძეს შორის დაპირისპირებაა...**

— წარმოუდგენელია, რომ ორი კაცი 10 წლის განმავლობაში ჩაკეტილ სისტემაში ერთად ისხდეს და არ წაკამათდნენ. მაგალითად, ნარდის თამაშის დროსაც კი გვიკამათია და გვიჩხუბია კიდეც. ბოლოს სერიოზულად ვიკამათეთ ერთ, პიროვნებასაც ვერ დავარქმევ, მართლა ვიღაცა „ორგანიზმია“ ეს ირაკლი კერესელიძე, ხალხი რომ დაჩეხა და ვალერი ასათიანს რომ აბრალებდა. ჰოდა, ირაკლი ურთიერთობდა მასთან, არ ვიცი, შეეცოდა თუ რა; ვეჩხუბებოდი — მოიცილე ეს კაცი-მეთქი. არაფრით არ დათმო. ჩემგან განსხვავებით, ამ კაცში ხედავდა დაჩაგრულს. ეს იყო ჩვენი მასშტაბური დაპირისპირება. ეს რომ სერიოზული დაპირისპირება ყოფილიყო, პრესკონფერენციასაც არ გავმართავდით ერთად.

— **და ბოლო შეკითხვა: თუ თქვენ არა, მაშინ ვინ ჩაიდინა ტერაქტი ხილიანის ქუჩაზე?**

— იცით, არის რამდენიმე ვერსია, მაგრამ ყველაფერს ვერ გეტყვით, რადგან ამ ვერსიებსაც წაშლიან. ერთხელ თენგიზ კიტოვანმა თქვა: 1992 წლის ზაფხულის დასაწყისში იმდროინდელმა ხელისუფლებამ, არ ვიცი შევარდნაძემ სიგუას თუ სიგუამ შევარდნაძეს მისწერა: არსებობს ინფორმაცია, რომ ვიღაც პიროვნებას აქვს ასაფეთქებელი ნივთიერება, უნდა მოაწყონ დივერსიული და ტერორისტული აქტი ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ. თვალყური ადევნეთ და ხელი არ შეუშალოთ. რა თქმა უნდა, სუპერსაიდუმლო ჯგუფი, ვინც ეს ტერაქტი მოაწყო, არ დაუპატიმრებიათ.

— **აპირებთ რეაბილიტაციას?**

— გამორიცხულია. ამათ მე არაფერს ვთხოვ.

*მარინა მამისაშვილი*

# ჩემი მეუღლის „საროჩკაში“ გაუხვევია ბავშვი და ვედროში ჩაუჩურთავს



ნაგავსაყრელზე გადაგდებული გიორგის დედა ლელა კურდღელია

სკანდალი ნაგავსაყრელზე ნაპოვნი ბავშვის ირგვლივ გრძელდება. ღორებს სასწაულად გადარჩენილი გიორგი კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება და უმძიმეს მდგომარეობაშია. ექიმებმა მას მეოთხე და მეხუთე მოჭმული თითის ამპუტაცია უკვე გაუკეთეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ჩვილ ბავშვთა სახლში მოათავსებენ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დედის ვინაობა უკვე დადგენილია. ის სოხუმიდან ლტოლვილი 28 წლის ლელა კურდღელიაა, რომელსაც ჰყავს მეუღლე და ორი შვილი — შვიდი წლის ირაკლი და 1 წლის ქრისტინე. ამჟამად პოლიცია ეძებს გალიდან დევნილ ნინო ბასარიას, რომელმაც სახლში ამშობიარა ლელა კურდღელია და შემდეგ ბავშვი იქვე, წყნეთის ნაგავსაყრელზე დააგდო. გასულ კვირას სასამართლომ დაპატიმრებულ ლელა კურდღელიას არასრულწლოვანისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. თუმცა ადვოკატმა განაჩენი აფხაზეთის სასამართლოში გაასაჩივრა და ლელა კურდღელია შინაპატიმრობით გაათავისუფლეს. პატიმრობისგან ქალი ისევ მისმა 1 წლის შვილმა იხსნა, რადგან უკანონოდ ითვლება იმ დედის პატიმრობა, რომელსაც 1 წლამდე ასაკის შვილი ჰყავს. გამოძიება გრძელდება.

სხვაგვარად საუბრობენ ლელა კურდღელიას ოჯახის წევრები და მას დამნაშავედ არ მიიჩნევენ. საგულისხმოა, რომ წაყენებული მუხლით ლელა კურდღელიას სამუდამო პატიმრობა ელის. თუმცა, რაც არ უნდა მიუსაჯოს მას და ნინო ბასარიას სასამართლომ, მომხდარს არავითარი მორალური გამართლება არა აქვს. ვესაუბრებით ვაკე-საბურთალოს რაიონის გამომძიებელს **კორნელი პატარქალაშვილს**.

— **ბატონო კორნელი, როგორ იპოვეს ბავშვი?**

— 25 აგვისტოს, დღის სამ საათზე, წყნეთისა და ახალდაბის გადასახვევთან არსებულ ნაგავსაყრელთან, ადგილობრივ მკვიდრს, ნინო ლაშხს, რომელიც თავის თხებს მწყემსავდა, ბავშვის ტირილი შემოესმა. იქვე იყო მეორე პიროვნებაც, ვინმე პლატონი, რომელიც ძროხას ეძებდა. ნინო ნაგავსაყრელს მიუახლოვდა და დაინახა, რომ ჩვილს ღორები მისეოდნენ. დაუყოვნებლივ შეატყობინეს პოლიციას და ბავშვი წაიყვანეს წმინდა ნინოსა და იოაკიმეს სახელობის საპატრიარქოს სამშობიაროში. ბავშვს მეოთხე და მეხუთე თითი ნახევრად მოჭმული ჰქონდა და მესამეზეც აღენიშნებოდა კბილების კვალი. სხვა დაზიანებები ეკალბარდებით იყო გამოწვეული... მართალია, ბავშვი მძიმედ არის და დილმის მეორე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში წევს, მაგრამ როგორც ექიმები ამბობენ, იგი აბსოლუტურად ჯანმრთელია.

— **როგორ დაადგინეთ, რომ ეს ბავშვი ნამდვილად ლელა კურდღელიას შვილია?**

— გატარდა ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები. გადამოწმდა ყველა სამშობიარო სახლი.

— **რამდენადაც ვიცი, კურდღელია აცხადებს, რომ ბავშვი მკვდარი ეგონა, მას თითქოს უთხრეს, რომ ჩვილი მკვდარი დაიბადა.**

— ის შეგნებულად არიდებს მოსალოდნელ პასუხისმგებლობას თავს.

— **თუ ჩატარდა ექსპერტიზა, რომელიც დაადგენდა, რომ ბავშვი ნამდვილად მისი შვილია?**

— საკითხი გამოძიების პროცესშია, თუმცა დედა აღიარებს ჩვენებაში, რომ ნამდვილად გააჩინა ბავშვი და თავისი დაქალის, ნინო ბასარიას დახმარებით გადააგდო, რადგან შემდგომში მისი გაზრდა არ უნდოდა. ამათი საცხოვრებელი ბინიდან ნაგავსაყრელი დაახლოებით 50 მეტრშია.

— **საერთოდ რას ამბობს, რამ მიიყვანა ამ ზომამდე?**

— მისი ოჯახის წევრები იმასაც ამბობენ, არ ვიცოდით, ფეხმძიმედ რომ იყოო. კურდღელია სისხლდენით 25 აგვისტოს მოათავსეს ჩაჩავას სახელობის კლინიკაში, 28-ში, გონს რომ მოეგო, მარიამობას, საღამოს დაკრა ფეხი და საავადმყოფოდან გაიპარა. ოჯახის ახლობლები ამბობენ, მხოლოდ ამის შემდეგ გავიგეთ, მკვდარი ბავშვი რომ დაბადაო.

— **თქვენთვის რამდენად სარწმუნოა ეს განცხადება?**

— ყველაფერი შეგნებულადაა შეთხზული, რომ ლელა კურდღელიას პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.

— **რა მტკიცებულებას ეყრდნობით, როცა არ გჯერათ ოჯახის წევრების ნათქვამი? ხომ შეიძლება კურდღელიას მართლაც უთხრეს, რომ ბავშვი მკვდარი დაიბადა?**

— ამ ეტაპზე, სანამ თავად ნინო ბასარიას არ დავაკავებთ, რამის გადაჭრით თქმა ძალიან ძნელია. ესენი ნინო ბასარიას აბრალებენ, მაგრამ მთავარია, თავად ის რას იტყვის.

— **რა ინტერესი უნდა ჰქონოდა ნინო ბასარიას, რომ მას დედასთან შეუთანხმებლად ბავშვი გადაეგდო?**

— აბსოლუტურად არავითარი, ასე არ მოიქცეოდა, თუ არ შეუთანხმდებოდა კურდღელიას.

— **ბასარიას ოჯახში რა თქვეს?**

— გაოგნებულები არიან და არ სჯერათ, რომ ნინო დანაშაულის თანამონაწილეა.

— **ალბათ ბავშვის მამასაც ესაუბრეთ.**

— გამომიცხადა, ადვოკატთან ერთად მოვალო და დღესაც ველოდები.

— **გაცილებული ხომ არ არის?**

— არა.

— **ფსიქიკური ექსპერტიზა დანიშნეთ?**

— დავნიშნავთ ამ დღეებში.

— **საქმე საკმაოდ მძიმე ბრალდებით არის აღძრული — განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში არასრულწლოვანისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ. მოსალოდნელია თუ არა მუხლის შეცვლა, თუკი დამტკიცდება, რომ დედამ მართლაც არაფერი იცოდა.**

— ძალიან ძნელი იქნება ამის დამტკიცება.

— **ბავშვის დედამ რა გითხრათ?**

— თქვა, რომ თავიდანვე არ უნდოდა ბავშვის გაჩენა. რამდენჯერმე ჰქონია საშუალება, რომ აბორტი გაეკეთებინა, მაგრამ ფული შემომეხარჯა და ხელახლა ველარ ვთხოვე ფული მეუღლეს. გადავწყვიტე, გამეჩინა და აღარ გამეზარდაო. ცოცხალი იქნებოდა თუ მკვდარი, ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. კატეგორიულად ვერ ვიტყვი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მას რაღაც ფსიქიკური ნაკლი ჰქონდეს.

— **საუბრის დროს როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს?**

— ნორმალურს.

— **მშობიარობას კიდევ ვინ შეესწრო?**

— იმშობიარა დედის სახლში. გარდა ნინო ბასარიასი, სხვა არავინ შესწრებია. დედამისი, სახლის წინ სავაჭრო ჯიხური აქვს გახსნილი და იქ იყო. სახლში რომ ავედი, ტუალეტი სისხლში იყო მოსვრილი და ლელა უგონოდ იწვაო. სასწრაფო რომ გამოვიძახეთ, მერე გავიგე, რომ იმშობიარაო, — იმასაც კი არ აღიარებს, რომ ყველაფერი შვილმა უთხრა, ამბობს, ხალხისგან გავიგეო. როგორც ეჭვმიტანილი აცხადებს, წინასწარ იყო შეთანხმებული ბასარიასთან, რომ უნდა გაეკეთებინა მშობიარობის დამაჩქარებელი მედიკამენტი. მის შესაძენად 10 ლარი მიუცია ბასარიასთვის 23 აგვისტოს. 25-ში უკვე დილის თერთმეტის ნახევარზე მიუტანია ჯერჯერობით დაუდგენელი მედიკამენტი ბასარიას, რომლის თქმით, ამ მედიკამენტს უკეთებენ ძროხას, „უმტკივნეულო მშობიარობისთვის“. მედიცინის მუშაკებმაც კი ვერ მიპასუხეს, რა შეიძლებოდა ყოფილიყო... მითხრეს — ათასნაირი მედიკამენტი არსებობსო. ამპულა და შპრიცი არ არის ნაპოვნი. კურდღელია ამბობს, უნიტაზზე ვიმშობიარეო. დაკითხვის დროს აღიარა, რომ ნემსის გაკეთებამდე გრძნობდა ნაყოფის სიცოცხლეს. მშობიარობის შემდეგ გონი დავკარგე — არც ბავშვის ხმა გამიგიაო. ჩვენებაში არ ამბობს, რომ მაინცდამაინც უნდა გადაეგდო ბავშვი, მაგრამ განაცხადა, რომ არ აპირებდა მის გაზრდას და უნდა მოეშორებინა.

*(გაგრძელება იხ. გვ.11)*



ბაღში დამსვენებლებს აღარაფერი ესაქმებათ

# თბილისში ერთი გარემოვაჭრეც აღარ გაიჭაჭანებს

## რამდენი 50 ათასი დოლარი გაიცა გამწვანების ზოლის დასასაკუთრებლად?

**აეროპორტიდან თბილისისაკენ მიმავალ ამერიკელ ბიზნესმენთა კორტეჟმა საავტომობილო სამთავრობო ტრასაზე ის იყო მაღალი სიჩქარე განავითარა, რომ უეცრად ავტომობილების მკვეთრი დამუხრუჭების ხმა გაისმა. ამერიკელი ბიზნესმენები მოულოდნელი შეფერხებით ცოტა არ იყოს შეშფოთდნენ, მაგრამ როცა გაარკვიეს, დაბრკოლების მიზეზი ნახირი ყოფილა, დამშვიდდნენ. ერთმანეთს მხიარულად რაღაც ინგლისურად გადაულაპარაკეს, საიდანაც მძღოლმა ერთადერთი სიტყვა გაარჩია – „ბუდიზმი“. თურმე უადგილო ადგილას ძროხების დანახვაზე ამერიკელებს ასეთი დასკვნა გაუკეთებიათ, საქართველოში ოფიციალური რელიგია ბუდიზმი ყოფილა (რომლის მიმდევრებიც ძროხას წმინდა ცხოველად მიიჩნევენ) და ნახირის სეირნობა თუნდაც სამთავრობო გზაზე, რა გასაკვირი იყო. ამ ინციდენტის შემდეგ მასპინძლებს რამდენიმე საათი დასჭირდათ, რომ დაემტკიცებინათ – ქართველები მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ხოლო ტრასაზე ნახირის გამოჩენა სრული შემთხვევითობააო.**

საქართველოში დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმარს ჩვენს დედაქალაქზე პირველი შთაბეჭდილება აეროპორტითა და თბილისისკენ მიმავალი ჩქაროსნული საავტომობილო ტრასით ექმნება, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ წვრილმანს — იქნება ეს გარეგანათება, სარეკლამო ფირნიშები, სისუფთავე თუ გამწვანება. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩამოთვლილთაგან ვერც ერთით ვერ დავიკვეხნით. აეროპორტიდან თბილისისაკენ მიმავალი ტრასა ქართველ მასპინძლებს ბევრ უხერხულობას უქმნის და უპირველესი მათ შორის ძროხები და მათი ნაკელია. გარდა იმისა, რომ ნახირი



აეროპორტის სამთავრობო გზატკეცილზე უცხო ქვეყნის დელეგაციებს ძროხები მოწიწებით ესალმებიან

ტრასაზე ავტომობილების მოძრაობას აფერხებს და ავარიულ სიტუაციას ქმნის, თორმეტკილომეტრიანი ტრასის გასწვრივ ოთხ ზოლად ჩამწკრივებულ მწვანე ნარგავებსაც ანადგურებს. ძროხებს სხვა შინაური ცხოველებიც ემატებიან — ღორები და თხები. ერთი სიტყვით, სამთავრობო ტრასას კი არა, აეროპორტიდან თბილისამდე გადაჭიმული გზატკეცილი საძოვარს უფრო მოგვაგონებს. რატომ არის საქართველოს დედაქალაქის ეს მნიშვნელოვანი მონაკვეთი ასე გაპარტახებული და ვინ არის მის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი? როგორც დავადგინეთ, აეროპორტის საავტომობილო ტრასის მოვლა-პატრონობა ისანი-სამგორის რაიონის გამწვანების სამსახურის მოვალეობა ყოფილა. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე კომენტარები ვთხოვეთ კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს **დავით სინჯიაშვილსა** და გამწვანების სამსახურის უფროსს **თემურ მოსაშვილს**.

**დავით სინჯიაშვილი**: — ჩვენს სამსახურს სამთავრობო აეროპორტის ტრასა ორიოდ წელია, რაც მოსავლელად გადმოეცა. უნდა გენახათ, თავდაპირველად რა მდგომარეობაში იყო. ახლა რა უჭირს, ასე თუ ისე, მოვაწესრიგეთ. გეთანხმებით, იდეალურ წესრიგამდე ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ იმ დაფინანსებით, რაც აეროპორტის საავტომობილო ტრასისთვის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, მერწმუნეთ, მეტის გაკეთება შეუძლებელია.

**— თუ ასე უვლით აეროპორტის გზატკეცილს, მაშინ სად გაქრა ის ვარდის ბუჩქები, რომლებიც ორმხრივი მოძრაობის გამყოფ მწვანე ზოლს ამშვენებდა? მხოლოდ რამდენიმე ბუჩქლაა აქა-იქ შემორჩენილი** — ვკითხეთ **თემურ მოსაშვილს.**

— მართალი ბრძანდებით. რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, გზატკეცილის გასწვრივ მართლაც ხარობდა ვარდები, მაგრამ როცა ტრასა ჩვენ გადმოგვეცა, იქ უკვე სარწყავი მილები თითქმის აღარ იყო, — ყველა მიწაში ჩაიჟანგა და გაფუჭდა. უწყლოდ ვარდმა ვერ გაიხარა და გადახმა. ალბათ, რამდენიმე ათეული ვარდის ბუჩქი დარჩა. ისინი კომპაქტურად ერთ ადგილზე დავრგეთ და ყოველდღიურად ვრწყავთ. ალბათ იმასაც მკითხავთ, ახალ ბუჩქებს რატომ არ რგავთო? საქმე ის არის, რომ ვარდის ერთი ბუჩქი სულ ცოტა ხუთი ლარი მაინც ღირს, გზატკეცილს კი რამდენიმე ათეული ათასი ბუჩქი სჭირდება, ამას დაუმატეთ სარწყავი სისტემის აღდგენის ხარჯები. ჯერჯერობით ამის საშუალება ნამდვილად არ გვაქვს... მაგრამ იცით რა, კაბინეტში საუბარს, სჯობს მანქანაში ჩავსხდეთ და გზატკეცილი დავათვალიეროთ.

ამ წინადადებას, რა თქმა უნდა, დავთანხმდით და აეროპორტის გზატკეცილის დასათვალიერებლად გავემართეთ. ის იყო მეტრო „სამგორის“ ზედა სადგურს გავცდით, რომ მწვანე, უსახელო ქურთუკებიანი გამწვანების სამსახურის მუშები შევნიშნეთ, რომლებიც სპეციალური მანქანით გაზონს კრეჭდნენ (მერეც, თითქმის ყოველი კილომეტრის შემდეგ გაზონებთან მწვანე სპეცტანსაცმლიანი ხალხი ტრიალებდა). თავმომწონედ გადმომხედა მოსაშვილმა. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ გამწვანების სამსახურის უფროსმა მანქანის სვლა შეანელა.

— აი ახლა ორხევის დასახლების ნახირი უნდა გამოჩნდეს. ვერაფერს ვუხერხებთ მენახირეებს. მეტრო „სამგორიდან“ თითქმის აეროპორტამდე, მარცხნივ თუ მარჯვნივ, გზატკეცილის გამწვანების ზოლზე, მთელი ტრასის სიგრძეზე აბალახებენ საქონელს. ორხევის დასახლების ნახირს შემდეგ ლილოს, დამპალოს და რა ვიცი კიდევ რომელი სოფლების ნახირი აღარ ემატება. ამათ რა გადაურჩება?! ძროხები პირდაპირ ნადირობენ დეკორატიულ მცენარეებზე. მენახირეების დაჯარიმების ან სხვა სადამსჯელო სანქციის გატარების უფლება არ გვაქვს. ეს ეკოპოლიციის პრეროგატივაა. ყოველივე ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებს წერილობით ვაცნობეთ, მათ შორის ეკოპოლიციის ხელმძღვანელობასაც, მაგრამ შედეგი არ ჩანს, — გვითხრა მოსაშვილმა.

> აეროპორტიდან თბილისისაკენ მიმავალი ტრასა ქართველ მასპინძლებს ბევრ უხერხულობას უქმნის და უპირველესი მათ შორის ძროხები და მათი ნაკელია. გარდა იმისა, რომ ნახირი ტრასაზე ავტომობილების მოძრაობას აფერხებს და ავარიულ სიტუაციას ქმნის, თორმეტკილომეტრიანი ტრასის გასწვრივ ოთხ ზოლად ჩამწკრივებულ მწვანე ნარგავებსაც ანადგურებენ. ძროხებს სხვა შინაური ცხოველებიც ემატებიან – ღორები და თხები. ერთი სიტყვით, სამთავრობო ტრასას კი არა, აეროპორტიდან თბილისამდე გადაჭიმული გზატკეცილი საძოვარს უფრო მოგვაგონებს.

მართლაც, ორიოდ მეტრის გავლის შემდეგ ნახირი გამოჩნდა — ტაატით მიუყვებოდა გზატკეცილის გამწვანებულ ზოლს და მადიანად ბალახობდა. მანქანიდან გადმოვედი და მენახირეებს გავესაუბრე.

**— დიდი ხანია, რაც აქ აბალახებთ ძროხებს?**

— ყველა სოფლის ნახირი აქ ბალახობს და რაღა ჩვენ მოგვადექით, რაც საჭიროა, სოფელს გადახდილი აქვს და რას გვერჩი, რომ დამდგარხარ და სურათებს გვიღებ.

**— რა გაქვთ და ვისთან გადახდილი?**

— ვისთან და პოლიციას ვუხდით. ყოველ დილას ან საღამოს ჩამოივლის და ვაძლევთ. ერთ ძროხაზე „სტავკა“ ლარია, დეკეულზე — ორმოცდაათი თეთრი. რა იყო, შე კაი კაცო, ბალახია, ტყუილად უნდა გახმეს. აგერ ძროხები მოძოვენ, მოიწველებიან, დედაკაცები იქიდან ან ყველს ამოიყვანენ, ან მაწონს შეადედებენ და ამას ყველაფერს ისევე თქვენ, თბილისელებს მოგყიდით. ცუდი რითია?!

**— კი, მაგრამ ძროხები რომ სავალ ნაწილზე გადადიან, ავარიულ სიტუაციას ქმნიან, თან მწვანე ნარგავებსაც ანადგურებენ და აქაურობას ნაკელით აბინძურებენ...**

— ჯოო, ნაკელით მიწის დაბინძურება შაიძლება? როგორ გეტყობა, ქალაქელი რო ხარ, — კახურად მოუქცია მეორე მენახირემ, — ძროხის ნაკელი ბალახს უხდება, მეორე წელს უკეთესი ბალახი ამოვა. ნერგს თუ ენა შეავლო და ფოთოლი მოწყვიტა, ესეც დიდი ამბავი არ არი. მე შენ გეტყვი და ისეთი ნარგავებია, რომ სულ მსხალი და ალუჩაა. არაფერიც არ უჭირს... ეს ორი კაცი რომ გახლავს თანა, მაგათი არ მეშინია. ვითომ მაგათი დარგულია ეს ბალახი? — თვითონ ამოვიდა...

> წერეთლის პროსპექტზე გაშენებული ვეებერთელა ბაღი, სადაც აკაკი წერეთლის ძეგლიც დგას, დღეს უკვე ბაზრობადაა გადაქცეული. ბაღში უკვე სტაციონარული სავაჭრო დახლები დგას და მოსეირნეებს იქ აღარაფერი ესაქმებათ. ყველგან დახლებია და მიდის გახურებული ვაჭრობა. მოვაჭრეები იქვე იმზადებენ საჭმელს და ნარჩენებს ხეების ძირში ყრიან, რომლებსაც დროგამოშვებით მდუღარე წყალს უსხამენ ძირში.

გზა გავაგრძელეთ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით აეროპორტს, მით მეტი ნახირი გვხვდებოდა. როგორც გაირკვა, აეროპორტის ტრასის ახლოს მდებარე სოფლებს და დასახლებებს საძოვრები სხვაგანაც აქვთ, მაგრამ რატომღაც ყველა მენახირე ნახირს გზატკეცილისკენ ერეკება.

ისანი-სამგორის რაიონის გამწვანების სამსახურის უფროსმა თავისი მეურნეობაც დამათვალიერებინა და ის ხუთი სკვერიც მაჩვენა, რომელიც წელს გააშენა და დანანებით თქვა, — ამათ დიდი დღე არ უწერიათ — ავტოგასამართი სადგურების, დიაგნოსტიკური ცენტრების, ავტოპროფილაქტიკების და ბაზრობების ხელმძღვანელებს სწორედ ასეთი ტერიტორიები მოსწონთო.

ძნელია არ დაეთანხმო ისანი-სამგორის რაიონის გამწვანების სამსახურის უფროსს. არსებობს საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილება და თბილისის მერიის დადგენილება „მწვანე ზოლებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებში რაიმე მშენებლობის, თუნდაც დროებითის, აკრძალვის შესახებ“. მიუხედავად ამისა, თბილისში, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, ამ გადაწყვეტილებას და დადგენილებას არავინ არაფრად აგდებს. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ქალაქის ცენტრში, კერძოდ კი წერეთლის პროსპექტზე გაშენებული ვეებერთელა ბაღი, სადაც აკაკი წერეთლის ძეგლიც დგას, დღეს უკვე ბაზრობადაა გადაქცეული. ბაღში უკვე სტაციონარული სავაჭრო დახლები დგას და მოსეირნეებს იქ აღარაფერი ესაქმებათ. ყველგან დახლებია და მიდის გახურებული ვაჭრობა. მოვაჭრეები იქვე იმზადებენ საჭმელს და ნარჩენებს ხეების ძირში ყრიან, რომლებსაც დროგამოშვებით მდუღარე წყალს უსხამენ ძირში. ერთ-ერთმა მოვაჭრემ დაუფარავად მითხრა, ახალი ბაზრის ხელმძღვანელობამ ზოგიერთს ხეების ძირში მდუღარე წყლის დასხმა დაავალა, რათა ხეები გახმეს. ბაღი, ანუ უკვე ბაზარი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს და ჩვენც რაიონის გამწვანების სამსახურის უფროსს **რომან ჯიქიას** ვეწვიეთ. მისი განცხადებით: — მე არავინ არაფერს მკითხავს. როგორც აგრონომი და დარგის სპეციალისტი ბაღში ბაზრობის გამართვის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ჩემი აზრი ბევრს არაფერს ნიშნავს. თბილისის მერიამ ქალაქის გამწვანების ზოლის, ბაღების, სკვერების და, თქვენ წარმოიდგინეთ, მდელოების დაცვის მიზნით საკმაოდ მკაცრი დადგენილება გამოიტანა რამდენიმე წლის წინ. როდესაც დადგენილება ერთ მაღალჩინოსანს შევახსენე, ასეთი პასუხით გამომისტუმრა: — ამხელა კაცი ვერ უნდა მიხვდე, რომ დადგენილებები რაიმეს აკრძალვის შესახებ ფულის გასაკეთებლად არის მოგონილი. ვინც გადაიხდის, მას ვერც დადგენილება და ვერც კანონი ხელს ვერ შეუშლისო.

**— ვინ გასცა ბაღში ბაზრობის გამართვის ნებართვა?**

— გამგეობაში მიბრძანდით და ამომწურავ პასუხს გაგცემთ გამგებლის მოადგილე ჯონი გურგენაშვილი, რომელიც რაიონის გამწვანებას კურირებს.

ჩვენც ასე მოვიქეცით, ბატონ **ჯონი გურგენაშვილს** ვეწვიეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**— ბატონო ჯონი, თქვენი სახლის წინ, ბაღში, ვინმემ ბაზრობა რომ მოაწყოს, რას იზამთ?**

— ვიცი, რატომ მეკითხებით ამას. გუშინ ჯიქიამ დამირეკა და თქვენი მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ შემატყობინა. საქმე ის არის, რომ ბაღის ტერიტორია ხელშეკრულებით დროებითი სარგებლობის მიზნით გადავეცით შპს „ჩანგს“, რომელმაც ივალდებულა ბაღის მოვლა-პატრონობა და მისი კეთილმოწყობა. გაისად „ჩანგს“ ხელშეკრულების ვადა გასდის და ბაზრობაც გაუქმდება.

**— თქვენ თუ გჯერათ, ახლა რასაც მეუბნებით. ბაღიდან ვინღა გამოიყვანს მოვაჭრეებს?**

— აუცილებლად გამოვყრით. თუ ნებით არ გამოვლენ, ძალით გამოვიყვანთ. სადგურის და დეზერტირის ბაზრის მთელი ტერიტორიის მოწესრიგებას ვაპირებთ — და საერთოდ თბილისში ერთი გარემოვაჭრეც აღარ იჭაჭანებს.

**— „ჩანგმა“ თავის მხრივ ხელშეკრულების პირობა დაარღვია და ბაღის მოვლა-პატრონობის ნაცვლად, იქ ბაზარი მოაწყო. რატომ არ გააუქმეთ ხელშეკრულება?**

— ამას სასამართლო პროცესები სჭირდებოდა, ეს რამდენიმე თვე გაჭიანურდებოდა და ამიტომ თავი შევიკავეთ. სხვათა შორის, ხელშეკრულება „ჩანგთან“ რაიონის გამგეობის ახლანდელ ხელმძღვანელობას არ დაუდია. იგი გაცილებით ადრე გაფორმდა, ძველი ხელმძღვანელობის დროს.

**— თუ შეიძლება, მაჩვენეთ ხელშეკრულება.**

— არ ვიცი სად დევს. მოვძებნი და გაგაცნობთ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გურგენაშვილს ხელშეკრულება არ უჩვენებია. სამაგიეროდ, მისგან მოგზავნილმა კაცმა პირში წყლის ჩაგუბება მირჩია და ბრძანა, თუ ამ საკითხზე არაფერს დავწერდი, „გაწეული სამსახური“ სათანადოდ დამიფასდებოდა...

ჩვენ გავარკვიეთ, ვის ეკუთვნის შპს „ჩანგი“ და რა ჯდება ბაღის ბაზრად გადაკეთება. „ჩანგი“ ვინმე შენგელიას კუთვნილება ყოფილა, ხოლო კომპეტენტურმა წყარომ ბაღის ბაზრად გადაკეთების საფასურის რაოდენობა გაგვიმხილა, — ის თურმე 50 ათასი დოლარი ღირებულა. ვინ იცის, მარტო თბილისში რამდენი 50 ათასი გაიცა გამწვანების ზოლების დასასაკუთრებლად.

დასასრულ, ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ თბილისის გამწვანების დარგში ჩახედული პიროვნებისგან. ბიუჯეტიდან მწირი დაფინანსების მიუხედავად, ზოგიერთი რაიონის გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელობა თავს ძალიან მშვენივრად გრძნობს. იმის ნაცვლად, ოდნავ მაინც გაალამაზონ დედაქალაქი, ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით კერძო პირების, ე.წ. „ახალი ქართველების“ სასახლეების ეზოებს და ოფისების ინტერიერებს რთავენ ძვირად ღირებული დეკორატიული და ეგზოტიკური მცენარეებით. ერთი ეზოს გამწვანება დაახლოებით 15-20 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს. ამავე წყაროს ცნობით, საირმის გორაზე ბანანი და სხვა ეგზოტიკური მცენარეებიც გაუხარებიათ. ზოგიერთი სასახლის მფლობელი გამწვანების სამსახურის თანამშრომლებს უკვე ზრდასრული ხეების მოტანას ავალებს ტყიდან. თურმე ესეც არ ყოფილა პრობლემა — ტყიდან ხეებს ეზიდებიან და სასახლეების ეზოებში რგავენ.

P. S. „საქმეს, რომელსაც უშენოდაც გააკეთებენ, საქმე არ ჰქვია. საქმე ის არის, უშენოდ რომ არ გაკეთდება, რომელიც მხოლოდ შენთვისაა გაჩენილი და მხოლოდ შენი ხელიდან გამოვა. ასეთი საქმეები თითზე ჩამოსათვლელია. ერთი სახლის აშენება, მეორე — ბავშვების გაჩენა, მესამე — ხის დარგვა გახლავთ, მეოთხე — ციხეში ჯდომაა“, — ამბობდა ცხონებული ნოდარ დუმბაძე. როგორც ჩანს, ჩამოთვლილთაგან თბილისის გამწვანებას მეოთხე პუნქტი დარჩა შესასრულებელი.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# „გურიასა და მესხეთ-ჯავახეთში სპეცდანაყოფების შეყვანა იგეგმება...“

*გასულ კვირას ბათუმიდან შევარდნაძისა და ცენტრის ორივე სახელისუფლებო შტოს მეტად მკვახე კრიტიკა გაისმა. ასლან აბაშიძემ ჩვენს თავს დატეხილი უბედურებისა და სირცხვილის მიზეზი იპოვა — ედუარდ შევარდნაძე და ერთობ სკანდალური განცხადებაც გააკეთა — საქართველოს ტერიტორიები ისევ ქართველებმა დაბომბესო. აჭარის ლიდერის განცხადება წვეთი წყალივით ჰგავდა აგრესორი ქვეყნის ბრალდებებს, ამიტომაც კულუარებში საყვედურნარევად გაისმა, — მემედ აბაშიძის შთამომავალი ამჯერადაც რუსების სასარგებლოდ მჭევრმეტყველებსო... ამის შემდეგ ასლან აბაშიძემ „აღორძინების“ აქტივისტები — ჯემალ გოგიტიძე და გიორგი თარგამაძე იხმო და როგორც ამბობენ, გვარიანად შეახურა პარლამენტში გაკეთებული რამდენიმე „შეუთანხმებელი“ განცხადების გამო (აბაშიძეს განსაკუთრებით ძალოვნების გადაყენების მოთხოვნა არ მოსწონებია)... „კვირის პალიტრა“ ბათუმიდან ახალდაბრუნებულ* **ჯემალ გოგიტიძეს** *ესაუბრა.*

— **აჭარისა და ცენტრის კონსტრუქციულ ურთიერთობებს წყალი ხომ არ შეუდგა?**

— საქართველოში შექმნილი მდგომარეობა თუ ვინმეს მოსწონს, მან ილაპარაკოს კარგი ხელისუფლებაზე, მაგრამ რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ჩემთვის მიუღებელია. არ მინდა ვცხოვრობდე ქვეყანაში, სადაც დაცული არ ვიქნები. აქედან გამომდინარეობდა ჩემი განცხადებები, რომლებიც ზოგიერთს ზედმეტად მკვახედ ეჩვენა...

— **ძალოვნების გადაყენების მოთხოვნა, რომლებიც პანკისში ანტიტერორისტულ ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ, რუსეთის ინტერესებს ემთხვევა და, ფაქტობრივად, ამ ოპერაციის ჩაშლისკენ იყო მიმართული.**

— ბოდიშს მოვიხდი ჩემს ნათქვამზე, მზად ვარ ნებისმიერი სასჯელისთვის, თუ ვინმე დამარწმუნებს იმაში, რომ ჩვენი მინისტრები ისეთი სტრატეგები არიან, რომელთაც ქვეყნის გადარჩენა ან რომელიმე საბრძოლო ოპერაცია შეიძლება ვანდოთ. სამწუხაროდ, არც ერთი ჩვენი ძალოვანი მინისტრი არ არის ისეთი მხედართმთავარი, რომ ომის მოგება შეეძლოს და არც არაფერი ხდება დღეს პანკისის ხეობაში. „პანკისური ოპერაციები“ ვიღაცის თვალის ასახვევი ღონისძიებაა და მალე დარწმუნდებით ამაში. წინასწარ რომ ფახიფუხობენ, ანტიტერორისტულ ოპერაციას ვიწყებთო, რომელი ტერორისტი დახვდებათ იქ? მელას როცა ქათმის წაყვანა უნდა, მალულად ეპარება საქათმეს.

„აღორძინებას“ ძალოვნების გადაყენების საკითხი არ წამოუყენებია. ჩვენ ვითხოვდით პარლამენტის რეკომენდაციას, რათა მათ თავისი ნებით დაეტოვებინათ თანამდებობები; ვითხოვდით ხელისუფლების, უპირველესად კი, შევარდნაძის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას არსებული ვითარების გამო. ედუარდ შევარდნაძე რუსეთის დაშლას ცდილობდა, მაგრამ სინამდვილეში საქართველო შემოეფცქვნა ხელში ხახვივით. პირში წყლის ჩაგუბებას არ ვაპირებთ და არც შორიდან ვუყურებთ, კიდევ რომელ ტერიტორიას დაკარგავს შევარდნაძე. ნებისმიერ ომში ოფიცერს, გენერალს და მთავარსარდალს თავ-თავიანთი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. უპასუხისმგებლობის გამოვლენის შემთხვევაში, სამხედრო ტრიბუნალი იმართება და ყველა დამნაშავე შესაბამისად ისჯება — ზოგს „პაგონებს“ აგლეჯენ, ზოგს კი ხვრეტენ. აფხაზეთის ომში უმაღლესი მთავარსარდალი შევარდნაძე იყო, მაგრამ პასუხი არაფერზე უგია. ამიტომაც 1998 წელს ძველ ცოდვებს კიდევ ერთი მიუმატა და გალის ტრაგედია დაგვატეხა თავს. მაშინ დაახლოებით 15 მილიონი ფული ჩამოიწერა, ვითომ სამხედრო რაზმის მოსამზადებლად, რომელსაც აფხაზეთი უნდა დაებრუნებინა, მაგრამ აფხაზეთის დაბრუნების ნაცვლად, 40 ათასი ლტოლვილი მივიღეთ. ამ ოპერაციას ედუარდ შევარდნაძე და ავთო იოსელიანი ხელმძღვანელობდნენ...



— **სინამდვილეში, სად წავიდა ეს ფული?**

— კონკრეტულად ვერ დავასახელებ, ვინ აიღო ეს თანხა, მაგრამ ძალოვნებს რომ მოხმარდათ, ფაქტია. იქ მაშინ ზოგიერთმა პარლამენტარმაც „ისახელა“ თავი. აფხაზების გასალიზიანებლად მარულა გამართეს, რომელშიც გერმანე ფაცაცია მონაწილეობდა. მერე კი, როცა იქიდან ხალხი გამოყარეს, ვეღარც გერმანე იპოვეს, ვეღარც თეთრი ცხენი და ვეღარც ნაბადი.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძემ თქვა — 2000 წელს აფხაზეთს დავიბრუნებთო. შესაძლოა მას არ რცხვენია თავისი სიტყვებისა, მაგრამ ხალხს ვერ მოატყუებს. აფხაზეთს ახლა პანკისი დაემატა. პანკისის პრობლემა შევარდნაძის და მისი ძალოვნების სინდისზეა.

— **ითქვა, შევარდნაძეს პანკისი აფხაზეთის პრობლემიდან ყურადღების გადატანისთვის სჭირდებოდაო.**

— დიახ, მაგრამ ეს ფუჭი და უშედეგო მცდელობაა. 300 ათას დევნილს როგორ დაავიწყებს ამ პრობლემას? საქართველოს ტერიტორიების დათმობით შევარდნაძე სკამს ინარჩუნებს. პრეზიდენტმა ერთ კერძო საუბარში ისიც კი თქვა — ყაზბეგის რაიონის შენარჩუნება ძვირი გვიჯდება და იქნებ რუსეთის ფედერაციისთვის გადაგვეცაო. ამის შემდეგ პარლამენტში „შერბილებულ სავიზო რეჟიმზე“ დაიწყო ლაპარაკი. ეს კეთდებოდა რუსეთისთვის ამ რაიონის ეტაპობრივი გადაცემისთვის, მაგრამ ჩვენ ავტეხეთ ხმაური. სამხრეთი საქართველო გავიხსენოთ — ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ენერგოსისტემაში მომუშავე ხალხს ხელფასებს და პენსიებს სომხეთი უხდის. იქ ქართული ფულიც არ „მუშაობს“, ისიც საკითხავია, ვისია ეს ტერიტორია. თუ არ გამოვფხიზლდებით, მარტო შევარდნაძის სკამიღა დაგვრჩება. პრეზიდენტი სანამ ცოცხალია, სკამს არ დათმობს.

— **უცნაური იყო ასლან აბაშიძის განცხადება, საქართველოს ტერიტორია ქართველებმა დაბომბესო.**

— ბატონ ასლანს ასე არ უთქვამს. საქართველო შევარდნაძის პოლიტიკამ, ანუ შევარდნაძემ დაბომბა. როცა ოჯახში რამე რიგზე არ არის, პასუხი ოჯახის უფროსს მოეთხოვება. ამიტომაც უნდა აგოს პასუხი შევარდნაძემ. თუ პრეზიდენტს ქვეყნის მართვა არ შეუძლია, უნდა თქვას, თორემ ჩნდება ეჭვი, რომ ის სხვა ქვეყნის დავალებას ასრულებს. ხომ არის შევარდნაძე რუსეთიდან ჩამოფრენილი არწივი, რატომ ვერაფერი გააკეთა ქვეყნისთვის?! მაგრამ იცით რატომ ვერ გააკეთა? ეს კაცი რუსების ტანკებით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მაგრამ დღეს რუსეთი გვბომბავს... ე.ი. შევარდნაძეს შეეშალა რაღაც რუსებთან.

— **რატომ არ დაუჭირა მხარი „აღორძინებამ“ დსთ-დან გამოსვლას?**

— როცა საქართველო დსთ-ში შევიდა, პარლამენტარი არ ვყოფილვარ. თუ ჩვენ გვსაყვედურობენ, მაშინ ის ხალხი, ვინც დსთ-ში შესვლას თავის დროზე მხარი დაუჭირა, დასახვრეტი ყოფილა. დსთ-დან გამოსვლას როცა აძლევდნენ ხმას, კენჭისყრაში მონაწილეობა იმიტომ არ მივიღეთ, რომ ის იყო „პუსტა-პუსტა“ გადაწყვეტილება. ვიცოდი, პარლამენტის დადგენილება არაფრისმომცემი ფარატინა ფურცელი იქნებოდა.

— **ასლან აბაშიძე ვერ ელევა ბათუმის ბაზასაც...**

— ამ საკითხს ასლან აბაშიძის პოლიტიკური დისკრედიტაციისთვის იყენებენ. თორემ, როდესაც რუსებმა ახალქალაქის ბაზის გაყვანა დააპირეს, საქართველოს მოსახლეობა გადაუდგა წინ და არ გაუშვა რუსები. მაშინ გიგლა ბარამიძემ განაცხადა, — საქართველოს მოსახლეობა რუსეთის ბაზის გასვლის წინააღმდეგიაო, მაშინ ხომ არავის უთქვამს ბარამიძეზე, რუსეთის ინტერესებს ემსახურებაო.

— **ბათუმისა და თბილისის დაპირისპირება ბევრისთვის წინასაარჩევნო ჩვეული და აპრობირებული ფანდია... ზოგს მიაჩნია, რომ ეს „კონფრონტაცია“ რუსეთის სპეცსამსახურებმა ქართველების ხელით დაგეგმეს.**

— ასლან აბაშიძე არ არის მართული კაცი. ეს შევარდნაძე იმართება გარედან... წყაროს ვერ დავასახელებ, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომელსაც თქვენს გაზეთს ვუმხელ პირველად — აჭარის მიმდებარე ტერიტორიაზე, გურიასა და მესხეთ-ჯავახეთში კრიმინოგენული ვითარების გამწვავების გამო იგეგმება სპეცდანაყოფების შეყვანა... დააკვირდით მოვლენებს და მალე ნახავთ, რაც მოხდება.

— **გურიასა და მესხეთ-ჯავახეთში სპეცდანაყოფების შეყვანის მიზეზი რა არის?**

— საქართველოს დანგრევა. სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. ცხადია, აჭარაში ვითარების დაძაბვისთვის გამოიყენებენ ამ შემთხვევას.

შევარდნაძე თავის კომუნისტურ წარსულს ამართლებს, საბჭოთა წყობილების დაშლა მინდოდა და იქ იმიტომ შევედიო. რა გარანტია მაქვს, რომ ასეთი კაცი მერე არ იტყვის, — საქართველოს პრეზიდენტი იმიტომ ვიყავი, საქართველო დამეშალაო.

***იზო რიკაძე***

# დაატოვებინებენ გივი თარგამაძეს ანტიკორუფციულ საბჭოს?

## „ეს არის მისი ოჯახის პრაგმატული ინტერესები“

პოლიტიკურად საკმაოდ ცხელი ზაფხულის შემდეგ, არდადეგებიდან ახალდაბრუნებული და გარუჯული დეპუტატები პირველსავე სასესიო კვირას ცხარე დებატებსა და საქმის გარჩევებს გეგმავენ. უკვე გაცხადდა პრეზიდენტის ყოველწლიური საანგარიშო მოხსენების თარიღიც — სავარაუდოდ, 25-27 სექტემბერი. ამ ფაქტს პოლიტიკოსთა უმეტესობა გულგრილად ხვდება, ვინაიდან თითქმის აღარავინ ეჭვობს, რომ შევარდნაძის მემატიანე შარშანდელი მოხსენების ტექსტს გადმოწერს და, უბრალოდ, წლევანდელ თარიღს მიუთითებს. რით გაგვახარებს პრეზიდენტი? — ალბათ ვერაფრით! — აცხადებენ ოპონენტები.

„კვირის პალიტრამ“ ინტერვიუსთვის პრეზიდენტის სტაბილურ ოპონენტს, ანტიკორუფციული საბჭოს წევრს, გივი თარგამაძეს მიმართა, რომელსაც (როგორც ამბობენ, მის გარშემო აგორებული ბოლოდროინდელი სკანდალების გამო), შესაძლოა, ანტიკორუფციული საბჭო დაატოვებინონ.

**გივი თარგამაძე:**

— ჩვენი პრეზიდენტისთვის ასეთი ფუჭი გამოსვლები ჩვეული რამაა. ისე, მე ძალიან კარგად მესმის მისი. დიდი ხნის წინ შევარდნაძემ ასეთი რამ თქვა — იმდენი შეცდომა მაქვს დაშვებული, მათ ჩამოთვლას ერთი დღე არ ეყოფაო. მას მერე რამდენიმე წელი გავიდა და ახლა ამ შეცდომებზე ლაპარაკს ერთი დღე კი არა, ალბათ ერთი წელიც არ ეყოფა. ასე რომ, შევარდნაძე შეცდომებზე ნამდვილად არ ილაპარაკებს. მას ეჩვენება, რომ საქართველოში დადებითი ძვრები ხდება, რომ საწარმოები ამუშავდა, ხალხი ხარობს, ბედნიერია და ა.შ.

— **ასეთ შემთხვევაში ოპონენტები ალბათ კრიტიკას არ დააკლებენ.**

— რა თქმა უნდა, შევარდნაძის მოხსენებაში იქნება ზოგიერთი მინიშნება მაფიოზური ჯგუფების მისამართით და იგი მოსთხოვს ძალოვან მინისტრებს, ბოლოს და ბოლოს, აღკვეთონ მათი თარეში. შევარდნაძე ხომ კარგა ხანია, თავს ვერ თოკავს და ოპონენტებზე ლაპარაკს საკმაოდ დიდ დროს უთმობს... ასევე ლაპარაკი იქნება შემოდგომაზე მოსალოდნელ ეფემერულ დაძაბულობა-არეულობებზე, რომელსაც კაცმა არ იცის, ვინ უკეთებს პროვოცირებას — პრეზიდენტი, მისი მინისტრები თუ კიდევ სხვა ვინმე. შევარდნაძე, რა თქმა უნდა, გვარებს არ დაასახელებს, მაგრამ „კოლმეურნეობის თავმჯდომარის“ მსგავსად, გასაგებად მიანიშნებს უპირველესად სააკაშვილსა და მერე დანარჩენებზეც... სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, რომ წამოტივტივდეს მინისტრთა კაბინეტის თემაც, მით უმეტეს, რომ ავთო ჯორბენაძე ნამდვილად არ გახლავთ ის ფიგურა, რომელიც თავის პოსტზე კიდევ დიდხანს გაძლებს. უკვე ახლოვდება ის დრო, როცა ჯორბენაძეს პარტიულ სამუშაოზე გადაისვრიან, რაც მისთვის, ცხადია, კატასტროფის ტოლფასი იქნება. მკვდარი პარტიის გაცოცხლებას დოქტორი ფრანკენშტაინიც კი ვერ შეძლებდა, არათუ ავთანდილ ჯორბენაძე.

— **ასეთ შემთხვევაში, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი? დღეს ამ მხრივ, ყველაზე კარგი შანსი მაინც ჯორბენაძეს აქვს.**

— ჩემი აზრით, მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელად პრეზიდენტი ვინმე თავის მეხოტბეს დანიშნავს. მაგალითად ისეთს, როგორიცაა... აი, ის... ანტენის გამომგონებელი... ჰო, მეძმარიაშვილი. ეს არის კაცი, რომლისთვისაც შევარდნაძე იმხელა ავტორიტეტია, მის იქით ვერავის ხედავს. სწორედ ასეთი პრემიერ-მინისტრი სჭირდება პრეზიდენტს... თუ დაკვირვებიხართ, ტენდენციად იქცა ის, რომ პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური საანგარიშო მოხსენებით წარდგომას შეძლებისდაგვარად წელავს. ვფიქრობ, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ელოდება რაღაც ისეთ ფაქტს, რასაც შემდგომ თავის მოხსენებაში დაეყრდნობა და თამამად ილაპარაკებს. ასეთი ფაქტი მას უკვე აქვს, ასე რომ, შეუძლია პარლამენტში მიბრძანება აღარ გადადოს.

— **და ეს ფაქტი არის პანკისის სპეცოპერაცია?**

— რასაკვირველია! მართალია, მე იქ სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ მაინც... ისეთი ფონი შეიქმნა, რომ შევარდნაძე ამ „ვითომდა წარმატებებზე“ თავისუფლად ილაპარაკებს.

— **სხვათა შორის, მთავრობის სხდომაზე მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ განცხადება სწორედ ერთ-ერთმა ძალოვანმა მინისტრმა გააკეთა და ირიბად სააკაშვილზე მიანიშნა...**

— ძალიან მწყინს, რომ მთავრობის სხდომაზე ფლაგმანობა ითავა ვალერი ხაბურძანიამ, რომლის მიმართაც საზოგადოების განწყობა საკმაოდ დადებითი გახლდათ. რაც შეეხება მინიშნებებს — კი, მაგრამ, თუ რაღაც ინფორმაცია აქვთ, რატომ არ ამბობენ ბოლომდე? რატომ არ ასახელებენ გვარებს?

— **ისე, მარტო ხაბურძანია არ მიანიშნებს სააკაშვილზე. პოლიტიკურ წრეებში ეჭვობენ, რომ თუნდაც იმავე ენერგეტიკოსთა გაფიცვებს სწორედ სააკაშვილი ხელმძღვანელობს.**

— ენერგეტიკოსთა გაფიცვები დაიწყო იმ დღიდან, როცა „თელასი“ გაიყიდა.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)




# ფხიზლად, ფხიზლად, არვინ გაგვეპაროს!

## რეპორტაჟი ჩეჩნეთიდან მომავალი ბილიკების ჩამკეტი ერთ-ერთი ქართული სასაზღვრო საგუშაგოდან



23 აგვისტოს, განთიადისას, რუსულმა მოიერიშეებმა რეაქტიული ძრავების გუგუნით ჩეჩნეთიდან საზღვარი სწორედ ამ მთის თავზე გადმოკვეთეს

5 აგვისტოს „კვირის პალიტრა“ დაესწრო თებულოს უღელტეხილთან, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთთან ახალი, დროებითი სასაზღვრო საგუშაგოს გახსნას, რის შესახებაც მკითხველს დაწვრილებით უამბო.

ზუსტად ერთი თვის თავზე, 5 სექტემბერს, კვლავ მოგვეცა შესაძლებლობა, მოგვენახულებინა ეს საგუშაგო. ამ ხნის მანძილზე მესაზღვრეები უქმად არ მსხდარან, როგორც შეეძლოთ კეთილმოუწყვიათ საველე ბანაკი და, რაც მთავარია, აუგიათ რამდენიმე მიწური, რომლებიდანაც ადვილად კონტროლდება საზღვრისკენ მიმავალი ბილიკები. ამასთან, მიწურში მყოფი მესაზღვრეებისთვის არ არის საშიში მოულოდნელი ცეცხლის გახსნაც, რადგან ისინი ტყვიებისგან დაცულნი არიან.

ქართველ მესაზღვრეთა ცოტა არ იყოს, ღარიბულ სუფრას ხანდახან ჯიხვის მწვადები მატებს ლაზათს



სასაზღვრო საგუშაგოს განწესები განთავსებულია ოპერატიული თვალსაზრისით ყველაზე საშიშ მიმართულებებზე, საიდანაც შეიძლება გამოჩნდნენ შეიარაღებული ჯგუფები. მართალია, ამ მიდამოებში საეჭვო პირები ჯერჯერობით არ გამოჩენილან, მაგრამ სამაგიეროდ, სწორედ ამ საგუშაგოს მესაზღვრეები შეესწრნენ, 23 აგვისტოს, გამთენიისას, ჩეჩნეთის მხრიდან გამაყრუებელი ხმით თუ როგორ შემოიჭრნენ რუსული რეაქტიული მოიერიშე თვითმფრინავები და გეზი საქართველოს საჰაერო სივრცის სიღრმისკენ აიღეს.

ზღვის დონიდან 2.465 მ-ზე, სადაც მესაზღვრეთა საველე ბანაკია გაშლილი, ბუჩქიც არ ხარობს. ერთადერთი ნუგეში ანკარა წყაროა. განწესიდან თავისუფალ დროს ჯარისკაცები ისვენებენ და გასართობად ნარდის დაფა, ქვები და კამათლებიც კი გააკეთეს... პურს იქვე, მამაპაპური წესით აცხობენ. მენიუ დიდად მრავალფეროვანი ვერ აქვთ, მაგრამ მთავარია, რომ საკვები არ აკლიათ, ხანდახან ჯიხვის მწვადსაც გაჰკრავენ კბილს, როდესაც რომელიმე მონადირე ნადავლს უწილადებს.

თებულოსთან ზაფხულში დაცემული საველე ბანაკი მაინც დროებითია და აქ უფრო კომფორტული პირობების შექმნა (ყაზარმის აგება და ა.შ.) არც ღირს. შუა შემოდგომაზე უხვად მოსული თოვლი ალბათ მაის-ივნისამდე ჩაკეტავს საცალფეხო გადასასვლელებს ჩეჩნეთში და ამ ბანაკის მნიშვნელობაც დროებით აზრს დაკარგავს. ახალციხიდან გადმოყვანილ მესაზღვრეებს ახალციხეშივე დააბრუნებენ, რისი დიდი ნოსტალგიაც უკვე ეტყობათ ახალგაზრდა ჯარისკაცებს.

***თებულო-გირევი-ომალო-შილდა-ლაგოდეხი-თბილისი***

# სამიზნე უცვლელია — ერაყი!

## ამერიკა ერაყთან ომში მოკავშირეებს გამალებით ეძებს, მათ შორის, საქართველოს სახითაც



**ერაყის C-125 სისტემის საზენიტო რაკეტები აღლუმზე, ბაღდადში**

თეთრი სახლის ადმინისტრაციის დაპირისპირება სადამ ჰუსეინის რეჟიმთან, კულმინაციას აღწევს. პრეზიდენტი ბუში ისეა მონდომებული სადამ ჰუსეინის დასამხობად, რომ შეიძლება ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშეც დაიწყოს ამგვარი ოპერაცია.

გერმანიის კანცლერი კატეგორიული წინააღმდეგია ერაყთან ბრძოლის დაწყებისა, ხოლო გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან — რუსეთი, ჩინეთი და საფრანგეთი ალბათ ვეტოს დაადებენ ამ გადაწყვეტილებას და აშშ და დიდი ბრიტანეთი მარტონი დარჩებიან. ეტყობა, ბუშს ზემოხსენებული სამი სახელმწიფოს პრეზიდენტების დაყოლიება აქვს გულში და ამიტომ ათ-ათი წუთი ტელეფონით პირდაპირ ესაუბრა მათ.

თუმცა ჩვენი რუბრიკის მთავარი მიზანი არა პოლიტიკური, არამედ იმ სამხედრო სცენარის ანალიზია, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვითარდეს აშშ-ერაყის დაპირისპირება. ოპერაციის დაწყების ვადად ასახელებენ 2002 წლის შემოდგომა-2003 წლის გაზაფხულის შუა ხანს. თავად ოპერაცია სადამ ჰუსეინის ჩამოსაგდებად შეიძლება სამი სცენარით განვითარდეს.

პირველი ვარიანტი ითვალისწინებს აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ერთობლივ მოქმედებას:

სადივერსიო-სადაზვერვო ჯგუფები და ჰუსეინის ოპოზიციონერული ძალები (უმთავრესად ქურთები) სადამ ჰუსეინს ერთობლივად დაატყვევებენ ან გაანადგურებენ.

მეორე სცენარის თანახმად, დაიწყება შეზღუდული საბრძოლო ოპერაცია, რომელშიც ძირითადად ჩაერთვება ერაყის მეზობლად ამერიკულ სამხედრო ბაზებში მდგარი საბრძოლო დანაყოფები და ავიაცია, აგრეთვე ავღანეთში გადასროლილი 40 ათასამდე სამხედრო. ეს ოპერაცია ალბათ რამდენიმე თვეს გასტანს. განადგურებული იქნება ერაყის მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები (ძირითადად ნავთობმოსაპოვებელი ჭაბურღილები), რაც საბოლოოდ აიძულებს ჰუსეინის რეჟიმს, მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდეს.

მესამე ვარიანტის თანახმად კი, იწყება ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომელსაც ყველა პირობა გააჩნია, გადაიზარდოს მესამე მსოფლიო ომში, თუკი ერაყს გვერდზე მთელი მუსლიმანური სამყარო დაუდგება. ამ ვარიანტის მიხედვით, საბრძოლო მოქმედებებში ჩართული იქნება დასავლეთის არანაკლებ 250-ათასიანი კონტინგენტი, აგრეთვე 800-მდე საბრძოლო თვითმფრინავი, 40-მდე ხომალდი, 4 ავიამზიდი და ასობით ფრთოსანი რაკეტა.

ამჟამად პენტაგონს უკვე დაწყებული აქვს ფართომასშტაბიანი მოსამზადებელი სამუშაოები ერაყის მოსაზღვრე ქვეყნებში — თურქეთში, ქუვეითში, კატარში, ბაჰრეინში, ომანსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროში, რათა იქ დამატებითი ძალები ჩააყენოს. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ანალოგიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებთან. პენტაგონს ჩვენთან ალბათ ყველაზე მეტად ვაზიანის, მარნეულისა და დიდი შირაქის სამხედრო აეროდრომების ინფრასტრუქტურა აინტერესებს. არ არის აუცილებელი, რომ ამ ქართულ აეროდრომებზე მაინცდამაინც ამერიკული ბომბდამშენები დასხდნენ. პენტაგონისთვის სრულიად საკმარისი იქნება, თუკი ვაზიანიდან ან დიდი შირაქიდან აფრენილი ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები — C-130, C-141 თუ C-17-ები ცოცხალი ძალის დესანტირებას განახორციელებენ ჩრდილო ერაყში ან დამატებით, ტვირთსა და ტყვია-წამალს ჩაუყრიან ქურთისტანში გამაგრებულ ანტიჰუსეინურად განწყობილ ქურთებს. ამის გაკეთება თურქეთის ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზიდანაც მშვენივრად შეიძლება, მაგრამ აქ დიდი პოლიტიკა ერთვება — თურქეთის ხელისუფლებას სულაც არ ეჭაშნიკება ქურთების გაძლიერება, რომლებიც „დიდი ქურთისტანის“ შექმნაზე ოცნებობენ და თურქეთის ნაწილზეც თვალი აქვთ.

რამდენად შედის საქართველოს სახელმწიფო ინტერესებში ერაყის წინააღმდეგ ომში ჩართვა? ეს, ეტყობა, საერთო სახალხო რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს, თუმცა საქართველოს უბრალო მოქალაქის აზრს, ბუნებრივია, დღევანდელი ხელისუფლება ჩირად არ ჩააგდებს და ისე დათანხმდება ამერიკელთა თხოვნას.

# რუსი მესაზღვრეები ქართველი კოლეგებისა და მონადირეების დაჭერაში „ვარჯიშობენ“

5 სექტემბერს გაურთულებლად დასრულდა მორიგი სასაზღვრო ინციდენტი, რომელიც სამი დღით ადრე დაიწყო.

2 სექტემბერს, შუადღისას, „მამისონის“ საგუშაგოდან გამოსულმა ქართველი მესაზღვრეების განწესმა — ერთმა ოფიცერმა და ორმა ჯარისკაცმა — გეზი საქართველო-რუსეთის საზღვრისკენ აიღო და მალე უგზო-უკვლოდ გაქრა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი რუს „კოლეგებს“ დაუპატიმრებიათ, იარაღი აუყრიათ და ვლადიკავკაზში ჩაუყვანიათ. მათ ქართველ სამხედროებს ბრალად წაუყენეს სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევა. ამასთან, ქართველ მესაზღვრეებს თურმე არ აღმოაჩნდათ ვინაობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი (თუნდაც ჰქონოდათ, ქართულ ენაზე შედგენილ საბუთებს რუსებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა).

საბედნიეროდ, სამ დღეში ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა. რუსულმა მხარემ უპირობოდ დააბრუნა სამივე მესაზღვრე და მათი იარაღი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მსგავსი სასაზღვრო ინციდენტი არ განმეორდება.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ათ წელიწადზე მეტია, დაიშალა, ჯერ არ არის გაკეთებული საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია და დემილიტარიზაცია.

მამისონის უღელტეხილზე გამავალი სასაზღვრო ზოლიც ერთგვარ სადავო თემას წარმოადგენს საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრისგან განსხვავებით, სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გაივლო სასაზღვრო ზოლის მომნიშვნელი მავთულხლართები. არაფერი ამის მაგვარი, ბუნებრივია, საქართველო-რუსეთის საზღვარზე არ არსებობს. ამიტომაც მთაგორიან რელიეფზე ძნელია იმის გარჩევა, 20-30 მ-ით გადასცილდი საზღვარს თუ არა.

გარდა ამისა, მამისონის უღელტეხილზე დგას მეტეოროლოგიური სადგურის შენობა, რომელიც, მართალია, თავიდანვე საქართველოს ბალანსზე იმყოფებოდა, მაგრამ გენერალური შტაბის რუკებზე რუსეთის ტერიტორიაზეა დატანილი. არც ისაა გამორიცხული, რომ საზღვარი ამ შენობას შუაზე ჰყოფდეს.

სწორედ ასეთი გაუგებრობების გამო ზაფხულში, სამიოდე თვის წინ, საზღვრის სწორედ ამ მონაკვეთში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა, რომლის გახმაურებას ორივე მხარე გაურბოდა. როგორც ამბობენ, მაშინ რუსმა მესაზღვრეებმა ამ ადგილებში ოთხი ქართველი მონადირე დააკავეს. თურმე, ნადირობით გართულებს მართლაც დაურღვევიათ სახელმწიფო საზღვარი.



მონადირეები რუს მესაზღვრეებს ათიოდე დღე ჰყოლიათ დაკავებულნი, მაგრამ ამას არც ისინი ამხელდნენ და არც ქართველები, რადგან ერთ-ერთი დაკავებული საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერის ზურაბ კერვალიშვილის ვაჟი ყოფილა. ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს ცნობით, მათ გამოხსნაში რუსულ მხარეს დიდი თანხა გადაუხადეს (თუმცა სხვები იმასაც ამბობენ, რომ ისინი უსასყიდლოდ გაათავისუფლეს), რათა სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევისთვის რუსეთის ფედერაციის კანონებით არ გაესამართლებინათ.

როგორც ჩანს, სასაზღვრო პრობლემების გადაწყვეტას ძალიან სერიოზულად უნდა მიდგომა, მით უმეტეს, რუსეთის მიმართულებით, რადგან თითოეულმა პატარა ინციდენტმა მოსკოვს შეიძლება ახალი საბაბი მისცეს მორიგი ბრალდებებისთვის. ალბათ სასაზღვრო ძალები ჩაატარებენ სამსახურებრივ მოკვლევას, თუ რატომ აღმოჩნდნენ მისი თანამშრომლები უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

**საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

- TOEFL/GMAT (მათემატიკის მოდულის ჩათვლით)
  ბიზნეს ინგლისური
  საკომუნიკაციო ინგლისური
- უნივერსიტეტებისა და კოლეჯების შერჩევა აშშ-ში, საბუთების გაფორმება, თარგმანი, დამოწმება.

განაცხადი მიიღება ყოველდღე 12-18 სთ-მდე

შაბათ-კვირის გარდა

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 50, II სად, II სართ.
ტელეფონი: 22 19 72; 899 55 15 24

**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

*აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:*

◆ იურიდიული; ◆ ქართული ენა და ლიტერატურა; ◆ ჟურნალისტიკა; ◆ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; ◆ საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; ◆ ფინანსები და კრედიტები; ◆ საბანკო საქმე; ◆ უცხო ენები; ◆ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; ◆ სკოლამდელი აღზრდა.

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

# „მფრინავი ძროხის“ კატასტროფამ რუსეთს ატომური „კურსკის“ ტრაგედია გაახსენა

**რუსეთი ჩეჩნეთის მეორე ომში 36 შვეულმფრენს კარგავს. პირველ საომარ კამპანიაში კი ჩეჩნებმა 20 ხრახნფრთიანი, წითელვარსკვლავიანი მანქანა ჩამოაგდეს**



შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სამხედრო ავიაცია ყოველთვიურად თითო შვეულმფრენს კარგავს ჩეჩნეთში. 31 აგვისტოს ს. მესხეტის ახლოს ჩეჩენმა მებრძოლებმა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით Стрела-2M-ით (ან Игла-თი) ჩამოაგდეს საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24, დაიღუპა ორი რუსი პილოტი.

დღემდე ჩეჩნეთში რუსულ საავიაციო დაჯგუფებაში, რომელიც ძირითადად გროზნოს ახლოს, ხანკალას აეროდრომზე დგას, იყო 22 საბრძოლო Ми-24, 17 სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 (მათ შორის Ми-8MTKO ვარიანტის რამდენიმე შვეულმფრენიც, რომლებიც ღამით ფრენის აპარატურით არიან აღჭურვილნი და ზოგჯერ საქართველოს საზღვრისპირა რაიონებშიც შემოფრინდებიან ხოლმე) და ორი გიგანტური Ми-26 ტიპის შვეულმფრენები.

31 აგვისტოს ჩამოგდებული Ми-24 საერთო ჯამში რუსების მიერ (1999 წლის აგვისტოდან) 36-ე დაკარგული შვეულმფრენია.

მანამდე კი, 19 აგვისტოს რუსეთში საზარელი ტრაგედია მოხდა, რომელიც მასშტაბით ორი წლის წინათ, 12 აგვისტოს ბარენცის ზღვაში ატომური წყალქვეშა ნავის Курск-ის ტრაგედიის ტოლია. „კურსკზე“ 118 მეზღვაური დაიღუპა, ხოლო 19 აგვისტოს ჩეჩნეთში, ხანკალის აეროდრომთან ჩამოვარდნილმა მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენმა Ми-26-მა 119 რუსი სამხედრო იმსხვერპლა, ათზე მეტი მძიმე მდგომარეობაშია.

მოსკოვი, ჯერ საბჭოთა პერიოდში, ხოლო შემდგომ დამოუკიდებელი რუსეთის სახელით, ყოველთვის ამაყობდა, — მსოფლიოში ყველაზე მძიმე და ამასთანავე, სერიულად წარმოებული შვეულმფრენი მაქვს შეიარაღებაშიო, მაგრამ ტრაბახი უბედურად დაუმთავრდა — ამდენი კაცი სხვა, არც ერთი ტიპის შვეულმფრენში არ ჩაეტეოდა...

დღემდე, თუ არ ვცდები, ყველაზე დიდი მსხვერპლი შვეულმფრენის კატასტროფას 1992 წლის შემოდგომაზე მოჰყვა: რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8MT კოდორის ხეობაში ჩამოაგდეს. მასში 60-ზე მეტი ადამიანი (მათ შორის ბავშვები) იჯდა. მაშინ ეს კატასტროფა რუსეთმა და აფხაზურმა მხარემ ქართველებს დააბრალეს.

სხვათა შორის, ზუსტად 11 წლის წინ, 1991 წლის 19 აგვისტოს, სწორედ საქართველოს ცაში გამოჩნდა უზარმაზარი საბჭოთა Ми-26-ების ესკადრილია, რომელმაც, სხვა ტიპის სატრანსპორტო შვეულმფრენებთან ერთად, ლაგოდეხში დისლოცირებული სპეცდანიშნულების ბრიგადისა და Летучая мышь-ების სპეცრაზმის დანაყოფები თბილისის ახლოს გადმოისროლა — წინა დღეს, 18 აგვისტოს, მოსკოვში ГКЧП-მ გამოაცხადა ძალაუფლების ხელში აღება.

თვით Ми-26-ები საქართველოში, თელავის საბჭოთა სამხედრო საშვეულმფრენო პოლკის შეიარაღებაში ახალი მიღებული ჰქონდათ და იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე საბჭოთა (და შეიძლება მსოფლიო) აპარატებად ითვლებოდა. ბუნებრივია, ისინი ქართული არმიისთვის არავის დაუტოვებია — ეს უზარმაზარი შვეულმფრენები თელავიდან ჩრდილო კავკასიისკენ გაფრინდნენ.

**ჩვენი დოსიე: რუსული მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-26 (NATO-ს კლასიფიკაციით HALO) პირველად ჰაერში 1977 წლის 14 დეკემბერს აფრინდა, ხოლო მისი სერიული წარმოება 1984 წელს დაიწყო. დღემდე გამოშვებულია მისი რამდენიმე მოდიფიკაცია, მათ შორის სამოქალაქო (70 სავარძლით), ხანძარსაწინააღმდეგო (მასში 7500 ლ ტევადობის ცისტერნა ეტევა), მფრინავი ამწე (სიმაღლური მონტაჟისთვის), საწვავგამწყობი (ერთდროულად შეუძლია 4 თვითმფრინავისა და 10 ავტომანქანის საწვავით გაწყობა) და, რა თქმა უნდა, სამხედრო-სატრანსპორტო ვარიანტი.**

**Ми-26-ის მაქსიმალური ასაფრენი წონა 56 ტ-ს აღწევს (შედარებისთვის: ყველაზე დიდი ამერიკული შვეულმფრენის CH-53E Sea Stallion-ის ანალოგიური მაჩვენებელი 32 ტ-საც ვერ აღწევს), მას 20 ტ-ის წაღება ან 85 მედესანტის წაყვანა შეუძლია.**

ხანკალასთან ჩამოვარდნილ Ми-26-ში 152 ადამიანი იყო, მათ შორის შვეულმფრენის ეკიპაჟის 5 წევრი.

რეალურად Ми-26-ის ჩამოვარდნა გარე ფაქტორებმა, პირველ რიგში კი, მისი ერთ-ერთი ძრავას საქშენში მოხვედრილმა საზენიტო რაკეტამ გამოიწვია — პილოტებმა მოასწრეს რადიოეთერში თქმა, — ძრავას ცეცხლი გაუჩნდაო. ამის პარალელურად, კატასტროფიდან რამდენიმე წუთში, ჩეჩნების საიტზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ მათ ხელის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კოპლექს „იგლათი“ რუსული „ძროხა“ (ასე ეძახიან უზარმაზარ Ми-26-ს) ჩამოაგდეს.

ერთმა ჩეჩენმა 12 წამში ერთი გასროლით საიქიოს გაისტუმრა ერთ ასეულზე მეტი მოწინააღმდეგე.

ამაზე მეტი პარტიზანულ ომში ძნელი მისაღწევია. ეტყობა, ავი წინათგრძნობა რუსეთის გენერალიტეტს კარგა ხნის წინ ჰქონდა — რუსეთის თავდაცვის მინისტრის 1997 წლის ბრძანებულებით, აიკრძალა პირადი შემადგენლობის გადაყვანა Ми-26 ტიპის მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებით (სხვათა შორის, ერთი Ми-26 1999 წლის შემოდგომაზე, დაღესტანში მიმდინარე ბრძოლების დროს, აეროდრომზე დაჯდომისას დაიწვა).

Ми-26-ის კატასტროფის შემდეგ კი რუს მფრინავებს უფრო გაუმძაფრდებათ შიში ჩეჩნების „იგლებისა“ და „სტრელების“ მიმართ, თუმც ჯერ კიდევ საკითხავია, მათ ეს სიფრთხილე გადმოჰყვებათ თუ არა ქართული საჰაერო სივრცის დარღვევისას...

## მკითხველის სვეტი

**„იქნებ მფრინავთა იარაღ „ტოზ-82“-ზე მოგეწოდებინათ ინფორმაცია. ჩვენებმა რომ ჩამოაგდონ რუსული „სუ-25“, ხომ უნდა იცოდნენ, კატაპულტირებული მფრინავი რითია საშიში.**

***ზაზა გოგოტიშვილი, სამტრედია***

### რითია საშიში ჩამოგდებული რუსი პილოტი?!

ТОЗ-82, რომელიც მკითხველს აინტერესებს, იმ სპეციალური იარაღის ერთ-ერთი ნიმუში გახლავთ, რომლებიც თავდაპირველად საბჭოთა კოსმონავტებისათვის შექმნეს. გასული საუკუნის 60-იან წლებში, ერთ-ერთი პილოტირებული საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის კაფსულა ნაანგარიშევი რაიონის მაგივრად, შუაგულ ტაიგაში დაეშვა. ზამთრის ყინვაში კოსმონავტების გამოყვანა მხოლოდ ორი დღის შემდეგ დიდი გაჭირვებით მოხერხდა. სწორედ მაშინ მიხვდნენ, რომ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში კოსმონავტებს ელემენტარული იარაღი მაინც უნდა ჰქონოდათ ნადირისგან თავის დასაცავად. ამიტომ შეიქმნა სამლულიანი სასროლი საშუალება, რომელსაც კონდახში მაჩეტეც ჰქონდა ჩამონტაჟებული. ამ სამი ლულიდან ორი 12-კალიბრიანი იყო, მესამე — 5,6-მმ-იანი. მსხვილი ლულებიდან, გარდა „ჟაკანის“ ტყვიებისა, სასიგნალო რაკეტების გაშვებაც შეიძლებოდა. ამ უნივერსალური იარაღით მიწაზე დაშვებულ კოსმონავტს ნადირის მოგერიებაც შეეძლო, ტყის გაჩეხაც და ნადირობაც. ამასთან იგი ძალზე კომპაქტური გახლდათ და დიდ ადგილს არ იკავებდა კოსმოსურ თანამგზავრში.

მაგრამ ეს უნივერსალური იარაღი არასოდეს ყოფილა სამხედრო პილოტების შეიარაღებაში, რადგან ბრძოლაში ნაკლებად გამოსადეგია. საბჭოთა პილოტის საშტატო შეიარაღება, როგორც წესი, მაკაროვის სისტემის ПМ პისტოლეტისა და ორი მჭიდისგან შედგებოდა. თუმცა ავღანეთის ომმა ნათლად აჩვენა, რომ ეს საკმარისი არ იყო. ამიტომაც პილოტებმა პისტოლეტთან ერთად АКС-74У ტიპის მოკლელულიანი ავტომატების, მათი მჭიდებისა და ხელყუმბარების ტარება დაიწყეს. ამხელა არსენალი ჩალაგებული იყო ე.წ. НАЗ-ში (ხელუხლებელ მარაგი). კატაპულტირების შემდეგ პილოტი მოსცილდებოდა სავარძელს და პარაშუტით ეშვებოდა, НАЗ-ი თოკით იყო ჩამოკიდებული პარაშუტზე.



**სამი ლულა ტაიგაში ჩავარდნილ კოსმონავტს კი უშველის, მაგრამ მტრის ზურგში კატაპულტირებულ მფრინავს ვერა**

ისტორიაში შევიდა Су-25-ებთან დაკავშირებული ორი განსაკუთრებული ამბავი, როდესაც კატაპულტირებულ მფრინავებს მიწაზე დაშვების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. პირველი გახლდათ საბჭოთა მფრინავი კონსტანტინ პავლიუკოვი, რომლის Су-25 ავღანელმა მოჯაჰედებმა 1987 წელს ბაგრამის აეროდრომიდან აფრენისას ჩამოაგდეს. კატაპულტირებული და პარაშუტით მიწაზე დაშვებული პავლიუკოვი რამდენიმე საათი იგერიებდა ავღანელებს და ბოლოს მათთან ერთად ხელყუმბარით აიფეთქა თავი.

1993 წლის ზაფხულში ეშერასთან ჩამოგდებულმა ქართველმა პილოტმა, ზურა იარაჯულმა, არანაკლები სიმამაცე გამოიჩინა. მან იცოდა, რომ თუკი დანებდებოდა აფხაზებს, სხვა ტყვეებში გაცვლიდნენ (მანამდე აფხაზების ტყვეობიდან სწორედ ამ გზით გამოვიხსენით ორი ქართველი პილოტი) და ცოცხალიც დარჩებოდა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ტყეტყე გუმისთისკენ გამოსწია, ორი დღე-ღამე მალვით ცდილობდა ფრონტის ხაზის გადმოლახვას. ბოლოს, აფხაზებმა ალყაში მოაქციეს. ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგეს, ერთი მოკლა, ერთიც დაჭრა... ზურა იარაჯული ცოცხალი არ ჩავარდნია მტერს ხელში. ამ მამაცი ახალგაზრდა ქართველი მფრინავის სახელი, სამწუხაროდ, დღემდე სათანადოდ არ არის პატივდებული.

...რაც შეეხება იმას, თუ როგორ დავატყვევოთ ჩვენი მიწის დამბომბველი რუსი პილოტი, სჯობს, ჯერ ჩამოვაგდოთ საჰაერო თავდამსხმელი, ხოლო შემდეგ დაბომბვის ყველაზე კარგ „ნივთმტკიცებას“ — პილოტს — ალბათ რამეს მოვუხერხებთ.

*ბოდიშს ვუხდით ჩვენს მკითხველებს, რომელთაც შეკითხვები გამოგვიგზავნეს, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი ვერ გავეცით. მათთვის საინტერესო საკითხებზე სტატიაც უკვე გამზადებული გვაქვს, მაგრამ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ამჯერად უფრო საჭირბოროტო მასალები იბეჭდება.*

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

არსენალი

# „კოდორი“ კოდორის დასაბრუნებლად

ქვეყნის დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეროვნულ სამხედრო ძალებსაც ძალზე უჭირთ რთული და ძვირად ღირებული საბრძოლო ტექნიკის არათუ შესყიდვა, არამედ მათი ექსპლუატაციაც კი.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას კურსი აღებული აქვს მობილური მცირერიცხოვანი ჯგუფების ტაქტიკური დონის მოქმედებებზე (რამდენად სწორია მთელი ყურადღების გადატანა სწრაფი რეაგირების ძალებსა და მათ ხარჯზე — მძიმე არტილერიისა და ჯავშანტექნიკის თითქმის სრული უგულებელყოფა, ეს ცალკე სტატიის თემაა).

ბუნებრივია, რომ ასეთ ჯგუფებს მოწინააღმდეგეებთან საბრძოლო კონტაქტში შესვლა ახლო და საშუალო დისტანციაზე, დაახლოებით 200-500 მ-ზე მოუწევთ. ასეთ დროს მარტო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გადამწყვეტ როლს აღარ თამაშობს, რადგან საპირისპირო მხარე ხშირად 4 ან 4+ კლასის ჯავშანჟილეტებით და ჩაფხუტებითაა აღჭურვილი.

შეჯავშნული მოწინააღმდეგის გასანადგურებლად უკვე ფართოდ გამოიყენება საიარაღო კომპლექსები, რომლებიც ავტომატსა და მისი ლულის ქვეშ დაყენებულ 30-40 მმ კალიბრის ყუმბარსატყორცნს აერთიანებს. იქ, სადაც ავტომატის ტყვია უძლურია, საქმეს მსხვრევადი ყუმბარა „აკეთებს“.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნები საკმაოდ ძვირი ღირს და საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში ქართულმა არმიამ დიდი რაოდენობით შეისყიდოს ან რუსული ГП-25 (ან ГП-30), ანდა ამერიკული M-203 ტიპის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნები და მით უმეტეს მათი ყუმბარები.

თუმცა გამოსავალი ყველა სიტუაციიდან არსებობს. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ 5 წელზე მეტია შექმნილია და წარმატებით გამოიცადა ნამსხვრევებიან-ფუგასური გასროლა „კოდორი“.

სახელი „კოდორი“ მას, როგორც მკითხველიც მიგვიხვდება, შემთხვევით არ შერქმევია. თუკი „კოდორების“ მსხვილ სერიულ წარმოებას აითვისებდნენ ჩვენი საწარმოები, ქართულ ქვეითთა დანაყოფებს ძალზე ეფექტური, ამასთან იაფფასიანი და, რაც მთავარია, ეროვნული წარმოების იარაღი აღმოაჩნდებოდათ შეიარაღებაში.

გასროლა „კოდორის“ უპირატესობა — მისი სიმარტივეა, რაც, რა დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ისევ გაჭირვებითაა გამოწვეული.

მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი — საბჭოთა არმიამ ზუსტად 40 წლის წინ, 1962 წელს, შეიარაღებაში მიიღო ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი — РПГ-7. მას აქეთ, იარაღის ეს სახეობა „კალაშნიკოვის“ შემდეგ ყველაზე პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში და ამ ხნის განმავლობაში არც ერთ მცირე მასშტაბის შეიარაღებულ კონფლიქტსაც კი ისე არ ჩაუვლია, რომ РПГ-7 არ გამოეყენებინათ.

სიმართლე რომ ითქვას, თავად ყუმბარსატყორცნი РПГ-7 ერთი ჩვეულებრივი რკინის მილია, რომელიც რაკეტული ძრავით აღჭურვილ კუმულატიურ ყუმბარას ისვრის. მოსკოვი „ცივი ომის“ დროს დიდ ომებსა და მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის არმადების განადგურებაზე ფიქრობდა, ამიტომაც იმავე РПГ-7-ები მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო კუმულატიურ რეაქტიულ ყუმბარებს ისროდნენ, რომლებიც ნაკლებად ეფექტურნი იყვნენ ქვეითების ჯგუფის გასანადგურებლად.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა კონსტრუქტორებმა ერთ-ერთმა პირველებმა მოიფიქრეს РПГ-7-დან არა კუმულატიური, არამედ ნამსხვრევებიან-ფუგასური ქობინის მქონე ყუმბარის გასროლა, რაშიც მათ ეტყობა, აფხაზეთის ომის ანალიზიც დაეხმარა.

შექმნილია „კოდორის“ რამდენიმე გაუმჯობესებული მოდელი. ჩვენ ყურადღებას მის ერთ-ერთ



**ნამსხვრევებიან-ფუგასური „კოდორი“**



**ხელის ყუმბარსატყორცნი РПГ-7**

ბოლო სახეობაზე — „კოდორი-4“-ზე შევაჩერებთ.

მისი კალიბრი 40 მმ-ს არ აღემატება და თავისუფლად თავსდება РПГ-7-ის ლულაში. წინამორბედისგან, საბჭოთა კუმულატიური ПГ-7В ტიპის გასროლისგან განსხვავებით, „კოდორი-4“-ს რაკეტული ძრავა არ გააჩნია. მას უშვებს გამომგდები მუხტი, რომელიც РПГ-7-ის მილშივე იწვის.

„კოდორი-4“ 1,55 კგ-ს იწონის, ხოლო მისი საბრძოლო ნაწილის მასა 1 კგ-ს უტოლდება. მასზე თავიდანვეა დატანილი ნაჭდევები, რომლებიც აადვილებს მიზანში მოხვედრისას ნამსხვრევების ფორმირებას.

შედარებით მცირე მასის გამო გამომგდებ მუხტს მისი სროლა 900 მ-ით დაშორებულ მიზანშიც შეუძლია. თუმცა ეს საპასპორტო მონაცემებს უფრო ჰგავს. სტატიის ავტორის აზრით, „კოდორი-4“-ის ეფექტური გამოყენების მანძილის დიაპაზონი 80-250 მ-ის ფარგლებში უფრო იქნება, მიზანში მოხვედრისას წარმოქმნილი ნამსხვრევების სასიკვდილო დაზიანების რადიუსი 8 მ-ს უტოლდება. თავად გასროლის ამფეთქი M-6 გამოირჩევა საიმედოობით, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს ამფეთქი ძალზე დიდია წვრილი ყუმბარისთვის და უპრიანია ნაღმსატყორცნების ნაღმებისთვის, თუმცა ესეც გაჭირვებითაა განპირობებული.

„კოდორი-4“, წინამორბედებისგან განსხვავებით, უფრო მოკლეა, რადგან კონსტრუქციიდან ამოღებულია ერთი სექცია, რომელიც აუცილებელი იყო ტანკსაწინააღმდეგო ПГ-7В-ისთვის, მაგრამ სრულიად ზედმეტია ქვეითსაწინააღმდეგო „კოდორისთვის“. ყუმბარის სტაბილიზება ფრენის დროს სპეციალური სტაბილიზატორებით ხორციელდება, რომლებიც კუდის ნაწილში იხსნება РПГ-ის მილიდან გამოსვლის შემდეგ.

ჩვენი მონაცემებით, „კოდორების“ მცირე პარტია გამოყენებულ იქნა რეალურ საბრძოლო მოქმედებებში გალის რაიონში, 1998 წლის მაისში, როდესაც მან თავისი ეფექტური მხარეები აჩვენა შეუჯავშნავი ტექნიკის, კერძოდ კი, „იკარუსების“ აფეთქებისას.

„კოდორი“, ისევე როგორც ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს ჩვენთან დამზადებული РПГ-7-ის ადგილობრივი ყუმბარსატყორცნი, შეიძლება ეროვნული წარმოების ეფექტური საიარაღო კომპლექსის პირველი რეალური წარმომადგენელი გამხდარიყო.

გვიან არც დღეს არის, მაგრამ სახელმწიფო შეკვეთებით არც თავდაცვის სამინისტრო, არც შინაგანი ჯარები და არც სასაზღვრო დეპარტამენტი იწუხებს თავს. მათ გასამართლებელი საბუთებიც გააჩნიათ — სახელმწიფო დაკვეთაში არ გვიზის „კოდორისა“ და ყუმბარსატყორცნების შესყიდვაო. სამაგიეროდ, ეს უწყებები ხშირად ისეთი სახის იარაღს, ტექნიკასა თუ აღჭურვილობას ყიდულობენ, რომელთა სასიცოცხლო აუცილებლობა იმ მომენტში არ არსებობს. მაგალითად, საზღვარგარეთ ნახმარი ტანკების, ტყვიამფრქვევებისა თუ თვითმფრინავების საყიდელი თანხები რომ ეროვნული იარაღის წარმოების ამუშავებაში ჩაედოთ, ქართული სამხედრო ძალები დღეს წაგებულნი ნამდვილად არ იქნებოდნენ.

# აფხაზი მატეო ფალკონე ანუ რისთვის მოკლა მამამ საკუთარი შვილი

**ველარ გაუძლო მატეო ფალკონეს პატარა ბიჭმა ჟანდარმებისაგან შეჩეჩებული ბრჭყვიალა ნივთების ცდუნებას და თივის ზვინზე მიუთითა — თქვენ რომ ეძებთ, იქ იმალებაო ის კაცი... დაავლო ხელი მამამ თავის ერთადერთ შვილს, სახლს გაარიდა და თოფით მოკლა, — სულერთია, კაცად მაინც არ გაიზრდებაო...**

**ეს მხატვრული ნაწარმოებია. არავინ იცის მართლა მოხდა თუ არა სინამდვილეში ის, რაც ავტორმა გვიამბო. მე კი ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ.**



## „ბიბლიური“ საჩუქარი

არ დაიშალა გაგრელმა სანდრო შამბამ თუთაშხიობა და შვიდჯერ გაასამართლეს. ისე კი სამართლიანი კაცი იყო უბედური და აკი სიმართლისათვის ბრძოლას შეეწირა კიდეც. მართალია, ამის გამო კანონი დევნიდა, მაგრამ იმდენი მადლიერი ჰყავდა, იმდენს უყვარდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. კაცმა რომ თქვას, ისეთს რას აშავებდა? დამცირებას ვერ იტანდა, ვერც პირადს, ვერც — სხვისას, ამიტომაც ან სულ ჩხუბში იყო, ან ციხეში. ამჯერადაც დრანდის იზოლატორში იხდიდა სასჯელს. ყოველდღე აკითხავდნენ ახლობლები, მაგრამ ბოლო დროს ველარ ნახულობდნენ. გამუდმებით კარცერში იჯდა და მისიანებიც ასკვნიდნენ — ციხეშიც არ იშლისო თავისას. არადა მართლა ასე იყო. ციხეში გარეწარს რა დალევს და სანდროც დონ კიხოტივით ნიადაგ მათ „მორჯულებას“ ცდილობდა. კარცერში მჯდომი პატიმრის ნახვა მართლაც წარმოუდგენელი იყო, მაგრამ გაგრის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს ახალგაზრდა ინსპექტორმა ჯემალ გოგოხიამ ითავა ეს საქმე. გოგოხიებისა და შამბების ოჯახები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, მეზობლობდნენ, მეგობრობდნენ და ჭირსა და ლხინს ერთად იყოფდნენ. მართალია, ჯემალი მილიციელი იყო, სანდრო კი დამნაშავე-რეციდივისტი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ მეგობრობას. მით უმეტეს, რომ ჯემალთან სანდროს ძმა, წესიერებით გამორჩეული, ულამაზესი ვაჟკაცი მუნაც მეგობრობდა. ამასთან, შამბებზე ასაკით ბევრად პატარა ჯემალს უმცროს ძმასავით უყვარდა მუნას ერთადერთი ვაჟი, მამასავით აღნაგი ტრისტანი. იმხანად დრანდის ციხის უფროსის მოადგილედ დანიშნეს ჯემალის ნათესავი და მეგობარი მერაბ რაფავა (მოგვიანებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. ამის შესახებ „კვირის პალიტრაში“ ვწერდით ორიოდ თვის წინ). ჰოდა, ჯემალიც მერაბს მიადგა — მე თქვენი კარცერი არ ვიცი, მეორე თვეა სანდროსი არაფერი გაგვიგია. გინდა თუ არა, უნდა მანახვოო.

— ხომ არ გაგიჟდი? რასაა რომ მთხოვ, კარცერში მჯდომ კაცს შეხვედრა მოვუწყო? არ გამოვა ეგ საქმე.

— არ გამოვა და კარგად დაიმახსოვრე: მეშვიდედ იხდის სანდრო აქანა სასჯელს და აქედან სამჯერ მე დავიჭირე კარის მეზობელი. ერთხელ არ გაუწევია წინააღმდეგობა. ძმებივითა ვართ ერთმანეთთან და იმიტომ. მართალია, სხვადასხვა გზაზე ვდგავართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გული არ შემტკივა მასზე. ერთი სიტყვით, ან მანახვებ სანდროს, ანდა ჩვენს ნათესაობას...

— კაი, ბატონო, — სიცილი აუვარდა მერაბს, — თუ რეციდივისტი შამბა გირჩევნია შენს სისხლსა და ხორც რაფავას, აგერ შენი სანდრო, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს! — ამ სიტყვებზე კარი გაიღო და ოთახში სანდრო შამბამ შემოაბიჯა. ჯემალისაგან შეუმჩნევლად მერაბს სანდროს შემოყვანის განკარგულება გაეცა. გახარებული ჯემალი ჯერ მერაბს გადაეხვია, მერე კი სანდრო ჩაიკრა გულში და პატარა ბავშვივით მიეფერა ასაკით თითქმის ორჯერ უფროს მეგობარს. იქვე, სამუშაო მაგიდაზე გაიშალა სახელდახელო სუფრაც. ჯემალს დედამისის გამომცხვარი ხაჭაპურები, მრგვლად მოხარშული დედალი და რძეშეუმშრალი სულგუნი მიეტანა პატიმრისათვის. გულით მოიკითხეს ერთმანეთი. სანდრო საკუთარ თავზე მეტად ძმის ოჯახზე ნაღვლობდა — ტრისტანის იმედი არა მაქვს. მეშინია, გზას არ ასცდეს და „შავებში“ არ გადასახლდეს. ხომ იცით, ჩემი წარსულის მიუხედავად, ეგენი ჭირის დღესავით მძულანო. მერე შუა სადილობაში რომ იყვნენ, წამოდგა — ერთი წუთით კამერაში ავალ, რაღაც უნდა განახვოთო და მალევე დაბრუნდა... ბიბლიით ხელში. მერაბს და ჯემალს არ გაჰკვირვებიათ, წიგნით რომ დაბრუნდა პატიმარი, იცოდნენ, წიგნიერი კაცი იყო სანდრო. ორივენი იმან გააოცა, თუმცა, გააოცა კი არა, თმა ყალყზე დაუდგათ, როცა გადაშლილი ბიბლიიდან პისტოლეტმა გამოანათა. სანდრო შამბამ თვალი თვალში გაუყარა მერაბს და უთხრა — მერაბ, ამ დღეებში გაქცევას ვაპირებდი და ეს იარაღიც იმისათვის მჭირდებოდა, მაგრამ დღეიდან, ვიდრე შენ აქა ხარ, ამის გამკეთებელი აღარ ვარ, ჩემ გამო პრობლემებს არ შეგიქმნი. ეს ბიბლია კი თავისი პისტოლეტით, შენთვის მიჩუქნია ძმობისა და მეგობრობის ნიშნად.

## ბუნტი... სამოთხეში

ასე მგონია: თუ საბჭოთა კავშირი ჯოჯოხეთი იყო, ამ ჯოჯოხეთში საქართველო სამოთხედ უნდა მივიჩნიოთ (რა თქმა უნდა, შედარებით), ხოლო სამოთხის ცენტრი აფხაზეთი რომ იყო, ამას ალბათ მტკიცებაც აღარ სჭირდება. თუმცა...

ვიღაც-ვიღაცებისაგან ტვინამღვრეულმა აფხაზთა ერთმა ნაწილმა 1989 წლის 14-17 ივნისს გაილაშქრა ქართველთა წინააღმდეგ. მსხვერპლი იყო სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში. მერაბის ხელშეწყობით ციხიდან ვადაზე ადრე განთავისუფლებული სანდრო შამბა და მისი ძმა თავგადაკლული დარბოდნენ კარდაკარ — რას სჩადიხართ, ხალხო, რამ დაგიბნელათ გონებაო, მაგრამ...

ერთხანს თითქოს ჩაწყნარდნენ ექსტრემისტები, თუმცა მერე რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს. იმხანად კი მუნა შამბას ტრისტანი სამუშაოდ მილიციაში მიიღეს (არ ამხელდა, მაგრამ ალბათ ისევ მერაბ რაფავასა და ჯემალ გოგოხიას ძალისხმევით). რაკი ავარდნილია, იქნებ აქ მაინც დაღვინდეს ცოტაო, მაგრამ ამაოდ. მართალი გამოდგა ბიძამისი, რომ ამბობდა — გვერდზე იყურებაო ეგ ბიჭი. იმდენი ქნა, საციხედ გაიხადა საქმე და ახლა თბილისში იხდიდა სასჯელს. აფხაზეთში კი მდგომარეობა დღითი დღე იძაბებოდა. ავტობუსებიც კი აღარ მოძრაობდნენ თბილისსა და სოხუმს შორის. ბოლომა ახრჩობდა მუნა შამბას — ერთადერთმა შვილმა თავისი უმსგავსი საქციელით ოჯახი როგორ შემირცხვინაო, მაგრამ მამა იყო და მაინც გულს უკლავდა, თვეების მანძილზე შვილისა რომ არაფერი იცოდა. ამასობაში ვითარება ქართველთა და აფხაზთა შორის ისე დაიძაბა, რომ აფეთქებას აღარაფერი აკლდა.

მერაბ რაფავა ამ დროს უკვე თბილისში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. ჯემალ გოგოხია გაგრაში, ძველ ადგილზე განაგრძობდა მუშაობას.

— ალო, მერაბ! ერთი კვირაა, გირეკავ. ამ ტელეფონებსაც რაღა დაემართა, კაცო. ხომ ხედავ, რაც ხდება აქეთ? ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ ჩვენ გადავდგათ პირველი ნაბიჯი ამ მღელვარების დასაცხრობად. შენ დიდი სამსახურის გაწევა შეგიძლია, ამიტომაც შენგან ვიწყებ. თუ ძმა ხარ, ნუ მეტყვი უარს.

— უარს როგორ გეტყვი. მით უმეტეს, რაკი ეთნიკური კონფლიქტის ჩაცხრობაც შემძლებია, ბრძანე, ბატონო.

— შენ ხუმრობ და დიახაც რომ შეგიძლია. ცოტა შენ, ცოტა იმან, ცოტა კიდევ სხვამ და იქნებ როგორმე დავანამუსოთ ეს ხალხი.

— რა უნდა გავაკეთო, ჯემალ, მოკლედ მითხარი, ვიდრე ტელეფონი არ გათიშულა.

— რა და სანდრო შამბა ხომ გახსოვს, აქაური დათა თუთაშხია? იმის ძმასაც იცნობ, მუნას, უპატიოსნეს კაცს, ტრისტანიც გახსოვს ალბათ. აგერ ახლა არ იყო, ჩვენ რომ ვცდილობდით „შავებისთვის“ გამოგვეგლიჯა ხელიდან.

— ა, ბიჭო, მოკლედ მოჭერი რა გინდა, თორემ გაგვთიშავენ და მერე შეიძლება ველარ დარეკო.

— ჰოდა, მერაბ, ახლა ის ტრისტანი მანდაა, თბილისის ციხეში იხდის სასჯელს. შენ კი მთელი საქართველოს ციხეებისა და კოლონიების უფროსი ხარ. მამამისს უნდა შეახვედრო, ამჯერად მეტს არაფერს გთხოვ.

— რა პრობლემაა მერე. აქამდე ჩამოვიდეს და მაგას დავამადლი?

— მეც ჩამოვყვები. არ მინდა, აფხაზობის გამო გზაში რამე შეემთხვეს.

— გელით, ბატონო!

რის ვაი-ვაგლახით გააჩალიჩეს თვითმფრინავის ბილეთები ადლერში ჯემალმა და მუნამ. მერაბის მანქანა დახვდათ თბილისის აეროპორტში და ორივენი პირდაპირ ტრისტანის სანახავად გააქანეს ორთაჭალაში.

— ადმინისტრაცია გაფრთხილებულია და უპრობლემოდ გაჩვენებენ, მერე ჩემთანაც შემოიარეთ, დიდი ხანია არ მინახავხარ, ჯემალ, — ტელეფონში ჩასძახა მერაბმა და მეგობრის მოლოდინში საათს დახედა.

— მე ციხეში არ წამოვალ, ჯემალ. ხომ იცი, ჩემი პრინციპები მაქვს. ტრისტანმა ჩემი ღირსება ფეხქვეშ გათელა და მიზეზად ესეც კმარა. რაღა მამა ვარ, ერთადერთი შვილი ვერ გამიზრდია, მეზობელ-მეგობრებისთვის თვალი ვერ გამისწორებია. შენ ნახე, გაიგე რა უჭირს, მით უმეტეს ამ არეულობაში. იმ დროს, როცა აფხაზეთში ქართველებს მოსაკლავად არ ინდობენ, სულ არ გამიკვირდება, ჩემი აფხაზი შვილი ქართველ პატიმრებს რომ აღიზიანებდეს. ერთი სიტყვით, ეს საჭმელი და ტანსაცმელი გადაეცი და მე არ მახსენო. უთხარი, მე მოგიტანე-თქო ყველაფერი.

— უცნაური კაცი ხარ, მუნა. ვიცი, სულსაც არ დაიშურებ შვილისთვის და...

— ეს შენ იცი, ჩემო ჯემალ. აი, ჩემი შვილი კი ამას ვერ ხვდება... — და კაცს ისეთი ნაღველი გამოეხატა სახეზე, ჯემალმა ინანა, რატომ შევეპასუხეო.

ჯემალის დანახვაზე ტრისტანს ქვითინი აუვარდა. არა, აქ ჩემი აფხაზობისათვის არავინ მჩაგრავს, მაგრამ ციხეა და ხომ იცი, რა დღეშიც ვიქნებიო. ბევრი ისაუბრეს, ბიჭი თითქოს დანაშაულსაც ინანიებდა და ჯემალსაც იმედი მიეცა, იქნებ მართლა შემობრუნდესო სიკეთისაკენ. ამიტომაც მერაბთან რომ შევიდნენ, პირდაპირ მიახალა — ტრისტანის პირადი საქმე ვნახე. მოგეხსენებათ, იურისტი ვარ და რაღაც გამეგება. კანონის დაურღვევლად შეიძლება ვადაზე ადრე მისი განთავისუფლებაო. მერაბმაც არ დაიხია უკან: — კარგი, ვნახავ, რისი გაკეთება შეიძლებაო და ტრისტანის საბუთები გამოითხოვა ციხიდან. ხვალ გეტყვითო პასუხს, დააიმედა სტუმრები.

დეპარტამენტიდან გამოსულ ჯემალს ჩანთაში რაღაც ჩაუდო მუნამ — ორმოცი ათასი მანეთია ამ შეკვრაში... მე ვერ ვაკადრებდი მერაბს, შვილის განთავისუფლებაში ფულის შეძლევას. ახლა, როცა ამას ისედაც უანგაროდ აკეთებს, ამ ფულს სახლში ვერ წავიღებ.

— მუნა, ახლა ამ ფულზე ჭიდაობა რომ ავტეხოთ აქ, შუა ქუჩაში, დაგვიჭერენ. ხომ იცი, მერაბი ამის ამღები არაა?

— კი, მაგრამ ქრთამს კი არ ვაძლევ. ეს საქმე რომ უანგაროდ გააკეთა, იმისი სამაგიერო საჩუქარია.

— კარგი, ბატონო, კარგი. ამაზე მერე ვილაპარაკოთ... — თვითმფრინავმა ის იყო წრე მოხაზა ადლერის თავზე, როცა ჯემალმა ლაბადის ჯიბეში ფულის შეკვრა ჩაუცურა მუნას, — აკი გითხარი, არ აიღებს-მეთქი.

— კარგი, ასე იყოს... თუ გადავუხადე ეს სიკეთე, ხომ კარგი, თუ არა და...

## უძღები შვილის აღსასრული

თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივ დაიწყო — ჯერ ვიღაცამ ვიღაცას აწყენინა, მერე ვიღაცამ ვიღაცა გაამწარა, მერე ამ ვიღაცებს გარედან შეუნთეს, წააქეზეს და ზარბაზანმაც იქუხა. ომის დაწყების პირველივე დღეს აფხაზებმა ბზიფის ხეობა გადაკეტეს და, ფაქტობრივად, მძევლად აიყვანეს რაჭველებით დასახლებული სოფლები. დაიწყო ამ ხალხის უმაგალითო რბევა-შევიწროება. აფხაზი ბიჭბუჭებით აივსო ხეობა, გამკითხავი არავინ იყო. ერთადერთი, ვისაც ამ ხალხის ბედი ანაღვლებდა, მუნა შამბა გახლდათ. იმ ქარბორბალაში თვითონ რა ჰქონდა, რომ ქართველთა სოფლები გამოეკვება, მაგრამ რაც გააჩნდა, არ იშურებდა — თვეების მანძილზე ბლოკადაში მოქცეულთათვის პური და სხვა სანოვაგე შეჰქონდა. თავმოყვარე ვაჟკაცს აფხაზთაგან ვერავინ უბედავდა წინ გადადგომას. ამასობაში სანდროც წამოეშველა და ცოტა შეღავათი მიეცა. სარჩოს ასე თუ ისე აწვდიდნენ, მაგრამ სხვა მხრივ ვერ შველოდნენ ძმები რაჭველებს. აფხაზი ახალგაზრდობა გაუგონარი სისასტიკით დათარეშობდა ხეობაში.

— შენი იმედი არა მაქვს. იმისთვის არ მცალია, რომ გავიგო — სად დადიხარ და რას აკეთებ. იცოდე, ერთხელ გაპატიე ჩემი შერცხვენა. ახლა რამე რომ შეგნიშნო, ჩემი ხელით დაგახრჩობ, — მშვიდად, მაგრამ დამაჯერებლად უთხრა მუნამ ერთ დილით ახალგაღვიძებულ შვილს და კვლავ რაჭველებით დასახლებულ სოფელ ბზიფთში (ბზიფში არ აგერიოთ) გასწია. იმ ღამით ქართველების ხუთი ოჯახი გამოიყვანეს მთა-მთა, ბილიკებით მუნა და სანდრო შამბებმა სამშვიდობოს. აღარც ახსოვდათ, სულ რამდენი ოჯახი განარიდეს იქაურობას ომის დაწყების დღიდან. მთის ბილიკებზე ყოველდღიური ხეტიალის მიუხედავად, ძმები თავიანთი ნამოქმედარით იმდენად კმაყოფილები იყვნენ, რომ დაღლასაც ვერ გრძნობდნენ. იმ ღამეს, ორმოცდაათიან წლებში ჭრებალოდან ჩამოსახლებული ცხვედიანების ოჯახს მიადგნენ, — აქედან გაგიყვანთო, მაგრამ მასპინძელმა ისეთი ზიზღნარევი თვალებით შეხედა მუნას, კაცი ერთბაშად გაქვავდა — რა დაგიშავეთ, ხალხო, თქვენთვის სიკეთის მეტი რა მიკეთებიაო, მაგრამ ოჯახის თავკაცმა არ დააცალა, მხარზე ხელი წაატანა, შემოატრიალა და ლამპის შუქზე ერთიანად ტანსაცმელშემოგლეჯილი და სისხლით მოთხვრილი თავისი ქალიშვილი დაანახვა — ძვირად ფასობს შამბების სიკეთე. მამა ვითომ ქართველებს გვეხმარება, შვილი კი... ჯერ თვალთ დაუბნელდა, მერე გონს რომ მოვიდა, კლდის ქიმზე მოკაშკაშე ვარსკვლავს გახედა მუნა შამბამ. მერე ცის ის მონაკვეთი მოათვალიერა, ხეობას რომ დაჰყურებდა და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა — ვფიცავ!

მეორე დილით ხეობის ქვემოთ, სოფელ ბზიფის აგარაკზე მიაგნო მამამ თავის უძღებ ტრისტანს. წინა ღამის დრონატარები ეზოში წყლით იგრილებდა გახურებულ შუბლს. მუნამ ისე დაახალა ტყვია, სიტყვაც არ უთქვამს შვილისთვის. მხოლოდ აკივლებული მეზობლები დაამშვიდა, — ნუ შეწუხდებით, ამან ამაგი არ დაუფასა იმ ხალხს, ვინც რამდენჯერმე იხსნა და ამიტომ ტირილის ღირსიც არააო. მერე შვილის გვამი სარდაფში შეათრია, მიწა გათხარა და უკუბოოდ დამარხა. ალბათ ფიქრობდა, რომ კუბოც ზედმეტი იყო არამზადისთვის.

P.S. იმ დღის შემდეგ გამვლელები ხშირად ხედავდნენ სახლის აივანზე მჯდომარე მხარბეჭიან ვაჟკაცს, რომელსაც დიდი ხნის გაუპარსავი წვერი უფარავდა ლამაზ სახეს.

***ვაჟა გავაშელი***


გაერთიანებული ქართული ბანკი
UNITED GEORGIAN BANK

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | [illegible] 18 | 999 271 |
| [illegible] | [illegible] 10 | 251 394 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] 2 | 956 892 |
| [illegible] | [illegible] 67 | 942 587 |

"გაერთიანებული ქართული ბანკი"
სათაო ოფისი: თბილისი, უზნაძის ქ. 37
ტელ.: (+995 32) 942 702 / 995 736
ფაქსი: (+995 32) 999 139
E-mail: head@ugb.com.ge
www.ugb.com.ge

# ჩემი მეუღლის „საროჩკაში“ გაუხვევია ბავშვი და ვედროში ჩაუჩურთავს

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

***მომხდარით გაოგნებული და გაოცებულია ლელა კურდღელიას დედამთილი:***

— არ ვიცოდით, რომ ფეხმძიმედ იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც მეორე ბავშვი შეეძინა, არც მაშინ ეტყობოდა მუცელი. ისეთი ჩუმი იყო, მის ხმას ვერ გაიგებდით.

— **როგორც მითხრეს, ისე არ გიჭირთ მატერიალურად, რომ შვილი ვერ გაეზარდა... თქვენს ვაჟთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა?**

— არა, არავითარი ცუდი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ნამდვილად შეიძლებოდა ჩვენთან კიდევ ერთი ბავშვის გაზრდა, თუმცა ფართი ძალიან გვიჭირს. მე ოროთახიან ბინაში ვცხოვრობ, „ობშეჟიტიეს“ ეძახიან. თუ რამეა, საერთოა ყველაფერი. ჩემს რძალს იქ ბავშვების გაზრდა ძალიან უჭირდა.

— **მაგრამ დედასთან ჰქონია ნორმალური ბინა...**

— სულ დედასთან ხომ არ იქნებოდა. ყოველთვის ქმარიც არ უშვებდა. ახლაც არ უნდოდა ჩემს ბიჭს იქ რომ იყო, ეუბნებოდა, ხშირად რატომ დადიხარო.

— **უთქვამს, რომ აბორტის გაკეთება უნდოდა, მაგრამ ფული დამეხარჯაო...**

— იცით, იმ ნინოს უთქვამს, რატომ ხარჯავ მაგდენ ფულს, მე ისეთ ნემსს მოგცემ, რაც მე თავად გამიკეთებია და მუცელი მოგეშლება, არაფერი არ იქნებაო. ოთხი თვის რომ იყო, მაშინაც გაუკეთებია, მაგრამ არ მოეშალა. გინეკოლოგიაში ეგ წამალი არ არსებობს. თურმე ძროხებს უკეთებენ. ისე, მე ვატყობდი, რომ უკვე მესამეზე იყო ფეხმძიმედ, მაგრამ ასეთ წამალს თუ გაიკეთებდა, არ მეგონა. ახლა 7 თვის იყო და ამიტომ ორმაგი დოზა გაუკეთებია. არავითარი ჭინთვები არ ჰქონია, ისე დაუბადია ბავშვი.

— **მართლა ტუალეტში გააჩინა?**

— დიახ.

— **მერე, ვერ მიხვდა, რომ ბავშვი ცოცხალი იყო?**

— გათიშულა. სისხლდენა დაეწყო და სასწრაფოთი „ჩაჩავაში“ წაიყვანეს. ისე მძიმედ ყოფილა, რომ გზაში სასწრაფოს სამჯერ გაუჩერებია, სისხლი გადაუსხეს. მერე ექიმს უკითხავს: შენ სრულყოფილი მშობიარობა გქონია, სად არის ბავშვიო? არა, მხოლოდ სისხლის კოლტები იყოო, — ასე უპასუხია. არ ვიცი, ისე როგორ გაითიშა, რომ ვერ გაიგო. სამშობიაროში ვნახე ჩემი რძალი. როგორც გავიგე, ნინოს უთქვამს, ეს ისეთი ნემსია, როგორც კი ბავშვი დაიბადება და ჰაერი მოხვდება, მოკვდებაო... მერე ვედროში ჩაუგდია ბავშვი და ნაგავსაყრელზე წაუღია, თუნდაც ჩემი რძლისგან ნებართვა ჰქონოდა, ნუთუ დედის ჯიგარი არ ჰქონდა, სად მიჰყავდა. თუნდაც მკვდარი ყოფილიყო, უნდა გადაეგდო?! საავადმყოფოში როგორც კი გავიგე ეს ამბავი, ჩემს ბიჭს ვუთხარი, წადი და ის ბავშვი თუ მკვდარია, წამოიყვანე და გავაპატიოსნოთ როგორც წესიამეთქი. ნინოსთან რომ მისულა, უკითხავს: ქალი კვდება, ნინო, ამისთანა რა გაუკეთე და ბავშვი რა იქნაო. — არაფერი, არაფერი, კოლტები იყო რაღაცა, შევახვიე და გადავყარე ნაგავშიო. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამას გააკეთებდნენ. ეს ჩემი რძალი ცალკე კვდებოდა, რომ ვნახე გამიკვირდა, ორ დღეში ეს გოგო ასე როგორ შეიცვალამეთქი... მარიამობას ქმრისთვის უთქვამს, აქ არაფერს ისეთს არ მიკეთებენ და წამიყვანეო. იმასაც წამოუყვანია. მერე ექიმები დამადგნენ თავზე, — 240 ლარი გაქვთ გადასახდელიო. შევედი დირექტორთან და ვუთხარი, რა იყო 240 ლარის, სისხლი მე მოვიტანე-მეთქი. ასე მიპასუხა: — მადლობის მაგიერია, სიკვდილს გადავარჩინეთ და გადასახდელი რომ არის, არ იცითო?! მერე საბუთი მივიტანე, რომ ლტოლვილები არიან და გადარიცხვა გავაკეთე.



**ნაგავსაყრელზე გადაგდებული გიორგის და-ძმა: 7 წლის ირაკლი და 1 წლის ქრისტინე**

— **თუ ნახეთ თქვენი მესამე შვილიშვილი?**

— კი, წავედით და ვნახეთ. რომ ვნახე, გამიკვირდა, ნუთუ ამხელა ბავშვი ჩვენია-მეთქი. მერე დავაკვირდი მის ტერფებს, კოპიო მამამისის აქვს. მამამისს რაღაცნაირი სწორი ფეხისგულები აქვს, მერე შუბლი... წამოვედი, „მარშრუტკაში“ ისე ვტიროდი, გიჟი ვეგონე ვიღაცას. ჩემს ქმარს მოვუყევი ყველაფერი. იჩხუბა და იჩხუბა, წადით და ბავშვი წამოიყვანეთ ახლავეო! რძალს ვუთხარი: რა გიქნიათ, შენ ქალი ხარ?! ცოცხალი ბავშვი სანაგვეზე როგორ გადააგდე-მეთქი! — არ გამაგიჟო, ის ბავშვი ცოცხალი არისო?! — კედელს ურტყა თავი. იმის შემდეგ ჭამაც მიატოვა. ამ დროს აიყვანა პოლიციამ.

— **თქვენ აპატიებთ ამ დანაშაულს თქვენს რძალს?**

— რა ვქნა, უნდა ვაპატიო. ვინც გაუკეთა ის ნემსი, ის არის დასაჭერი.

— **თქვენს რძალთან შეუთანხმებლად ბასარია გაბედავდა ბავშვის გადაგდებას?**

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

— **ბოლოს და ბოლოს, გაგეშვილებინათ...**

— რას გავაშვილებდით, რას ამბობთ, რომ გამეგო, არ გავზრდიდი?! ისეთი უენო გოგოა, ხმა არ ამოუღია, საცოდავი იყო ყოველთვის.

— **როგორც გავიგე, თქვენი შვილიშვილები თქვენი რძლის გვარზე არიან. რატომ?**

— პატიმრობაში იყო ჩემი შვილი მაშინ და იმიტომ. მერე ხვალ, ზეგ და ხომ იცით, გადადებული საქმე.

***ლელა კურდღელიას დედა:*** „არასოდეს არაფერი ცუდი არ გაგვიკეთებია. ყოველთვის გიჟი დედა და ბებია ვიყავი. რომ გავიგეთ, ნინოს მივუვარდით სახლში. თქვა — კი, მე გადავაგდე, მაგრამ არ ვიცოდი, ცოცხალი თუ იყოო. ვინ გეკითხებოდა შენ, დავუშვათ ჩემი შვილი გაგიჟდა, რატომ მე არ მითხარი-მეთქი. ეს ვინ ყოფილა, ეს სადისტი. ჩემი შვილი ცოტა თამამი რომ ყოფილიყო, არ შემეცოდებოდა, მაგრამ რაღაცნაირი წყნარია და ვფიქრობ, რომ იმ ნინომ გამოაშტერა. არ ვიცოდი, ფეხმძიმედ რომ იყო. ჭკუაზე არ ვარ ქალი. სახლში რომ შევედი, ჩემი შვილი მკვდარი დამხვდა — ეს 28 წლის გოგო. ვეკითხები, რა სჭირს-მეთქი და ეს ნინო ფეხი ფეხზე გადადებული მეუბნება — არ ვიცი, რა სჭირსო. რომ ეთქვა, იმშობიარაო, სულ სხვაგვარად მოვიქცეოდი. რომელი დედაა შვილის მტერი. ერთადერთი, რაშიც მე ვადანაშაულებ ჩემს შვილს, ის არის, ასეთი რამის გაკეთება თუ უნდოდა, ჩემს სახლში რატომ გააკეთა! მე არაფერი ვიცოდი, ჯიხურში ვიჯექი და სუნელს ვნაყავდი. შემთხვევით გავიხედე და ვხედავ, ნინო გარბის ვედროთი. დავუძახე, მოდი-მეთქი, — არ მცალია, არ მცალიაო. ჩემი მეუღლის „საროჩკაში“ გაუხვევია ბავშვი და ვედროში ჩაუჩურთავს. ამ ყველაფრის შემდეგ თმით ვითრიე. მერე ვკითხე — ჩემი შვილიშვილია, რომ გადააგდე-მეთქი? კიო, — მიპასუხა. ცოცხალი იყო, რომ გადააგდე-მეთქი? — არ ვიცი, ხმას არ იღებდაო. მერე ვცემე. გაგიჟებული დავრბოდი, უკვე აღარ ვიცოდი, რას ვაკეთებდი.

*„კვირის პალიტრა“ ესაუბრა ასევე ნაგავსაყრელზე ნაპოვნი ბავშვის მამას* ***ჯანო შარანგიას****.*

— **მეუღლესა და თქვენ შორის კონფლიქტური დამოკიდებულება იყო?**

— პირიქით, ძალიან ნორმალური დამოკიდებულება გვქონდა.

— **იცოდით, რომ ფეხმძიმედ იყო?**

— ვიცოდი, რომ სამ თვემდე იყო. ფული მივეცი მოსაცილებლად, მაგრამ თვითონ ამ ნინომ დაახარჯვინა რაღაცებში.

— **ადანაშაულებთ თქვენს მეუღლეს?**

— არა. იმიტომ, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს, როცა უთხრეს, რომ ბავშვი მკვდარი დაიბადებოდა.

*ამის შემდეგ მან „კვირის პალიტრასთან“ სხვა კითხვებზე პასუხისგან თავი შეიკავა. ჩვენ ასევე ვცადეთ გავსაუბრებოდით დარბაზიდან გათავისუფლებულ ლელა კურდღელიას, თუმცა ის სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სახეს გვარიდებდა და ცხარე ცრემლით ტიროდა.*

***მარინა მამისაშვილი***










## „კვირის პალიტრის“ რედაქციას...

პატივცემულო კოლეგებო:
1992 წლის არეულობის დღეებში, საგანგებო მივლინებით გახლდით ზუგდიდში. მას შემდეგ დიდი დროა გასული და ამბავმა, რაც თავს გადამხდა, დაკარგა პრაქტიკული ინტერესი, მაგრამ მსურს დღეს, დაგვიანებით მაინც, თქვენი რესპექტაბელური გაზეთის ფურცლებიდან, მადლობა გადავუხადო ყველა იმ პიროვნებას, ვინც ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, მძიმე წუთებში, გარკვეული რისკის ფასად კეთილი სიტყვა არ დაიშურა და გამომექომაგა.
ახლა კი, ბარემ, ჩემს ზუგდიდურ „ეპოპეასაც“ გიამბობთ, რომელიც რეალურ მოვლენებთან და პიროვნებებთან კავშირის გამო, ვფიქრობ, მაინც აღძრავს მკითხველში გარკვეულ ინტერესს.

*ომარ ჩიტაია*

# ერთი დღე ზვიადისტების ტყვეობაში

**გაიღო კარი და შემოჰყავთ ბადრაგით სალსალამათი ყარყარაშვილი...**



## ინტერვიუ საკუთარ თავთან...

მოგეხსენებათ, ჟურნალისტები ერთმანეთის თავგადასავლებით ნაკლებად ვინტერესდებით, ამიტომ იძულებული ვართ ზოგჯერ საკუთარ თავს თვითონვე ჩამოვართვათ ინტერვიუ, ისე, როგორც ამას ახლა მე ვაკეთებ. ე.ი. როგორც იტყვიან, კორესპონდენტიც და რესპონდენტიც თვითონ გახლავართ.

***კორ.*** **— პატივცემულო ომარ (ვეკითხები ჩემს თავს!), 1992-ში არეულობის დროს, საინტერესო ამბავი გადაგხდათ ზუგდიდში. როგორ იყო ეს?**

***ო.ჩ.*** — ეს ის დროა, როცა შევარდნაძე ახალი ჩამოსულია მოსკოვიდან საქართველოში. ზვიადისტები ზუგდიდში არიან გახიზნული, ხოლო სიგუასთან უკვე შექმნილია საინფორმაციო ცენტრი არჩილ გოგელიას ხელმძღვანელობით. მეც იქ ვმუშაობ, ჟურნალისტ რამინ ჭელიძესთან ერთად.

ერთ დღესაც გოგელია მეუბნება: „სასწრაფოდ უნდა წახვიდე ზუგდიდში. შევარდნაძე სამეგრელოში ჩასვლას აპირებს და იქაური სიტუაციის ანალიზია საჭირო. შენ შეგიძლია, მეგრული იცი, იქაურებიც გიცნობენ“.

დიდად არ გამხარებია. მოგეხსენებათ, რა პერიოდია. ორად გაყოფილი საქართველო დაპირისპირების პიკზეა. თბილისის უაზრო კონფლიქტს არაერთი ზვიადისტიც შეეწირა. და ახლა, ამ ცხელ გულზე, ზუგდიდში თბილისელი კაცის ჩასვლა, ლომის ხახაში თავის შეყოფას უდრის.

მაგრამ რას იზამ, დავალებაა. მომამაგრეს ფოტოგრაფი „საქინფორმიდან“ და წავედით მატარებლით. დღე-ნახევრის შემდეგ, რის ვაივაგლახით ჩავაღწიეთ სენაკში, სანამდისაც დადიოდა იმ დროს მატარებელი. პოლიციაში გივი კვანტალიანი დაგვიხვდა. ავუხსენით ჩამოსვლის მიზანი და ზუგდიდში წაყვანა ვთხოვეთ.

„ხომ არ გაგიჟებულხართ, — გვეუბნება, — ახლა იქ თბილისელი პოლიციელის და ჟურნალისტის გამოჩენა იქნება? არა, ძმაო, მე მიგაცილებთ ხობამდე და მერე თქვენი საქმისა თქვენ იცითო“.

მართლაც ჩაგვაბარა ხობის პოლიციას და წავედით ზუგდიდში.

ტრასაზე საეჭვო, ქარიშხლის მომასწავებელი სიჩუმეა. სოფელ ცაიშთან ხიდს მივადექით. თუმცა რა ხიდი, რის ხიდი — აფეთქებული ბეტონის გროვებია.

ის იყო მანქანიდან გადმოვედით მდინარეზე ფონის მოსაძებნად, რომ პირველი ტყვიაც გავარდა. სწრაფად ისევ მანქანაში ჩავსხედით და

**— ა, თქვენი ყარყარაშვილი, დაპატიმრებული... თუ ხართ დიდი ჟურნალისტები, აიღეთ ახლა ამისგან ინტერვიუ და მოყვეს, როგორ უნდა აეღოთ ზუგდიდი, ორმოცი კაცით!..**

უკან წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ უკვე გვიანია: შეიარაღებულმა ზვიადისტებმა გზა ყველა მხრიდან მოგვიჭრეს. წიხლის ცემით გადმოგვყარეს მანქანიდან, იქვე რომელიღაც ოდასახლის კედელზე აგვაყუდეს და იარაღი შემართეს.

ამ დროს, იმავე სახლის აივნიდან ვიღაც ქალი გამოგვექომაგა მეგრულად: — ასე უპრაკონოდ რომ ხვრიტავთ ამ ხალხს, რა იცით, რა საქმეზე მოდიან, ჯერ გაიგეთ და მერე რაც გინდათ, ის ქენითო.

— შენ ვინ გეკითხებაო, — შეუკურთხეს და კალაშნიკოვის ერთი ჯერი იმ სახლსაც დააყარეს.

იმ დალოცვილმა ქალბატონმა ხმა კი ჩაიკმინდა, მაგრამ საქმე მაინც გააკეთა: ჩვენი დამტყვევებლები ჩაფიქრდნენ, ქალის ნათქვამი მაინც ჭკუაში დაუჯდათ, ჩაგვყარეს ისევ მანქანაში და შორიახლოს მდგარი ოდა-სახლის ეზოში შეგვაგრიალეს. აქ შტაბივით ჰქონიათ მოწყობილი. სავსეა ეზო შეიარაღებული ახალგაზრდებით. მათ შორის ერთი შავოსანი, ხმელ-ხმელი, მკერდზე გლოვის სურათიანი კაციც არის, რომელმაც ჩვენს დანახვაზე გულზე ხელი დაიბრაგუნა და მეგრულად იყვირა: — თბილისელები არიან ხომ, მოსულა მაგათი შავი დღე. ახლა მაინც ამოვიყრი ჩემი შვილის ჯავრსო! — გამოსტაცა ერთ შეიარაღებულს ავტომატი და დაგვიმიზნა. ბედზე ავტომატის პატრონმა ხელის აკვრა მოასწრო და ტყვიებმა თავზე გადაგვიზუზუნა.

ჩამოგვართვეს ფოტოაპარატი, საბუთები. არც დაგვიმალავს, რომ ჟურნალისტები ვიყავით. ერთადერთი, მეგრულის ცოდნა არ გავამხილე — ვაითუ, უფრო გავალიზიანო-მეთქი! დანარჩენი ყველაფერი ალალად მოვუყევით და ისიც კი ვუთხარით, რომ შევარდნაძეს ჩამოსვლა და ხალხთან პირადად შეხვედრა სურს, ჩვენ კი დავალებული გვაქვს გავარკვიოთ, რამდენად მისაღები და შესაძლებელია ეს ახლანდელ პირობებში.

დაგვიჯერეს თუ არ დაგვიჯერეს, — თქვენ აქ იყავითო, — გვითხრა ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა დამტყვევებელმა, — ჩვენ ამ საბუთებს სადაც საჭიროა, იქ შევამოწმებთ და მალე მოვალთ, ფეხი არსად გაადგათო.

ღმერთო ჩემო! სად უნდა გავადგათ. ლიმონკებითა და აკაესებით შეიარაღებულნი, „ბოევიკებივით“ გვადგანან თავზე.

ამ დროს გამოდის სამზადიდან ტანმორჩილი ქალი ხონჩით ხელში — ზედ ღომით სავსე ორთქლიანი თეფშებია, ქათმის ხორცით და გვეუბნება — მობრძანდით სუფრასთან, მოშივებული იქნებით, მე დიასახლისი გახლავართო. მოულოდნელობისგან თვალები შუბლზე ამივიდა. რაღაც მადლობისმაგვარი წავილუღლუღეთ, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვართ. ჭამა კი არა, დანა პირს არ გვიხსნის.

ახლა კაციც გამოვიდა სამზადიდან და პატარა გრაფინით არაყი მოაქვს.

— მობრძანდით, ოჯახი დაგვილოცეთ, ჩხაიძეები ვართო, — გაგვეცნო.

გავბედეთ. საჭმელს პირი ვერ დავაკარეთ, არაყი კი გვესიამოვნა და სიმხნევეც ვიგრძენით.

უცბად ოთახში ისევ ის შავოსანი კაცი შემოვარდა და უყვირის მასპინძელს: მეგრულად: — როგორ ბედავ ამ გაფუჭებულ თბილისელებს, ზვიადის მოღალატეებს რომ უმასპინძლდები. საჭმელი კი არა, აქვე დასახვრეტები არიან და კიდევაც დავხვრეტო, — თქვა და რაღაც ძველი ტიპის რევოლვერი დააძრო (ალბათ არც ისროდა!). მასპინძელმა მაინც ხელი უტაცა და მეგრულად უპასუხა: — აქ, ჩემს ოჯახში სისხლი არ დაიღვრება. ეზოს გარეთ რაც გინდათ, ის ქენითო.

აგაშენა ღმერთმა!

ნამდვილი ჯოყოლას და ზვიადაურის ამბავია!

ამ დიდებულმა მასპინძელმა თითო ჭიქაც დაგვალევინა ძალით და ამ დროს „აქტივისტებიც“ მოგრიალდნენ — აბა, წავედით, ზუგდიდში ქობალია გველოდებაო. ჩაგვყარეს ისევ მანქანაში და მივყავართ.

მთელი ქალაქი აზიმზიმებულია, ხოლო ცენტრალურ ქუჩაზე, ხეივანში, გაგანია მიტინგია. მეგაფონიდან ისმის ჯაბას და კიტოვანის გინება. შეგვიყვანეს შტაბში, ზაურ ქობალიასთან, ლოთის ბიძაშვილთან. დაიწყო ხელმეორედ ჩვენი დაკითხვა. ჩვენც იმავეს ვპასუხობთ.

— შევარდნაძეს აქ როგორ ჩამოვუშვებთ, — გვეუბნება ქობალია, — ან თქვენ ვინ გეკითხებათ აქაურ ამბებს? კარგად იტყუებით, მაგრამ ჩვენ ვიცით თქვენი ჩამოსვლის მიზანი... აქეთ ყარყარაშვილი ამოფრინდა თავისი დესანტით, იქით თქვენ ჩამოხვედით, რომ გადაიღოთ, როგორ აიღებს ყარყარაშვილი ზუგდიდს და მერე უჩვენებთ თბილისელებს, ხომ?! პირი დავაღეთ. მსგავსი კომბინაცია ბუნებაში არ არსებობდა. არც დესანტის შესახებ გაგვიგია რამე.

— რა, ვითომ არ იცით, ხომ?! — განაგრძობს ზაური, — მაგრამ ვერც ყარყარაშვილი აიღებს ზუგდიდს და ვერც თქვენ გადაიღებთ ვერაფერსო. თან ხელით ვიღაცას ანიშნა.

გაიღო კარი და შემოჰყავთ ბადრაგით სალსალამათი... გია ყარყარაშვილი.

— ა, თქვენი ყარყარაშვილი, დაპატიმრებული... თუ ხართ დიდი ჟურნალისტები, აიღეთ ახლა ამისგან ინტერვიუ და მოჰყვეს, როგორ უნდა აეღოთ ზუგდიდი, ორმოცი კაცით!.. — თქვა და ვიღაც ახალგაზრდას ვიდეოკამერა ჩაართვევინა.

ბატონ გიას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ტელევიზიით მყავდა ნანახი სულ ერთი კვირის წინ. შევწუხდი. რა ვკითხო, რით დავიწყო. ვაითუ ერთი დაუფიქრებელი შეკითხვით სულ გავუფუჭო საქმე და კაცი მართლა დასახვრეტად გავწირო. უცებ გამახსენდა, რომ იმ ერთი კვირისწინანდელ ინტერვიუში ყარყარაშვილი ჩიოდა: — ძალიან დავიღალე, მომბეზრდა ისევ ქართველებთან ომობანა. ექვსი თვეა, ოჯახი არ მინახავს. ამ დაპირისპირებას უნდა ჩამოვშორდეო.

მეც ეს სიტყვები შევახსენე. გიას თვალები გაუბრწყინდა. იგრძნო, რომ დაძაბულობის განმუხტვა მსურდა და თვითონაც ამყვა: — მართლაც, რა მაქვს ამ ბიჭებთან გასაყოფი, ერთად ვიბრძოდით ოსეთში, ერთად გამოვიარეთ ყველა გაჭირვება... ახლაც დასახმარებლად ჩამოვედით, ინფორმაცია მოგვივიდა — ზუგდიდში შეიარაღებული ჩეჩნები გამოჩნდნენო.

— მერე არიან მართლაც ჩეჩნები?

— არა, არ არიან და ჩვენც ერთი ტყვია არ გვისვრია, ისე ჩავბარდით ბიჭებს.

— ბატონო გია, როგორ გექცევიან აქაურები?

— ძალიან კარგად, სულ ელარჯს მაჭმევენ!

ამ ინტერვიუს დროს, ცალი თვალი და ყური ქობალიასკენ მქონდა, რომელსაც ზვიადის დაცვის ერთ-ერთი წევრი, გოჩა ბახია რაღაცას ხმადაბლა ეუბნებოდა და თან ჩემზე უთითებდა.

არც ეს ამბავი მომეწონა.

ინტერვიუს რომ მოვრჩით, ქობალია მეკითხება: — კაცო, შენ მართლა პატარა აკაკის როლი ითამაშე კინოში?

— დიახ, იყო ასეთი ამბავი-მეთქი.

— ჰოდა, თუ ასეთი ნიჭიერი მსახიობი და არტისტი ხარ, რად გინდა ეს ჟურნალისტობა და აგენტობა.

ახლა ამ კაცს უმადლოდე (ბახიაზე მიმითითა), თურმე შენ და ამის დედა ერთად სწავლობდით უნივერსიტეტში: — მაგი ისეთი კაცია, ცუდი მიზნით აქ არ ჩამოვიდოდაო — უთქვამს. ვენდობი იმ ქალს და გაგათავისუფლებ, მაგრამ მანამდე რაღაც უნდა გიჩვენო. გამიყვანა გვერდზე, დიდ ოთახში და ახალი იარაღის მთელი არსენალი წარმომიდგინა. — ა, ხომ ხედავ, შევარდნაძეს გადაეცი, თუ ომითა და უბედურებით წამოვა ჩვენკენ, ჩვენც მაგრად დაგხვდებითო.

— ბატონო ზაურ, ყარყარაშვილს რას უპირებთ? — ვეკითხები.

— რა უნდა ვუქნათ, მაინც ჩვენი ძმაა. ვაჭმევთ ერთი-ორჯერ კიდევ ელარჯს და გავათავისუფლებთ მაგასაც.

ის ღამე ისევ ჩხაიძეების ოჯახში გავათენეთ და დილით ადრე წამოვედით. კი გვეხვეწა კეთილი მასპინძელი — ერთი დღე კიდევ დარჩით, დაისვენეთო. მაგრამ იმ მგლოვიარე შავოსანი მეზობლის შიშით (რომლის შემორიგება ვერა და ვერ შევძელით) რას დავრჩებოდით.

ყარყარაშვილთან ინტერვიუს ერთი თვის განმავლობაში, ხშირად ატრიალებდნენ თურმე ზუგდიდის ტელევიზიით.

ხოლო შევარდნაძე, გარკვეული დროის შემდეგ, მართლაც ჩავიდა სამეგრელოში და გამართა ხალხთან ძნელი, მაგრამ აუცილებელი შეხვედრები.

ერთი წლის შემდეგ ტყვარჩელის მისადგომებთან კვლავ მხარდამხარ იბრძოდნენ ყარყარაშვილი და ზაურ ქობალია, რომელმაც ოჩამჩირეში შეხვედრისას გამანდო: — ერთადერთი კაცი საქართველოში, ვინც ნამდვილი ომი იცის — გია ყარყარაშვილიაო.

**P.S.** ამ მოგონებიდანაც აშკარად ჩანს, რომ მეგობრობის, ნათესაობისა და სტუმართმასპინძლობის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ხელოვნური და ამაოა ყოველგვარი დაპირისპირება და ქართველი ხალხი, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, აუცილებლად გაერთიანდება ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში...

ღმერთმა ქნას!..


## მობრძანდით ისრაელის სანახავად

ისრაელის საელჩოს აქვს პატივი მოგიწვიოთ ფოტო-გამოფენაზე „ჰორიზონტი“, რომელიც გაიმართება 4-დან 19 სექტემბერს ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ლ. გუდიაშვილის 7, მე-3 კორპუსი).

გამოფენაზე დასწრება უფასოა. შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველდღე 10-18 სთ-მდე.

გამოფენა წარმოგიდგენთ მრავალფეროვან ფოტოებს, რომლებიც სრულად ასახავენ ისრაელის სიმშვენიერეს. თქვენ საშუალება მოგეცემათ თვალი გადაავლოთ ამ ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, მიღწევებს სოფლის მეურნეობასა და ინდუსტრიაში, ქალაქურ პეიზაჟებსა და წმინდა ადგილებს, უდაბნოს გასაოცარ ხედებსა და უნიკალური არქეოლოგიური გათხრებს.

მობრძანდით, მოხარული ვიქნებით თუ გვეწვევით.





# რას გვეცყვი, მამაო?

**— შეიძლება თუ არა გამოუვალ მდგომარეობაში (მაგალითად, საზღვარგარეთ ყოფნისას) მართლმადიდებელმა ილოცოს კათოლიკურ ეკლესიაში?**

— მოდით, თქვენთან ერთად მივყვეთ მოვლენებს: შეხვედით კათოლიკურ ეკლესიაში და ამ დროს ლოცულობთ მართლმადიდებლურად, რა ლოცვა იქნება ეს? კათოლიკურ მესაში მონაწილეობა (აღსარება, ზიარება) დაუშვებელია მართლმადიდებლისათვის (ისე როგორც ლუთერანულ, პროტესტანტულ თუ სხვა), რადგან ამ ეკლესიებს შორის არ არის ევქარისტიული (ლოცვითი) კავშირი.

საზღვარგარეთ ყოფნისას შეგიძლიათ ილოცოთ ნებისმიერ მართლმადიდებლურ ტაძარში (ბერძნულ, რუსულ, სერბულ და სხვა).

**— აფხაზეთის ომში ბევრ უმსგავსო ადამიანს აქვს მონაწილეობა მიღებული. მათ შორის არიან აფხაზი ბოევიკები და რუსი გენერალი-მკვლელები. შეიძლება თუ არა მათი გადაცემა „ანათემაზე“ და ვინ უნდა გააკეთოს ეს?**

— სამწუხაროდ, ნებისმიერ საომარ მოქმედებებს ულმობელი კანონები აქვს — მათ თან სდევს სისასტიკე, დაუნდობლობა და კაცის კვლაც. ანათემას კი გადაეცემა ადამიანი მისი კონკრეტული მოქმედების შედეგად — მწვალებლობის, ზნედაცემულობისა და მისთ.

აფხაზეთის ომი იყო საქართველოსთვის გარედან თავსმოხვეული კონფლიქტი და მასში მონაწილე შემთხვევითი თუ არაშემთხვევითი ადამიანების ანათემაზე გადაცემა არათუ არ შეუწყობს ხელს მომავალში კონფლიქტის მოგვარებას, არამედ კიდევ უფრო დაძაბავს ურთიერთობას იმ ხალხთან, ვისთანაც გველის მშვიდობიანი თანაარსებობა.

**— გარდაგვეცვალა მცირეწლოვანი ახლო ნათესავი, რომელიც მოუნათლავი იყო. სოფლის მოძღვარმა გარდაცვლილი არ მონათლა. რა შეგვიძლია ახლობლებმა გავაკეთოთ პატარის სულის საცხონებლად?**

— ცხადია, გარდაცვლილ ბავშვს მოძღვარი ვერ მონათლავდა. სამწუხაროდ, ერთადერთი, რითაც შეგიძლიათ გაიქარვოთ უნათლავად აღსრულებული ყრმის დაკარგვით გამოწვეული სინანული, ეს გახლავთ მოწყალების გაცემა მის სახელზე. შეგიძლიათ მოიხსენიოთ პირად ლოცვებში... დანარჩენი კი მიანდეთ ყოვლადმოწყალე უფალს.

**— მე შინაგანი ხმა მომიწოდებს ბერობისკენ. ხომ ვერ დამეხმარებით რჩევით, რა უნდა მოვიმოქმედო, რომ ამ გზას დავადგე?**

— ადამიანი, რომელიც ბერობის გზას ირჩევს, გაივლის გარკვეულ საფეხურებს. უპირველესად — ეს არის გზა თვითჩაღრმავებისა, საკუთარი თავის შეცნობისა, რაც არც ისე ხანმოკლე პროცესია (რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც უნდა გრძელდებოდეს). ამ გზაზე პოვებთ პასუხს — გაქვთ თუ არა მოწოდება ბერობისკენ, ანუ ლოცვისკენ, განმარტოებისკენ, უკიდურესი თავშეკავებისკენ — ეს ერთი; მეორე — უნდა შეეთვისოთ საეკლესიო ცხოვრებას, ამ ცხოვრების რიტმს, მის წესრიგს, მის საზრისს; მესამე — უნდა შეიმეცნოთ ქრისტიანული ასკეტიზმი, გაერკვეთ, რა არის ეს და გამოსცადოთ თავი ამ თვალსაზრისით (მარხვა, მღვიძარება, საკუთარ ზრახვებში გარკვევა, სინანული, მორჩილება და სხვ.); მხოლოდ საკუთარი თავის მრავალწლიანი გამოცდის შემდეგ (რაც შეიძლება აღსრულდეს როგორც ერში, ისე — მონასტერში), შეგიძლიათ პირველი ნაბიჯი გადადგათ ბერმონაზვნობის გზაზე.

**— როგორ მოვიქცეთ, უთხოვნელად უნდა დავეხმაროთ გაჭირვებულს, თუ დაველოდოთ შემოტირებას? — ვპასუხობთ ბ-ნ ნ. ფიჩხნარაშვილს, (იხ. „კვირის პალიტრა“, №35).**

— ადამიანის ქცევის მოტივაციას ასეთ დროს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს მისივე საკუთარი სინდისი და ზნეობა. გაჭირვებული კაცი, მორიდების ან სირცხვილის გამო, ხშირად ვერ ბედავს წუწუნს თუ „შემოტირებას“. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვისაც ხელეწიფება დახმარების გაწევა, არ დაეხმაროს მოყვასს.

უფალი ყოველი ადამიანის მოვალეობად თვლის გულმოწყალებას, რისთვისაც ზეციურ სასუფეველს აღუთქვამს. მაგალითად სახარებისეული „გულმოწყალე სამარიტელის“ იგავიც გამოდგება: როდესაც ყაჩაღებისგან გაძარცულსა და დაჭრილ ებრაელს მისივე ტომის მესჯულენი მდუმარედ აუვლიან გვერდს, სიკვდილს გადაარჩენს და უმკურნალებს სამარიტელი შემთხვევითი გამვლელი — იმ დროს კი სამარიტელნი საერთოდაც იმ ტომის წარმომადგენლები გახლდნენ, რომელთაც რელიგიური და ეროვნული მტრობა ჰქონდათ ებრაელებთან...

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# დაატოვებინებენ გივი თარგამაძეს ანტიკორუფციულ საბჭოს?

(დასაწყისი იხ. გვ.7)

ამ გამოსვლებს ყოველთვის ხელმძღვანელობდა მირონ ფირცხელანი, რომელსაც სააკაშვილთან არავითარი კავშირი არა აქვს. პირიქით, ეს ხალხი სააკაშვილის ფრთას „ეი-ი-ეს“-ის ლობირებაშიც კი ადანაშაულებდა. თვითონ მირონ ფირცხელანი საკმაოდ თავისებური ადამიანია და მისი მართვა არც ისე ადვილია. სხვათა შორის, ენერგეტიკოსთა გამოსვლების უკან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფინანსურ-ენერგეტიკული ჯგუფი იდგა, რომლებსაც გარკვეული ფინანსური ინტერესები ამოძრავებდათ. აქ კიდევ მეორე მომენტია. ჩემი აზრით, მთელი ეს აურზაური იმისთვისაც არის ატეხილი, რომ ზოგიერთი ჩინოვნიკი თანამდებობიდან ჩამოაბრძანონ.

— **ვის გულისხმობთ?**

— ვის და დავით მირცხულავას. ვფიქრობ, ზემოხსენებული მთავრობის სხდომა ენერგეტიკის მინისტრის ჩანაცვლების მცდელობას ემსახურებოდა. ამ ძირითად თემას კი ბარემ მიაბეს ვითომ მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საშიშროება.

— **სხვათა შორის, მირცხულავა მთავრობის სხდომებზე არაერთხელ გაატარეს კრიტიკის ქარცეცხლში, მაგრამ თანამდებობას მას რატომღაც არავინ ატოვებინებს.**

— დიახ, ამ მხრივ მირცხულავა ყველაზე იღბლიანი მინისტრი აღმოჩნდა. ჩემი აზრით, აქ არცთუ პატარა როლს თამაშობდა ამერიკული მხარდაჭერა სწორედ იმ რეფორმების გამო, რომელსაც მირცხულავა ატარებდა. ამჟამად რეფორმა თითქმის დასრულებულია და გამორიცხული არ არის, უცხოური მხარდაჭერაც შენელდეს, მით უმეტეს, რომ მირცხულავას დროდადრო რუსეთის მიმართ სიმპათიებშიც ამხელდნენ.

— **ავი ენები ამბობენ, გივი თარგამაძეს ანტიკორუფციულ საბჭოს დაატოვებინებენო.**

— ამ პოლიტიკური პროვოკაციის მიზანი სწორედ ის არის, რომ როგორმე ჩამომაშორონ ანტიკორუფციულ საბჭოს. ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ და მიზანი საბოლოოდ გაცხადდა. ჯერ იყო, მამალაძის მომხრე არასამთავრობოები ამიმხედრეს, რომლებიც ხან პრეზიდენტს მოუწოდებდნენ და ხან მე, საბჭო დამეტოვებინა. მერე თვითონ შევარდნაძემ განაცხადა — ამ საქმეში, რა თქმა უნდა, არ ვერევი, მაგრამ ანტიკორუფციული საბჭო უნდა შეიკრიბოს და გივი თარგამაძის საკითხი საბოლოოდ გადაწყდესო. კი, მაგრამ რის საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნებს პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს მოსამართლეა ის თუ გულთმისანი? მაშინ თქვას, რომ ყვარყვარეა და მას არც მოსამართლე და არც გამომძიებელი არ სჭირდება ადამიანის ბედის გადასაწყვეტად.

— **რატომ გთხოვენ ანტიკორუფციული საბჭოს დატოვებას?**

— იმიტომ, რომ თურმე შეიძლება ჩემი თანამდებობა გამოვიყენო და გამოძიებას ხელი შევუშალო. ჯერ ერთი, მე თანამდებობის პირი არა ვარ. ანტიკორუფციული საბჭო არის საკონსულტაციო-საზოგადოებრივი ორგანიზაცია; ხოლო თავისუფლების ინსტიტუტი არის არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. კანონმდებლობის მიხედვით, არც ერთგან თანამდებობა არ მიკავია. თუ აუცილებელია, რომ ანტიკორუფციული საბჭო დავტოვო, კი ბატონო, კეთილი ინებოს პრეზიდენტმა (რომელმაც თავის დროზე თვითონ მიმიწვია საბჭოში სათანამშრომლოდ) და რომელიმე საჯარო გამოსვლით ან თუნდაც წერილობით პირადად მომმართოს, რომ დავტოვო ანტიკორუფციული საბჭო. სხვა შემოვლითი გზებით იგი ამას ვერ მიაღწევს. მოტივაცია ჩემთვის სრულებით ნათელია — გარდა იმისა, რომ ჩემი გამოსვლებით ვაღიზიანებ პრეზიდენტს, არის კიდევ მეორე პრობლემაც — აგერ, მოახლოვდა დიდი პრივატიზაციის საკითხი იმავე ფოთის პორტთან დაკავშირებით და შევარდნაძე წინასწარ თავს იზღვევს. ფოთის პორტი გახლავთ ახვლედიანების ძირითადი დასაყრდენი. ასე რომ, შევარდნაძის სურვილში, როგორმე ჩამომაშორონ ანტიკორუფციულ საბჭოს, არის მისი დიდი და გაუმაძღარი ოჯახის პრაქტიკული და პრაგმატული ინტერესები. ანტიკორუფციული საბჭო რომც დავტოვო, საზოგადოებას ტენდერებთან დაკავშირებულ ინფორმაციას მაინც მივაწვდი.

*ხათუნა ყვირალაშვილი*

# გინესის ახალი რეკორდი თბილისის სამშობიაროში

სენსაციური შეიძლება ეწოდოს თბილისის ერთ-ერთ სამშობიარო კლინიკაში მომხდარ შემთხვევას — ქირურგმა-გინეკოლოგმა მშობიარის საკეისრო კვეთას და ახალი სიცოცხლის დაბადებას ზუსტად 31 წამი მოანდომა. ეს მოკლედ.

აშშ-ის მოქალაქე ანეტ ბესინგერს, რომელიც საქართველოში მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, მოულოდნელად, ვადამდე დაეწყო სამშობიარო ტკივილები. იგი გაუქანებიათ ტერიტორიულად ახლომდებარე №4 საავადმყოფოს სამშობიარო კლინიკა „გინეკაში“; პაციენტის გასინჯვამ აჩვენა, რომ მდგომარეობა უმძიმესი იყო. წამები წყვეტდა ყველაფერს, საკეისრო კვეთასაც თითქმის აღარ ჰქონდა აზრი და ექიმებმა გადაწყვიტეს, მთელი ყურადღება დედის გადარჩენისაკენ მიემართათ. საბედნიეროდ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ელგუჯა ტარტარაშვილმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. კატეგორიულად განაცხადა — საკეისროს გავაკეთებ და ბავშვსაც გადავარჩენო. მართლაც, რეკორდულ დროში, 31 წამში, ქირურგ-გინეკოლოგს ჩვილი ხელში ეჭირა. დედაც და ახალშობილიც გადარჩნენ. ახალბედა მამა კი, რომელიც ყველაფერს ვიდეოკამერაზე აფიქსირებდა, განცვიფრებას ვერ ფარავდა მომხდარის გამო. სწორედ ვიდეოკამერის წამმზომის შედეგად დაფიქსირდა ოპერაციის რეკორდული დრო. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ბატონ ელგუჯას მსგავს სახიფათო სიტუაციებში უფრო სწრაფადაც უმუშავია, რაც ვიდეოკამერით დაფიქსირებული არ არის. თეორიულად, რაც 31 წამში გააკეთა, სამედიცინო ნორმებით 7-10 წუთში უნდა შესრულდეს, ერთეული გინეკოლოგები ამას თურმე ორ წუთშიც ახერხებენ, მაგრამ არა 31 წამში. პატარა ჯორჯის მამამ, რიჩარდ ბესინგერმა, შემდგომ „გინეკას“ ხელმძღვანელობამაც ინტერნეტში მოიძიეს ინფორმაცია და დაადასტურეს, რომ დოქტორმა **ელგუჯა ტარტარაშვილმა** მსოფლიო მასშტაბის რეკორდი დაამყარა. გადავწყვიტეთ, გავსაუბრებოდით რეკორდსმენ გინეკოლოგს. ზედმიწევნით თავმდაბალი გაოცებული გვეკითხებოდა: „რას ხედავთ ამაში განსაცვიფრებელს, უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ“. დიალოგი მაინც შედგა.

— **დიდი ხანია, რაც „ჩქაროსნულ მეთოდს“ იყენებთ ოპერაციების კეთებისას?**

— უკვე 5 წელია. ხშირია შემთხვევა, როცა ნაყოფს მუცლად ყოფნის დროს უვითარდება ღრმა ჰიპოქსია. ამ დროს ნაყოფის ტვინში ჟანგბადის ნაკლებობის გამო იწყება შეუქცევადი პროცესები და აუცილებელია ახალშობილმა რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს დედის წიაღი. შეიძლება განვითარდეს პლაცენტა-პრევის შემთხვევა, როცა პლაცენტის წინამდებარეობის გამო შეუძლებელი ხდება ფიზიოლოგიური მშობიარობა, ამ დროს იწყება სისხლდენა, რამაც შეიძლება დედა-შვილის სიცოცხლე შეიწიროს. აქაც აუცილებელია სასწრაფოდ მოხდეს ბავშვის დაშორება დედის მუცელთან.




ბატონი ელგუჯა ჩვილით ხელში

— **ალბათ შეუძლებელია, მთლიანად ოპერაცია 31 წამში დასრულდეს.**

— რა თქმა უნდა, საკეისრო კვეთა შედგება ორი ეტაპისგან, პირველი მოიცავს მშობიარისათვის ნარკოზის მიცემას, ოპერაციის დაწყებას და ბავშვის ამოყვანას. მეორე ეტაპი კი იწყება ბავშვის ამოყვანიდან და გრძელდება ოპერაციის საბოლოო დამთავრებამდე. პირველი ეტაპია მნიშვნელოვანი — რაც უფრო სწრაფად სრულდება ეს პროცესი, მით უფრო ნაკლები საფრთხე ემუქრება ჩვილის სიცოცხლეს.

— **ხშირად არის საკეისრო ოპერაციების აუცილებლობა მშობიარის მძიმე მდგომარეობის გამო?**

— ახლახანაც გვქონდა შემთხვევა, როცა ნაყოფის გულისცემა 80-მდე დაეცა. ეს იმდენად კრიტიკული მდგომარეობაა, რომ ჩვილი პრაქტიკულად განწირულია და საკეისროც აღარ კეთდება. მე მაინც გავაკეთე ოპერაცია. ამერიკელებთან მომხდარი შემთხვევის შემდეგ, ჩვენი დირექტორი ჩასაფრებულივით დროს მინიშნავს ოპერაციაზე. მითხრა, ბავშვი 20 წამში ამოიყვანეო. გასაკვირს ამაში ვერაფერს ვხედავ. ოპერაციის მეთოდში არაფერი შემიცვლია. როცა ბავშვის სიცოცხლე საფრთხეშია, რაღაც მემართება, ჩემი თითები განსაკუთრებით სწრაფად იწყებენ მუშაობას, ეგ არის და ეგ.

— **გამიგია, რომ მშობიარე ხშირად მაშინაც დაჟინებით ითხოვს საკეისრო კვეთას, როცა ამის აუცილებლობა არ არის.**

— დიახ, ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ მომავალი დედები, რომ ფიზიოლოგიური მშობიარობა სჯობს. დღეს უკვე არსებობს სპინალური გაუტკივარება. რაც მშობიარეს აძლევს გარანტიას, უმტკივნეულოდ იმშობიაროს. დაუშვებელია საკეისრო კვეთის გაკეთება აუცილებლობის გარეშე. თუმცა, პაციენტს კონსტიტუციური უფლება აქვს, ექიმიც სურვილისამებრ აირჩიოს და მშობიარობის ფორმაც.

ამ კონსტიტუციური უფლებით ხშირად სარგებლობენ თურმე პაციენტები და ბატონ ელგუჯას „მოსვენებას“ არ აძლევენ. ამიტომაც თუ ვინმე მოისაკლისებს ექიმს, აღარ უკვირთ პასუხი: წუხელ მთელი ღამე მუშაობდა, 3 საკეისრო გააკეთა და უძილობის გამო წნევა აეწიაო. ბატონ ელგუჯას მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს ერთი ამბავიც, რომელიც მისი კოლეგებისგან შევიტყვეთ — გერმანიაში მცხოვრებმა ერთმა ქალბატონმა, რომელიც თურმე ბატონმა ელგუჯამ ამშობიარა პირველად, ექიმს შემოუთვალა — მეორე შვილს ველოდები იანვარში, მეორედაც საკეისრო ოპერაცია მჭირდება. გეპატიჟებით გერმანიაში ერთი თვით, ყოველგვარ ფინანსურ ხარჯს აგინაზღაურებთ, ოღონდ ჩამობრძანდით და მეორე შვილიც გამაჩენინეთო.

*ეკა ლომიძე*

# „ყაზბეგის“ ცივი ჩაი ნატურალური და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა

კომპანია „ყაზბეგში“ ხილის ჩაბარება გრძელდება. ერთი კვირის წინ დამთავრდა მსხლის შესყიდვა. საქართველოში მსხლის რამდენიმე ჯიშია გავრცელებული, მაგრამ არომატიზატორის დასამზადებლად მხოლოდ გულაბი გამოიყენება, რადგან ის უფრო სურნელოვანია.

„ყაზბეგი“ ამჟამად ჟოლოს არომატიზატორს ამზადებს. ქართველი გლეხებისგან უკვე ჩაიბარეს 3 ტონა ჟოლო, რომლისგანაც 1 ტონა არომატიზატორი დამზადდება და, რომელიც ქარხანას 7-8 თვის განმავლობაში ეყოფა.

ქართულ ხილში თავმოყრილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და დიდი რაოდენობის ვიტამინები არომატიზატორშიც შენარჩუნდება. არომატიზატორის დასამზადებლად შარშან მხოლოდ კანს იყენებდნენ, წელს კი ნაყოფი მთლიანად გამოიყენეს. სულ „ყაზბეგი“ 8 დასახელების არომატიზატორს ამზადებს და შესაბამისად აწარმოებს 8 სახის ცივ ჩაის. ხილი, რომლისგანაც არომატიზატორი მზადდება, უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის. წელს საჭირო გახდა 5 ტონა ტარხუნის სომხეთიდან შემოტანა, რადგან საქართველოში არ იყო საჭირო რაოდენობის და ხარისხის ტარხუნა. არომატიზატორების წარმოება სიახლეა კვების მრეწველობაში. მისი დამზადება საკმაოდ რთული ტექნოლოგიით ხდება. თავისი შემადგენლობით უნიკალური ჩაის კონცენტრატი კომპანიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა და ანასეულის სუბტროპიკული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ერთობლივი მუშაობის შედეგია. საქართველოში აქამდე მხოლოდ ხილის ნაყენი მზადდებოდა, რომელსაც შენახვის ვადა სულ რამდენიმე კვირა ჰქონდა. არომატიზატორი კი მწარმოებელს ერთი წლის განმავლობაში შეუძლია გამოიყენოს.

ცივი ჩაის ძირითად ნედლეულს — უმაღლესი ხარისხის მწვანე და ბაიხის ჩაის, კომპანია „ყაზბეგი“



მამათის პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკიდან იღებს, სადაც 500 გლეხია დასაქმებული.

ცივი ჩაის მიღების წესი 1904 წელს ამერიკაში, სენტ-ლუისის მსოფლიო გამოფენაზე შემთხვევით აღმოაჩინეს. მსოფლიოს მოსახლეობის იმ 50-ს შორის, რომელიც ცივ ჩაის მიირთმევს, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 3 წელია, რაც იმყოფება. მიუხედავად ამისა, ქართულმა ცივმა ჩაიმ უკვე ბევრ წარმატებას მიაღწია. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ „ყაზბეგიდან“ სისტემატურად უგზავნიან საჩუქრად ცივ ჩაის პარტნიორებს. ცივი ჩაი დაგაზული აქამდე მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში იყო, წელს კი საფრანგეთშიც საკმაოდ პოპულარული გახდა „ლიპტონის“ დაგაზული ჩაი. „ყაზბეგში“ თვლიან, რომ გაზი ჩაის სპეციფიკურ ტონს უკარგავს და ლიმონათს ემსგავსება. ამიტომ ახლო მომავალში მომხმარებელი ცივ ჩაის უგაზო სახითაც მიიღებს.

კომპანია „ყაზბეგი“ აქტიურად მონაწილეობს დეგუსტაცია-გამოფენებში. 2000 წელს, როცა საქართველოში პირველად ჩამოასხეს ცივი ჩაი, მოსკოვში გამართულ, საკმაოდ პრესტიჟულ, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების დეგუსტაცია-გამოფენაზე „ცივმა ჩაიმ“ 3 ოქროს მედალი აიღო. კერძოდ, ჟოლომ, ლიმონმა და ფორთოხალმა. შარშან ოქროს მედლებით დაჯილდოვდა ფეიხოას და ტარხუნის ცივი ჩაი. წელს სადეგუსტაციოდ ალუბლის ცივ ჩაის წაიღებენ.

ცივი ჩაის შენახვის ვადა 3 თვეა, თუმცა ის ამ ვადის გასვლის შემდეგაც არ ხდება მომწამვლელი. უბრალოდ, გემოს იცვლის. მისი სწორი შენახვისთვის განსაკუთრებული პირობები საჭირო არ არის. ის ინახება +10ºC-20ºC ტემპერატურის ქვეშ. სასურველია, ცივი ჩაი შეიძინოთ მაღაზიაში, რადგან საქართველოში თითქმის ყველა მაღაზიას აქვს „ყაზბეგის“ მაცივარი. ცივი ჩაის ბოთლი არის ერთჯერადი და იმის ალბათობა, რომ ის შეიძლება ქარხანაში ისევ მოხვდეს, არ არსებობს.



მიუხედავად იმისა, რომ ცივი ჩაი ნატურალურია და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, აგრეთვე ფორმით ლამაზიც, მაინც არ ხერხდება მისი აღიარება საუკეთესო გამაგრილებელ სასმლად უღარიბესი ფენების მიერ, რადგან ეს ფენა დაპყრობილი აქვს აბაზანებში ჩამოსხმულ, დაბალი ხარისხის ლიმონათს. „ყაზბეგმა“ ჯერ ვერ შეძლო ისეთი იაფფასიანი ბოთლის და ეტიკეტის შექმნა, რომელშიც ჩასხმული ცივი ჩაი იქნებოდა იმდენად იაფი, რომ ბაზრიდან კუსტარული წესით დამზადებულ ლიმონათს განდევნიდა. „ყაზბეგის“ ხელმძღვანელობის ოცნებაა, ნატურალურ ცივ ჩაის სვამდეს ყველა ბავშვი, განურჩევლად იმისა, თუ როგორი მატერიალური შემოსავალი აქვს იმ ოჯახს, სადაც ის იზრდება.

ცივ ჩაისთან ერთად, ქართული უალკოჰოლო სასმელების ბაზარზე ლიდერობს „ყაზბეგის“ ლიმონათი. ლიმონათი „ყაზბეგმა“ 6 თვის წინ ჩამოასხა და უკვე სხვა ლიმონათს ვერ ნახავთ სუფრაზე, ვერც პრესტიჟულ რესტორნებში და ვერც სასადილოებში.

თითოეულ ადამიანს ეძლევა საშუალება სწორი არჩევანი გააკეთოს და მიირთვას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები. მით უფრო მაშინ, როცა ამის საშუალება ნამდვილად არის და სამარკო ნიშანი „ყაზბეგი“ ხარისხის გარანტიას იძლევა.

R

CMYK

# ვინ უთვალთვალებს „ალ-ქაიდას“



ბოლო სამი წლის მანძილზე პოლიციასაც კი ეშინოდა განუკითხაობითა და უკანონობით მოცულ პანკისის ხეობაში შესვლა. თუკი ამერიკული სპეცსამსახურების ცნობები სწორია, აქ თავს აფარებს „ალ-ქაიდას“ მცირე ჯგუფი. ვაშინგტონისა და მოსკოვის ინტენსიური ზეწოლის შემდეგ ღარიბი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა ბანდიტურ რეგიონში შესვლა და იქ თავისი კონტროლის აღდგენა. 1000 სამხედრო პანკისის ხეობაში შევიდა. „ჩვენ უკვე სრულად ვაკონტროლებთ სიტუაციას, — განუცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ხეობაში მყოფ დიპლომატებს, — შეიარაღებულ პირთა უმეტესობამ დატოვა აქაურობა.“

ვაშინგტონმა პანკისის ხეობა სამიზნეთა სიაში შეიყვანა და „მწვანე ბერეტები“ გაგზავნა ქართველი ჯარისკაცების გასაწვრთნელად, რათა მათ შემდეგ ეპოვათ საქართველოს თავშეფარებული უცხოელი ტერორისტები, რომლებსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ უსამა ბინ ლადენთან. მოგვიანებით, ხეობაში დააკავეს მაროკოელი ჰალიდ ოლდარი (ან ქჰალიდ ომარ მალი), რომელსაც სამხედრო ტანსაცმელზე სამოქალაქო ემოსა და ყალბი ფრანგული პასპორტი ჰქონდა. ის ჩეჩენ მეამბოხეებთან ერთად იბრძოდა რუსული ჯარების წინააღმდეგ და შესაძლებელია, კავშირიც ჰქონდეს უცხოელ ტერორისტებთან. საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს სურს ტერორიზმთან ომი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის განსამტკიცებლად გამოიყენოს და, როგორც ჩანს, ეჭვის თვალით უყურებს პანკისის ხეობაში „ალქაიდელთა“ ყოფნას. „დრო გვიჩვენებს, იყვნენ თუ არა ისინი აქ“, — განაცხადა მან თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე. შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მის ჯარებს არც ერთი შეიარაღებული მებრძოლი არ ეპოვათ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ჩეჩენი მეამბოხე თუ საერთაშორისო ტერორისტი. მან კარგა ხნით ადრე ბრძანა, პანკისში ჯარები მალე შევლენო. ამით ისარგებლეს ჩეჩნებმა და თოვლიან მთებში გაიხიზნენ. შევარდნაძე კი პანკისში შევიდა გვიან ზაფხულში, როდესაც ჩეჩენი მებრძოლები ისედაც გადიან ხეობიდან რუსებთან სეზონური ბრძოლების გასამართავად. შევარდნაძემ ასეთი გადაწყვეტილება ასე ახსნა: — ჩვენ რომ ეს ოპერაცია ფარულად და სწრაფად განგვეხორციელებინა, დიდი დანაკარგი იქნებოდა არა მხოლოდ დამნაშავეთა და ჯარისკაცებს შორის, არამედ მშვიდობიან მოსახლეობაშიცო. დაიძაბა ურთიერთობა რუსეთთანაც. ივლისში 60-მა ჩეჩენმა მეამბოხემ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის ახლოს შეუტია რუსეთის საჯარისო ნაწილებს და რვა ჯარისკაცი მოკლეს. რუსები ამტკიცებენ, მეამბოხენი პანკისიდან გადმოვიდნენო, ქართველები ხელებს ასავსავებენ — არა, ბატონოო. მოსკოვმა ტელევიზიით უჩვენა ტყვეები, რომლებიც აცხადებენ, ქართველებმა გზა გაგვიხსნესო.

რუსეთის ლიდერები აცხადებენ, რომ პანკისის პრობლემა რუსული ჯარების გარეშე არ გადაიჭრება. ამის საპასუხოდ საქართველოს პარლამენტმა დაადგინა ქვეყნიდან ორი რუსული ბაზის გაყვანა და ქვეყნის საბჭოთა კავშირის მემკვიდრე დსთ-დან გამოსვლა. შევარდნაძემ უარყო პარლამენტის გადაწყვეტილება და პანკისში ჯარები გაგზავნა, რათა გამოერიცხა აქ რუსეთის შესვლა. დაიწყო სოფლებში იმ გატაცებული ადამიანების ძებნა, რომლებიც შესაძლოა აქ ჰყავდეთ დატყვევებული. ეძებენ ბრიტანელ ბანკირს, პიტერ შოუსაც. „არავინ იცის, რამდენ ხანს დარჩებიან ჯარები აქ“, — ამბობს უშიშროების მინისტრი. პანკისელი და ჩეჩენი დევნილები სიხარულით შეხვდნენ ქართული ჯარების შესვლას.

„არის ცნობები, რომ ტერორისტებს კი არ ანადგურებენ, არამედ მიერეკებიან ხეობიდან“, — განაცხადა რუსეთის ელჩმა ვლადიმირ გუდევმა. აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილსმა პანკისში იმოგზაურა და აქ მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციას „საოცარი ძალისხმევა“ უწოდა, — ქართველებს უნდათ კონტროლის აღდგენა, სურთ აიძულონ ჩეჩნები და ტერორისტები, წავიდნენ. ეს კარგი დასაწყისია“.

***პეტერ ბეიკერი***
***ვაშინგტონ პოსტი***

# „შავი მგლის“ მანევრი და ფოტოგრაფი-თვითმფრინავი

ბევრი რამ ხდება ამქვეყნად საიდუმლოდ. მაგალითად, ტერორისტებთან ბრძოლა. ასეთი ოპერაციების შესახებ პრაქტიკულად არავითარი დოკუმენტი და მოწმე არ რჩება. პანკისის ხეობის გასაიდუმლოებულმა ოპერაციამ თავისი უტიფრობით უცხოელებიც კი გააოგნა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევაში დაადანაშაულა. სამხედროები ხატზე იფიცებენ — ჩვენ არ დაგვიბომბავს საქართველოო, მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურების საქმეში ჩახედული ინფორმატორების ცნობით, პანკისის ხეობის რაიონში ჩატარდა საჰაერო ოპერაცია გელაევის ბანდის გასანადგურებლად. მაგრამ მათი განადგურების ე.წ. ობიექტური კონტროლის მონაცემები რუსეთის სამხედრო უწყებებს არ გააჩნიათ (საერთოდ, ბომბდამშენებს, მასშტაბური ოპერაციის დროს, უკან მოჰყვებათ თვითმფრინავი-ფოტოგრაფი, რომელიც აფიქსირებს მიზნის დაბომბვას). სამაგიეროდ, აშშ-ის სპეცსამსახურებს აქვთ. კოსმოსური გადაღების გაშიფვრის მეორე დღესვე, ნატომ რუსეთის თვითმფრინავების მიერ პანკისის ხეობის დაბომბვა დააფიქსირა. ამერიკული მზვერავი თანამგზავრები დღედაღამ აკონტროლებენ მსოფლიოს ცხელ წერტილებს, მათ შორის, ჩეჩნეთსა და ამიერკავკასიას. ერთ-ერთი სარწმუნო წყაროს ცნობით, „შავ მელად“ წოდებული რუსლან გელაევი პანკისის ხეობაში თავს ისე გრძნობდა, როგორც შინ. მაღალჩინოსანი ქართველი მეგობრები განუწყვეტლივ ატყობინებდნენ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ამჯერადაც საკმარისი დრო ჰქონდა, დროულად გადასულიყო უსაფრთხო ადგილას. რუსეთის სპეცსამსახურებმა დრო იხელთეს და ერთი დარტყმით გადაწყვიტეს გელაევის ბანდის მოსპობა. 23 აგვისტოს, გამთენიისას, როდესაც „ამოუცნობმა მფრინავმა ობიექტებმა“ პანკისის ხეობას დასცხეს, სამი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. მაგრამ „კადრს მიღმა“ სულ სხვა ინფორმაცია დარჩა. როგორც აგენტურული წყაროებისგან გახდა ცნობილი, ავიაბომბები 70 სატვირთო მანქანისაგან შემდგარ ავტოკოლონას დააცხრა, სადაც 600 ჩეჩენი, იარაღი, პროდუქტი და სხვა ალჭურვილობა იყო. ეს ყველაფერი ჩეჩნებს გადაჰქონდათ უსაფრთხო ადგილას, რათა ხეობაში შესულ უცხოელ ჟურნალისტებსა და დიპლომატებს არ დაეფიქსირებინათ. დილის ბინდბუნდში



მფრინავებმა ვეღარ გაარჩიეს, ვის ბომბავდნენ. დაიწვა შვიდი სატვირთო მანქანა, მოკლულია ორმოცდაათამდე ჩეჩენი მებრძოლი.

რუსი მხედართმთავრები უარყოფენ მოზდოკის ავიაბაზიდან სუ-25-ის საქართველოს მიმართულებით გაფრენას. თუმცა, სულაც არ არის აუცილებელი ამ თვითმფრინავების საარმიო აეროდრომიდან აფრენა. ჩრდილო კავკასიის ცის მაკონტროლებელ სამხედრო ავიაციას სხვა აეროდრომებიც გააჩნია, თუნდაც ვორონეჟში.

ამბობენ, ხეობის საჰაერო სივრცეში კვლავ ისმის უცნობი თვითმფრინავების გუგუნიო. ალბათ საჰაერო ფოტოგრაფი გელაევის ბანდის ახალ ბაზას ეძებს.

***არგუმენტი ი ფაქტი №36***

# გზააბნეულნი

## ერთი „სპეცოპერაციის“ უცნობი დეტალები



რუსეთის ძალოვანმა სტრუქტურებმა უფრო გაართულეს საქართველოსთან ისედაც გაძნელებული ურთიერთობა. 2 სექტემბერს, საზღვრის ერთ-ერთ მონაკვეთზე, რუსებმა სამი ქართველი მესაზღვრე დააკავეს (იხ. გვ. 8). აღფრთოვანებულმა საინფორმაციო სააგენტოებმა ეს ამბავი თვალის დახამხამებაში მოსდეს მსოფლიოს — რუსეთის საზღვრების ფხიზელმა დამცველებმა დააკავეს საქართველოდან რუსეთისკენ მომავალი შეიარაღებული ჯგუფიო. მერე კი ფრთხილად დაუმატეს, — დაკავებულები ამბობენ, ქართველი მესაზღვრეები ვართო. დაწყებულია გამოძიება მათი ვინაობის დასადგენადო. ასე გაჩნდა ოდესღაც ძმურ რესპუბლიკასთან გაჩაღებულ პროპაგანდისტულ ომში კიდევ ერთი სიყალბე.

ქართულმა სპეცსამსახურებმა რადიოდამჭერით შეიტყვეს, რომ რუსებმა სამი ქართველი შეიპყრეს და ისინი თავს მესაზღვრეებად ასაღებდნენ. შეშფოთებულმა სასაზღვრო დეპარტამენტის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ უბრძანა ოპერატიულ მორიგეებს, დაკავშირებოდნენ რუსეთის მონაკვეთზე მდგარ მესაზღვრეებს. გაირკვა, რომ ერთ-ერთ საგუშაგოზე არ დაბრუნდნენ დასაზვერად წასული ლეიტენანტი და ორი ჯარისკაცი. გენერალმა რუსეთის ჩრდილო კავკასიის სასაზღვრო სამმართველოსთან დაკავშირება სცადა, მაგრამ... სამმართველოს ტელეფონები, რომლებიც ყოველთვის დაუყოვნებლივ პასუხობენ, საეჭვოდ დუმდნენ. ჩხეიძის ოფიციალურ შეკითხვაზე რუსულმა მხარემ პირში წყალი ჩაიგუბა.

— არ გამოვრიცხავ, რომ მესაზღვრეებს გზა აებნათ, რადგან საზღვარი რუსეთთან დემარკირებული არ არის, ამიტომ ახალბედა მესაზღვრეებმა ვეღარ გაარკვიეს, სად იყვნენ. რა საჭიროა ამის გართულება. დავუკავშირდებოდით ერთმანეთს და ყველაფერი გაირკვეოდა, — თქვა ვალერი ჩხეიძემ.

გენერალი აშკარად თავს იკატუნებდა — მიხვდა, რომ მოსკოვმა მოულოდნელად კიდევ ერთი საბაბი იპოვა ანტიქართული ისტერიის გასაღრმავებლად, რომელიც გამობრუჟული მწყემსი თილიძითა და მითური მფრინავი რუსტელით დაიწყო და დროულად შეივსო მესაზღვრეთა ჯგუფით!

ამას წინათ საკუთარი საძოვრებიდან გაიტაცეს ორი ქართველი მწყემსი. მაშინაც დიდხანს დუმდა რუსული მხარე — ამ ამბავთან არაფერი მესაქმებაო და თითს ჩეჩნებისკენ იშვერდა — მაბეზღარა თილიძეს გადაუხადეს სამაგიეროო. მაგრამ ბოლოს, მაინც გაირკვა, რომ მოტაცებული მწყემსები რუსეთის სპეცსამსახურების ხელში არიან და ისინი არ ჩქარობენ მათთან „განშორებას“. ეტყობა, უნდათ, ამათაც თილიძის გმირობა გაიმეორონ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამიტომაც სხვა ვარიანტების ძებნა დასჭირდათ. სწორედ ამ დროს, მათდა გასახარად, გზააბნეულ მესაზღვრეებსაც გადაეყარნენ...

გზააბნეულებს თუ მოტაცებულებს?

***ნოვიე იზვესტია №156***

# უცინმაცინები

ალბათ ოდესმე რუსეთის მოსახლეობა მაინც შეიტყობს, რამ ააფორიაქა ასე ამ ზესახელმწიფოს პოლიტიკური ელიტა — ამიერკავკასიაში პოზიციების დაკარგვამ, სადაც ნელ-ნელა, მაგრამ ჯიქურ შედიან ნატო, ნავთობის კონსორციუმები და სხვა ამერიკული ინტერესები, თუ პოლიტიკურმა სპეკულაციებმა ერაყში მოსალოდნელი მეორე ოპერაციის „უდაბნოს ქარიშხლის“ თაობაზე, ანდა შეიძლება მიზეზი მხოლოდ ბებერი პოლიტიკოსია, რომელიც უსახსრობისა და გავლენის სფეროების უქონლობის მიუხედავად, მაინც თავში უკაკუნებს ახალგაზრდა, უტვინო ოპონენტებს.

ეუთოს დამკვირვებლებმა ნათლად ახსნეს, ვინ ბომბავს საქართველოს. ეუთოს პრესსამსახურის უფროსმა **რიჩარდ მერფიმ** ბრიუსელის შტაბბინიდან სატელეფონო საუბრებში თქვა, — გირევში დაბანაკებულმა ეუთოს დამკვირვებლებმა დაინახეს, თუ როგორ მიფრინავდა 23 აგვისტოს რამდენიმე თვითმფრინავი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 05.15-სა და 06.00 სთ-ზე. თვითმფრინავები დიდ სიმაღლეზე, ზებგერითი სიჩქარით მიფრინავდნენ. საგუშაგო ბაზაზე მათი გადაფრენის რამდენიმე წუთის შემდეგ დამკვირვებლებმა დაინახეს სინათლის ციალი და აფეთქების ხმა გაიგონეს. ეუთოს თავმჯდომარე ორივე მხარეს მოუწოდებს, შეწყვიტონ ძალის გამოყენება და ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სიტუაციას გაამწვავებს. ამჯერად ეუთო მხოლოდ დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამს, შემდგომ ნაბიჯებს სიტუაცია განსაზღვრავს.

ეუთოს დამკვირვებლები ფრთხილად აკეთებენ ნანახის კონსტატაციას — თვითმფრინავები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართებოდნენო. ლაპარაკი არ არის საექსპერტო დასკვნაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ეუთო არავის ადანაშაულებს.

რიჩარდ მერფიმ არც რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის გამონათქვამს გაუკეთა კომენტარი, სადაც ის ეუთოს აბრალებდა, — იქით არ იყურებიან, საითაც საჭირო არისო.

ბოლოს და ბოლოს, რუსეთი ეუთოს სრულუფლებიანი და არცთუ უმნიშვნელო წევრია.

***ნოვაია გაზეტა №63***



# ბუასილი — მტკივნეული პრობლემა

ტკივილი და დისკომფორტი, ბუასილის დროს, ბევრისათვის არის ნაცნობი. ყოველი მე-9 ადამიანი ამ დაავადების მსხვერპლი ხდება. უახლესი გამოკვლევების შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბუასილის წარმოშობის ძირითად მიზეზს სისხლის მიმოქცევისა და შორისის კუნთების ფუნქციის დარღვევა წარმოადგენს.

ასეთი სახის დარღვევები უმეტესწილად ვითარდება ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორიც არის მძიმე ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები, სპორტსმენები (სიმძიმეების აწევა), ე. წ. "მჯდომარე" პროფესიის მქონე პირები. ასევე, მშობიარობა და ხშირი შეკრულობები ბუასილის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს.

ბუასილისათვის, ტრადიციულად, დამახასიათებელია ორი ძირითადი სიმპტომი: სისხლდენა (51%) და კვანძების გამოვარდნა (37%). აგრეთვე აღინიშნება დისკომფორტი, ტკივილი, ქავილი და ლორწოვანი გამონადენი.

ბუასილს შეიძლება ჰქონდეს მწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობა. მწვავე ბუასილის დროს აუცილებელია კონსერვატიული მკურნალობის ჩატარება, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების პროფილაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოწესრიგებაში და გაღიზიანებული მსხვილი ნაწლავის – კოლიტის მკურნალობაში, რომელიც აღენიშნება დაავადებულთა ნახევარზე მეტს.

სამედიცინო ცენტრში "ექიმი გილი" დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმენტულ საშუალებებს, რომლებიც მოქმედებენ სწორი და მსხვილი ნაწლავის ფლორაზე და პერისტალტიკაზე, ჰიდროფილურ კოლოიდებს და სხვა; ვინაიდან, ნაწლავის შიგთავსის კონსისტენციის რეგულაცია და მისი ტრანზიტი მსხვილ ნაწლავში, წარმოადგენს ბუასილის პროფილაქტიკისა და მკურნალობის აუცილებელ წინაპირობას.

კლინიკაში დანერგილია თანამედროვე ლაზერომაგნიტური და კვანტური თერაპია, სისხლის სტიმულაცია ლაზერით. გარდა ამისა, "ექიმი გილი" გთავაზობთ ბუნებრივი და მცენარეული პრეპარატების ფართო არჩევანს, რაც საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში მიღწეულ იქნას მკურნალობის მაქსიმალური ეფექტი.

კონსერვატული მკურნალობა ნაჩვენებია ბუასილის ქრონიკული მიმდინარეობის დაწყებით სტადიაში და მწვავე მიმდინარეობის დროს. მკურნალობა მოიცავს საერთო და ადგილობრივ თერაპიას. ადგილობრივი თერაპია მოიცავს ტკივილითი სინდრომის ლიკვიდაციას, ჰემოროიდული კვანძების თრომბოზის, ანთების და სისხლდენის მკურნალობას.

ზოგადი თერაპია ითვალისწინებს ფლებოტროფული პრეპარატების გამოყენებას, რომელთა მოქმედება ამაღლებს ვენების ტონუსს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და მიკროცირკულაციას კავერნოზულ სხეულებში.

ბოლო წლებში, მედიცინაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი პრეპარატების შექმნასთან დაკავშირებით, ამერიკასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში ტიპური ოპერაცია ბუასილის დროს,უტარდება პაციენტთა მხოლოდ 17%–20%-ს; უმეტესწილად გამოიყენება ე. წ. ნაკლებინვაზიური (უოპერაციოდ) მკურნალობის მეთოდები.

სამედიცინო ცენტრი "ექიმი გილი" აღჭურვილია თანამედროვე, უნიკალური აპარატურით, ზემოთ აღნიშნული უსისხლო "ოპერაციების" ჩასატარებლად ამბულატორიულ პირობებში. ასეთი მეთოდიკა თავიდან აცილებს პაციენტს ნარკოზს, საავადმყოფოში ყოფნას და რაც მთავარია, მტანჯველ ტკივილებს, რომელიც ახასიათებს ჩვეულებრივი ოპერაციის შემდგომ პერიოდს. მათ, ვისთვისაც ბუასილი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად და მოუცილებელ ჭირად ქცეულა, დღეს ეძლევათ უნიკალური საშუალება უკან მოიტოვონ დისკომფორტითა და ტკივილით გატანჯული დღეები. ნუ იტყვით უარს ჯანმრთელ და აქტიურ ცხოვრებაზე.

**სამედიცინო ცენტრი**
**"ექიმი გილი"**
**ტ: 29–05–25 25–27–09**
**ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5**



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიბოხობენ

**7 წლის თათია მუკბანიანი** სკოლიდან აღშფოთებული დაბრუნდა:

— ჩემ გარდა დღიური ყველას ჰქონდა, ხუთიანი მივიღე და მასწავლებელმა ვერსად ჩამიწერა, მიყიდეთ დღიური!

4 წლის ანანომ თანაუგრძნო დას:

— აბა, შენ მარტო ღამური გქონდა, თათია?

***

პატარა **ბაქარ იაკობაშვილმა** ყელტიტველა წიწილა დაიჭირა და შეწუხებული დედას ეუბნება:

— დედიკო, ნახე, ამ საცოდავს ორივე ლოყა შეწითლებული აქვს, ეტყობა სიცხიანია!

***

**4 წლის ანუკის** მამა ეჩხუბა:

— გოგო, მთელ დღეს რომ მეზობელთან ხარ, შინ არ უნდა მოხვიდე?!

— ინგასთან ვიყავი, ვიჭორავეთ...

— მერე, რას იტყვის ინგას ქმარი?..

— ინგას ქმარი არ ჰყავს, უგათხოვილოა!

***

**2 წლის გოდერძი მარი** ციური ბებიამ პირველად ჩაიყვანა მეტროში. ესკალატორი რომ ამოძრავდა, გახარებულმა ბიჭმა ბებიას უთხრა:

— ციული, ციული, — ნახე, ლოგოლ ასწოლებს.

***

ცნობილი ქართველი სტალინელი გრიგოლ ონიანი ყოველ შაბათს შხაპით „აბანავებს" ეზოში მდგარ სტალინის ძეგლებს. ამის შემყურე **4 წლის მიშიკო გურაბანიძემ** უთხრა: — ბაბუ, მაგ ძეგლებს რომ აბანავებ, რა იქნება, ერთხელ მეც მაბანავოო.

## იპოვე 10 განსხვავება





კურდღლები, ქოთნები, თევზი და ძაღლი დააკავშირე ხაზებით შესაბამის საგნებთან

I



რომელი ცხოველების ნაწილებისგან შედგება ეს არსება?

## II რებუსი









შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: „სკამიცაა და მაგიდაც, ჩამწკრივებულა რიგებად, იგი ყოველთვის მოწმეა, კლასში ვინ როგორ იქცევა".

III





რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა

## IV აბა, გამოიცანი

**1. რა ჰქვია წისქვილის ქვას?**

ა) ბზრიალა, ბ) ბორბალი, გ) დოლაბი, დ) აბედი.

**2. როგორ ადამიანზე ამბობენ: „წყალს ნაყავს"?**

ა) ჭყუმპალაობის მოყვარულზე, ბ) ფუჭად მშრომელზე, გ) ნაყოფიერად მშრომელზე, დ) წყალში მხტომელზე.

**3. რა ეწოდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომს?**

ა) ბოსელი, ბ) ფარეხი, გ) თავლა, დ) ნალია.

**4. რომელი მარცვლეულისგან მზადდება წანდილი?**

ა) ქერისგან, ბ) სიმინდისგან, გ) ფეტვისგან, დ) ხორბლისგან.



დაეხმარე კატას თაგვის დაჭერაში

აპოვნინე კრუხს ორი ერთნაირი წიწილა

V



## ჭიაყელი



| ლილიპუტების ქვეყანაში მოგზაური გოლიათი | აშშ-ის პარლამენტის ზედა პალატა | ძალიან დიდი ქვა | ზურგიანი, მოგრძო, რბილი ავეჯი | ტბა თბილისში |
|---|---|---|---|---|

| ადამიანის ორგანო | „... უბნის მელოდიები" (ფილმი) | „მუნჯის ... დედამ იცისო" | სელის უხეში ქსოვილი | „ოდესმე ... ყოფილა საქართველო" | სურნელოვანი სანელებელი | ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ფარნავაზი — ქართველთა პირველი გამაერთიანებელი

**ქართველთა ცნობიერებაში ფარნავაზი პირველი მეფეა და ქართული ცივილიზაციის დასაწყისსაც მის სახელს უკავშირებენ, თუმცა კი ჩვენს ქვეყანას ფარნავაზამდეც სახელოვანი გზა ჰქონდა გავლილი. შემთხვევითი არ არის ფარნავაზის ასეთი დიდება. მართლაც მის სახელს უკავშირდება დაშლილი ქართული ერთობის (ამიერის და იმიერის) ხელახალი შეერთება-შეკრება, ერთიანი, მტკიცე სახელმწიფოს შექმნა, საერთო რელიგიური კულტის დამკვიდრება, ქართული ენის საყოველთაოობა და ქართული დამწერლობაც...**

## ერთიანი საქართველო — სპასპეტისა და ერისთავთა სამფლობელო

**... მომავალი მეფე მცხეთას ბრუნდება.**

**... ლეგენდა: ფარნავაზი აურაცხელ საგანძურს პოულობს.**

**... ფარნავაზი და კოლხი ქუჯი ერთიანდებიან.**

**... უძლეველი აზოს ძლევამოსილი დამარცხება.**

**... „ფარნავაზ განავრცო ენაი ქართული“...**



## ქართლის სამეფოს სათავეებთან

მას შემდეგ, რაც ქართულ-კოლხური ენობრივი ერთობა დაიშალა, ძვ. წ. II ათასწლეულში, ხანგრძლივი დროის მანძილზე დამოუკიდებლად განვითარდა ერთი მხრივ, დასავლურ-ქართველური, ხოლო მეორე მხრივ, აღმოსავლურ-ქართველური ტომების ცხოვრება. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება და ვითარდება კოლხური კულტურა. აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე კი ქართები მკვიდრდებიან, მათ შორის სიძლიერით გამოირჩეოდა მუშკები — მესხების წინაპრები, რომელთა განსახლება მესხეთის სამხრეთით (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) ვრცელდებოდა.

ქართველ ტომთა მეორე დიდი კავშირი იყო სასპერების გაერთიანება. სწორედ ამ აღმოსავლურ-ქართველური ტომების ხანგრძლივი პოლიტიკური კულტურული კონსოლიდაციის საფუძველზე, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ყალიბდება იბერიის, ანუ ქართლის სამეფო.

იბერიას ბერძნები გვიწოდებდნენ. ბევრი კამათი და ბჭობაა იმაზე, თუ საიდან შეგვარქვეს ჩვენმა ძველმა მეზობლებმა ეს სახელი. როგორც ჩანს, სწორედ სატომო სახელიდან — „სასპერიდან“. ადგილობრივი მცხოვრებნი კი თავიანთ ქვეყანას „ქართლად“ მოიხსენებდნენ.

## მუშკები და სასპერები — მესხები და იბერიელები

ძვ. წ. VII საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც მუშკ-მესხების ძლიერი სახელმწიფო ურარტუელებთან და კიმერიელებთან დამარცხდა, მათი დიდი ნაწილი ჩრდილოეთისკენ წამოვიდა. ამ მიწა-წყალს შემდგომში სამცხე, სამესხე ეწოდა, ანუ მოსხთა ქვეყანა — მესხეთი.

ძლევამოსილი აქემენიდური ირანის გავლენის ქვეშ ეს ტერიტორიაც, — სასპერებითა და მესხ-მოსხებით დასახლებული მიწა-წყალიც მოექცა, რომელიც ე.წ. მეცხრამეტე სატრაპიაში გაერთიანდა (სატრაპიები ეწოდებოდა ირანის ოლქებს). ალექსანდრე მაკედონელის მიერ ძველი ირანის განადგურებისა და შემდგომ ელინისტური სახელმწიფოების ჩამოყალიბების კვალდაკვალ ყველა პირობა შეიქმნა ახალი, ძლიერი აღმოსავლური ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის. ... და ყალიბდება კიდევაც იბერია, ანუ ქართლი.

რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობას, შესაძლოა, რომ იგი უფრო ლეგენდების სფეროა. ეს ის შემთხვევაა, როცა ქართულმა ისტორიოგრაფიამ არ გაიზიარა „ქართლის ცხოვრების“ ცნობები. სამაგიეროდ, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს ის დროა, როცა იბერია-ქართლის მიწა-წყალზე მეცნიერული ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ურბანისტული აფეთქება“ ხდება. ე.ი. ჩვენს ქვეყანაში ახალი და ძლიერი ქალაქური დასახლებანი ჩნდებიან — სამადლო და ნასტაკისი, ციხია-გორა, უფლის ციხე, ძალისა და მცხეთა თავისი დასახლებებით, რომელიც ახალჩამოყალიბებული სახელმწიფოს დედაქალაქიც გამხდარა.

## აზო — „პირველი მეფე მცხეთასა შინა“

„მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, მცხეთას ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს, მამასახლისი განაგებდა. სამარა რქმევია სახელად და ქვეყანას ძმებთან ერთად მართავდა. მემატიანე ლეონტი მროველი კი გვამცნობს, რომ საქართველოში ამ პერიოდში ილაშქრა ალექსანდრე მაკედონელმა, დაიპყრო ქართლი, მოკლეს მამასახლისი სამარა და აქ მმართველად მაკედონელის სარდალი აზო დაინიშნა.

სხვა ცნობით („წმინდა ნინოს ცხოვრების“ ახალი რედაქციის ავტორის, არსენ ბერის თქმით), აზო იყო ძე და მემკვიდრე არიან-ქართლის მეფისა. სწორედ არიან-ქართლიდან წამოსულა აზო: „აზოი წარმოვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამამძუძენი“. მართლაცდა, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

იყო კი სადმე კიდევ სხვა ქართლი? თანაც — არიან-ქართლი? ამის გასაღებიც მოძებნეს მკვლევარებმა: „არიანი“ უნდა ნიშნავდეს ირანს, არიან-ქართლი კი იმ ძველ ქართულ-მესხურ ოლქების ერთობლიობას, რომელსაც ირანი ფლობდა. აზომ აქედან ჩამოასახლა თვრამეტი სახლეული და თან წამოაყოლა თავისი წარმართული „კერპნი ღმერთად — გაც და გაიმ“. აქვე უნდა ჩანდეს მესხური მიგრაციის ანარეკლი და მათი შერევა დამხვდურ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

... სხვათა შორის, დედაქალაქის სახელწოდებაც — მცხეთა „მესხთას“ უნდა ნიშნავდეს.

ასე რომ, ზოგიერთი ქრონიკა აზოს ქართლის „პირველ მეფესაც“ უწოდებს, თუმცა, ოფიციალური ვერსიისთვის აზო მაინც დამპყრობელია, მკაცრი, ქართველთა მამასახლისის, სამარას და მისი ძმის მკვლელი, კაცი „ძნელი და მესისხლე“.

აზოს ბატონობა ქართლში საკმაო ხანს გაგრძელდა. მის მიერ მოკლული მცხეთის მამასახლისს სამარას დარჩა სამიოდე წლის ძმისშვილი — ფარნავაზი.

ფარნავაზის დედამ შვილი ქართველ მთიელებში გახიზნა. სწორედ მთიელთა გარემოცვაში დავაჟკაცდა ფარნავაზი, გახდა უებრო მეომარი, მხედარი და მოისარი. ჭაბუკი ფარნავაზი დედასთან ერთად მცხეთას უბრუნდება, დედა კვლავ შიშობს და აფრთხილებს მემკვიდრეს, ბოლომდე არ მიენდოს აზოს, ვაითუ, ისიც არ დაინდოს მოსისხლე დამპყრობელმა.

ფარნავაზი მცხეთაშია, სამეფო კარზე. აზო მოხიბლულია მისი ვაჟკაცობით და ამიტომაც დაიახლოვა, უიმისოდ სანადიროდაც კი არ მიდიოდა.

## ზეციური ხილვა

ფარნავაზიც ეკრძალვის მეფე აზოსთან სიახლოვეს. ამ სიფრთხილეს დედის ავი წინათგრძნობაც აძლიერებდა. წარმოშობით სპარსი იყო ფარნავაზის დედა და როცა ხედავდა, თუ როგორ იახლოებდა აზო მის ვაჟს, შიში უფრო და უფრო იპყრობდა. საშველს ირანში, თავის სამშობლოში გადახვეწაში ხედავდა. უთხრა კიდეც შვილს: — შვილო ჩემო, დატოვე მამაშენის საყოფელი, წამიყვანე მე ჩემს მამულში — ასპანს (ირანს) ჩემს ძმებთან, იქნებ შენ ცოცხალი გადაურჩე აზოს...

ჭაბუკმა ყურად იღო დედის რჩევა, თავისი ორი მშვენიერი დის ბედიც ადარდებდა და გადაწყვიტა დედასთან და დებთან ერთად სამშობლო მიეტოვებინა, თუმცა იმედს არ კარგავდა, რომ უკან აუცილებლად დაბრუნდებოდა.

ფარნავაზი დათანხმდა და ზუსტად იმ ღამით სიზმარი თუ ზეციური ხილვა „ესტუმრა“:

ვითომდაც უკაცრიელ სახლში მომწყვდეულიყო, ცდილობდა გამოღწევას, მაგრამ ვერას გახდა. უცებ სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, ჭაბუკს წელზე შემოერტყა და „განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას“. ტრიალ მინდორზე აღმოჩნდა და აქაც სასწაული იხილა: ანაზდეულად მზე ზეციდან ძირს დაეშვა ფარნავაზის წინ, „იხილა მზე ქუა-მდაბლად“. მზეს მისწვდა ხელით ჭაბუკი... ცვარი ჩამოსწმინდა და პირისახე დაიბანა...

ფარნავაზმა ეს ხილვა მომავლის იმედად აღიქვა — სპარსეთს რომ წავალთ, იქ ალბათ სიკეთეს ვეწევითო და გამგზავრების წინადღით სანადიროდ გაეშურა. ძალიან ეძნელებოდა აზოს მიერ წართმეული სამშობლოს მიტოვება. დარდის გასაქარვებლად და დროის მოსაკლავად ირმების დევნა ირჩია...

## ლეგენდა

მარტო წასული ფარნავაზი მტკვრის ჭალას დაღმა დაუყვა, ირმების ჯოგმა გაიყოლია ჭაბუკი. ერთ-ერთი უმშვენიერესი ირემი გამოარჩია, მშვილდი სტყორცნა, დაჭრა. სასიკვდილოდ დაჭრილმა ირემმა კლდის ძირამდე მიაღწია და იქ დაეცა. ცრემლიანი თვალებით თითქოს რაღაცას ანიშნებდა ჭაბუკს. ამ დროს წამოვიდა საშინელი თქეში. მონადირემ ასწლოვან ხეებში მიმალული გამოქვაბული შეამჩნია. კვერთხის მძლავრი მოქნევით შეანგრია კარი... აქ თურმე უსაზღვრო სიხარული ელოდა: უთვალავი ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი დახვდა...

შინ დაბრუნებულმა დედას და დებს გაანდო საიდუმლო და ისიც უთხრა მათ, რომ არსად წამსვლელი აღარ იყო, რომ იმდენი სიმდიდრე ეგულება გამოქვაბულში, მისი დახმარებით სამშობლოს უცხოთა ბატონობისგან განთავისუფლებასაც შეძლებს.

რამდენიმე დღის მანძილზე ფარნავაზი დედასთან და დებთან ერთად უჩუმრად ეზიდებოდა განძეულს. ასე გახდა უეცრად აურაცხელი სიმდიდრის მფლობელი ჭაბუკი ფარნავაზი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბედის საძიებლად ირანს უნდა გახიზნულიყო...

სწორედ ამ ქონებით მოახერხა ფარნავაზმა განეხორციელებინა ბავშვობიდანვე გულში ჩადებული მიზანი — შური ეძია აზოზე მამა-ბიძის დახოცვისათვის, უცხო მბრძანებლისგან ეხსნა თავისი ქვეყანა...

## ფარნავაზი და ქუჯი აზოს ამარცხებენ

ლეგენდა ლეგენდად დარჩეს. მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა — აზოს მეოთხედსაუკუნოვანი ბატონობით გაბეზრებული ხალხი მზად იყო აჯანყებისათვის. ამ აჯანყებას სათავეში ფარნავაზი ჩაუდგა — მცხეთის წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი, — „მამულად ქართლელი, კაცი გონიერი, მხედარი შემართებული“.

უეჭველია, ფარნავაზმა კარგად იცოდა კოლხების განწყობაც, რომლებიც მომართულნი იყვნენ აზოს წინააღმდეგ. ფარნავაზმა ჯერ მოციქულები გააგზავნა დასავლეთ საქართველოს მმართველ ქუჯისთან, მერე პირადადაც დაუკავშირდა და აზოს წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება შესთავაზა.

**შინ დაბრუნებულმა დედას და დებს გაანდო საიდუმლო და ისიც უთხრა მათ, რომ არსად წამსვლელი აღარ იყო, რომ იმდენი სიმდიდრე ეგულება გამოქვაბულში, მისი დახმარებით სამშობლოს უცხოთა ბატონობისგან განთავისუფლებასაც შეძლებს.**

**რამდენიმე დღის მანძილზე ფარნავაზი დედასთან და დებთან ერთად უჩუმრად ეზიდებოდა განძეულს. ასე გახდა უეცრად აურაცხელი სიმდიდრის მფლობელი ჭაბუკი ფარნავაზი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბედის საძიებლად ირანს უნდა გახიზნულიყო...**

ქუჯი გონიერი მმართველი იყო. მან სწორად შეაფასა და განჭვრიტა საერთო საქმისათვის არსებული სიტუაციის მნიშვნელობა. ფარნავაზის დარად გაითვალისწინა ხელსაყრელი საგარეო ვითარებაც, მაკედონელთა დინასტიის რღვევა და დათანხმდა ამ წინადადებაზე. ამასთან ერთად, ქუჯი აღიარებს ფარნავაზის პირველობას: „შენ უფალი, მე მონა“.

ათასწლეულების გადასახედიდან ქუჯის მოქმედება აღმოჩნდა პატრიოტული და გონივრული გადაწყვეტილება. მათ მიიმხრეს კავკასიელი მეზობლები — ოვსნი და ლეკნი.

ფარნავაზი დაუკავშირდა ძლიერი სირიის ხელმწიფეს ანტიოქე I სოტერს, ძღვენიც გაუგზავნა, მხარდაჭერა სთხოვა აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ანტიოქეს ეამა ასეთი დაფასება. ნიშნად თანადგომისა, სამეფო გვირგვინიც გამოუგზავნა ამბოხებულ ჭაბუკს. უფრო მეტიც, შვილიც კი უწოდა ფარნავაზს. ამას არ დასჯერდა და რეალური დახმარებაც გაუწია ბრძოლაში ნაცადი ჯარით...

თვით აზოს მხედრობაშიც არ იყო ერთსულოვნება — ათასმა რჩეულმა მხედარმა მიატოვა იგი, — ფარნავაზისა და ქუჯის მხარეს გადმოვიდნენ. აზო მიხვდა მდგომარეობის სიმძიმეს, მოახერხა მცხეთის დატოვება და კლარჯეთში გამაგრდა. „მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზოს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისი“. გადამწყვეტ ბრძოლაში მაშინდელ ქაჯთა ქალაქთან (არტაანთან) აზო დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა კიდეც.

ფარნავაზმა დალაშქრა საქართველოს სამხრეთით მდებარე მტრის მიერ დაპყრობილი მიწებიც, აურაცხელი ნადავლით მცხეთას დაბრუნდა და ეს ყველაფერი მისივე გამეფებით დასრულდა. ფარნავაზის გამეფების თარიღად ძვ. წ. 284 წელია მიჩნეული და ამით სათავე დაედო ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიას.

ასე გახდა ფარნავაზი პირველი გამაერთიანებელი ქართველთა მოდგმისა, იმიერ და ამიერ საქართველოს შემკვრელი...

## საერისთავოები

დიდი ძალ-ღონე შეალია ფარნავაზმა ქვეყნის შინამოწყობასაც თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე (გამეფდა 27 წლისა, იმეფა 65 წელი და გარდაიცვალა 92 წლისა).

ფარნავაზმა ერთგულება და თანამოაზრეობა ქუჯის იმით დაუფასა, რომ თავისი და მიათხოვა და ამავე დროს დასავლეთ საქართველოს ერისთავად დანიშნა, ეგრისის ქვეყანა ჩააბარა. მეორე დის საშუალებით ოვსთა გამგებელს დაუმოყვრდა, ხოლო თავად მეუღლედ დურძუკთა (ჩეჩნების და ინგუშების წინაპართა) მმართველის მშვენიერი ასული მოიყვანა. დედოფალს თავის ქვეყანაზე მეტად შეუყვარებია ქმრის სამშობლო. შორს გამიზნული პოლიტიკის ნაწილი იყო ეს დინასტიური ქორწინებანიც.

*ერთ-ერთი პირველი საშინაო ღონისძიება ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა გახლდათ. ფარნავაზმა „დაადგინა სპასპეტი“, და ქვეყანა რვა საერისთავოდ დაყო, რომელთაც სათავეში ერისთავები ჩაუყენა. „განაწესნა ერთისთავნი რვანი“ — ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები: არგვეთი — შორაპანსა და ლიხის ქედს შორის; კახეთი — არაგვსა და ჰერეთს შორის; ხუნანი — გარდაბანი, მდინარე ბერდუჯიდან თბილისი-გაჩიანის ტერიტორიამდე; სამშვილდისა — ტაშირი და აბოცი (ჯავახეთის სამხრეთი ტერიტორია); წუნდა, ანუ ჯავახეთი — ფარავანიდან მტკვრის სათავეებამდე; ოძრხე — სამცხე-აჭარა; კლარჯეთი — არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე; ეგრისი — სამეგრელო-სვანეთი.*

*შიდა ქართლი თბილისიდან ტაშისკარამდე სამეფო სამკვიდროდ იქცა, მას სპასპეტი განაგებდა, რომელიც ყველა ერისთავთა „ზემდგომად“ და მეფის პირველ ვაზირად ითვლებოდა.*

ფარნავაზმა საიმედოდ გაამაგრა დედაქალაქი მცხეთა, იგი აზოს ლაშქრიდან მის მხარეზე გადმოსულ მხედრებს განსაკუთრებით მფარველობდა. მათ აზნაურობა უბოძა და როგორც წყაროები მიუთითებენ, წოდება „აზნაური“ აზოდან უნდა მომდინარეობდეს — აზოს მოღალატეები, რომელთაც ფარნავაზს ერთგულება დაუმტკიცეს, აზნაურებად იქცნენ (თუმცა კი, სხვა წყაროების მიხედვით, წოდება აზნაური საქართველოში მოგვიანებით ჩნდება).

ცალკე ერთეულად გამოიყო აგრეთვე ქუჯის ეგრისი, რომელშიც სვანეთიც შედიოდა და შიდა ქართლთან ერთად ქვეყნის მთავარ ძარღვს წარმოადგენდა. ქუჯის სატახტო ქალაქს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი, ტეხურისპირა ციხე-გოჯი წარმოადგენდა, რომელსაც ბერძნები ძველ ქალაქს — არქეოპოლისს უწოდებდნენ.

## ფარნავაზი — უძლეველი მეფე

ფარნავაზმა გააძლიერა სატახტო ქალაქი მცხეთა. განამტკიცა და ქვის ზღუდე შემოავლო მის ძირითად სიმაგრეს — არმაზციხეს. ეს სახელიც ახალდარქმეული იყო. მანამდე ამ მთას ქართლის მთა ერქვა. „მანვე ფარნავაზ შექმნა კერპი... ესე არს არმაზ,.. აღმართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა და ამიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის“.

„მოქცევაი ქართლისაი“-ში არმაზის კერპის აღწერასაც ვეცნობით. იგი ყოფილა მეომრის სპილენძის უზარმაზარი ქანდაკება, ოქროს ჯაჭვის პერანგით, ოქროსავე ჩაფხუტ-მუზარადით, თვალები ძვირფასი ქვისა ჰქონია. ხელთ ეპყრა მბრწყინავი ორლესული მახვილი. არმაზ-კერპის მარჯვნივ და მარცხნივ ედგნენ მომცრო, აზოს დროინდელი კერპები — ოქროსი „გაც“ და ვერცხლისა “გა“ ანუ „გაიმი“. ასე რომ, არმაზი იყო ერთიანი სახელმწიფოებრივი კულტი, რომელიც ასევე ერთიანი სახელმწიფოს სიმბოლო იყო.

ფარნავაზს ძალიან ჰყვარებია მცხეთა, გაზაფხულს და შემოდგომას იქ ატარებდა, ზაფხულში წუნდის საზაფხულო სასახლეში იყო მთელი ჯალაბით, ზამთარში — გაჩიანში. ხშირად მოგზაურობდა, ეცნობოდა მდიდართა და მდაბიოთა ცხოვრებას, ეგრისისა და კლარჯეთის მონახულებაც უყვარდა...

მეფე ფარნავაზისადმი დღევანდელი საყოველთაო პატივისცემა და მოწიწება იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ჯერ ერთი, მან კვლავ შეკრიბა ადრე ერთმანეთს დაშორებული, ქართველური მოდგმის ტომები, მეორეც ის, რომ ეს ყველაფერი ქართულ ეთნიკურ ნიადაგზე და ქართული ენის საფუძველზე მოხდა. საყოველთაოდ ცნობილი და საამაყოა ფრაზა: „ფარნავაზ განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“.

**ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს აგრეთვე „ქართული მწიგნობრობის“ — დამწერლობის შექმნას. მიუხედავად ამ საკითხის საკამათო მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ამ ხანის წინაქრისტიანული ძეგლები ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი, ეს მაინც უმნიშვნელოვანესი ცნობაა და პირველ ყოვლისა, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსზე მიუთითებს.**

**შთამომავლობამ ფარნავაზი აღიქვა, როგორც ქართული ცივილიზაციის უთვალსაჩინოესი შემოქმედი. ფარნავაზის სახელს უკავშირდება ქართული ცივილიზებული სახელმწიფო ქართული ტერიტორიებით, ქართული ენით, წეს-წყობილებით, ქართული სარწმუნოებით, ქართული მწიგნობრობითა და... ქართველი მეფით.**

*ისტორიული წყაროების მიხედვით ფარნავაზ მეფის ეპოქა მიმოიხილა*

**ნოდარ შოშიტაშვილმა**

**რამაზ გიგაური** **მინიატურები**



## მოკლულის თვალები

— გამარჯობა.
— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს.
— რაღაც მინდა გითხრა და მერიდება.
— რატომ გერიდება?!
— ცოდვა, ჩემი ყველაზე დიდი ცოდვა უნდა გაგიმხილო...
— გისმენ.
— კაცი მოვკალი.
— შეგინდოს ღმერთმა.
— სხვას, სხვას რას მეტყვი, რით დამამშვიდებ?!
— როდის მოხდა ეს?
— ორმოცი წლის წინ, გადასახლებულიც ვიყავი.
— ვინ იყო?
— ვინ?
— ვინც მოჰკალ...
— არ ვიცი.
— აბა, თუ არ იცნობდი, რატომ მოჰკალი?
— სხვა მეგონა.
— ვინ სხვა?
— ჩემი მტერი.
— მტერი რატომ გყავდა?
— ჩემი გვარი მუდამ მტრიანი იყო... მამაჩემიც მან მოკლა, ჩემი ძმაც... გზაზე შევამჩნიე და ვესროლე, ახლოს რომ მივედი, სხვა იყო.
— მე რას მთხოვ?
— ორმოცი წელია მოკლულის თვალები მესიზმრება, არ მასვენებენ...
— იტანჯები?
— ძალიან, ძალიან ვიტანჯები.
— ინანიებ?
— კი, ვინანიებ, ვგრძნობ, რაც ჩავიდინე.
— კარგი, ნუღარ ტირი, წადი ახლა...
— მერე?
— აღარასოდეს შეგაწუხებენ მოკლულის თვალები.
— მჯერა.

•••

მოხუცი მაწანწალა ჯოხის კაკუნით გავიდა ეკლესიიდან.
... ღიმილით გააყოლეს თვალი.
— დაინახე?
— რა?
— ის მაწანწალა ხატს ელაპარაკებოდა.
— რომელს?
— მაცხოვრისას. ეტყობა, ვერ იყო ჭკუაზე.

## თოვლიაური

**ეძღვნება მარიამ ჯვარელს**

*— რა გვარი ხარ?*
*— თოვლიაური.*
*— ?*
*— პაპაჩემს ბებიაჩემი თოვლში უპოვია.*

*მთაში გაგონილი*

გაგა ლოხაისძე ნადირობიდან ბრუნდებოდა. ტყუილად ევედრა გუშინ სისხამზე ოჩოპინტრეს, ვერაფერი მოინადირა. გულჯავრიანი მოაბიჯებდა. თოფის სასროლ მანძილზეც კი არ მიუშვეს ჯიხვებმა, მათ დევნაში დაიღალა.

სიარულის დროს თოფს ეყრდნობოდა, ცალი წრიაპიც დაჰკარგოდა.

ასე არასოდეს მოსცარვოდა ხელი. სახლში, მოხუცი დედისთვის რა ეთქვა: — „ოჩოპინტრემ ხელ არ მამიმართაო“.

„შავი კლდე“ გამოიარა და ქვემოთ დაუყვა ბილიკს. უცებ პაჭიჭიანი ფეხი დაინახა, ქალამანი გაძრობოდა, ზვავი დასცემოდა ვიღაცას. თოფი იქვე მიაგდო და ამოთხრა დაუწყო. ქალი იყო — ხევსურის. თოვლიანი, ოქროსფერი თმა სახეზე გადაჰფენოდა. ჯერ ისევ თბილი იყო. ლოხაისძემ შიშველი ხანჯალი მიუტანა ცხვირთან, ხანჯალი ოდნავ შეიორთქლა: — ცოცხალ არს, გუდანის მადლმა!



სოფელში ზურგით ჩაიყვანა — გათანგული. გოგოჭურთ ქალი გამოდგა. უკან აღარ გაუშვია, ურვადი გადაუხადა ქალის მშობლებს და...

მერე ლოხაისძეთ ასე ახსენებდნენ:
„თოვლიაურებში მივდივარო“.
— „თოვლიაურებს ღმერთი სწყალობთო“.
— „თოვლიაურთ ვეფხიას ხმალი გველივით სისინებსო“.

მერე დაბერდა გაგა და „სხვა ქვეყანაში“ გადასახლდა, მერე ის მიჰყვა გაგას, ვის გამოც დაერქვათ ლოხაისძეთ თოვლიაურები.

გადიოდა დრო და „გარდადიოდნენ იქით“ გაგას შვილები, შვილიშვილები, მაგრამ იბადებოდნენ ახალ-ახალი თოვლიაურებიც...

ერთხელ გაგას შვილის... შვილმა, თორმეტი წლის მარიამმა, სიზმარი ნახა, ვიღაც ლამაზი ქალი წელამდე თოვლში იდგა და ლოცულობდა, ოქროსფერი თმა სახეზე გადმოჰფენოდა, თოვლზე კი ნაირ-ნაირი ყვავილები ყვაოდნენ. ქალი ლოცულობდა, თან ტიროდა. ის ქალი მარიამს ჰგავდა ძალიან, ან იქნებ მარიამი ჰგავდა იმ ქალს.

დილით მარიამმა ტირილით გაიღვიძა, სოფელში მინდაო. ასე ეგონა, იმ ქალს სოფელში ნახავდა უთუოდ. მარიამის მშობლები სოფელში იშვიათად ადიოდნენ. მარიამიც სულ ორჯერ იყო სოფელში ნამყოფი. ბევრი უშალეს, ბევრი ეფერნენ, დაემუქრნენ კიდეც, აგიყვანთ იმ სოფელში და იქ მარტოს დაგტოვებთო.

— დამტოვეთო...
— ცრემლები ედგა თვალებში.

რაღა უნდა ექნათ, წავიდნენ. მეზობლები მხრებს იჩეჩავდნენ, — ზაფხულში არ ამოდიან და ამ მუხლამდე თოვლში რა ეშმაკი შეუჯდათო.

მამამ ეზოს კარი ძლივს გააღო. მარიამმა ეზოში ფეხიც არ შედგა.

— იქ მინდაო. — ხელი გაიშვირა ტყისკენ. იქით სოფლის სასაფლაო იყო.

— იქ რა გინდა, მარიამო?! — ხმა აუკანკალდა მამას.

•••

თოვლიან ბორცვებთან იდგა მარიამი და ტიროდა. ბორცვი ბევრი იყო — ბებიების, პაპების, პაპიდების...

აქ იყო გაგა ლოხაისძე და ისიც, ვის გამოც დაერქვათ ლოხაისძეთ თოვლიაურები.

იმ ღამით სოფლის სახლში მარიამმა სიზმარი ნახა...

## ხაჭაპური

იმ დღესაც მშიერი გავიდა სახლიდან.

დილით ნახევარი პურიღა იყო დარჩენილი — უმცროსმა დამ შეჭამა.

ქუჩაში უაზროდ მიაბიჯებდა. სკვერში შევიდა, სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა.

შიმშილისგან სხეული უბჟუოდა.

(ის ჩვიდმეტის იყო).

იგრძნო, ვიღაც ჩამოჯდა მის გვერდით, მერე ხმაც გაიგო, მეორეს ეძახდა...

თავი ასწია.

მის გვერდით ორი, მასზე მოზრდილი ბიჭი იჯდა...

ორივეს ხელში ცხელ-ცხელი ხაჭაპურები ეჭირათ და დაგემოვნებით ჭამდნენ.

მუცელი აეწვა...

— ნახე, რა მაგარი გოგოა, რას... — ისეთი რამ თქვა ერთმა, რომ ბიჭს სახეზე სისხლი მოაწვა.

გაიხედა.

მისი დის კბილა გოგო მიდიოდა, ზურგზე სასკოლო ჩანთა ეკიდა.

ზიზღით მიხედა მათ.

ადგა.

— გემრიელი ხაჭაპურია? — გოგო რომ მოეწონა, იმას უთხრა.

— რა? — გაუკვირდა იმას.

ხელი მოიქნია და მთელი ძალით სთხლიშა...

...ძირს ეგდო და ისინი ფეხებს ურტყამდნენ.

ერთმა დანაც ამოიღო... მერე გაიქცნენ.

ვიღაც მადლიანმა წაიყვანა საავადმყოფოში.

სკამთან ორი, ნახევრად შეჭმული ხაჭაპური და სისხლის პატარა ლაქა დარჩა...

---

**თემურ ჩალაბაშვილი**



### ივანე მაჩაბელი

იქნებ მტკვართან დასცდა ფეხი ვინ იცის,
როცა მთვარე ქართლის მთა-ველს ქარგავდა.
რა ჯანდაბამ დააძინა თბილისი,
არ იცოდა რა დიდებას კარგავდა?
თუ მთაწმინდამ დაიშურა ნიავი,
ვერ უკოცნა შუბლი დასადაფნავი.
რა ყოფილა ბედი ოხერ-ტიალი —
არ აღირსა სამშობლოში საფლავი.
იქნებ ღამით ქართლის მთებიც კვნესოდნენ,
როცა თვალი გასაქცევად ეჭირა.
რად უყვარდა საქართველო ესოდენ,
გოჯ მიწაშიც ქართველს არ შეეცილა.
... და მამულის შეკრთა მიწა მტკივანი,
მისი ხვედრი მწარე სევდად დარჩა ერს.
საქართველო და მთაწმინდის ნიავი, —
დღესაც ეძებს კვალ-დაკარგულ მაჩაბელს...

### გფიცავარ...

შენთვის ხო-აღარ გათენდა,
ველარ მოგცილდა მაცილი.
უმწყემსო იალაღივით —
ხარ ფარებისგან დაცლილი.
გფიცავარ, ჩემად მიყვარდი,
შენვე მკლავ სხვაზე გაცვლილი...

### სიკვდილ-სიცოცხლე...

მიწა მარტოდენ
ბრძოლის ველია,
ო, პირველობას —
როგორ ეძებენ.
სძულთ ერთმანეთი —
საკვირველია!
... უერთმანეთოდ —
მაინც ვერ სძლებენ...

### საუბარი შვილთან

**გოდერძი ჩოხელს**

ლექსების გარდა
რას დაგიტოვებ?
გრჩება ფიქრები
სისხლით ნაწერი.
საფრენი წლები —
ჩამოვიტოვე,
მთებიდან მიხმობს —
მზე — გულდამწველი.
იცოდეს ღმერთმა,
ცასაც ავწევდი,
შენსკენ დაქროლილ
ქარს რომ შევბმოდი.
და თითქოს, შვილო,
ლექსს კი არ ვწერდი —
ცეცხლწაკიდებულ
სახლში შევრბოდი.
ნუ გამიწყრები,
თუ შეგაყვარე:
მჭკნარი ვარდები,
სველი ძახველი.
მე ვდარდობ შენ რო —
დაგედარდები,
ჯანდაბას, ჩემი
გზა და სახელი...

---



**სოფიკო მურმანიშვილი (ცირეკიძე)**

### პეიზაჟი აკვარელში

•••

მოვარდა ხვატი,
ზეცაზე გაწვა წითელი ზოლი,
ვით უდაბნოში ოაზისები,
ლოდებს ესიზმრათ ბალახის ფონი...

•••

ველზე დაკრიფა ბალახი ქარმა
და სხვა სივრცენი გადაირბინა,
წვიმა საბრალოდ ატირდა დილით,
როს გაქურდული ველი იხილა...

•••

მზე დაიღვარა
მწვანე საყდარში ჭალის,
მსხვერპლად სწირავენ ფოთლებს
ქურუმი ხეები.
მირბიან დღეები,
ერთი გახელა თვალის...

•••

ღრუბლებმა აკრიფეს წვიმის წვეთები
და განთიადზე წითელ ხორკლებად
დააჩნდნენ ზეცას,
მთას შეეფარნენ ნისლები,
და აჟივჟივდნენ ძველ სამრეკლოზე
ჩიტები ხელად...

•••

დაწნილ გიდლებში ჩაძვრა ზამთარი,
და გამოგზავნა ფიფქების ფარა,
ქუდებს იქსოვენ სახურავები
და მინდვრებს თეთრი საბნები ფარავს...

•••

ღობის გადაღმა ჩაბნელდა შარა,
მერე ეზო და სახლ-კარი,
შემოიპარა ღამე, როგორც აფთარი,
მერე გამობრძანდა ვარსკვლავთ ამქარი
და შემოარტყა დედამიწას ვერცხლის ქამარი.

•••

დაღამდა, ვნახე კენტი ვარსკვლავი,
ხეტიალობდა ზარმაცი მთა-მთა,
ტანთ გაეხადათ ჭალის პირს ალებს
და წყალს ივლებდნენ ხავსიან ღართან.

•••

წყურვილი კლავდა მარანს ნამთვრალევს,
ვაზში ტიროდა ქვევრების სული.
ქარები ტეხდნენ ლერწმის ბალახებს
როს გაზაფხული დიოდა სრული...

---

**თამაზ ორველაშვილი**

### ნუ ყმუი, მგელო!..

შუაღამისას მგლის ყმუილმა გამომაღვიძა,
წამოვდექი და კელიიდან გავედი გარეთ.
რას ყმუი, მგელო, რა გაწუხებს
— მითხარ რა გინდა?
თუ სიმარტოვემ შეგაწუხა — გაგიღებ კარებს!
ნუ ყმუი, მგელო, თორემ ბოღმით გასკდება გული
მე ხომ ისედაც არ მაკლია სევდა და დარდი
და რომ შემეძლოს, დავიწყებდი
საზარელ ყმუილს,
ამ ცხოვრებაში მეც შენსავით
მთლად მარტო დავრჩი.
მისმინე, მგელო, თუ მიმიღებ — ამოვალ ზევით,
მთვარის მკრთალ შუქზე ამოვყვები
მოკირჩხლულ ბილიკს,
მე ძაღლის წელში დავიბადე
— მოძმე ვარ შენი,
იქნებ შენ მაინც მოეფერო გაუსაძლ ტკივილს.
იქნებ შენ მაინც ჩაიხედო სიღრმეში სულის,
სხვა ახლოსაც კი ვერ მიუდგა
უძირო უფსკრულს,
ვისაც ვუყვარდი ან მიყვარდა — ეცადა გულით,
მაგრამ ხელიც ვერ მიაკარეს
ჩარაზულ ურდულს.
მისმინე, მგელო, შენ უთუოდ გამიგებ რამეს...
თუ ვერ გამიგებ, არა უშავს
— დავრჩები შენთან!
სხვაგან მაინც არ მიმესვლება ზამთრის
ამ ღამეს,
სხვაგან მაინც არ მიმესვლება ზამთრის
ამ ღამეს...
სხვას ჩემი ძმობა აღარ უნდა
— მივდივარ მგელთან!

CMYK

# ტელევიზორის ყურებაში ფულს არ გადაგვახდევინებენ...

## ინგა გრიგოლიას ახალი პროექტი



თუ საქართველოს ტელე-რადიოდეპარტამენტის თავმჯდომარეს, ზაზა შენგელიას დავუჯერებთ, ტელევიზია ფსიქოტრონული იარაღია, რაც, თურმე, სულაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა გვეშინოდეს მისი. „მთავარია, ამ იარაღს როგორ გამოვიყენებთ, როგორი მმართველის ხელში ჩავარდება იგი — კეთილის თუ ბოროტის, სწორედ ამის შესაბამისად მოახდენს ტელევიზია ზემოქმედებას საზოგადოებაზე“ — განაცხადა ბატონმა ზაზამ საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის ახალი და განახლებული პროექტების პრეზენტაციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა პირველი არხის პირველ სტუდიაში. პრეზენტაციას უამრავი სტუმარი ესწრებოდა, მათი შემადგენლობა პროფესიული თვალსაზრისით, ფრიად ჭრელი და თანაც წარმომადგენლობითიც გახლდათ. ვის არ ნახავდით აქ — გელა ჩარკვიანით დაწყებული, ქართველი შოუმენებით დამთავრებული. **ზაზა შენგელიამ** ახალი სატელევიზიო პროექტების განხილვისა და წარდგენისას სიამოვნებით განაცხადა, რომ ერთადერთი ტელეარხი, რომელიც ლიცენზირებულ და ხარისხიან პროდუქციას უჩვენებს მაყურებელს, პირველი არხია. ჩვენ საკმაოდ დიდი თანხები გვეხარჯება ფილმების შესაძენად და სათარგმნად. საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე აიღო ვალდებულება, რომ ჩვენს ტელეარხზე მხოლოდ ლიცენზირებული პროდუქცია გავა, შესაბამისად, დაცული იქნება კანონი საავტორო უფლებებისა და სხვათა შესახებ.

— **შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტელეეკრანები და მათ შორის პირველი არხიც, წალეკა ლათინურამერიკული ქვეყნების იაფფასიანმა ტელესერიალებმა, მაშინ, როცა არსებობს ხარისხიანი ევროპული და, გნებავთ, ჰოლივუდური პროდუქციაც.**

— გეთანხმებით, ჩვენ ამაზეც ვიფიქრეთ, ვიზრუნეთ და ამჯერად ორი ევროპული სერიალი შევიძინეთ. ერთია ცნობილი იტალიური „რვაფეხა“, ქართულ ენაზე ნათარგმნი. მეორე კი, უნიკალური სერიალი „ფორსაიტების საგა“, რომლის ეკრანიზაციაც ამჟამად მიმდინარეობს. ეს გახლავთ 20-სერიიანი ფილმი, 10 სერია გადაღებულია. მალე დავიწყებთ სერიალის ჩვენებას.

— **მაყურებელთა დიდ ნაწილს აინტერესებს, აჩვენებს თუ არა პირველი არხი პირდაპირი ტრანსლაციით ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მატჩებს?**

— ესეც ძალიან დიდი ფუფუნებაა, რომ არა სპონსორი, მაყურებელს ამ სიამოვნებას ნამდვილად ვერ მივანიჭებდით. ახლაც მიდის მოლაპარაკება ამ საკითხზე და ალბათ უახლოეს მომავალში ყველაფერი მაყურებლის სასარგებლოდ გადაწყდება.

— **მაყურებელს ასევე აინტერესებს ინგა გრიგოლიას ასავალ-დასავალი, მის შესახებ რას იტყვით?**

— ინგას უამრავი შეთავაზება აქვს სხვადასხვა ტელეარხისაგან, მაგრამ ის კვლავ ჩვენთან რჩება. ამჟამად მუშაობს ახალ პროექტზე, რომელიც დეკემბრისთვის იქნება მზად.

— **ბატონო ზაზა, გადაცემების შესარჩევი ტენდერები წარსულს ჩაბარდა?**

— ტენდერები უკავშირდება ტელევიზიაში რეფორმების დაწყებას. თავიდან, როცა მე აქ მოვედი, 140 სატელევიზიო გადაცემა არსებობდა, რაც მომაკვდინებე-

[...]

# სულ ტრაგიკული სიყვარულის მსხვერპლი ვარ

## დედაა ჩემი სპონსორი



რეჟისორი, მეტსახელად „სუყო“, გამუდმებით გაურბის ჟურნალისტებს. კიდეც რომ დაითანხმონ ინტერვიუზე, შემდეგ დიდი ბრძოლა მოუწევთ მისი ფოტოს მოსაპოვებლად. მოკლედ, ეს ადამიანი იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც არ აწუხებთ „ვარსკვლავური დაავადება“. მან მშვენივრად იცის საკუთარი შესაძლებლობების ფასი და ვერ იტანს მის გარშემო შექმნილ საინფორმაციო ხმაურს... ამჯერად, ჩემი რესპონდენტი რეჟისორი-მუსიკოსი, თუ გნებავთ, პირიქით — მუსიკოსი-რეჟისორი **დათო საყვარელიძეა**.

— **დათო, ეს უცნაური მეტსახელი — „სუყო“ — ვინ შეგარქვათ?**

— ბავშვობაში კლასელებმა ჩემი გვარის თავისებური ტრანსფორმაციით ამგვარი მეტსახელი შემირჩიეს, რომელიც დღემდე შემომრჩა და მშვენივრადაც მოვირგე. უცხოეთში ხშირად ვერ იგებენ, ან ვერ ამბობენ ჩემს გვარს, ამიტომაც დათო სუყოდ ვეცნობი. შეიძლება მალე უცხოეთში ჩემს აფიშებზე საყვარელიძის მაგივრად სუყო დავაწეროთ...

— **პროფესიით დრამატურგის ესოდენ დიდი ინტერესი მუსიკის მიმართ, ალბათ ოჯახურმა ტრადიციამ გამოიწვია — მამათქვენი, ივიკო საყვარელიძე წარსულში პოპულარული მომღერალი იყო. ქალბატონი ნანი ბრეგვაძეც თქვენი ნათესავია.**

— რა თქმა უნდა, ოჯახმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ჩემი მამიდაები, მარიკა

[...]

არა ქართველობით“. გამოკითხულთაგან 100 ამაყობდა. რას ნიშნავს ეს დამამცირებელი კითხვა? იტალიელებს არ შეუძლიათ იტალიელობით იამაყონ? ან კიდევ, როგორ შეგიძლია იამაყო იმით, რაც შენ არ შეგიქმნია? ჩვენ ჩვენი შექმნილით უნდა ვიამაყოთ. ამისთვის კი აუცილებლად უნდა გავაკეთოთ რაღაც ძალიან კარგად. ჩემთვის პატრიოტული თემა პროფესიონალიზმს უკავშირდება.

*ეკა ლომიძე*



# „ახლა პოლიციაში დავდივარ და ოპერების მუშაობას ვაკვირდები...“

**„აღარ გვყავს ჩარლი ჩაპლინი, ტოტო, ფიუნეს, ვიცინი... მაგრამ ედიკას წყალობით ვტირით და მაინც ვიცინით!!!“**

ფუნაგორიის ავტორი ცნობილი მსახიობი გია ლეჟავაა. ერთი შეხედვით თითქოს მოტეხილი, მაგრამ გაუტეხელი, რომელსაც გულწრფელად უკვირს, რატომ აინტერესებთ გია ლეჟავა მხოლოდ ჟურნალისტებს და არ აინტერესებთ კინორეჟისორებს. და მაინც, დღეს იგი რუსთაველის აკადემიური თეატრის მსახიობია და ახალ როლზე მუშაობს. ლეჟავების ოჯახში ერთბაშად ორ პროფესიონალ და ერთ დამწყებ მსახიობს ვესაუბრე. მათ შორის ერთს, **გია ლეჟავას**, ჰოლივუდის ვარსკვლავს ენტონი ჰოპკინსს ადარებენ, მეორეს — **ნინო ლეჟავას** — უმა თურმანს. მესამე ჯერ მხოლოდ საკუთარ თავს ჰგავს და ასეც აპირებს დარჩენას.

— **ბატონო გია, მსახიობის ცხოვრების გზა მძიმეაო, ამბობენ.**

— ბედი გინდა მანდაც. ამის მაგალითად ორ უნიჭიერეს მსახიობს დაგისახელებთ მარჯანიშვილის თეატრიდან. ერთი, რეზო ჩხიკვიშვილი. მოვიდა თუ არა თეატრში, მაშინვე ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ მთავარი როლი ერგო. რეზო „ბლატებით“ და ვიღაცის ზურგით არ მიუღიათ, ნიჭით მოეწყო, მაგრამ ბედიც სწყალობდა. მეორე მსახიობს — გოგი ჩუგუაშვილს კი ეკლიანი გზის გავლა მოუწია. „მასოვკიდან“ დაიწყო და წარმატების პიკს მიაღწია, მაგრამ ძნელად... და მაინც, სამწუხაროდ, რეზო დღეს გერმანიაშია, ცხოვრება კარგად მიუდის, მაგრამ იქ მისთვის შეუფერებელი ჟანრის არტისტია.

— **ხელმოკლე ცხოვრების გამო თქვენ არ გიფიქრიათ უცხოეთში წასვლაზე?**

— არა. თეატრს ვერ დავტოვებ. თანაც, ნოსტალგიური ტიპი ვარ. სულაც არ ვაპირებ იმის თქმას, რომ აი, მე რა პატრიოტი ვარ, ისინი რა ცუდები არიან და ა.შ. რას ამბობთ, ლევან უჩანეიშვილი აშშ-ში, ამირან ამირანაშვილი — საფრანგეთში, რეზო ჩხიკვიშვილი — გერმანიაში და კიდევ სხვები სხვაგან თუ საქმეს გააკეთებენ, ეს ხომ საქართველოს სახელი იქნება. საბედნიეროდ, ამ ხალხს შეუძლია წავიდეს და ყველგან აკეთოს საქართველოს საქმე, მე კი, სამწუხაროდ, არ შემიძლია თუნდაც ერთი კვირით დავტოვო ვერაზე ჩემი „ტოჩკები“ და კუნჭულები, ესეც საკმარისი იქნება, რომ მონატრებით დავიტანჯო.

— **ნოსტალგიურო ბატონო გია, რომელიმე როლზე თუ გიოცნებიათ?**

— რიჩარდ მესამე მინდა ვითამაშო. წინათ კი მერკუციოს და ტიბალტის თამაში მინდოდა. ამჯერად ახალი როლისთვის ვემზადები. გოგი ქავთარაძე იბსენის ერთ-ერთ პიესას დგამს. ნიკოლას არნესონს ვითამაშებ, ეპისკოპოსს — აქვს ამ პერსონაჟს რაღაც საერთო რიჩარდ III-სთან. ავთო დიდებულიძის დადგმულ ტელენოველაში, ოქტივ მირბოს „ბავშვი“, ოცი წუთის განმავლობაში მიმყავს მონოლოგი. ეს ჩემი ყველაზე საყვარელი როლია.





— **ბატონო გია, ნინოზე რას გვეტყვით? ხომ არ უშლიდით მსახიობობას?**

— ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა ერეკლე ბადურაშვილის ფილმში, „თბილისი ჩემი სახლია“, ითამაშა. ისე იმოქმედა ჩემზე მისმა თავდადებამ, ველარ დავუშლიდი მსახიობის გზას რომ შესდგომოდა. 70 ლარზე ვცხოვრობ დღეს, მაგრამ რომ მითხრათ, სავაჭრო ცენტრში ჩაგსვამ სამუშაოდ, მინიმუმ 1000 დოლარი გექნება ხელფასიო, ვერ წავალ. ჯერ ერთი, ამის ნიჭი არა მაქვს და მერე კიდევ, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. ნინოც ასეა. ჩემზე ნიჭით და პოტენციით ბევრად მაღლა დგას. იმედი მაქვს, რომ ღვთის წყალობით მის შემოქმედებით ცხოვრებაშიც გამონათება იქნება და ჩემსავით უბედო არ აღმოჩნდება.

*ბატონ გიასთან საუბრის დროს ოთახში, მისი ქალიშვილი შემოვიდა. ნინო დილით დაბრუნებულიყო გადაღებიდან, დასვენებაც კი ვერ მოესწრო, თუმცა, თავს მშვენივრად გრძნობდა.*

— **ამჯერად ძალიან დაკავებული ხართ?**

— შეიძლება ასე ითქვას. ლელა წურწუმიას ახალი სიმღერის კლიპში მიღებენ. ეს ჩემი პირველი კლიპია.

— **სერიალების გადაღებაზეც ხართ მგონი მიწვეული.**

— ჩემთვის გასაოცარ ამპლუაში აღმოვჩნდი კოკა ცხაკაიას „ოპერებში“. ეს ფილმი საზოგადოებას აცნობს, რომ ოპერმუშაკს, პოლიციელს, რომელთა მიმართ ხალხი და მათ შორის, მეც, საკმაოდ ცუდად ვართ განწყობილი, აქვთ კარგი მხარეებიც. ამ ფილმით ხალხს პოლიციის მიმართ ნდობა უნდა დაუბრუნდეს. სიუჟეტის მიხედვით, ოთხი ოპერმუშაკია, რომლებიც დევნიან არა მხოლოდ დამნაშავეებს, არამედ ცუდ პოლიციელებსაც. მე ერთ-ერთი ოპერი ვარ, თანაც აფხაზი, გუდაუთაში დაბადებული, მართლმადიდებელი, სასტუმრო „ივერიაში“ ვცხოვრობ. ეს რომ გავიგე, ავწუწუნდი, რაც კინოში ფეხი შევდგი, სულ საწყალს, მიტოვებულს, გაუბედურებულს და უსახლკაროს ვთამაშობ-მეთქი. ახლა პოლიციაში დავდივარ და ოპერების მუშაობას ვაკვირდები.

— **გადაღებისას რამე არაორდინარულს ხომ არ წააწყდით?**

— ძალიან ბევრს. განა არაორდინარული არ არის ის, რომ ქალი-ოპერი თბილისში არ არსებობს. ფილმი რომ გამოვა, დარწმუნებული ვარ, ქალი-ოპერების ცვენა იქნება. გარდა ამისა, შემომთავაზეს გადაღება ერეკლე ბადურაშვილის და ზაზა ურუშაძის ფილმში, რომელიც „არტ-იმედის“ დაკვეთას წარმოადგენს. კრიმინალური სერიალია. ჟანრი ლოლაშვილია მთავარ როლზე დამტკიცებული. გარდა ამისა, მაქვს სინჯები სხვადასხვა ფილმზე და ვნახოთ, რა იქნება.

— **წინასწარ გაინტერესებს ხოლმე რომელიმე როლი? ყოფილა შემთხვევა, რომ წაიკითხე სცენარი და უარი თქვი?**

— მიფიქრია როლზე წინასწარ. არ მესმის იმ ხალხის, ვინც ამბობს, კარგმა მსახიობმა ყველანაირი როლი უნდა ითამაშოსო. მაგალითად, დეზდემონას არასოდეს ვითამაშებ, არ მაინტერესებს და იმიტომ, თორემ მარიამ სტიუარტს, ლედი მაკბეტს, მედეას კი უდიდესი სიამოვნებით განვასახიერებ.

— **ნინო, მაყურებელი ხშირად უმა თურმანს გადარებს.**

— პირველად ეს გადაღებებზე ზაზა ურუშაძემ მითხრა. მერე თავად რომ დავიჭირე მსგავსება, გადავწყვიტე მისი კოორდინატები მომეძებნა ინტერნეტში. მინდოდა სურათი გამეგზავნა და მიმეწერა — არ ვიცი საიდან, მაგრამ მგონი დები ვართ-მეთქი. მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოვახერხე. არადა, იქნებ ვინმეს იდეა გასჩენოდა და ორივე ერთად გადავეღეთ ფილმში. მეც გავისეირნებდი ჰოლივუდში.

— **შეიძლება დადგეს მომენტი და მსახიობობაზე უარი თქვა?**

— შეუძლებელია. მე სცენის რამპის შუქით და მტვრით ვარ „მოწამლული“ და თითქმის ფანატიკურად მიყვარს ჩემი საქმე. შეუძლებელია თეატრის, კინოს გარეშე ვიცხოვრო. ვწერ სცენარებს, სიმღერებს, ლექსებს („უცნობი ქალი“, ლელა წურწუმიას რუსული „სამბა“ და კიდევ სხვა სიმღერები ნინოს ეკუთვნის — ე.ლ.), მაგრამ ჩემთვის მთავარი მაინც მსახიობის ხელოვნებაა.

— **გია ლეჟავა მხოლოდ მამაა შენთვის?**

— მამის დიდი რიდი და მოკრძალება მაქვს, პრემიერაზეც ყველაზე მეტად სწორედ მისი მოსვლის მეშინია. მუშაობის პროცესში აზრს არ ვეკითხები, მაგრამ თუ თქვა რამეზე, არა უშავსო, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან მოსწონს. მეც და მამასაც ერთი და იგივე პედაგოგი, ლილი იოსელიანი გვასწავლიდა.

*დასაწყისში გითხარით, ლეჟავების ოჯახში ერთ დამწყებ მსახიობსაც ვესაუბრე-მეთქი. იგი ნინოს ვაჟი, 7 წლის ნიკუშა ზაქარეიშვილია, რომელიც რამაზ იოსელიანის „მაცაცერას“ ვარსკვლავად ქცეულა და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მსახიობი გახდეს. მის ამ სურვილს ოჯახშიც არავინ ეწინააღმდეგება, ჩვენც გზას დავულოცავთ!*

**ეკა ლომიძე**

# ამიგო — თბილისური „ტუსოვკების მამა“



ვანიკო თარხნიშვილი (მარჯვნივ) ირაკლი ჩარკვიანთან ერთად

„სერია XXI“-ის მიერ ჩატარებული ყველა ფართი და ღონისძიება რადიკალურად განსხვავდება ტრადიციული ქართული თავყრილობებისგან. ცოტა სასმელი, ბევრი ცეკვა, მუსიკა, სიმღერა, ორიგინალური იდეა, განსაცვიფრებელი ეფექტები, დაუსრულებელი ფეიერვერკები და განსხვავებული დიზაინი — თუ ყველაფერს ერთბაშად იხილავთ, რომელიმე კლუბში ან დარბაზში, უნდა ჩათვალოთ, რომ იქ სადმე აუცილებლად შეხვდებით მუდამ ხალისიან, ენერგიულ და კარგ ხასიათზე მყოფ **ვანიკო თარხნიშვილს**, უფრო მეტიც — დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ვანიკოა ამ ყველაფრის თავიდათავი... ვანიკომ ზუსტად იცის რას აკეთებს — ის ხომ ოთხი წლის განმავლობაში მეუღლესთან ერთად მონდომებით სწავლობდა გერმანიაში პრომოუშენს და მიიღო კიდეც პრომოუშენის განხრით ორგანიზების მენეჯერის სერტიფიკატი.

— დავამთავრე თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი... დედაჩემს ჰყავს ბიზნესპარტნიორი, რომელიც გერმანიაში ქალის ტანსაცმლის მწარმოებელი უდიდესი კომპანიის „შტაილმანის“ მფლობელია. მას ეკუთვნის „ლაგერფელდი“, „შანელი“ „არმანის“ ნაწილი... დედამ მე და ჩემს მეუღლეს მასთან პრაქტიკის გავლა შემოგვთავაზა. ეს კომპანია სხვადასხვა განხრის 35 განყოფილებას მოიცავს. ყველგან გავიარეთ ტრენინგი. 4 წელი ვიმუშავეთ მენეჯერებად. მოხდა ფანტასტიკური სინთეზი — საერთაშორისო ფასეულობები და თანამედროვე ცხოვრება ჩემს ცნობიერებაში შეერწყა ქართულ სინამდვილეს...

— **არ გიფიქრია უცხოეთში დარჩენაზე?**

— მე მთელი ომის პერიოდი გამოვტოვე. იქ საშინლად სტრესული წერილები მომდიოდა თბილისიდან. ამიტომაც გადავწყვიტე ჩამოსვლა. თორემ უკვე ვფიქრობდით ჩინეთსა და ფლორიდას შორის არჩევანის გაკეთებას.

— **რის იმედზე ჩამოხვედი?**

— მინდოდა ნანგრევებზე დამეწყო რაღაცის შენება, შექმნა. საკუთარი ბიზნესი ვერ ავაწყვე და „კოკა-კოლაში“ დავიწყე მუშაობა. შემდეგ კი შპს „მაკა ასათიანის“ მენეჯერი გავხდი.

— **რაში მდგომარეობს შენი მოწყობილი ღონისძიებების ორიგინალურობის საიდუმლო?**

— იმაში, რომ მე ამ ყველაფერს ყოველთვის ვუყურებ პროდიუსერის პოზიციიდან, სულ ვცდილობ, შეიქმნას პროდუქცია.

— **ვიცი, რომ ინგლისის დედოფლის იუბილეზე 14-წუთიანი ფეიერვერკი იხილა მაყურებელმა. შენს რომელიღაც ღონისძიებაზე ფეიერვერკის ხანგრძლივობა 17-წუთიანი იყო...**

— ეს გავაკეთეთ სოციალისტების მხარდასაჭერი ღონისძიების დროს...

— **ანუ პოლიტიკაში ერევი?**

— არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, ამ პარტიაში არის ჩემი მეგობარი, კოლეგა და ბიზნესპარტნიორი დათო ცირეკიძე ანუ „შავი“, როგორც მას ეძახიან... ამიტომ მოვაწყვე ეს ღონისძიება.

— **შენ გეძახიან „ტუსოვკების მამას“...**

— ეს სახელი შარშანწინ ჟურნალმა „ბომონდმა“ დამარქვა და საშინლად გამიხარდა.

— **ხშირად „უცნობის“ მენეჯერად მოგიხსენიებენ...**

— არასდროს ვცდილობ არტისტებთან თანამშრომლობას. მე და „უცნობი“ მეგობრები ვართ და სუფთა პროფესიული პოზიციიდან რაღაც პროექტები გვაქვს დაგეგმილი. სანამ „უცნობი პროდაქშენ“ შეიქმნებოდა, მე დროებით ვითავსებდი მენეჯერის ფუნქციებს...

— **თუ ხარ გადაღებული რომელიმე კლიპში?**

— „ვაგონში“, რომელიც, ვთვლი, რომ „უცნობის“ და ბასას უნიკალური ნამუშევარია. ფანტასტიკური დღეები იყო.

— **ვანიკო სახლში...**

— მყავს მეუღლე, ირინა სიამაშვილი — რაც შევუღლდით, გერმანიიდან მოყოლებული სულ ერთად ვართ. ირინა ისევ „კოკა-კოლაში“ მუშაობს...

— **სულ კარგ ხასიათზე ხარ, დავიჯერო არაფერზე ღიზიანდები?**

— თითქმის არაფერზე, მხოლოდ და მხოლოდ აშკარა ბოროტებაზე.

— **ტრადიციებს როგორ უყურებ?**

— ანტაგონისტურად. არათუ არ მიყვარს — ვერ ვიღებ და ვერც ვიზიარებ. ამის გამო ჩემი ერთ-ერთი ამერიკელი მეგობარი მეუბნება ხოლმე — მე ვერ ვიტან ამერიკას, შენ კი აქ უნდა ცხოვრობდეო.

— **წახვიდოდი სადმე?**

— მე არ ვიცი რამეზე მიჯაჭვა, არ განვიცდი ნოსტალგიას... სადაც კარგად ვარ, იქ მინდა. მაგალითად, ტაილანდში როცა ვიყავით, წამოსვლა აღარ მინდოდა.

— **საყვარელი მომღერალი...**

— ამ წუთში — ემინემი.

— **საყვარელი მწერალი...**

— ოსკარ უაილდი ჩემი იდეალია. თითქოს მასთან ერთად ვუყურებ ცხოვრებას...

— **შენი ჰობი...**

— ადამიანებთან ურთიერთობა და საუბარი.

— **საყვარელი სასმელი და საჭმელი...**

— ბრენდი, კონიაკი, ზღვის პროდუქტები და პამიდვრიანი ერბოკვერცხი.

— **ფრაზა ან სიტყვა, რომელსაც ხშირად იმეორებ...**

— როგორც მეუბნებიან, ჩემგან ხშირად მოდის გამოთქმები — უბომბესი, სუპერ, ქულ, უქულესი, ამიგო და ფროილაინ...

— **რას გეძახიან მეგობრები?**

— „ტუსოვკების მამას“, „სუპერტუსოვკას“, „ამიგოს“, „ზინდლერს“ და „ტურისტს“...

— **რა არ გინდა რომ გააკეთო?**

— უსაქმოდ რომ დავრჩე.

— **რას ელოდები?**

— პროგრესს...

— **იარაღთან შენი ურთიერთობა...**

— ერთხელ მეჭირა ბავშვობაში და შემდეგ ჯარში. სხვათა შორის, არაჩვეულებრივად მახსენდება ჯარის პერიოდი — ეს იყო ხანა, როდესაც საკუთარ თავს დამოუკიდებლობაში ვცდიდი.

— **ერთი სიტყვით, როგორ დაახასიათებდი საკუთარ თავს?**

— მერწყული...

**ეკა მახარაშვილი**



# მან ოჯახს მდიდარი ქალი არჩია

**ეს წერილი ახალგაზრდა ქალზეა, რომელმაც დიდი სიყვარული დაკარგა...**

**„მხოლოდ ღმერთმა იცის, ვინ იყო ჩვენ შორის მართალი თუ მტყუანი... მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. შეგვეძინა ორი ვაჟი. უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით“, — მწერს ახალგაზრდა ქალბატონი ანი...**

ანი თბილისის მეზობელ სოფელში დაიბადა. დედა ადრე გარდაეცვალა. მამამ მეორე ცოლი შეირთო. უდედოდ გაზრდილი გოგონასათვის სიყვარული ის ყოვლისმომცველი გრძნობა იყო, რომლისთვისაც თავის გაწირვაც კი ღირდა. ქმარიც რაიონიდან იყო და ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. ბიჭები პატარები იყვნენ, როცა სტუმრად ჩასული დედამთილი ავად გახდა. ექიმებმა ურჩიეს, ავადმყოფს ბავშვები უნდა მოარიდოთო. ცოლ-ქმარი შეთანხმდა: გარკვეული დროით ანი ბავშვებთან ერთად მამასთან იცხოვრებდა, ქმარი კი დედას მიხედავდა, თუ გაუჭირდებოდა, მომვლელ ქალს დაიქირავებდა. ანის სტუმრობას მამა და დედინაცვალი სიხარულით არ შეხვედრიან, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

კვირაში ერთხელ აკითხავდა ქმარი. მერე და მერე გააიშვიათა სტუმრობა, ბოლოს კი სულ შეწყვიტა. შეშფოთებულმა ქალმა ქმარს მიაკითხა. მან სიმართლე აღარ დაუმალა ცოლს: ვეღარ შევძლებ შენთან ცხოვრებას, რადგან სხვა შემიყვარდაო.

სიყვარულს წინ ვერავინ დაუდგება. იგი დაოჯახებულსაც შეიძლება ეწვიოს და დაუოჯახებელსაც, მაგრამ ხომ არსებობს მოვალეობის გრძნობა მარტო დარჩენილი შვილების დედის მიმართ, ბავშვების მიმართ, რომელთაც არა დაუშავებიათ რა. სამწუხაროდ, მოვალეობის გრძნობას არ შეუწუხებია ქმარი, გაიხურა ნაქირავები ბინის კარი და წავიდა. ანის უფულოდ ვინღა გააჩერებდა? „კაცი წავიდა სხვისასა“... რატომაც არა? დედამისი გამოჯანმრთელდა და სოფელში დაბრუნდა. ვაჟს აღარ უნდოდა, კვლავაც ეზიდა ოჯახის ტვირთი, ანდა რატომ უნდა ეზიდა, როცა შეიძლებოდა უზრუნველად ეცხოვრა? თორმეტი წლით უფროს საყვარელს ბინაც ჰქონდა და მანქანაც, თავის თავსაც უვლიდა და კაცსაც ბედნიერ ცხოვრებას ჰპირდებოდა. ამიტომაც დიდხანს აღარ უფიქრია კაცს. ანი კვლავ მამას მიადგა კარს, მაგრამ ამჯერად უარი მიიღო — ქმართან თუ აღარ გეცხოვრება, დედამთილს მიუყვანე ბავშვები, მან გაგიზარდოს, შენ კი მიგიღებთ, ეგებ, მეორედ ჩვენი ჭკუით გაგათხოვოთო.

ანიმ ბავშვებზე უარი ვერ თქვა, ვერც დედამთილს მიუყვანა ბიჭები გასაზრდელად. მიხვდა, რომ მისი საწვალებელი იყო ყველაფერი.

„მამაჩემის და დედინაცვლის წინადადებაზე უარი რომ ვთქვი, კარისკენ მიმითითეს და ჩემი არსებობა სამუდამოდ დაივიწყეს. რა სიტყვით გამოითქმება ის განცდები, რაც ჩემს სულში ტრიალებდა. მომხდარის გაცნობიერებამ მიწასთან გამასწორა. ჩემი მეგობრები რომ არა, არ ვიცი, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი. სტუდენტს აბა, ქირა როგორ უნდა გადამეხადა? მეგობარმა შემიფარა. მეგობრებისვე დახმარებით, შეძახილით და გვერდში დგომით მოვახერხე უნივერსიტეტის დამთავრება, — მწერს ანი, — მერე ორი გრძელი წელიწადი სამსახურის ძებნაში უიმედოდ გაილია. კერძო მოსწავლეების მეცადინეობით აღებული შემოსავლით გვედგა სული მე და ჩემს შვილებს. მალე სასკოლო ასაკიც მოვიდა და ბავშვები ისევ ჩემი მეგობრების დახმარებით მივიყვანე სკოლაში. მაშინაც კი არ გახსენებია ჩემს ქმარყოფილს შვილები. ცოტა ხანში პურის საცხობში გამოჩნდა ადგილი. ღამით ვმუშაობდი, პურს ვაცხობდი, დღისით კი კვლავ კერძოდ ვამეცადინებდი მოსწავლეებს. პატარა თანხა გამიჩნდა თუ არა, ბინა დავიქირავე... ორი წლის მერე ვარკეთილში, ზემო პლატოზე (სადაც ახლა ვცხოვრობთ), კერძო სკოლაში დავიწყე მასწავლებლად მუშაობა და ცოტათი ამოვისუნთქეთ. ყველაფერს ვასწრებდი, მეტიც, რაღაცნაირი ხალისითაც კი ვაკეთებდი საქმეს, დაღლას ვერც ვგრძნობდი. მხოლოდ ეგ იყო, რომ დღე-ღამეში 3-4 საათზე მეტს ვერ ვახერხებდი ძილს. ამას აღარ დავეძებდი, რახან ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა... მაგრამ გაჭირვებულ ადამიანს ბოლომდე როდის გაუხარია? რამდენიმე თვის წინ საცხობი დაიკეტა, ზაფხულიც დადგა და სკოლაში მეცადინეობა შეწყდა. ცხადია, აღარც კერძო მოწაფეები მყავს. ერთ-ერთ მაღაზიაში დამლაგებლად დავიწყე მუშაობა, მაგრამ მაინც უზომოდ გვიჭირს. ბინის ქირა რომ დამიგროვდა, მისმა პატრონმა სახლი დამაცლევინა. ხან ერთ მეგობართან ვარ, ხან — მეორესთან. ჩვენი ნივთები დიასახლისმა დაიტოვა — ქირას მომიტან და წაიღეო.

იანვარში, ზემო პლატოზე მოსახლეობის აღმწერად ვიმუშავე. შებინდების მერე მიწევდა ბინებში სიარული, ბიჭებიც თან დამყვებოდნენ. უამრავი დაკეტილი ბინა ვნახე. ჩემმა უფროსმა ვაჟმა ინატრა მაშინ — ნეტავ, ამ ბინების პატრონებიდან ერთი მაინც



გამოჩნდებოდეს ისეთი კეთილი და გულისხმიერი, რომ დროებით, როგორც ბლანკოს ქვრივი შეიფარა ბრინიონმა, ისე შეგვიფაროს თავისთანო... ამ დღის მერე მოსვენება არ მაქვს წუთით. ზოგს პაწაწკინტელა კუთხე-კუნჭული ენატრება, ზოგს კი ერთი კი არა, ორი და სამი ბინა აქვს დაკეტილი.

დღემდე კეთილი ადამიანების დახმარებით მოვაღწიე. იქნებ გამოჩნდეს ვინმე გულისხმიერი და დიდსულოვანი, რომელიც გაიზიარებს ჩემს უკიდურეს მდგომარეობას და დახმარების ხელს გამომიწვდის. ვიცი, არ მაქვს უფლება, სხვა ადამიანებს თხოვნით მივმართო, როცა საკუთარმა მამამ და ქმარმა შემაქციეს ზურგი, მაგრამ მათზე მეტად სხვები მეიმედება...

მე დღეს არც მისამართი მაქვს და არც ტელეფონი. იქნებ, ვინმეს სურვილი გაუჩნდეს და თქვენი გაზეთის საშუალებით გამომეხმაუროს. მერწმუნეთ, თქვენი ერთი გამამხნევებელი და დამაიმედებელი სიტყვა ჰაერივით მჭირდება. ნუთუ, მეღირსება, რომ თავისუფლად ამოვისუნთქო? პატივისცემით — ანი.“

ამ სასოწარკვეთილ ადამიანს ჯერ კიდევ არ გადასწურვია იმედი და სანამ გამქრალა, იქნებ შეაშველოთ სიტყვაც და ხელიც, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა დედა გვწერს, ჰაერივით მჭირდება თქვენი დახმარებაო.

*მარინა ბაბუნაშვილი*

# სილამაზის კოქტეილი



1 ჭ შავი ჩაის ნაყენი (1 საათი უნდა დააყენოთ) გადავურიოთ 3 ს/კ ხაჭოს. გავიჩეროთ სახეზე 10 წუთით და ჩამოვიბანოთ.

1 მუჭა ვარდის ფურცლებს დავასხათ 75 მლ თბილი რძე და 20 წუთი გავაჩეროთ დახურულ ჭურჭელში. გავწუროთ, ავზილოთ და 1 ს/კ ქატო და 2 ჩ/კ თაფლი დავამატოთ. თბილი ნაზავი სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე დავიდოთ. 15 წუთის შემდეგ ჩამოვიბანოთ.

2 ს/კ ხაჭო ავურიოთ 1 ჩ/ჭ მაგარ ჩაის ნაყენსა და 3 წვეთ ლიმონის წვენთან. 2 ბამბის ტამპონი გავჟღინთოთ ამ ნარევით და 10 წუთით თვალებზე დავიდოთ, ჩამოვიბანოთ გრილი წყლით.

40 წლის შემდეგ ქალმა კრემი ე.წ. „ნესტიანი“ მეთოდით უნდა იხმაროს. ეს იმას ნიშნავს, რომ დილით კრემი შეუმშრალებელ, ნესტიან სახეზე უნდა წაისვათ. საღამოს კი, სახის ლოსიონით გაწმენდის შემდეგ, კრემი წაისვით წყალში დასველებული ტამპონით, ან სველი თითებით. ამ დროს კანი იფარება დამცავი საფრით, ხოლო კრემს კარგად შეითვისებს ალერგიული კანიც კი.

# „სამი ხაჭაპური შევჭამე და მას მერე ის ბიჭი აღარ გამკარებია“



**პირველი სიყვარული, პირველი პაემანი, პირველი კოცნა დაუვიწყარიაო, — ნათქვამია, მაგრამ ზოგიერთისთვის მეორე, მესამე და თუნდაც მეოცე კოცნა თუ პაემანი უფრო მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ყოფილა. მოკლედ, ჩემს უკვე თითქმის ტრადიციულ რესპონდენტებს დავუკავშირდი და დიდად რომ არ გაწვალებულიყვნენ, ყველაზე დასამახსოვრებელი პაემნის გახსენება ვთხოვე.**

**ხათუნა** (46 წლის) — სტუდენტობისას ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა და იმასღა ვფიქრობდი, ვინ როგორ მომეცილებინა. ხან სად მეპატიჟებოდნენ და ხან სად. მოკლედ, დღეში 9 პაემანზე დავდიოდი, მაგრამ იოლად დასათანხმებელი ნამდვილად არ ვიყავი. იურიდიული ფაკულტეტის ერთი სტუდენტი ვერაფრით მოვიშორე. ერთხელაც ლაღიძეში დამპატიჟა. ჯანდაბას, შენი თავი-მეთქი, ხელი ჩავიქნიე და ჩემზე არანაკლებ გურმან და მსუნაგ დაქალთან ერთად იმ ბიჭს „ლაღიძის წყლების“ წინ გამოვეცხადე. მოკლედ, მსუყე, გემრიელი აჭარული ხაჭაპური თვალის დახამხამებაში „ავითვისეთ“ და ჩემი კავალრის მოკრძალებულ შეთავაზებას — მეორე ხაჭაპურსაც ხომ არ მიირთმევთო, ერთობლივი თანხმობით შევხვდით, მეორეს მესამე მოჰყვა და... ის ბიჭი მას მერე სათოფეზე აღარ გამკარებია.

**ნინო** (22 წლის) — მე და ჩემს მომავალ ქმარს ერთმანეთი გაუმხელელად გვიყვარდა, ვერც ერთი ვერ ვდგამდით პირველ ნაბიჯს. ერთხელაც გავუბედე და სადარბაზოში კართან, კედელზე დავუწერე: ე, ბიჭო, მოიფიქრე რამე-მეთქი. იმანაც მოიფიქრა — „ფოთოლასთან“ შევხვდით ერთმანეთს. ორი საათი მდუმარედ ვისხედით. ერთმანეთს შევხედავდით და მორცხვად გვეღიმებოდა. ორი საათის მერე ხელი ხელზე მომკიდა და ნაზად მომეფერა. ტირილი დავიწყე. გულში ჩამიხუტა და იმის მერე თითქმის ყველა პაემანი ერთნაირად იწყებოდა, მაგრამ იმდენს ვლაპარაკობდით, საღამოს დაღლილ-დაქანცულები ძლივს ვშორდებოდით ერთმანეთს.

**თამრიკო** (38 წლის) — ტელეფონით მირეკავდა ერთი ბიჭი, საოცარი ხმა ჰქონდა. მოკლედ, თვალით არ მენახა და ხმით მიყვარდა, თანაც ტელეფონში მითხრა, მაღალი, ქერა და ცისფერთვალება ვაროო. დავუჯერე. შევხვდით და დენი დე ვიტო არ გამომეცხადა?! მე კი მართლა მაღალი, ქერა და ცისფერთვალება ვარ. მის დანახვაზე ისტერიული ხარხარი ამიტყდა, ის კი იდგა და ცრემლებს იწმენდდა. მას მერე შეხვედრა კი არა, ტელეფონითაც აღარ გვისაუბრია.

**ლანა** (18 წლის) — ჩემი ზოზინა ხასიათის გამო ერთხელ კინაღამ ერთი ჩემი თაყვანისმცემლის სიცოცხლე შევიწირე. ბიჭს ისე ვუყვარდი, ყინვაში ორი საათი იდგა და მელოდებოდა. მე კი ძლივს მივაღწიე დანიშნულ ადგილას. ტანსაცმლის მოსინჯვა-მოზომებაში გვარიანად დამაგვიანდა. პაემანზე მისულმა უდარდელად ვიკითხე, ხომ არ დავაგვიანე-მეთქი. იმანაც — არაო, ძლივს გამოსცრა. არადა, ხელი რომ შემეხო, ყინულის ლოლუასავით დაიმსხვრეოდა. ფილტვების ანთება დაემართა საწყალს და ამ ამბის შემდეგ ჩვენ შორის შავმა კატამ გაიარა. ეტყობა, მიხვდა, ეს გოგო შემიწირავსო. ჰოდა, დავდივარ ახლა მარტო და ყინვაგამძლე ბიჭს ვეძებ.

**ლიკა** (24 წლის) — ერთი ბიჭი თავს მევლებოდა, მაგრამ ჩემი გულის მოგება ვერა და ვერ მოახერხა. ეშმაკურ ხერხს მიმართა. ქირომანტიის ნიჭი მაქვსო, — მითხრა და ერთ პაემანზე ხელისგულზე მიმკითხავა. ესაო, ისაო, მოტაცებით გემუქრება ვიღაც და თუ მუდმივად ერთი ბიჭის გვერდით არ ივლი, საფრთხე არ აგცდებაო. შემეშინდა, მაგრამ მერე მივუხვდი ეშმაკობას და ვუთხარი, — აბა, ახლა მორჩი-მეთქი... ორ კვირაში მართლა მომიტაცეს... დამირეკა და მითხრა, არ გერჩივნა, ჩემთან გევლო და შენი მცველი ვყოფილიყავიო? მართლა მერჩივნა. ვინც მომიტაცა, იმას გავცილდი...

*ეკა ლომიძე*

# ის „ის“ არის?...

**უპასუხე ტესტის შეკითხვებს და გაიგებ, სწორად შეარჩიე თუ არა გულის სწორი. იქნებ ის არ არის, ვინც გჭირდება?**



**1. ხშირად გეუბნება ქათინაურებს?**

ა) მუდმივად;

ბ) საკმაოდ ხშირად;

გ) როდესაც დახმარება სჭირდება;

დ) არასოდეს.

**2. როგორი იყო მისი ყოფილი სიყვარული?**

ა) ის არასოდეს ლაპარაკობს მასზე;

ბ) ამბობს, ლამაზი იყო, მაგრამ ვერ შევეთვისეთ ერთმანეთსო;

გ) ამბობს, გველი იყოო და ყოველთვის აძაგებს;

დ) ის ღმერთქალი იყოო.

**3. რატომ გგონია, რომ უყვარხარ?**

ა) ბევრი რამ გაქვთ საერთო, სასაუბრო;

ბ) არ იცი, რატომ, მაგრამ იცი, რომ შეყვარებულია;

გ) არა ხარ დარწმუნებული;

დ) საერთოდ, ასე არ გგონია.

**4. რა არის მისთვის უმთავრესი?**

ა) შენ;

ბ) ოჯახი და მეგობრები;

გ) ტელეგადაცემები, ფეხბურთი, მანქანები;

დ) თავისი თავი.

**5. შეუძლია ტყუილის თქმა, თვალის ახვევა?**

ა) არა, ყოველთვის გულწრფელია;

ბ) დიახ, მაგრამ არა ყოველთვის;

გ) მუდმივად რაღაცას იგონებს, რაც ძალიან გაღიზიანებს;

დ) შეუძლია ტყუილის თქმაც და რაიმეს შეთხზვაც, რაც მას უფრო მიმზიდველს ხდის.

**6. მისი რომელი თვისება არ მოგწონს?**

ა) ძალიან მორცხვია;

ბ) ყველას და ყველაფერს სერიოზულად უყურებს;

გ) თავისი თავი ყველაზე მაგარი ბიჭი ჰგონია;

დ) იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ მოსწონს, მკაცრია.

**დაითვალეთ ქულები: ყოველი პასუხიდან ა) — 1, ბ) — 2, გ) — 3, დ) — 4 ქულაა**

**20-24 ქულა:** საშინელებაა. ამ მონსტრს ზედაც არ შეხედოთ. მართალია, მიმზიდველი და გულთა მპყრობელია, მაგრამ დაგტანჯავს, ადვილად მოგიკლავს გულს. ის გირეკავს და გთხოვს შეხვედრას? უპასუხე, — არ მცალია და შენთვის ვერასოდეს მოვიცლი-თქო.

**15-19 ქულა:** არაფერს კარგს არ უნდა ელოდე! შენ ეძებ ნაზ და მოსიყვარულე მამაკაცს, რომელიც სიყვარულზე გიპასუხებს. ის კი პატივმოყვარე ნარცისია, რომელსაც შეუძლია ვერც კი შეგამჩნიოს.

**10-14 ქულა:** შეიძლება... მაინცდამაინც იდეალური არ არის, მაგრამ სერიოზულად უყურებს ქალთან ურთიერთობას და როდესაც დარწმუნდება, რომ „ის ერთადერთია“ — მისი ერთგული და მოსიყვარულე მეგობარი იქნება.

**6-9 ქულა:** დიდებული მეგობარია! არ გაუშვა ხელიდან, თორემ მარტო დიდხანს არავინ დატოვებს. ძალიან კეთილია, მზრუნველი და კარგად აღზრდილი. მას ეყვარები და პატივს გცემს.

# ფოტოეტიუდი



**— სადილი მზად გვაქვს... ქმრები იგვიანებენ.**

***ნინო ხმალაძის ფოტო***

CMYK

# სკანვორდი ფრაგმენტებით



ლაჟვარდოვანი სანაპირო

კვალიფიციური მასწავლებლის წოდება

ყველაზე პატარა სახელმწიფო

ოპტიმისტის ანტიპოდი

თანამედროვე ეგრისი



ედგარ ალან პოს საუკეთესო ლექსი

„კარმენი“ (კომპოზიტ.) | კუნძული ხმ.შუა ზღვ.

სანელებელი მცენარე

ლორდის მეუღლე

შიშველი სხეული მხატვრობაში

ქალაქი საფრანგეთში

ვაგნერის ოპერა | ვერძი

თამადა უნდა იყოს ... | დიდი თათი

ჩერჩეტი

უდიდესი მდინარე შუა აზიაში

მარჯნის კუნძული



ფაშისტური სლოვაკეთის პრეზიდენტი

... და ნაღარა

ღვინის ქინქლა

საარჩევნო ყუთი

ტროპიკული ხილი

დენთითა და ტყვიით გატენილი მასრა

საკომუნიკაციო საშუალება

კომპიუტერ. მანიპულატ. | შეჯიბრი ავტომობ.

ფრანგული ფირმა | მეფის მემკვიდრე (საფრ.)

პრეპარატი აცრისთვის

... თუთაშხია

თოფის ნაწილი | ღვინის სასმისი

გორბაჩოვის მომაბეზრებელი იდეა

მთვარის ყველაზე დიდი დაშორება

მდინარე საფრანგეთსა და შვეიცარიაში

1000 მ. | მიქელანჯელოს ცისკ-დარბ. (ალეგორიულ.)

ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში

ბავარიის მკვიდრი

გერმანელი კომპოზიტ. | წითური თმა

იმერეთის სადროშოს ნაწილი

ლიანა ისაკაძის საყვარელი ინსტრუმ.

თვითმფრინავის მართვის ოსტატობა

ლამაზად წერის ხელოვნება

მიწის ბერძენი ქალღმერთი

ამერიკული ქარბორბალა

გეომეტრიული სხეული

პატიმრობის განსაკუთრებული სახე (ძვ.)

ფილმი რედფორდისა და ნიუმენის მონაწილ.

ტატოს დობილი

მხარე საქართველოში



მეორე საუზმე

ორ წელიწადში ერთხელ გამართული ფესტივალი

ხის დიდი, ბრტყელი კოვზი

ქსოვილი

ვახტანგ გორგასლის ძე

საჰაერო ბრძოლების ოსტატი

სპარსეთის ხელმწიფე

კორეული ფირმა | ელიავა

ქართული საეპისკოპოსო (ძვ.) თურქეთში



შეადგინა რამაზ ალანიამ

CMYK

დიდხანს ამაოდ ელოდნენ მის გამოჩენას ჯერ წითელი ჯვრის დღესასწაულზე, შემდეგ თეატრში, კონცერტზე... მეჯლისმა, რომელსაც ათასამდე სტუმარი ესწრებოდა, სტეფანის გარეშე ჩაიარა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო მონაკოს მთავარ რენიეს სასახლეში:

სასახლის მზარეულთუხუცესთან გაბმული რომანის გამო ატეხილი სკანდალის მიუხედავად, სტეფანი მონაკოში რიჩარდ ლუკასთან ერთად ჩავიდა. იგი ცერემონიისთვის საგანგებოდ მოემზადა: ცნობილ კუტიურიეს ცისფერი საღამოს კაბა შეაკერინა, რომელსაც დიდი დეკოლტე ამშვენებდა. ვარცხნილობაც შესაფერისი შეარჩია.

დღესასწაულამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, როცა მამამ სამივე შვილი სასაუზმოდ მიიწვია.

სუფრასთან დები ერთმანეთთან შეკამათნენ. პრინცმა ალბერტმა ჩხუბს თავის გარიდება ამჯობინა. კაროლინამ, არც აცია, არც აცხელა და მამა დაადანაშაულა — სტეფანი მაინცდამაინც კარგად ვერ აღზარდეო. მერე ვეტოს უფლება გამოიყენა და პრინც რენიეს მიახალა: თუ სტეფანი ცერემონიას დაესწრება, მაშინ ჩემი ფეხი იქ აღარ იქნებაო. სტეფანისაც რაღა დარჩენოდა — იძულებული გახდა, დის კაპრიზს დამორჩილებოდა. გულის სიღრმეში ალბათ გრძნობდა კიდეც, რომ კაროლინა მართალი იყო.

ასე და ამრიგად, 37 წლის პრინცესა გარიყული ბავშვივით აღმოჩნდა ქუჩაში. გული ყველაზე მეტად იმაზე დაწყდა, რომ მისი საყვარელი მეგობრის, როდ სტიუარტის კონცერტს ვერ დაესწრო. როდმა ერთხელ სამახსოვრო სურათის გადაღებისას ხელში აიყვანა სტეფანი. პრინცესამ ყურში ხუმრობით ჩასჩურჩულა, — როგორ გგონია, სექსუალური ქალი ვარო?

ნეტავ, სადღესასწაულო სადილზე, კარლ ლაგერფელდის გვერდით მჯდომარე კაროლინას ერთხელ მაინც თუ გაახსენდა ღვიძლი და, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „მე და კაროლინა არც ისე ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. მას თავისი ცხოვრება აქვს, მე — ჩემი. დამერწმუნეთ, ეს მართლაც ცუდია, რადგან ზოგჯერ ძალიან მჭირდება მისი თანადგომა, მასთან გულახდილი საუბარი. ხვალ ჩემს დას რომ გაუჭირდეს, მზად ვარ, სიცოცხლე შევწირო. ის ხომ ჩემი სისხლი და ხორცია. ჩემი ოცნება — მისი ბედნიერებაა...

ნეტავ, კაროლინას ოდესმე ოცნებაში მაინც თუ მიუცია თავისთვის ნება, იმგვარი თავისუფლებისა, რამდენსაც მისი თავნება დაიკო აძლევს?

ახლა მის ინტერვიუსაც მოვუსმინოთ:

„მე მოვალეობის და მორჩილების გრძნობით გამზარდეს და მუდამ გარემოებათა გათვალისწინებით ვიღებდი გადაწყვეტილებებს. ვერც იმას ვიტყვი, რომ უდარდელი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. წარამარა მესმოდა, — ეს არ შეიძლება, ამის უფლება არა გაქვსო. კონფრონტაციების მეშინია, არასოდეს ხმისთვის არ ამიწევია, ყვირილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! გამოგიტყდებით — სინამდვილეში გულ-

# სასახლის მსახური? ეს უკვე მეტისმეტია!



ღრძო ვარ, მაგრამ ამასაც არასოდეს ვამჟღავნებ".

ამბობენ, 42 წლის პრინცესას ყველაზე მეტად იმიტომ ღიზიანდება, რომ რაც არ უნდა ჩაიდინოს სტეფანიმ, ის უფრო უყვართ მონაკოელებს, ვიდრე თავდაჭერილი კაროლინა.

მთავარი რენიე ცდილობს მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული დების შერიგებას.

***პარი მატჩი***

# მკვლელი, სახელად ჰიპნოზი

მასობრივი ჰიპნოზის სეანსებმა ძალიან ბევრ ქვეყანაში არნახული პოპულარობა მოიპოვა. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე უფრო სასეირო, ვიდრე იმის ყურება, თუ როგორ განასახიერებენ სცენაზე ადამიანები სარეცხ მანქანას, ან როგორ ეალერსებიან არარსებულ პარტნიორს. თუმცა ეს ერთი შეხედვით გულუბრყვილო საქციელი არც ისე უვნებელია. ამიტომ ამბობენ სასტიკ უარს მასობრივი სეანსების მონაწილენი სცენაზე მეორედ გასვლაზე.

...შოკოლადის ნაყინმა სელის ხელში დნობა დაიწყო. ასეც უნდა იყოს — გარეთ ხომ პაპანაქებაა. გოგონა ცდილობს, მოასწროს და ალოკოს ნუგბარი.

ეს ყველაფერი სავსებით გულუბრყვილოდ მოგეჩვენებოდათ, რომ არა...

სელი სცენაზე იდგა სიცილით ჩაბჟირებული მაყურებლის წინაშე — ნაყინის მაგივრად კი ხელში რეზინის უზარმაზარი... ფალოსი ეჭირა!

მხიარული საღამო სელის კოშმარად ექცა.

რატომ ის დღე არ დაიქცა, როცა 22 წლის მდივანმა ჰიპნოზის სეანსზე დასწრება გადაწყვიტა...

ის ეპიზოდი ერთადერთი არ იყო. შემდეგ „ნომერში" მის გარდა ათი ქალი მონაწილეობდა. ჰიპნოზიორმა შთააგონა მათ, რომ ვნებიანი სიყვარულის სცენა აქვთ საოცნებო მამაკაცთან. განასახიერეს კიდეც და, როგორც შემდეგ აღიარეს, ენით აღუწერელი ტკბობა განიცადეს. სეანსის თვითმხილველნი შემდეგ სელის უყვებოდნენ, როგორ იგრიხებოდა, კიოდა და მთელი არსებით ეალერსებოდა „მამაკაცს". ამის შემდეგ მას დიდხანს სტანჯავდა სირცხვილის გრძნობა და რამდენიმე კვირის მანძილზე თავი უსკდებოდა.

...მსგავსი ფაქტები საოცრად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ისინი ვერ ხვდებიან, რომ „საცდელი კურდღლის" როლში ყოფნა შემდეგ ძვირად უჯდებათ.

ძალიან ხშირად სცენაზე ადიან ქალები, რომლებსაც სურთ დაამტკიცონ, როგორი თამამები, უკომპლექსოები არიან და არად დაგიდევენ ტრადიციებს. შემდეგ კი, ზოგი განასახიერებს, როგორ ჩაუძვრა საცვალში ჭიანჭველა, ზოგი — მოკაკანე ქათამს, რომელსაც „მოხალისე" მამალიც გამოუჩნდება მამაკაცის სახით და მთელი აუდიტორიის თვალწინ თამაშდება ქათმის დაპეპვლის სცენა (ადვილი



წარმოსადგენია, რა განცდები ექნება „ქათამს" „გამოფხიზლების" შემდეგ).

ერთ გოგონას სეანსის დროს ჩააგონეს, რომ ათი ათას-ვოლტიანი ძაბვის ქვეშ გადიოდა... ჰიპნოზიორმა არ იცოდა, რომ რამდენიმე წლის წინ გოგონას დენმა დაარტყა და ძლივს გადარჩა. შოუს შემდეგ მას თავის ტკივილმა შეუტია და 5 საათში გარდაიცვალა.

ზოგს ჰგონია, რომ ვერ ჩაითრევენ ვერ ამ „სისულელეებში" და ამის დასამტკიცებლად მიდის, მაგრამ... შუქი ქრება, ჰიპნოზიორის შთაგონებული ხმა ისმის და „მახეში ხარ" გაბმული.

ერთ ქალს, საკმაოდ უმსგავს სეანსში მონაწილეობის შემდეგ, საერთოდ არ სურდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ერთხელ რადიოში ნაცნობი „შოუმენის" ხმა გაისმა და იმ დღიდან შიში დასჩემდა.

მოკლედ, საქმე გვაქვს ძალიან საშიშ მოვლენასთან, როცა ადამიანების ფსიქიკაზე ბოროტად ზემოქმედებენ და მათ, თუნდაც რამდენიმე ხნით, აბსოლუტურ ზომბებად აქცევენ...

ისე რომ, შეიძლება ვინმემ, მართლაც ძლიერმა ჰიპნოზიორმა, უფრო დიდი მასის მართვა მოინდომოს, ან იქნებ, მართავენ კიდეც...

***ჩასტნაია ჟიზნ №15***

# ყავა ვენურად



ულამაზესი ქალაქი ვენა ცნობილია არა მარტო ვალსებითა და შნიცელებით, იგი ყავახანებითაცაა სახელგანთქმული — პაემნებისა და მეგობრების თავშეყრის, მარტოობით დატკბობის პატარ-პატარა სამოთხეებით. საუკეთესო ღვინოსთან ერთად, ყავა ვენელების საყვარელი სასმელია.

ავსტრიელები დარწმუნებულნი არიან, რომ ყავა ევროპას სწორედ მათ გააცნეს. სინამდვილეში, ამ საქმეში პირველობა ვენეციელებს ეკუთვნით. აქ ყავა აღმოსავლეთიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში შეიტანეს და სასმელს „არაბული ღვინო" უწოდეს. ვენაში ყავა 1683 წელს გამოჩნდა. იმ წელს ვენელები თურქების ორთვიანი ალყით იყვნენ ქანცგაწყვეტილები. ვერაფრით რომ ვეღარ გაუმკლავდნენ მტერს, მარკიტანტმა ფრანც კოლშიტსკიმ მომხდურის პოზიციები მალულად გადალახა და პოლონეთის მეფეს, იან სობესკის დახმარება სთხოვა. პოლონელებმა თურქები უკუაქციეს და დუნაის ნაპირას თურქების მიტოვებული კარვები, სურსათი, იარაღი და „მწვანემარცვლებიანი" ტომრები ალაფად დაინარჩუნეს. მამაცმა კოლშიტსკიმ ალაფიდან სასურველი ნადავლის ამორჩევის და ქალაქში დაუბრკოლებლად ვაჭრობის უფლება მიიღო. მარკიტანტმა „მარცვლებიანი ტომარა" აირჩია: იგი ერთხანს ოტომანთა იმპერიაში ცხოვრობდა და გასინჯული ჰქონდა არომატული სასმელი. მალე ქალაქის ცენტრში ევროპაში პირველი ყავახანა სახელად... „ცისფერ ბოთლთან" გაჩნდა, ვენელებს თავდაპირველად არც ისე მოეწონათ მომწარო სასმელი, მაშინ ალღოიანმა მარკიტანტმა მას რძე და თაფლი დაუმატა და ასე შეიქმნა სახელგანთქმული „ყავა ვენურად". კოლშიტსკი თვალის დახამხამებაში გამდიდრდა (სხვათა შორის, მანვე მოიგონა ყავასთან ნამცხვრის მირთმევა).

ეკლესია მტრულად შეხვდა ურჯულოთა სასმელს, მაგრამ ამან სურნელოვანი სასმლის ტრიუმფულ სვლას ვერაფერი დააკლო. 1839 წელს ვენაში 80 ყავახანა იყო. თავდაპირველად, „ყავის სახლებში" მხოლოდ მამაკაცები დადიოდნენ. მე-19 საუკუნის შუახანებში საგანგებო დეკრეტით ყავახანებში ნებადართული გახდა „კარტის თამაში და თამბაქოს გაბოლება". 1870 წლიდან ყავახანებში ოჯახებით დადიოდნენ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კი ყავახანებში ქალებიც დაუშვეს (მამაკაცების გარეშე), მალე ქალების სალონებიც გაჩნდა: კაფე-საკონდიტროები, კაფე-ესპრესო და კაფე — რესტორანი.

ბევრი მწერალი, პოეტი და მსახიობი ყავახანებში ატარებდა უმეტეს დროს. ცნობილ კაფე „ცენტრალში" თამაშობდა ჭადრაკს ლევ ტროცკი. ერთ-ერთ მარმარილოს მაგიდასთან კი ზიგმუნდ ფროიდი თავის ფსიქოანალიტიკურ ტრაქტატებს წერდა. „ცენტრალის" ხშირი სტუმარი ყოფილა მაშინ ხელმოცარული მხატვარი და მომავალში მესამე რაიხის ლიდერი ადოლფ ჰიტლერი. ბოჰემა კაფე „გრინშტაიდლს" არჩევდა. რიჰარდ ვაგნერი და გუსტავ მალერი მეგობარ კომპოზიტორებს კაფე „იმპერიალში" ხვდებოდნენ" მოცარტი და ბეთჰოვენი კაფე „ფრაუენჰუბერში" ხშირად უკრავდნენ დამსწრეთა საბედნიეროდ და გასართობად.

ავსტრიაში დღეს ყავის მოდულების დაახლოებით 50 ხერხი არსებობს. ტრადიციული ვენური „მელანჟი" (ყავა, რძე, ათქვეფილი ნაღები და შოკოლადის ფანტელები) „ბლონდლი" (ყავა, თაფლის, გარგარის შნაპსი, ნაღები), „ფიაკერი" (ყავა, რომი, ბრენდი ან კირში). „მარია ტერეზია" (ყავა, ფორთოხლის ლიქიორი, ათქვეფილი ნაღები და ფერადი შაქრის ფხვნილი). „პარიზული" (ყავა, კაკაო, რომი, ათქვეფილი ნაღები, დარიჩინი, ლიმონის ქერქი) და ა.შ.

ვენაში ყავას ჭიქა წყალთან ერთად მოგართმევენ, რათა საგემოვნო რეცეპტორები გაღიზიანდეს.

***ეხო პლანეტი №34***




თუ გსურთ:

ჩვენთან თანამშრომლობით, თქვენ შეძლებთ ყველაზე:

ექსპრესის ტარიფები

| | | |
|---|---|---|
| 0.01-დან | 50-მდე | 2 ლარი |
| 50.01-დან | 100-მდე | 3 ლარი |
| 100.01-დან | 200-მდე | 4 ლარი |
| 200.01-დან | 500-მდე | 6 ლარი |
| 500.01-დან | 1000-მდე | 10 ლარი |
| 1000.01-დან | 1500-მდე | 14 ლარი |
| 1500.01-დან | 2000-მდე | 20 ლარი |
| 2000.01-დან | 2500-მდე | 24 ლარი |

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.***

**ვარ 34 წლის, საკმაოდ ემოციური. საკმარისია, რამე ამაღელვებელი სიტუაცია შეიქმნას, რომ გული მიჩქარდება და სახეზე სისხლი მაწვება. ბოლო დროს დავიწყე წნევის გაზომვა. როცა ჩვეულებრივად ვარ, წნევაც ნორმალური მაქვს, ხოლო ნერვიულობისას წნევაც მატულობს და პულსიც თითქმის 120 მიხდება. არის თუ არა ეს დაავადება და როგორ მოვიქცე?**

***თქვენი მკითხველი ნინო ე.***

ემოციურ გადაძაბვაზე ასეთი რეაქცია, უპირველეს ყოვლისა, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების ლაბილურობაზე მეტყველებს. თქვენი ნერვული სისტემა გადაჭარბებულად რეაგირებს გამაღიზიანებელ ფაქტორზე. საწყის ეტაპზე თქვენს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები ზერელე ფუნქციური ხასიათისაა, მაგრამ შემდგომში მოსალოდნელია გაგივითარდეთ ჰიპერტონიული დაავადება. ამიტომ, დროულად დაიწყეთ მედიკამენტური მკურნალობა. ამ ეტაპზე თქვენ ნევროპათოლოგის კონსულტაცია გესაჭიროებათ.

**რამდენიმე წელია, დილაობით დავრბივარ ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. ახლახან კი, ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ ასეთი სირბილი ვნებს ჯანმრთელობას, კერძოდ გულ-სისხლძარღვთა სისტემას. მაინტერესებს სპეციალისტის აზრი ამ საკითხზე.**

***პატივისცემით, შალვა ქიქოძე***

ჯანმრთელი ადამიანისთვის დილაობით ზომიერი ტემპით სირბილი ტყე-პარკში, არაუმეტეს 30 წუთისა, უდავოდ სასარგებლოა. სირბილის შემდეგ არ უნდა გქონდეთ ქოშინი და არ უნდა გრძნობდეთ ძლიერ გადაღლას.

**საღამოობით ყოველთვის მემატება წნევა. წამლების პროფილაქტიკის მიზნით მიღება შედეგს არ იძლევა. როგორ შეიძლება ვუმკურნალო ამ დაავადებას?**

***ანიკო ბურდული***

უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაიტაროთ სამედიცინო გამოკვლევები ექიმის მეთვალყურეობით არტერიული ჰიპერტონიის (მაღალი წნევის) ნიუანსების დასადგენად. დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ უნდა დაიწყოთ მკურნალობა წნევის დამწევი პრეპარატებით, რომლებიც უნდა მიიღოთ არა პერიოდულად, არამედ რეგულარულად. წამლებს და მათი მიღების წესს მხოლოდ ექიმი შეგირჩევთ. თუ მის რეკომენდაციებს ზუსტად დაიცავთ, წნევა აუცილებლად მოგიწესრიგდებათ.

**ჩემს შვილს ჰქონდა გულის თანდაყოლილი მანკი. ოპერაციის შემდეგ, როგორც მეუბნებიან, განუვითარდა გართულებები, ე.წ. ენდოკარდიტი და აორტიტი. რამდენად სერიოზულია ეს გართულებები და რამდენ ხანს დასჭირდება მკურნალობა?**

***მკითხველი***

ენდოკარდიტი (გულის შიგნითა გარსის ანთება) და აორტიტი (აორტის ანთება) კარდიოქირურგიაში საკმაოდ სერიოზული გართულებებია. საჭიროა ხანგრძლივი, საფუძვლიანი მკურნალობა, ძირითადად ანტიბიოტიკებით. მკურნალობა, ჩვეულებრივ, რამდენიმე თვე გრძელდება ხოლმე.

**ჩემს პატარას აქვს დიათეზი. რით განსხვავდება დიათეზი ალერგიისგან?**

***ლალი მინდიაშვილი***

ალერგია დაავადებაა, ხოლო დიათეზი — მემკვიდრულად განპირობებული კონსტიტუციური თავისებურება, რაც რაიმე გამღიზიანებელზე ორგანიზმის მომატებული რეაქციით მჟღავნდება მხოლოდ ბავშვთა ასაკში. თუმცა, ალერგია და დიათეზი გარეგნულად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. დიათეზიან ბავშვებს ყოველთვის უტარდებათ ალერგიის განვითარებისგან დამცავი პროფილაქტიკური ღონისძიებები. პირველ რიგში ეს კვებას შეეხება. თუ კვების რეჟიმი არასწორადაა შერჩეული, ბავშვი შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი ავადმყოფობით, მათ შორის ალერგიითაც.

## კარაბადინი

**ძველი ხალხისაგან გამიგონია, რომ ფუტკრის ნაკბენზე ძალიან კარგია ნივრის წასმა. მე თავად მყავს ფუტკარი და ხშირად მიწევს მათი კბენის ატანა. თუკი ახალ ნაკბენზე ნიორს გადავისვამ, ნაკბენი ადგილი არც მისივდება და არც ტკივილი მაწუხებს.**

***ნადია ბაიდოშვილი***

***სიღნაღის რ, სოფ. ზემო მაღარო***

**ექიმის კომენტარი:** ნიორი ხალხურ მედიცინასა და ფიტოთერაპიაში ცნობილია, როგორც ანტიანთებითი, ანტიმიკრობული მოქმედების მცენარე. მას სხვა მრავალი დადებითი ზემოქმედებაც აქვს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებზე. რაც შეეხება ფუტკრის ნაკბენს, იგი წარმოადგენს ადგილობრივი ალერგიულ-ანთებითი რეაქციის გამოვლინებას, რასაც ფუტკრის შხამი იწვევს. მისი განვითარების მექანიზმს საფუძვლად უდევს ტოქსინის (შხამის) კანში მოხვედრის საპასუხოდ ადგილობრივი სისხლძარღვების სპაზმი (შევიწროება) და კანის ანთება. ნიორი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ხსნის სპაზმსაც (აქვს სპაზმოლიზური ეფექტი) და ეწინააღმდეგება ანთების განვითარებასაც. ამდენად სავსებით რეალური უნდა იყოს მისი ეფექტი აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებისას.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## წურბელა კეთილს ირჩევს



ექიმებს მიაჩნიათ, რომ წურბელა ბევრ დაავადებას კურნავს და უკუჩვენება თითქმის არ აქვს (არ შეიძლება ფეხმძიმობის, დაბალი წნევის, ნაღვლისა და შარდკენჭოვანი დაავადებების დროს).

წურბელა წოვს რა სისხლს, იმავდროულად ჭრილობაში შეუშხაპუნებს ნერწყვს, რომელიც შეიცავს 12-მდე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას. ეს ნივთიერებები შლის თრომბს, ამცირებს ათეროსკლეროზის ბალთებს, აქვს ტკივილგამაჩუყებელი და ანთებსაწინააღმდეგო ეფექტი, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლასა და აძლიერებს იმუნიტეტს.

მართალია, წურბლით მკურნალობა პანაცეა არ არის, მაგრამ ერთი კია, აბებსა და ნემსებზე ბევრად ეფექტურად აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. თურმე, წურბელას, რომელიც ძალიან მგრძნობიარეა, არ უყვარს უარყოფითი ენერგია და არ „მკურნალობს“ ამ ენერგიით დამუხტულ ადამიანებს.

გაფრთხილებთ, ვიდრე წურბელათი მკურნალობას დაიწყებდეთ, ჩაიტარეთ სრული გამოკვლევა, და რამდენი პროცედურაც დაგჭირდებათ — ამას მხოლოდ ექიმი განსაზღვრავს.

წურბელა შველის შემდეგ დაავადებებს:

— **თავის ტვინი:** შაკიკს, ათეროსკლეროზს, ჰიპერტონიას;

**შუბლის წიაღები:** ჰაიმორიტს, ყურის ანთებას;

**მხედველობა** — გლაუკომას;

**პირის ღრუ:** პაროდონტოზს, ენის დაავადებას;

**ზურგი:** ხერხემალს, სახსრებს;

**გულ-მკერდი:** გულის იშემიურ დაავადებას;

**ფილტვები:** ბრონქიტს, პნევმონიას, ასთმას;

**მუცლის ღრუ:** თირკმლებს, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს (კენჭების გარეშე);

**ნაწლავები:** შეკრულობას;

**სისხლძარღვები:** ვარიკოზულ დაავადებას, ტროპიკულ წყლულს;

**ქალებში:** საკვერცხეების ანთებას, ფიბრომას;

**მამაკაცებში:** პროსტატიტს.

***კომსომოლსკაია პრავდა №82***

## პაროდონტოზი უკან დაიხევს...



თავი რომ გავართვათ პაროდონტოზს, რომელიც სხვა დაავადებებისა არ იყოს, არანაკლებ ანადგურებს კბილებს და ამით კი, ჩვენს ჯანმრთელობას, გთავაზობთ ხალხური მედიცინის რეცეპტებს:

**1**. პაროდონტოზისა და ღრძილების სხვა დაავადებების დროს კბილებისა და ღრძილების გასამაგრებლად საჭიროა კბილები დღეში 3-ჯერ გაიხეხოთ კბილის ფხვნილისა (ან პასტის) და 1 გ კოთხუჯის ქერქის ფქვილის ნარევით.

**2**. ერთი მწიკვი ზღვის მარილისა და 3 წვეთი ზეითუნის ზეთის (შეიძლება სხვა მცენარეული ზეთიც) ნარევი 5 წუთის განმავლობაში თითით შეიზილეთ ღრძილებში და გაიხეხეთ კბილები. ეს ნარევი არა მარტო სპობს პაროდონტოზს, არამედ ამაგრებს ღრძილებს და ათეთრებს კბილებს.

**3**. ათქვიფეთ 200 გ თაფლი და 100 გ მარილი და 5-6 წუთით კარგად შეიზილეთ ღრძილებში 1-2-ჯერ დღეში. შემდეგ გამოივლეთ პირში სუსტი მარილწყალი. მკურნალობა ჩაიტარეთ გამოჯანმრთელებამდე.

**4**. სოჭის სუფთა ზეთში დაასველეთ მარლა, ოდნავ გაწურეთ და 10-15 წუთით დაიდეთ ღრძილებზე. მკურნალობის კურსია 15-20 პროცედურა. კურსი გაიმეორეთ 6 თვის შემდეგ, თუ საჭიროდ ჩათვლით — ისევ 6 თვის შემდეგ.

**5**. ღრძილების ანთების დროს 3-ჯერ დღეში გამოივლეთ კარტოფილის წვენი.

**6**. პირის ღრუს ანთების დროს 7-8 დღის დაყენებული ჩაის სოკოთი გამოირეცხეთ პირი.

**7**. კბილების მორყევისა და ღრძილებიდან სისხლდენის დროს გამოივლეთ შაბიანი ვაშლის ძმარი.

**8**. ღრძილების ანთების დროს დანახშირებული ყავის მარცვლები დაფქვით, შეურიეთ შაქრის ფქვილს (1:1) და რბილი ჯაგრისით ამ ნარევით დაიზილეთ ღრძილები 3-ჯერ დღეში. შემდეგ კი, გამოივლეთ 1/2 ჩ/ჭ წყალში გახსნილი 1 ჩ/კ ნარგიზულას (კალენდულას) ნაყენი.

**9**. ღრძილების ტკივილისა და სისხლდენის დროს შეურიეთ ერთმანეთს 5 ს/კ დაქუცმაცებული ასკილის ნაყოფი, თითო ს/კ ხახვის ფურცელი და კრაზანა, დაასხით 1,5 ლ წყალი, ადუღეთ 5 წუთი ნელ ცეცხლზე, გააგრილეთ, გაწურეთ და თითო ჭიქა შემთბარი სვით 3-ჯერ დღეში, 30-40 წუთით ადრე ჭამამდე.

**10**. პაროდონტოზის, ღრძილებიდან სისხლდენის დროს და კარიესის პროფილაქტიკის მიზნით — 1 ს/კ ბაღის თალგამის გამხმარ, დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, შეფუთეთ და 30 წუთით გააჩერეთ. გაწურეთ და გამოივლეთ.

**11**. დაფქვით დანახშირებული ქერის მარცვლები და შეურიეთ საჭმელი მარილი (2:1) და ამ ნარევით გაიხეხეთ კბილები. კბილები გაკრიალდება, გათეთრდება და დაგიცავთ ბევრი დაავადებისაგან.

**12**. ღრძილებიდან სისხლის დენის დროს:

ა) 1 ჩ/კ მშრალი ჩაისა და 2 კბილი ნივრის ფაფას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, შეფუთეთ და 20 წუთის შემდეგ გაწურეთ. გამოივლეთ პირის ღრუში 2-ჯერ დღეში, 2 კვირის განმავლობაში.

ბ) შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის ჟოლოსა და შავი მოცხარის გამხმარი ნაყოფი. 2 ს/კ ნარევს დაასხით 1,5 ჩ/ჭ ქაფქაფა, მდუღარე წყალი, შეფუთეთ და 3 საათის შემდეგ დალიეთ.

**13**. ღრძილების ანთების ან შესივების დროს — 10 გ შაბის ფხვნილი გახსენით 150 მლ ცხელ წყალში, გააცივეთ და დაამატეთ 1 ს/კ არაყი. ნარევი გამოივლეთ პირის ღრუში 2-ჯერ დღეში.

***ტაინაია ვლასტ №16***

## თუ წონაში მოიმატეთ...



*ხშირად გვეკითხებიან, მაინც რა ითვლება ნორმალურ წონადო. ბროკის ფორმულის მიხედვით, ნორმალურ წონად ითვლება ადამიანის სიმაღლეს გამოკლებული 100 სმ (165 სმ-დან 180 სმ-მდე — 105, ხოლო 180 სმ-ის ზევით კი 110). თუ სხეულის წონა 15-25%-ით მეტია, მას უნდა ვებრძოლოთ. გთავაზობთ ორკვირიან მენიუს, რომლის მიხედვითაც უნდა მიიღოთ 200 გ ნახშირწყლები, 100-200 გ ცილა და 50 გ ცხიმი, რაც 1800-2000 კალორიას შეადგენს. ასეთი იქნება განტვირთვის კვირა ანუ ხორცის, ხაჭოს, ხილის, რძის, ბოსტნეულის, მაწვნისა და კარტოფილის დღეები.*

**ხორცის** დღეს უნდა მიიღოთ 4 ულუფად გაყოფილი 360-500 გ უცხიმო მოხარშული ხორცი, გარნირად კი, ახალი ბოსტნეული (უცხიმოდ) მიაყოლეთ. დღის განმავლობაში შეგიძლიათ დალიოთ 2 ფინჯანი უშაქრო ასკილის ჩაი. ისეთი დიეტა სულ 850 კალორიას შეადგენს.

**ხაჭოს** დღეს მიირთვით 50 გ რძეში გათქვეფილი, 4 ულუფად გაყოფილი 800 გ ხაჭო.

**რძის** დღეს დალიეთ დღის განმავლობაში 1ლ რძე.

**ვაშლის** დღეს მიირთვით დღის განმავლობაში 1,5 კგ ვაშლი.

**ხილის** და **ბოსტნეულის** დღეს — მიირთვით 1 კგ ბოსტნეული ან ხილი, ყურძნის გარდა.

**კარტოფილის** დღეს — მოხარშული, უმარილო 1 კგ კარტოფილი (შეგიძლიათ დაჭყლიტოთ და დაამატოთ რძე), გაყავით 5-6 ულუფად.

***ოტდოხნი! №32***

## კარტოფილის დიეტა



ალბათ არ მოიძებნება ქალი, რომელიც არ ოცნებობდეს წონაში დაკლებას. გთავაზობთ სულ უმარტივეს ერთკვირიან კარტოფილის დიეტას, რისთვისაც ყოველდღე დაგჭირდებათ 1,5 კგ კარტოფილი. კარგად გარეცხეთ „მიწის ვაშლი“ (ჯაგრისით), კანიანად ჰაერლუმელში შეწვით ან ორთქლზე მოხარშეთ და მიირთვით. მაგრამ, დაიმახსოვრეთ: არავითარ შემთხვევაში არ დაუმატოთ მარილი! ასე თქვენი ორგანიზმი გამდიდრდება სასარგებლო ნივთიერებებით, ნახშირწყლებითა და ვიტამინებით. რაც მთავარია, მიიღებთ ძალიან ცოტა კალორიას და ორგანიზმი იძულებული იქნება, დახარჯოს უსარგებლო ცხიმის მარაგი.

რომ არ მოგბეზრდეთ ერთგვაროვანი მენიუ, კარტოფილს დაამატეთ კამა, ოხრახუში, ნიორი ან ხახვი, მწვანე სალათი, რამდენიმე წვეთი ზეითუნის ზეთი, შეიძლება მოასხუროთ ლიმონის წვენი, ან მოამზადოთ ორთქლზე კარტოფილისა და სტაფილოს პიურე. ასე რომ, თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული! ნებისმიერ ბოსტნეულის სალათას სჯობს, თუ კარტოფილს მიირთმევთ ზღვის კომბოსტოსთან ერთად, ძალიან გემრიელიცაა და მეტად სასარგებლოც. ერთი კვირის შემდეგ დაიკლებთ 2-4 კგ-ს.

***მედიცინსკაია გაზეტა***

## ვაშლის ძმრის სიკეთე

ძალიან სასარგებლოა დილაობით (განსაკუთრებით გაზაფხულსა და ზაფხულში) ძმრის კოქტეილის (1 ჩ/ჭ წყალში გახსენით 1 ჩ/კ თაფლი და 1 ჩ/კ ძმარი) სმა, რომელიც კლავს ორგანიზმში მავნე მიკრობებს, აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ნივთიერებათა ცვლასა და სისხლის მოძრაობას.

თუ სადილისა და ვახშმის წინ დალევთ 1 ჩ/ჭ წყალში გახსნილ 2 ჩ/კ ძმარს, დიეტის გარეშე დაიკლებთ წონაში, რადგან ამ დროს ქვეითდება მადა და სწრაფად იწვება ცხიმი.

ყელის ტკივილის დროს 1 ჩ/ჭ წყალს დაამატეთ 3 ს/კ ძმარი, 2 ს/კ თაფლი და გამოივლეთ 3-ჯერ დღეში.

ფეხის სოკოვანი დაავადების დროს დაასველეთ ბამბის ქსოვილი და წაისვით დაზიანებულ ადგილებზე.

***ლიზა №35***

# ᲓᲐᲔ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲖᲔ!



ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ნივთიერებათა შორის ერთ-ერთი მთავარია D ვიტამინი, რომელიც პასუხს აგებს ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის ცვლაზე.

D ვიტამინის უკმარისობის დროს უვითარდებათ რაქიტი, რომლის ნიშნებია: ოფლიანობა, ნერვიულობა, ცუდი ძილი და უმადობა, კეფის გამელოტება.

რაც უფრო სწრაფად მივიღებთ ზომებს, ბავშვი მით უფრო სწრაფად განიკურნება. რაქიტს ექიმმა უნდა უმკურნალოს. ის ინდივიდუალურად უნიშნავს პაციენტს D ვიტამინის დოზას. პატარა ხშირად უნდა იყოს ჰაერზე (კანში D ვიტამინი წარმოიქმნება ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით), არ არის აუცილებელი პირდაპირ მზეზე ყოფნა — ულტრაიისფერი სხივები ჩრდილშიც აღწევს.

***ოტდოხნი! №34***

# ᲛᲝᲕᲣᲐᲠᲝᲗ ᲘᲓᲐᲧᲕᲔᲑᲡ!



ლამაზი ხელები, შეიძლება ითქვას, ქალის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა და რაოდენ საწყენია, როცა დაწითლებულ, გაუხეშებულ იდაყვებს დისონანსი შეაქვს ქალის იერში.

კვირაში ერთხელ გაიკეთეთ იდაყვის აბაზანა: ჩაასხით ჭურჭელში თბილი საპნიანი წყალი, დაუმატეთ 50 გ სოდა. წაისვით იდაყვებზე რომელიმე კრემი და ჩადეთ 10 წუთით წყალში, თან პემზით იხეხეთ. ამის შემდეგ კვლავ წაისვით კრემი და განაგრძეთ პროცედურა კიდევ 10 წუთით. პროცედურის დასრულების შემდეგ შეიზილეთ იდაყვებზე ბამბით ზეითუნის ზეთი.

8-10 ასეთი პროცედურის შემდეგ იდაყვებზე კანი დარბილდება, განაზდება და ბუნებრივ ფერს მიიღებს.

და კიდევ, არ დაგავიწყდეთ — ყოველ საღამოს, პროფილაქტიკისთვის, შეიზილეთ იდაყვებზე ლიმონის ნაჭერი.

***ლიზა №36***



**ვარ 34 წლის ქალი. ულტრაბგერითი გამოკვლევით დამიდგინდა საკვერცხის კისტა. რას უნდა გამოეწვია ეს პათოლოგია. რას უნდა ველოდო შედეგად. გთხოვთ მაქსიმალური ინფორმაცია მომაწოდოთ ამ დაავადების შესახებ.**

***ქ. მახვილაძე, თბილისი***

# ᲡᲐᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲙᲘᲡᲢᲐ



საკვერცხის კისტა საკვერცხის სიმსივნის მაგვარ წარმონაქმნს წარმოადგენს. იგი ვითარდება ორგანოში წარმოქმნილ ღრუში სითხის დაგროვების შედეგად. საკვერცხის კისტები დიდდებიან და უმეტესად ქირურგიულ ჩარევას საჭიროებენ. კისტების წარმოქმნა განპირობებულია ჰორმონალური დარღვევით და მენჯის ღრუს ორგანოების (უპირატესად საკვერცხეების) ანთებითი ცვლილებებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გენეტიკური ფაქტორი. არჩევენ სხვადასხვა სახის საკვერცხის კისტას. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ადგილმდებარეობით, შემადგენლობით, გამომწვევი მიზეზებით და სხვ.

**ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲘᲡᲢᲐ** შედარებით იშვიათია. კისტა წარმოიქმნება სხვადასხვა მიზეზის გამო, ყვითელ სხეულში ლიმფისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევით, ყვითელი სხეული კი, თავის მხრივ, საკვერცხის შემადგენელი ნაწილია, რომელიც აკონტროლებს ორსულობის მიმდინარეობასა და მენსტრუალურ ციკლს.

ყვითელი სხეულის კისტა ხშირად თავს არ იჩენს რაიმე განსაკუთრებული სიმპტომით. იშვიათად ქალს აღენიშნება ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში. ამ ტიპის კისტა 20-45 წლის ასაკში ვითარდება. მისი სიდიდე 3-დან 8სმ-მდეა. ეს კისტაც ფუნქციური ხასიათისაა და შეიძლება თვითონვე განიკურნოს.

**ᲤᲝᲚᲘᲙᲣᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲡᲢᲐ** ყველაზე ხშირია და ქალებს ძირითადად 21-40 წლის ასაკში უვითარდებათ. მიმდინარეობს უსიმპტომოდ, შესაძლებელია თავი იჩინოს ტკივილმა მუცლის ქვედა არეში, სიმძიმის შეგრძნებამ, მენსტრუალური ციკლის მოშლილობამ, შორს წასულ შემთხვევაში — უნაყოფობამ. მას ხშირად ერთვის საშვილოსნოს მიომა, ენდომეტრიუმის (საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის) ანთება, სხვა სახის კისტები, საშვილოსნოს ყელის ლორწოვანი გარსის პოლიპები და სხვ. ფოლიკულური კისტის მინიმალური ზომა 1,5-2სმ-ია, მაქსიმალური — 5-10სმ. იგი ყოველთვის ერთკამერიანია.

ამ სახის კისტა შესაძლებელია ფუნქციური ხასიათისა იყოს, ანუ ჰორმონალური დარღვევების, საკვერცხეების „მსუბუქი" პათოლოგიის შედეგად წარმოიშვას და ძირითადი დაავადებების (ჰორმონალური დისბალანსი, საკვერცხეების პათოლოგია) აღკვეთის შედეგად უკვალოდ გაქრეს. თუ ასეთი კისტა სამი თვის შემდეგ არ გაქრება, საჭიროა ოპერაციული ჩარევა.

**ᲓᲔᲠᲛᲝᲘᲓᲣᲚᲘ ᲙᲘᲡᲢᲐ** ძირითადად 20-40 წლის ასაკში ვითარდება. იგი უმეტესად ცალმხრივია, ხოლო 15% — ორმხრივი. კისტა შეიძლება იყოს ქინძისთავისოდენა ან 10-15სმ-მდე ზომისა. შედგება ცხიმოვანი სითხის, გამკვრივებული უბნების და ჩანასახოვანი ელემენტებისგან. დერმოიდული კისტა აუცილებლად უნდა ამოიკვეთოს.

**ᲡᲐᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲙᲘᲡᲢᲝᲛᲔᲑᲘ** საკვერცხის კეთილთვისებიან სიმსივნეებს განეკუთვნება. კისტომა სიმსივნურ ფეხზე დგას. ფეხის სიგრძე სხვადასხვაა და რაც უფრო გრძელია, მით მეტია შემოგრეხის და კისტის გასკდომის საშიშროება. კისტომებს ხშირად თან ახლავს ტკივილის შეგრძნება მუცლის არეში, ადვილად გახდომა და სხვ.

კისტა საკვერცხისგან იკვებება — მარაგდება სისხლით. შემოგრეხისას ვითარდება მწვავე ხასიათის ძლიერი, უეცარი ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, რასაც თან ახლავს გულისრევა და პირღებინება, არტერიული წნევის დაქვეითება, პულსის გახშირება, კანის გაფერმკრთალება, იშვიათად — გონების დაკარგვა, მუცლის კუნთები გამაგრებულია. შეიძლება ოდნავ შებერილი იყოს, ტემპერატურა — ცოტათი მომატებული. ასეთ შემთხვევაში რაც შეიძლება მალე უნდა ამოიკვეთოს კისტა. მაგრამ სანამ სპეციალისტი გასინჯავს ქალს, იგი უნდა წამოვაწვინოთ. დაუშვებელია ტკივილგამაყუჩებელი აბის მიცემა, ოყნის გაკეთება, სათბურის ან ყინულის დადება მუცელზე.

**ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ:** კისტის აღმოჩენა ულტრაბგერითი გამოკვლევით საკმაოდ იოლია, ხოლო მისი შემადგენლობის შესასწავლად მიმართავენ ჰისტოლოგიურ კვლევას.

ფუნქციონალური კისტები თუ თავისთავად არ გაიწოვა 3 თვის განმავლობაში, საჭიროა ოპერაციული ჩარევა და დაზიანებული საკვერცხის ამოკვეთა (ლაპარასკოპიული მეთოდით). ხშირად საკვერცხის კისტების სამკურნალოდ ექიმი ჰორმონალურ საშუალებებს და ფიზიოთერაპიას იყენებს.

***მაია მუხიგული***




**ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ**

ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ!!!

ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲘ:
105ლ. ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ + 10ც. ᲢᲔᲡᲢ-ᲩᲮᲘᲠᲘ
135ლ. ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ + 50ც. ᲢᲔᲡᲢ-ᲩᲮᲘᲠᲘ

ᲨᲞᲡ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ", ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ Ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

**ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ**

**ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲔᲠᲢᲔᲑᲠᲝᲜᲔᲕᲠᲝᲚᲝᲒᲘ,
ᲛᲐᲜᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲔᲕᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲣᲠᲗᲣᲑᲐᲫᲔ

თბილისი, ივ. ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთ. 1
ტელ: 899 95-68-08; 95-68-08 (ბინა)

ᲝᲜᲙᲝᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲗᲐᲕᲙᲘᲡᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲡᲘᲕᲜᲔᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘ. ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ.

☎ 25 38 55; 899 98 03 64 №20-03/504

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ᲑᲐᲚᲐᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ...



თურმე, ჯერ კიდევ ჰიპოკრატე იყენებდა სხვადასხვა ბალახის ღვინოს სამკურნალოდ. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

**ᲡᲐᲚᲑᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ**. 1 ლ ღვინოში (უმჯობესია წითელი) ჩაყარეთ 80 გ გამხმარი სალბის ფოთოლი და გააჩერეთ 8 დღე. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 20-30 გ ნაყენი ჭამის შემდეგ. სალბის ღვინო ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აქვს ანთებსაწინააღმდეგო და სისხლის აღმდგენი თვისებები, სასარგებლოა ბრონქიტის დროს და ქალებისთვის კრიტიკულ დღეებში.

**ᲐᲑᲖᲘᲜᲓᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ**. ეს სურნელოვანი მცენარე აწესრიგებს კუჭში საჭმლის მომნელებელი წვენისა და ნაღვლის სეკრეციის გამოყოფას. გარდა ამისა, აბზინდის ეთეროვან ზეთს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ქაფურის მსგავსი ზემოქმედება ახასიათებს. დაჩეჩქვილ ახალ აბზინდის ნაყენში შერეული ღვინო შველის მეტეორიზმს და შარდმდენია, შველის გრიპს.

გთავაზობთ აბზინდის ნაყენის მომზადების წესს: 1 ჩ/ჭ დაქუცმაცებულ ბალახს დაასხით იმდენი არაყი, რომ დაიფაროს. 24 საათის შემდეგ დაუმატეთ 0,5 თეთრი ღვინო და გააჩერეთ 10 დღე. გაწურეთ და მიიღეთ 50 გ ნაყენი დღე-ღამეში.

**ᲨᲕᲘᲢᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ**. 1 ლ თეთრ ღვინოში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი 1/2 ჭიქა შვიტა. ერთი თვის შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა უზმოზე. ეს ნაყენი ბრწყინვალე სისხლის აღმდგენია საშვილოსნოდან, ჰემოროიდული და სხვა სისხლდენების დროს. ასევე სასარგებლოა ფილტვების ტუბერკულოზის, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზისა და არასწორი სისხლის მიმოქცევით გამოწვეული შეშუპებების დროს. შვიტის ღვინო მწვავე ნეფრიტის დროს არ შეიძლება.

**ᲐᲡᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ**. ასფურცელას ყვავილის ღვინო გამოიყენება რევმატიზმის დროს: 1 ჩ/ჭ გამხმარი ან ახალმოკრეფილი ასფურცელას ყვავილი ჩაყარეთ 1 ლ მუსკატის ღვინოში. 8 დღის შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 30-40 გ ღვინო ნასადილევსა და ნავახშმევს. ასფურცელა აძლიერებს ნაღვლის სეკრეციას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, სასარგებლოა დაბალი მჟავიანობის, გასტრიტის დროს. ხალხურ მედიცინაში მას იცნობენ ჭიების გამომდევნ მცენარედ. გარდა ამისა, მისგან ამზადებენ სალათებსა და ლიქიორებს.

***ზდოროვიე №9***


ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ "ᲛᲔᲓᲘ"

MEDI

ᲣᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲐ

ᲚᲘᲞᲝᲡᲐᲥᲪᲘᲐ
ᲜᲐᲝᲭᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ
ᲢᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ
ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ
ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲐ
ᲑᲚᲔᲤᲐᲠᲝᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲐ
ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲐ
ᲗᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ
ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲙᲘᲐᲟᲘ



ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡ ᲚᲐᲖᲔᲠᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲗ

ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება

- ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ
- ᲩᲮᲕᲚᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ
- ᲣᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲝᲓ
- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ

ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ №1 ᲢᲔᲚ: 25 02 02 93 89 75
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: meditb@gol.ge

## აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის თვითმფრინავებმა ერაყს დაარტყეს

აშშ-ისა და ბრიტანეთის 100-ზე მეტმა თვითმფრინავმა დასავლეთ ერაყის საჰაერო თავდაცვის ობიექტებს დაარტყა. მართალია, ბომბები მხოლოდ 12-მა თვითმფრინავმა ჩამოყარა ბაღდადიდან დაახლოებით 240კმ-ით დაშორებულ სამხედრო ობიექტებზე, მაგრამ რეიდში ათეულობით მხარდამჭერი თვითმფრინავი მონაწილეობდა. მათი მიზანი იყო მოწინააღმდეგის რადარული დანადგარების მუშაობისთვის ხელის შეშლა. ვარაუდობენ, რომ ეს რეიდი სპეცდანიშნულების ძალთა ოპერაციის მოსამზადებელი ეტაპია, რომელიც სადამ ჰუსეინის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მასშტაბურ სამხედრო ოპერაციამდე ჩატარდა.

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, — ერაყზე დარტყმამ შეიძლება სადამ ჰუსეინს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებისკენ უბიძგოს, რადგან მას დასაკარგი აღარაფერი რჩება. ამიტომ ბუშმა ერაყზე დარტყმის წინ ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოს, ამასთან სჯობს ჯერ წესრიგი დაამყაროს ავღანეთში, რომელიც მთავარი საფრთხის სათავეაო.

*დეილი ტელეგრაფი*

## ნიუ-იორკში ნამდვილ დროშას ეძებენ

იმ დროშის ბედი, რომელიც თითქოს 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ კოშკების ნანგრევებში იპოვეს, ჰოლივუდის სცენარს მოგვაგონებს. ყველაფერი კი ასე მოხდა: ტერაქტიდან მალევე გაზეთებში გამოჩნდა ფოტო — ალმოდებული ნანგრევების თავზე ფრიალებს ვარსკვლავზოლიანი დროშა, რომელიც თითქოს სასწაულად გადაურჩა ხანძარს სინამდვილეში. მეხანძრე დენ მაკვილიამსმა დროშა ჰუძონის ყურეში მდგარ იახტას მოხსნა და ტერაქტის ადგილზე მიიტანა. ჟურნალისტებმა აიტაცეს ეს ლამაზი ამბავი დროშის შესახებ, რომელიც არც სველდება და არც ცეცხლი ეკიდება. ფოტო მსოფლიოს გაზეთებმა გადაბეჭდეს, მისი შემცირებული ასლი საფოსტო მარკებს ამშვენებს. მანამდე უცნობმა ნიუჯერსელმა ფოტოგრაფმა კი პულიტცერის პრემია მიიღო. დროშა ეროვნულ რელიკვიად იქცა. მასზე ავტოგრაფი აღბეჭდა ასობით პოლიციელმა და მაშველმა. იმ მეხანძრეების ქანდაკება, რომლებმაც დროშა აღმართეს, მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში დგას.



ლეგენდარული ბაირაღის პატრონს — შირლ დრეიფუსს სურდა, იგი ქალაქისთვის ეჩუქებინა, მაგრამ გაირკვა, რომ დროშა შეცვლილია, სად გაქრა ნამდვილი, ჯერჯერობით არავინ იცის,

*რტრ-ვესტი-რუ*

## ლიბია — ბირთვული სახელმწიფო?

ისრაელის ხელისუფლება შეშფოთებულია იმით, რომ შესაძლოა ლიბია პირველი არაბული ქვეყანა გახდეს, რომელსაც თავის განკარგულებაში ექნება მასობრივი განადგურების იარაღი. პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის აზრით, ლიბიას ეხმარებიან ჩრდილოეთ კორეა, ერაყი და შესაძლოა პაკისტანიც. იარაღის წარმოებას კი საუდის არაბეთი აფინანსებს. ისრაელის ხელისუფლება კარგა ხანია, თავის მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ შესაძლოა ერაყმა ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი გამოიყენოს და ურიგებს აირწინაღებს, უსაფრთხოების სხვა ზომებსაც იღებს, მაგრამ შარონის თქმით, მუქარა მხოლოდ ერაყიდან არ მოდის. შარონს ბოლომდე არ დაუზუსტებია, რა სახის იარაღი შეიძლება ჰქონდეს ლიბიას, მაგრამ ანალიტიკოსების აზრით, უნდა იგულისხმებოდეს ბირთვული, რომელსაც ქიმიურზე და ბიოლოგიურზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია.

*გაზეტა რუ*

## წყალდიდობამ კანცლერს ქულები მოუტანა



ევროპაში აზვირთებულმა წყალდიდობამ სულ რამდენიმე დღეში დაუბრუნა გერმანიის დღევანდელ კანცლერს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის 58 წლის ლიდერს, გერჰარდ შრედერს ხელახლა არჩევის შანსი.

როგორც კი ელბის წყლებმა დაფარა საქსონიის ქალაქები და სოფლები, ცხადი გახდა, რომ ეს იყო ნაციონალური ხასიათის კატასტროფა. შრედერი მყისვე უბედურების ადგილებში გაემგზავრა. ბრეზენტის ქურთუკსა და მაღალყელიან რეზინის ჩექმებში გამოწყობილი კანცლერი თანამემამულეების წინაშე მზრუნველი მამის სახით წარდგა. ტელეკამერების წინ დახმარების სახით ანაწილებდა მილიარდობით ევროს, ხელმძღვანელობდა მაშველებსა და ბუნდესვერის ჯარისკაცებს, ნუგეშს სცემდა დაზარალებულებს... ერთი სიტყვით, „კანცლერი განასახიერებდა იმ ხელისუფალს, რომელზეც აღმოსავლელი გერმანელები ოცნებობენ — იგი იყო ძლიერი, ენერგიული, ქვეყნის სამართლიანი თავკაცი“, — ასე შეაფასა შრედერი ცნობილმა პოლიტოლოგმა როლფ რაისიგმა.

უბედურების ზონაში კანცლერის ყოფნამ მაშინვე იმოქმედა მისი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოპულარობაზე. სადღეისოდ, გამოკითხვის თანახმად, არჩევნებში მისთვის ხმის მიცემას აპირებს ამომრჩეველთა 45%. წინასწარი მონაცემებით, მის მეტოქეს, შტოიბერს 48% ემხრობა. არჩევნები 22 სექტემბერს გაიმართება. მეტოქეების რეიტინგებს შორის სხვაობა მცირდება.

სულ ერთი თვის წინ გერჰარდ შრედერი და მისი პარტია წინასაარჩევნო რბოლის აუტსაიდერად ითვლებოდა. მმართველი კოალიცია პასუხს ვერ იძლეოდა კითხვაზე — რატომ გასცდა უმუშევართა რიცხვი 4 მლნ-ს და გერმანიის ეკონომიკა ზრდის ტემპის მიხედვით რატომ მიჩანჩალებს ევროკავშირის კუდში. სოციალ-დემოკრატთა ოპონენტები და მათი 60 წლის ლიდერი, ბავარიის პრემიერ-მინისტრი ედმუნდ შტოიბერი კანცლერს შეუსრულებელ დაპირებებს წარამარა ახსენებენ.

ვიდრე შრედერი წყალდიდობის ჟამს, ასე ვთქვათ, ხელებდაკაპიწებული შრომობდა, მისი ოპონენტი დაიბნა, უბედურების ზონაში დაგვიანებით ჩავიდა და ბევრი ვერაფერი შესთავაზა აღმოსავლელ გერმანელებს, რადგან ცხადია, რომ ბავარიის, თუნდაც ძალიან მდიდარი მიწის, პრემიერის ფინანსური შესაძლებლობები ახლოს ვერ მივა ქვეყნის რესურსებთან, რომელსაც კანცლერი აკონტროლებს.

შეძლებს თუ არა შრედერი წარმატების შენარჩუნებას, ამას 22 სექტემბერი დაგვანახვებს.

*იტოგი №35*

## ავღანური სინდრომი



აშშ-მა 11 სექტემბრის ტერაქტის აღკვეთა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, უკვე 7 ოქტომბერს დაიწყო შურისძიების ოპერაცია. ავღანეთის ანტიტერორისტული კამპანიის სამხედრო შედეგები არცთუ სახარბიელოა. ტრაგედიის მთავარი დამნაშავე, ნომერი პირველი ტერორისტი ბინ ლადენი დღესაც არაა ნაპოვნი. ქვეყანა დაანგრია ამერიკის ავიაციის თავდასხმებმა, დაიღუპა ავღანეთის ათობით მშვიდობიანი მოქალაქე. ჯორჯ ბუში ეროვნულ გმირად იქცა, პრეზიდენტის რეიტინგმა კი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია; მაგრამ არანაირ სამხედრო ოპერაციას არ შეუძლია გაუთავებლად პოლიტიკური დივიდენდების მოტანა. საბოლოო მიზნების გაურკვევლობას და ომის გაჭიანურებას შესაძლოა აშშ-ისათვის უსიამოვნო შედეგები მოჰყვეს.

ანტიტერორისტული კამპანიის 11 თვის განმავლობაში ამერიკის მხრიდან 16 ადამიანი დაიღუპა. ეს ბევრი არ არის, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ სპარსეთის ყურეში დაახლოებით თვენახევრიანი ომის მანძილზე ამერიკელებმა 148 ადამიანი დაკარგეს.

მაგრამ, ბოლო დროს, ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობა და ექიმები სერიოზულად შეაშფოთა იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების ფსიქიკურმა მდგომარეობამ, რომლებიც ავღანეთის ომში მონაწილეობდნენ. შეშფოთება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ავღანეთიდან დაბრუნებულმა სამმა ამერიკელმა ჯარისკაცმა ცოლები დახოცა, ორმა ამის შემდეგ თავი მოიკლა. ჯერჯერობით, დაბეჯითებით ვერ ამბობენ, რომ აგრესია, რამაც სამხედროებს ეს მძიმე დანაშაული ჩაადენინა, ავღანეთში სამსახურით იყო გამოწვეული.

ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ავღანეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯარისკაცები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან.

*ნოვიე იზვესტია №161*

## ავსტრალიას ცეცხლოვანმა ბურთმა გადაუარა

ჩაბნელებულ ცაზე მოულოდნელად გამოჩნდა ელვის სისწრაფით მფრინავი ცეცხლოვანი ბურთი, მერე ტკაცუნი გაისმა და მკვეთრმა შუქმა იქაურობა გააჩახჩახა, დედამიწა თითქოს შეინძრა. მერე ისევ სიბნელე ჩამოწვა. დაახლოებით ასე აღწერს ავსტრალიის ქალაქ ადელაიდის მახლობლად მომხდარ უჩვეულო მოვლენას მრავალრიცხოვანი თვითმხილველი. ცხადია, ამ ამბავს ათასნაირი ჭორი მოჰყვა. ზოგი ამბობდა, ამოუცნობი ობიექტი აფეთქდაო, ზოგმაც ზეციურ რისხვად მიიჩნია მოელვარე ბურთის გამოჩენა. სამხრეთ უელსის ობსერვატორიის თანამშრომლების აზრით, ფეიერვერკი დედამიწიდან 30 კმ-ის სიმაღლეზე მსხვილი მეტეორიტის აფეთქებას მოჰყვა. ამ მოსაზრების დამტკიცებას ან გაბათილებას მხოლოდ სამეცნიერო ექსპედიცია შეძლებს, რომელმაც ადგილზე უკვე დაიწყო მუშაობა. ნებისმიერ შემთხვევაში სპეციალისტებს, რომლებმაც მომხდარს ადელაიდა-2000-ის ცეცხლოვანი ბურთი შეარქვეს, იმედი აქვთ, რომ ბევრ საინტერესოს შეიტყობენ.

*ნიუზუიქი*


**პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი**

- ✓ **მათთვის, ვისაც გსურთ დაეუფლოთ მომავლის პროფესიას!**
- ✓ **საბოლოოდ გადაჭრათ ნებისმიერ ქვეყანაში თქვენი დასაქმების პრობლემა!**
- ✓ **და საერთად, იყოთ ყველგან სასურველი და საჭირო პიროვნება!**

**გადადგით გონივრული ნაბიჯი — ეზიარეთ XXI საუკუნის ყველაზე პოპულარულ პროფესიებს:**

**1. პროგრამირება; 2. ბიზნეს-ინფორმაციის მართვის სისტემები; 3. უცხო ენები.**

**ინსტიტუტთან არსებული კურსები:**

- ***პროგრამირების შემსწავლელი*** 10 თვიანი ინტენსიური სწავლებით; წამყვანი პროგრამისტები შეგასწავლიან – Visual Basic, Delphi; C; C++; SQL; Java; JavaScript; Web-დიზაინი;
- ***ინგლისური ენის შემსწავლელი*** ინტენსიური კურსი. *ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით* (6 თვე).
- მიიღებიან მსმენელები *საოფისე, დამკაბადონებლის, დიზაინერის და აწყობა-მოდერნიზაციის სპეციალობებზე.*

საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7, ცეკავშირის შენობა, V სართული, №544. ტელეფონი: 999911, (756073)
E-mail: kiber@www.com


## აზერბაიჯანში საკონსტიტუციო წესრიგი დაამყარეს

დსთ-ში კარგა ხანია მთავარ ისტორიულ მოვლენად არჩევნები იქცა. მის გამო იწყება სამოქალაქო ომები, შეაქვთ ცვლილებები ქვეყნის კონსტიტუციაში და ა.შ.

ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანმაც გადაიხადა დიდი ბრძოლა. საპრეზიდენტო არჩევნების „კანონიერად ჩასატარებლად“ — საყოველთაო რეფერენდუმის გადაწყვეტილებით კონსტიტუციაში შესწორებები შეიტანეს. თუმცა რეფერენდუმი ოფიციალურად ევროკავშირში აზერბაიჯანის შესვლასა და ევროპულ მოთხოვნებთან კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას მიეძღვნა. აზერბაიჯანის ხელისუფლებას, ჰეიდარ ალიევის სახით, ძალიან აწუხებს მემკვიდრეობის საკითხი და როგორც ჩანს, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მამას შვილი შეცვლის. ეს მეთოდი არც ახალია და არც მაინცდამაინც ვინმეს უკვირს. მაგალითად, ჩრდილოეთ კორეაში, ერთი წლით ადრე, ვიდრე კიმ ირ სენის ადგილს მისი ვაჟი კიმ



ჩენ ირი დაიკავებდა, მეტეორიტი ჩამოვარდა. თურმე მასზე ამოტვიფრული იეროგლიფები იტყობინებოდნენ, — დიდი ბელადის ერთადერთი მემკვიდრე მხოლოდ მისი ვაჟიაო.

დემოკრატიულ აზერბაიჯანში საქმის გასაიოლებლად რეფერენდუმმა გააუქმა კანონი, რომლის თანახმად, გასაპრეზიდენტებლად საჭირო იყო ამომრჩეველთა ხმების ორი მესამედი. ახლა გამარჯვების მისაღწევად საკმარისია 50-ს პლუს ერთი ხმა.

იმ შემთხვევაში, თუ 79 წლის ალიევი ფიზიკურად ვეღარ შეძლებს ქვეყნის გაძღოლას, მას პარლამენტის სპიკერი კი არ შეცვლის (როგორც ეს ადრე იყო), არამედ პრემიერ-მინისტრი. არჩეული კაცი კი არა, არამედ თავად პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოხელე. ისე რომ, თუ საჭირო გახდა, ალიევი სრულიად უმტკივნეულოდ დანიშნავს თავის ვაჟს აღმასრულებლად. არჩეული პარლამენტიც ამიერიდან კონტროლს დაექვემდებარება. ამიტომაც გააუქმეს არჩევნები პარტიული სიებით. სულ კონსტიტუციაში 39 შესწორება იქნა შეტანილი. რეფერენდუმში აზერბაიჯანის მოსახლეობის 90%-მა მიიღო მონაწილეობა. მოულოდნელი ციფრია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანელთა 40% ამჟამად რესპუბლიკის გარეთ ცხოვრობს.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №35*

## მოკლედ

**იაპონიის** კუნძული ოკინავა სერიოზულად დააზარალა ტაიფუნმა. საჭირო გახდა რამდენიმე რაიონის მცხოვრებთა ევაკუაცია. 20 ადამიანი უგზო-უკვლოდაა დაკარგული, სამხრეთ კორეაში კი მეორე ტაიფუნის „რუსას“ მიერ მიყენებულ ზარალს ითვლიან. ჩრდილოეთ კორეაში 240 ადამიანი დაიღუპა, 240 ათასზე მეტი — უსახლკაროდ დარჩა.

**ავღანეთის** ქალაქ ყანდაარში თავს დაესხნენ პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის. მას პროვინციის გუბერნატორის რეზიდენციიდან გამოსვლისას ესროლეს. ყარზაი ამერიკელი მცველების პროფესიონალიზმმა გადაარჩინა. ისინი პრეზიდენტს აეფარნენ და სამი თავდამსხმელი დაცხრილეს.

**იოჰანესბურგში** გამართული დედამიწის სამიტი, რომელსაც თითქოს მდიდარი ქვეყნები ღარიბი სახელმწიფოების სამსახურში უნდა ჩაეყენებინა, სრულიად უშედეგოდ დამთავრდა. შეხვედრის მონაწილეების გადაწყვეტილებით, ასეთი ღონისძიებები აღარ გაიმართება.

**ინდონეზიის** ქალაქ ამბონის ცენტრალურ სტადიონზე სპორტული პარადის რეპეტიციის დროს ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა, დაიღუპა 14-15 წლის 3 მოსწავლე, 8 — დაიჭრა. როგორც ჩანს, აფეთქდა თვითნაკეთი მოწყობილობა, რომელიც ტრიბუნაზე იდო. ამბონი მალუკუს პროვინციის დედაქალაქია, ბოლო 3 წლის განმავლობაში ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის არსებულ უთანხმოებას აქ 9 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა.

**რიგაში** გაიხსნება სანტა-კლაუსის წარმომადგენლობა. იგი, ლაპლანდიის გარდა, სხვაგან არსად არ არსებობს. წარმომადგენლობის მიზანია, გაარკვიოს მზად არის თუ არა ლატვია შობის საზეიმოდ აღსანიშნავად.

**ტაივანში** ტაიფუნს მოჰყვა 5,5-ბალიანი მიწისძვრა. ეს მოხდა ტაიბეიდან დაახლოებით 250 კმ-ის დაშორებით. იმავე რაიონში 3 წლის წინ მომხდარ 7,6-ბალიან მიწისძვრას 2.300 ათასი ადამიანი შეეწირა.

17 სექტემბერს ადამიანი პირველად შეიხედავს **ხეოფსის პირამიდის** „საიდუმლო ოთახში“. მეცნიერებმა მისი არსებობა 10 წლის წინ შეიტყვეს, როცა პირამიდის ერთ-ერთ შახტში ვიდეოკამერიანი პატარა რობოტი ჩაუშვეს. აპარატმა გვირაბის ბოლოს სპილენძის სახელურიანი პატარა კარი აღმოაჩინა. ამჟამად გაცილებით სრულყოფილი აპარატი, რომელსაც კედლის მიღმაც შეუძლია საგნის დანახვა, მეცნიერებს თვალწინ გადაუშლის იმას, რაც პირამიდის სიღრმეში იმალება.

# იგორ გიორგაძე: მე ვიცი, ვინ დაბომბა საქართველო




დილის 5 საათია. მოსკოვიდან შორს, სოფლის შარაზე, ბუჩქებში სამი ჯიპი დგას. ერთ-ერთი მანქანიდან გოლიათი გადმოდის და ცივად მითითებს ქოხზე. ოთახში, გრძელ მაგიდასთან, დგას იგორ გიორგაძე, საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრი და ედუარდ შევარდნაძის დაუძინებელი მტერი.

ჩვენ არც გიორგაძეს ვუჭერთ მხარს და არც შევარდნაძეს. მხოლოდ გვინდა მკითხველს სრული ინფორმაცია მივაწოდოთ იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს ადამიანი, რომელიც საქართველომ სახელმწიფო დამნაშავედ გამოაცხადა. გიორგაძე საქართველოს პრეზიდენტს ადანაშაულებს ისეთ საქმეებში, რომელიც დამტკიცებას მოითხოვს. საბუთები კი არ ჩანს, თუმცა გიორგაძე იფიცება, მაქვსო.

**— საქართველო შევარდნაძეზე თავდასხმაში კვლავ გადანაშაულებთ, ინტერპოლი გეძებთ. არ გეშინიათ?**

— ამის დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნიათ. 1995 წელს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ჩემი რეიტინგი შევარდნაძისას გაუთანაბრდა. მოსახლეობის უმრავლესობამ შევარდნაძის კანდიდატურა უარყო. მას ძალაუფლების დაკარგვის შეეშინდა და ყველაფერი გააკეთა, რათა პოლიტიკური არენიდან მოვეშორებინე.

**— ბოლო დროს ხშირად ჩანხართ რუსეთში. რუსეთი კი საქართველოს და ინტერპოლს პასუხობს: გიორგაძე ჩვენთან არ არისო...**

— მე რუსეთში არ ვცხოვრობ, რადგან არ მჩვევია მეგობრების უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. ისეთ ადგილებში ვიმყოფები, სადაც შევარდნაძის დაქირავებული მკვლელები ვერ მომაგნებენ. თავდასხმის ორგანიზატორი მე რომ ვყოფილიყავი, მაშინ ჩვენ ახლა აქ კი არ ვისაუბრებდით, არამედ შევარდნაძის საფლავზე. სხვა თუ არაფერი, ავღანეთი მაქვს გავლილი — პროფესიონალი ვარ.

**— პირადი წყენა ხომ არ გალაპარაკებთ?**

— არც უმაგისობაა... შევარდნაძეს არავითარი ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნია. წლობით იქმნებოდა მითური, რესპექტაბელური სახე დიპლომატისა, მაგრამ ახლა ხალხი მიხვდა, რომ საბჭოთა დიპლომატმა შევარდნაძემ თავისი ქვეყანა დასავლეთს მიუგდო. მას ორი მიზანი ასულდგმულებს — ძალაუფლება და ფული. სისხლის ფასად ორივეს მიაღწია. შევარდნაძემ 8 კლასის დამთავრების შემდეგ სამედიცინო სასწავლებელი დაასრულა და ექთანის დიპლომით კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში დაიწყო მუშაობა. მერე დაუსწრებლად დაამთავრა პედინსტიტუტი და ძვლებზე გავლით მიაღწია პარტიის რაიკომის პირველ მდივნობას. საქართველოს მაშინდელი კომპარტიის ცეკას მდივანი მჟავანაძე უკმაყოფილო იყო მისით და გაათავისუფლა. მაშინ გაიკვლია გზა მაშინდელი სსრკ-ის შს მინისტრის „შჩოლოკოვის მაფიისაკენ". დაიწყო შევარდნაძის აღმასვლა. უმოწყალოდ წირავდა უახლოეს მეგობრებს. 1972 წელს, როდესაც ის რესპუბლიკის პირველი მდივანი გახდა, სერიოზული კონკურენტები გაუჩნდა — ახალგაზრდა, განათლებული, ენერგიული ფუნქციონერი — საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე. ამბობენ, მოუსყიდავი პიროვნება იყოო. ერთ დღეს პატარიძე ავტოკატასტროფაში მოჰყვა. ეს არ იყო შემთხვევითი... თბილისის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ქრთამის აღებაზე წაასწრეს. გამწარებულმა თქვა, ამ ფულს შევარდნაძისთვის ვიღებდიო. დახვრიტეს. რამდენიმე დღის შემდეგ მისმა მძღოლმა თავი მოიკლა.

**— რით დაამტკიცებთ შევარდნაძის მონაწილეობას ამ ბოროტმოქმედებებში, დოკუმენტები თუ გაქვთ?**

— ყველაფერთან ერთად მისი საუბრების ჩანაწერებიც მაქვს. წარამარა ფირიდან ისმის ხმა: ერთის განადგურების, მეორის მოცილების ბრძანებები. სწორედ ამ მაგნიტოჩანაწერების გამო ჩასვეს ციხეში ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს უფროსი და 1999 წლის გადატრიალების მეორე მცდელობაში დაადანაშაულეს, ციხეში კი მოწამლეს. როცა ჩვენ ხელისუფლებაში კონსტიტუციის დაცვით, საპარლამენტო გზით მოვალთ, ცოცხალი მოწმეები ალაპარაკდებიან. „ჩვენ" — ეს სრულიად საქართველოს პატრიოტული ალიანსია, რომელმაც 2001 წელს ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა. ჩვენი მოსვლა არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი თავისი ნებით წავა და არ მოგვიწევს ავტომატით ხელში ძალაუფლების მოპოვება.

**— რას სთავაზობს თქვენი პატრიოტული ალიანსი საქართველოს?**

— ჩვენ პოლიტიკური რეპრესიებით ან შევარდნაძის კლანის დაქიაქებით კი არ დავიწყებთ, არამედ ცხოვრების მოწესრიგებით... რუსეთის იმედი გვაქვს. ჩვენ ცარიელი ხელით არ მივალთ ხელისუფლებაში.

**— საქართველოს ლიდერი ვინ გახდება, თქვენ?**

— ხალხი იტყვის თავის სათქმელს და ღირსეულ წინამძღოლს აირჩევს. მე ყველანაირ თანამდებობაზე თანახმა ვარ, რაც ჩემს სამშობლოს გამოადგება. მთავარია, ქვეყანა არ დაიშალოს. თუ აღმოჩნდება კაცი, რომელიც იტყვის, საქართველოს გავაერთიანებო, მსახურად დავუდგები, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკოსი დღეს არ ჩანს.

**— არაერთხელ გითქვამთ, — ვიცი, როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთიო...**

— საქართველოს ხელისუფლებას გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ საერთაშორისო სტრუქტურებით, კერძოდ, ნატო-ს საშუალებით მოახერხებს აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებას. შევარდნაძეს კავკასიაში ბოსნიის ვარიანტის გათამაშება უნდა. აფხაზეთის მთავრობის დაჩოქება საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ჩვენი ლტოლვილები კეთილი ნებით, აფხაზ ძმებთან შეთანხმებით დაბრუნდნენ შინ.

აფხაზეთის მიერთება საქართველოსთან შესაძლებელია, მაგრამ არა უწინდელი პირობებით. საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკება ხელსუფთა ადამიანებმა უნდა წარმართონ.

**— იქნებ იცით, ვინ დაბომბა საქართველოს ტერიტორია?**

— ეს შევარდნაძის მორიგი პროვოკაციაა. ვაცხადებ, საქართველო რუსეთს არ დაუბომბავს. უფრო დაწვრილებით რომ გიამბოთ, საქართველოში ჩემი ინფორმატორი გამოაშკარავდება.

**— როგორ აფასებთ ანტიკრიმინალურ ოპერაციას პანკისში?**

— ჩემი ინფორმატორის ცნობით, ოპერაციის დაწყებამდე ათი დღით ადრე საქართველოს სპეცსამსახურის მოხელემ გააფრთხილა გელაევი. შეთანხმდნენ ბოევიკების უსაფრთხო ადგილას გადაყვანაზე. მერე ერთი არაბი-დაიჭირეს და შევარდნაძემ გამოაცხადა, — ოპერაციამ წარმატებით ჩაიარაო. შეეშინდა გელაევის და მისი ხალხის ჩაშვება, რადგან ისინი გაამხელდნენ კოდორის ხეობაში მოწყობილ პროვოკაციაში თბილისის მონაწილეობას. პანკისის ხეობის მთელი ანტიკორუფციული ოპერაცია მან დააფინანსა, ვისაც ინფორმაცია გააჩნია მოსკოვში ტერორისტული აქტების ჩატარების შესახებ. საცხოვრებელი სახლების ამფეთქებლები პანკისში იმალებიან.

**— რატომ არ დაეთანხმა შევარდნაძე დეპუტატებს დსთ-დან გასვლის საკითხში?**

— ეს რუსეთის ენერგორესურსების საბოლოო დაკარგვას მოასწავებდა. შევარდნაძეს ძილშიც ნატო-ს წევრობა ესიზმრება, ისიც იცის, რომ რუსეთში მყოფი ძლიერი ქართული დიასპორა ბიუჯეტში ფინანსების ნაკადს შეწყვეტს. ეს თანხა კი წელიწადში 700 მლნ დოლარია. ნატოში შესვლა ძალზე სახიფათოა რესპუბლიკისათვის. თუ საქართველო რუსეთის ჯინაზე მოქმედებას განაგრძობს, ყველაფერს დაკარგავს და 1991 წლის საზღვრებშიც ვერ აღდგება. ჩვენ უკვე ქვეყნის დაშლის მოწმენი ვართ. თუ საქართველო რუსეთს ზურგს შეაქცევს, როგორც სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს.

**— ვის იმედად აპირებთ ხელისუფლებაში მისვლას, რუსეთის?**

— დასუსტებული რუსეთის დიდი დახმარების იმედი არ გვაქვს. შევარდნაძის ხელისუფლება მოფამფალებულია. დრო დადგება, 50 ათას მომხრეს ქუჩებში გამოვიყვანთ, მოვითხოვთ შევარდნაძის გადადგომას და ვადამდელ არჩევნებს. მისი რეჟიმის მომხრე დღითი დღე მცირდება. მილიარდერი შევარდნაძის დამცველი აღარავინაა.

***გიორგი ბოვტი***
***იზვესტია.რუ***

# სიზმრები აფხაზეთზე




„რუსო ტურისტო" ამას ვერ ამჩნევს. მას ადლერში, თვითმფრინავის ტრაპთან ხვდებიან სასტუმროების მსახურები.

...მდინარე ფსოუს მეორე მხარეს ჩვენს ჯგუფს ხვდება ჩვენი მეგობარი კესოუ ხაგბა, ცნობილი აფხაზი მსახიობი.

მანქანა გზატკეცილზე მიქრის.

— პოლიტიკის საქმე როგორღაა? — ვეკითხები კესოუს, — მეზობლები არ გაწუხებენ?

— შეგიძლია მშვიდად დაისვენო, — მპასუხობს.

— არ გეშინიათ? — ისევ ვეკითხები.

— რისი უნდა გვეშინოდეს? ჩვენ ყველასთან მშვიდობა გვინდა. შეხედე, რა სილამაზეა ჩვენთან. რაიმესი რომ გვეშინოდეს, ასე ლამაზები ვიქნებოდით? სილამაზე იქ ჩნდება, სადაც ადამიანი თავისუფალია.

— დამსვენებელი ბევრია?

— მთელი ბიჭვინთა სავსეა...

მთელი მსოფლიო ბობოქრობს, აფხაზეთი კი დუმს. ყველგან მიწისძვრებია, წყალდიდობები, ამ მიწას კი მზე დანათის და სიმშვიდეა. სამოთხეში შესასვლელი ნემსის ყუნწზე ვიწროაო... მაგრამ გარდა ამ შესასვლელის სიგანისა, მისი სიგრძეც ვიცი — 300 მეტრი. ეს შესასვლელი რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზეა, მას იდუმალი სახელი ჰქვია — ფსოუ.

სამასნაბიჯიან საზღვარს წინ გაშვერილი პასპორტებით კვეთენ ხოლმე აფხაზები, თითქოს ამოწმებენ, იციან თუ არა მესაზღვრეებმა კითხვა. კითხვაც იციან და „აღებაც", თანაც შესანიშნავად. ფულსართმევენ ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევისას. ამის გამო მებაჟეებს ხშირ-ხშირად ხსნიან, მაგრამ შემდეგ ახალდანიშნულები იწყებენ „აღებას"...

გავიარეთ ახალი ათონი — ქრისტიანობის უძველესი ცენტრი აფხაზეთში. ასი წლის წინ ამ ულამაზეს ყურეში ბერებმა ბერძნული ათონის ანალოგიით დააარსეს მონასტერი. 20-იან წლებში (სტალინის ბრძანებით) მონასტერი დახურეს. ომის შემდეგ ტურბაზად გადააკეთეს. ახლა აქ ისევ დაბრუნდნენ ბერები... მონასტრის გვერდით კი რუს სწავლულთა, პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ვილებია ჩამწკრივებული. ერთი სიტყვით, ცხოვრება ისევ აღორძინდა.

ჩვენს სასტუმროს „სამშიტოვაია როშჩა" ჰქვია. ეს აფხაზეთში საუკეთესო სასტუმროა, თურქებმა ააშენეს ბიჭვინთის კონცხზე. ათსართულიანია. ბოლო სართულიდან, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს ბზიფის, კოდორის, ენგურის ვერცხლისფერი ზოლები.

ალიონზე ვიღვიძებ და ნომრიდან გამოვდივარ, ჩქაროსნული ლიფტით ვეშვები ქვევით. ეზოში მსახურები გაზონებს კრეჭენ. ბაღიც არაფრით ჩამოუვარდება ვერსალისას.

აფხაზეთის სახელგანთქმული დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს ვალერი კოვეს და მის მშვენიერ მეუღლეს, მსახიობ მზია აჯინჯალს სტუმრად მივყავარ ჯაფარ აჯინჯალთან — მზიას მამასთან.

— როგორ ბრძანდებით? — ვეკითხები.

— კარგად, ძმაო.

— რატომ, ძმაო?

— იმიტომ, რომ მე და შენ ძმები ვართ. ბედნიერი კაცი ვარ, 150 მილიონი ძმა გამიჩნდა.

— ეს როგორ?

— მე რუსეთის მოქალაქე გავხდი — იგი არწივიან პასპორტს მაჩვენებს, — ახლა მე და შენ ძმები ვართ, რადგან ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ.

ძია ჯაფარი სეიფიდან ლამაზ ხმალს იღებს და ამაყად მიჩვენებს:

— ეს ჩვენი საგვარეულო ხმალია, 500 წლისა მაინც იქნება. ნახე, როგორი დრეკადია.

ხმლის პირს ვეხები, კანი მეჭრება, სისხლი მდის.

— არასოდეს გაულესავთ, — მეუბნება ძია ჯაფარი და ჭრილობაზე მიყურებს, — ნამდვილი ოსტატების ნახელავია.

სეიფის სიღრმეში კალაშნიკოვის ავტომატს, ვაზნების რამდენიმე ლენტს და რევოლვერს ვამჩნევ.

— ეს რად გინდათ?

— ჩემი წინაპრები ათასი წელი ცხოვრობდნენ ამ მიწაზე. მათი სახელებიც ვიცი XV საუკუნიდან. ამ ხმლით ისინი თავიანთ ღირსებას და მიწას იცავდნენ. ეს იარაღი კი იმათთვის მაქვს, ვისაც სურს გამაგდოს მშობლიური მიწიდან, ვისაც სურს სკოლებში აიკრძალოს ჩემი მშობლიური ენა.

ვნახე ლეგენდარული აფხაზი მეფის, ლეონის რეზიდენცია — მისტიკური ანაკოფია. იგი ახალი ათონის შემოგარენში, ყველაზე მაღალ მთაზეა. სამეფო ტახტის უკან კედელი სავსეა ბიზანტიური წარწერებით. ვჯდები პირველ აფხაზ მბრძანებელთა უძველეს ტახტზე. უცებ მოწმენდილ ცაზე საიდანღაც ჩნდება არწივი, იგი რამდენიმე წამს დამტრიალებს თავზე...

სულის სიმაღლე და ვნების სიღრმე — ცხოვრება აფხაზეთში ამ ორი უკიდურესობის ზღვარზე მიედინება...

***დმიტრი მინჩენოკი***
***ოგონიოკი №35***


Louise-all **ლუიზოლი**
**ქარბთმიანობისაგან განკურნება**
სრულიად შესაძლებელია საფირმო კრემით და ლოსიონით „ლუიზოლი".
პროცედურა უვნებელია, შედეგად თმა არ ამოდის.
იოსებიძის ქ, №53 ☎37-38-13
მის: ჭავჭავაძის გამზ. 20 ☎29-19-73
კაბინეტი „ლუიზოლი" 10-დან 19 სთ-მდე

**600-750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება**
**სიღრმე (0-25)მ.**
**ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.**
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 7 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1800 |
| ევრო | 2,1604 |
| ინგლ. ფუნტი | 3,4137 |
| რუსული რუბლი | 0,0689 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3415 |


**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი «მზიური» აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
**პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში**
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი:დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎ 95-45-75; 91-03-17; 91-07-32

„ტრონსტრონის" ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
**ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია**
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი" აწარმოებს
**ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

# ცხოვრებისეული კურიოზები

## საკურორტო ამბავი



ქარელელი ვანო მშვიდობაძე გულს უჩიოდა და ამიტომ ხშირად ისვენებდა ქობულეთში. კოტეჯი, სადაც იგი ამ ზაფხულს დაბინავდა, ზედ ზღვის პირზე იდგა, რის გამოც ვანო გვიან ღამემდე იჯდა აივანზე და ირგვლივ შექმნილი იდილიით ტკბებოდა...

ერთხელაც, ამ ყოფაში რომ გახლდათ, მეზობელი ოთახის ღია კარიდან მამაკაცების საუბარი შემოესმა...

— უნდა მოკვდეს, თანაც, რაც შეიძლება მალე! — ეუბნებოდა ბოხი ხმით ერთი მეორეს...

ამის გაგონებაზე ჩვენი „დაჩნიკი" კინაღამ აივნიდან გადავარდა.

— რა მეთოდით მოვიშოროთ? — იკითხა შედარებით წვრილი ხმით მეორემ.

— მანქანის დაჯახება არ ივარგებს, ბანალურია, ბნელ კუთხეში დანის გაყრაც მოძველებულია...

ვანოს თმა ისე დაუდგა ყალყზე, ჭაღარა ღერებმა ტკაცატკუცი გაიღეს.

— ზღვაში დახრჩობაზე რას იტყვი? — წამოაყენა ახალი ვერსია წვრილხმიანმა.

ერთიანად აკანკალებულმა მოყურადემ ვალიდოლის ნაცვლად პირში ხელს გამოყოლებული ზღვის ფერადი კენჭი გაიქანა...

— რთული სამუშაოა! — იუარა ბოხხმიანმა. — მაგას აივნიდან გადაგდება სჯობს.

აქ კი ვანოს ნერვებმა საბოლოოდ უმტყუნა, კარი გამოგლიჯა და ადმინისტრატორის ოთახისკენ გაექანა.

დანარჩენი ელვის სისწრაფით განვითარდა:

— პოლიცია!

— არ გაინძრეთ!

— ხელები მაღლა!..

მერე, რამდენიმე წუთი სიჩუმე, რასაც მხურვალე მისალმება და გულიანი ხარხარი მოჰყვა. მალე კი ადმინისტრატორმა ვანოს ღიმილით წარუდგინა ორი თბილისელი სცენარისტი, რომელთაც თავიანთი ახალი, მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარის დაწერა აქ, ზღვისპირა სიმყუდროვეში გადაეწყვიტათ.

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## მოქეიფე ყაჩაღები



ოზურგეთში საუკეთესო მეგობარი მყავდა, ბადრი დარჩია. მამამისს პლატონი ერქვა და ბადრის ახალგაზრდობიდან ყველა პლატონიჩს ვეძახდით.

პლატონიჩი გურიის ნამდვილი კოლორიტი იყო, ყველას უყვარდა და პატივს სცემდა. მის უწყინარ იუმორს ახლაც იხსენებენ (სამწუხაროდ, ერთი წლის წინ გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა).

პლატონიჩი მეურნეობის დირექტორად მუშაობდა ნასაკირალში. ახლობლების გარდა ყველას ეგონა, დიდი ფულის პატრონი იყო, სინამდვილეში, რასაც შოულობდა, ქეიფსა და სხვის პატივისცემაში ხარჯავდა.

იმ პერიოდში, გურიაში ყაჩაღობა რომ გახშირდა, პლატონიჩი სამსახურიდან შინ გვიან მივიდა. მძღოლი რომ გაისტუმრა, აქეთ-იქიდან ხუთი ნიღბიანი კაცი ამოუდგა და სახლში შეაცილა.

პლატონიჩმა გულახდილად აუხსნა „სტუმრებს", რომ ფული და ოქრო არ გააჩნდა, ვახშამზე მიიპატიჟა და კარგადაც აქეიფა, მაგრამ „სტუმრებმა" მაინც გამოაყოლეს ხელს რაც მოეწონათ, ძირითადად თეფშები და ჭიქები.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ყველაფერი ასე თუ ისე დალაგდა, რაიონის გამგეობაში თათბირზე რეგიონის პოლიციის უფროსმა (მისი მეგობარი იყო) ხუმრობით თქვა, ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ყაჩაღებს პურმარილებს უშლიდნენო. პლატონიჩმა ვერ მოითმინა და ადგილიდან დაუძახა: — ბატონო გიორგი, იმ ყაჩაღებში ორი პოლიციელად შევიცანი და შენი ხათრით ვეცი პატივიო.

## მუდმივი „პასაჟირი"



პლატონიჩმა ჟიგული რომ შეიძინა, მანქანის ტარება არ იცოდა. ერთი წლის განმავლობაში ხან ერთი მეგობარი იჯდა საჭესთან, ხან მეორე. ბოლოს ტარება რომ ისწავლა, კარგა ხანს მანქანაში მარჯვნივ ჯდებოდა და ელოდა სხვა წამიყვანსო.

## ინდაურების გამყიდველი



ჩემი სამი მეგობარი ოზურგეთის ბაზარში წავიდა პროდუქტების საყიდლად. ამ სამიდან ორს კაი მოგრძო ცხვირი აქვს.

ორი ცხვირა შევიდა ჭიშკარში, ხოლო მესამეს, მურადი პაპავას, ნაცნობი შეხვდა და ბაზრის კარებთან კარგა ხანს გააჩერა.

რომ მივიდა, ბიჭებმა ყვირილი დაუწყეს: — სად ხარ ამდენი ხანიაო.

— სა ვიყავი და თქვენი გულისთვის დამაგვიანდა, ბაზრის კონტროლიორმა არ გამომიშვა, აი ორი ინდაური რომ შეიყვანე ბაზარში, „ჩეკი" აიღეო. — უპასუხა მურადიმ.

***ზორბეგ დავითაშვილი, თბილისი***

## გიორგი და მისი კინტაური



5 წლის იყო ჩემი ძმისშვილი გიორგი, ცეკვის წრეზე რომ მივაბარეთ. „შალახო" ისწავლა მაგრად და კინტაურიც...

ერთი წლის მერე გამოიყვანა ცეკვიდან ჩემმა ძმამ. რატომ გამოიყვანე, კარგად ცეკვავდა-მეთქი, დავტუქსე მამამისი. რატომ და ბიჭო, ამას წინათ ბაზართან ერთ კაცს ცხვირსახოცი დაუვარდა, მივარდა გიორგი, დატრიალდა, ჩაუსვა და ჩაუსვა კინტაური... დახრა და ცხვირსახოცის პირით აღება ერთი იყოო!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

**პაროდიის კუთხე**

## 9 — 15 სექტემბერი



**ვერძი** — ეს კვირა თქვენთვის ძალიან დატვირთული იქნება, თუმცა საშუალება გექნებათ, დროდადრო ტვირთი მოიხსნათ, ჩამოჯდეთ, მოისვენოთ, წყალი დალიოთ და ა.შ.



**კურო** — კუროებსაც არანაკლებ დამღლელი კვირა ელით, თითქმის მთელი კვირის მანძილზე გაუთავებელი საქმეები ექნებათ, სამაგიეროდ, კვირა დღეს ისინი დღის 3 საათამდე იძინებენ.



**ტყუპები** — ტყუპებისთვის ეს კვირა ვალების გასტუმრების კვირა იქნება, რასაც ამ კვირაში ვერ მოასწრებთ, მომდევნო კვირაში მაინც გაისტუმრებთ, თუ მომდევნოში ვერ გაისტუმრებთ, არა უშავს, კვირეებს რა დალევს.



**კირჩხიბი** —ამ კვირაში უნდა მოერიდოთ მზეზე სიარულს, სასურველია, თუკი ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები ერთად შეიკრიბებით სადმე გრილ ადგილზე და წაუქეიფებთ.



**ლომი** — ლომი ამ კვირას ძირითადად ტყეში გაატარებს სუფთა ჰაერზე. ახლო მომავალში მას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.



**ქალწული** — ამ კვირაში ბევრი რამის მოსწრება დაგიგეგმავთ. კარგი იქნება, თუკი თან პატარა ბლოკნოტს იქონიებთ რაღაც-რაღაცების ჩასანიშნად, ხელზე ჯვარის დასმა რომ აღარ დაგჭირდეთ.



**სასწორი** — ეს კვირა საუკეთესო დრო იქნება თქვენი ავადმყოფი ახლობლის მოსანახულებლად. იქნებ, თქვენი ნახვით სრულიად არ განიკურნოს, მაგრამ ყურადღება მაინც ესიამოვნება.



**მორიელი** — შეეცდება ისეთი კეთილი და ლმობიერი იყოს, როგორც არასდროს. ამისათვის საკმარისია 100 გრამი არაყი და ცოტაც მისაყოლებელი.



**მშვილდოსანი** — მშვილდოსანს ხელსაყრელი დრო ეძლევა სასიყვარულო ურთიერთობებისათვის. იქნებ, ამ კვირაში მაინც გაიგოთ თქვენი სატრფოს ტელეფონის ნომერი.



**თხის რქა** — წინ სიურპრიზებით აღსავსე კვირა გელოდებათ. მე ვიცი, თუ რომელ დღეს რა გელოდებათ, მაგრამ არ გეტყვით, რადგან სიურპრიზი აღარ იქნება.



**მერწყული** — ამ კვირაში ერიდეთ კონფლიქტს თქვენს უფროსთან. უბატონოდ ხმას ნუ გასცემთ. თუ გთხოვათ, მოუდუღეთ ყავა და მიართვით გაღიმებული სახით.



**თევზები** — ამ კვირაში მეტისმეტად კონტაქტურები იქნებიან. რეკომენდებულია თავი შორს დაიჭირონ კატის წელიწადში დაბადებულისაგან.

***ჰოროსკოპი თქვენთვის მსოფლიო ასტროლოგიური კატალოგიდან „გამოიწერა" ზაქრო ინწკირველმა***

# მკითხველის —— —— საყვარელი ანეკდოტი



რაჭველი ეუბნება დედას:

— დღეს სკოლაში არ წავალ!

— რატომ?

— როგორ თუ რატომ, — ერთი ჩანთას მესვრის, მეორე მხარს გამკრავს, მესამე ფეხს მიდებს... აღარ შემიძლია!

— გადამრევ რაჟიკუნა, შენ! ჯერ ერთი, ბავშვი აღარა ხარ, ორმოცის ხდები უკვე და თანაც, რაც მთავარია, სკოლის დირექტორი ხარ!..

***ლია ი., თბილისი***



პატარა თბილისელი გურული მამას ეკითხება:

— მამა, მითხარი, როგორ გავჩნდი ამქვეყნად?

— მე და დედამ უნივერსამში გიყიდეთ!..

ბიჭუნამ არაფერი თქვა. საღამოს, როცა იგი დასაძინებლად დაწვა, დედამ მის დღიურში ნახა ჩანაწერი: „დღეს მამას ვესაუბრე სექსუალურ თემებზე: გაგებაში არ არის!".

***ნიკა სიხარულიძე, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## წიკლაურს «მაყუთი» არ აქვს...

— მაინტერესებს რას საქმიანობს ჩემი თაობის უსაყვარლესი მომღერალი თემურ წიკლაური? რატომ აღარ ჩანს იგი ესტრადაზე?

*გიორგი ბახტაძე*



კითხვაზე უპასუხებს **თემურ წიკლაური**

— ჩემს გულშემატკივარს პირდაპირ ვეტყვი, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე, რომ არ მაქვს იმდენი „მაყუთი". ანუ, ის, რასაც დღეს ფულს ჰქვია, რომ მოვახერხო ესტრადაზე თუ ტელევიზიით ხშირად გამოსვლა. საქართველოში ახალდამკვიდრებული სიტყვა „შოუბიზნესი" ჭეშმარიტად ამართლებს თავის სახელწოდებას, თორემ, სხვა რა უნდა მიშლიდეს ხელს. კვლავაც განვაგრძობ სიმღერების წერას, ვმღერი კიდეც და მათ ჩაწერასაც ვახერხებ ხოლმე შეძლებისდაგვარად... მოკლედ, ისევ გავიმეორებ, უფულობა მიშლის ხელს, თორემ მრავალ კლიპსაც ჩავწერდი და არც მაყურებელს მოვანატრებდი თავს...

## რა ქნას კარგმა მონარდემ...

— პატივცემულო „კვირის პალიტრის" რედაქცია, გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გვიპასუხოთ, როდის ითვლება კოქსი ნარდში?

*თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი საბერძნეთიდან*

კითხვაზე უპასუხებს **აკაკი კიკალეიშვილი**, ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი — ავსტრიის, საფრანგეთის, სლოვაკეთის ჩემპიონი ნარდში, ევროპის პრიზიორი.

— კოქსის მომგებად ნარდში ჩაითვლება ის, ვინც მოახერხებს საკუთარი ქვების ბოლომდე კარიდან გამოყრას მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე ჯერაც არ არის გამოსული არც ერთ ქვას თავისი კარიდან და ამის გარდა, ქვები დარჩა მეტოქის კარში (თუნდაც ერთი ქვა). კოქსით მოგება სამ ქულად ითვლება, თუ დავი არ არის ნათქვამი. ხოლო თუ დავია ნათქვამი — 6 ქულაა.

## ფეხის ზომას უნდა შეეგუოთ

— ჩემი ახლობელი ტანად პატარაა, ფეხი კი ძალიან დიდი ზომის აქვს, ექიმმა ამ ამბავთან შეგუება ურჩია. გავიგე, რომ იაპონიაში ხელოვნურად უპატარავებენ ქალებს ფეხებს. ძალიან გთხოვთ, იქნებ მოგვითხროთ რამე ამის თაობაზე.

*თიკო ჭანკოტაძე*

არ გირჩევთ გაგონილი ხერხის გამოყენებას, თუ რატომ, ამას ქვემოთ შეიტყობთ. მსგავსი ტრადიცია მართლაც არსებობდა აზიაში, ოღონდ, არა იაპონიაში, არამედ ჩინეთში. კერძოდ, დიდებულთა ქალიშვილებს პატარაობაში ფეხს უხვევდნენ, რათა იგი პატარა დარჩენილიყო. ეს ერთგვარი სავიზიტო ბარათი იყო. ნებისმიერ ქალიშვილს, რომელსაც ჩვეულებრივი ზომის ფეხი ჰქონდა (ამას ერთგვარ სიმახინჯედ აღიქვამდნენ), სარფიანად გათხოვებაზე არც უნდა ეოცნება. თუმცა ფეხის ახვევა საკმაოდ არაჰუმანური ქმედება იყო: პატარა გოგონას ტერფებს ცხელ წყალში აყოფინებდნენ, შემდეგ დიდხანს უზელდნენ. ნეკა თითს მოდრეკდნენ ქუსლისაკენ და ამ პოზიციაში მაგრად კრავდნენ. ეს ოპერაცია ხშირად მეორდებოდა. შედეგად, ტერფი სიგრძის მაგივრად სიმაღლეში იზრდებოდა. გასული საუკუნის ათიან წლებში ეს ტრადიცია არაჰუმანურად მიიჩნიეს და აკრძალეს კიდეც. დღესდღეობით ასეთი ხერხით ფეხშეკრული ქალები მხოლოდ ჩინეთის სამხრეთ პროვინციაში, იუნანში არიან. ისიც იმიტომ, რომ ეს საკმაოდ ყრუ ადგილია და თქვენ წარმოიდგინეთ, ცნობა მმართველობის შეცვლის შესახებაც კი 20 წლის დაგვიანებით მიდის ხოლმე. დღეისათვის ამ პროვინციაში პატარაფეხიანი ქალბატონების რიცხვი 30-ს არ აღემატება და წლიდან წლამდე კლებულობს...



ფოტოზე თვალნათლივ ჩანს სხვაობა ჩვეულებრივ ფეხსაცმელსა და მის „მოკლე" „თანამოძმეს" შორის

## II მსოფლიო ომის რეკორდსმენი

— ბაბუაჩემი II მსოფლიო ომის დროს ბომბდამშენით დაფრინავდა მეტყვიამფრქვევედ. თავისი ხელით ჩამოაგდო 2 „მესერშმიტი" და ძალიან ამაყობდა ამით. ბევრს აქებდა საბჭოთა მფრინავებს, მაგრამ ამბობდა, რომ გერმანელებსაც ჰყავდათ ძალიან ძლიერი პილოტებიო. იმის მიუხედავად, რომ მათემატიკოსი ვარ, ძალიან მაინტერესებს ავიაციის ისტორია, მაგრამ ვერსად მივაკვლიე ცნობებს გერმანელ „ასებზე". იქნებ დამეხმაროთ და ვინმე, ყველაზე ცნობილ პიროვნებაზე მაინც მიამბოთ რაიმე.

*ლაშა ბერიძე*



ერიხ ჰარტმანის „მესერშმიტი" Bf-109G-6

თქვენი ბაბუა მართალი იყო, როდესაც გერმანელ პილოტებს აქებდა. მათ შორის მართლაც ბევრი სახელოვანი პროფესიონალი იყო. მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო პილოტად გერმანელ ერიხ ჰარტმანს ასახელებენ. სწორედ ის არის „ლუფტვაფეს" (გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალები) ყველაზე „პროდუქტიული" მფრინავი. მის ანგარიშზეა 352 წარმატებული ოპერაცია. 1942 წელს 20 წლისა მოხვდა სამხედრო ნაწილში. ერთ წელიწადში უკვე 150 თვითმფრინავი ჰყავდა ჩამოგდებული. თვითონ ჰარტმანი არავის ჩამოუგდია, თუმცა მისი თვითმფრინავი ბევრჯერ დაზიანებულა და იძულებითი დაშვებებიც განუხორციელებია, მაგრამ ყველა (15) შემთხვევა იმით იყო გამოწვეული, რომ მისი თვითმფრინავი აფეთქებული თვითმფრინავის ნაწილებმა დააზიანეს. ერთი ასეთი შემთხვევისას ჰარტმანი ტყვედაც ჩავარდა, მაგრამ ორიოდე საათში მოახერხა გაქცევა. ჰარტმანის ჩამოგდებისთვის საბჭოთა ხელმძღვანელობამ პრემიაც კი (10 000 მანეთი) დააწესა, მაგრამ მისი მიღება ვერავინ შეძლო. ჰარტმანი ომის შემდგომაც წარმატებით მოღვაწეობდა გფრ-ის სამხედრო ავიაციაში. თადარიგში 1970 წელს, პოლკოვნიკის რანგში გავიდა. გარდაიცვალა 1993 წელს.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## იქნება კი ჩვენი ქსელი ჯეოსელი?

— ვარ ჯეოსელის აბონენტი. შემთხვევით გავიგე, რომ ჯეოსელს რაღაც ფინანსური პრობლემები შეექმნა და თანამშრომლებს ორი თვეა, რაც ხელფასი არ მიუღიათო. რეგიონებში ჯეოსელის ოფისები რამდენიმე დღით დახურულიც კი ყოფილა. მე კმაყოფილი ვარ ჯეოსელის მომსახურებით, თუმცა როგორც ამ კომპანიის აბონენტი, შეშფოთებული გახლავართ. იქნებ გვიპასუხოთ, რა ელის ჯეოსელის აბონენტებს?

*ლია ტაბიძე*



კითხვაზე უპასუხებს **მანანა დურალიძე**, ჯეოსელის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი

— ჯეოსელში ვმუშაობ თითქმის მისი დაარსების დღიდან და მინდა დავამშვიდო მკითხველი, რომ ამ წლების მანძილზე კომპანიის თანამშრომლები ხელფასებს ყოველთვის დროულად იღებდნენ. მაშინაც კი, როდესაც ჯეოსელს გაუთავებელი სასამართლო პროცესები ჰქონდა (1998-99წ.წ).

რაც შეეხება მკითხველის ეჭვს, იგი სინამდვილეს არ შეესაბამება. კომპანიას არც ფინანსური პრობლემები აქვს, არც დახურვა ემუქრება და არც გაკოტრება. რეგიონებში ჯეოსელის ოფისების დროებით დახურვას კი მართლაც ჰქონდა ადგილი, ოღონდ ორიოდე დღით და ისიც აბონენტთა ინტერესების გათვალისწინებით — სისტემის განახლებისა და გაფართოების მიზნით, რაც ითვალისწინებს ახალი აბონენტების დაუბრკოლებლად, ადგილზევე ჩართვას ქსელში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ რეგიონში ზოგიერთი ოფისი დაიხურა პარასკევს და გაიხსნა ორშაბათს დილით. ასე რომ, ამ მხრივაც არავითარი პრობლემა ჯეოსელს არ ჰქონია.

კითხვაზე, რა ელის ჯეოსელის აბონენტებს, გიპასუხებთ, რომ ჩვენს აბონენტებს წინ არაერთი საჩუქარი და ახალი სერვისი ელოდება ჯეოსელისგან.

## წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე

— ორი წლის წინ უბედურება გადამხდა, გალთან დამეჭრა მეუღლე. საბედნიეროდ, წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა იგი ჩვენს ტერიტორიაზე გადმოიყვანეს და მის მკურნალობასა და ფეხზე დაყენებაშიც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს. ახლობელმა მითხრა, რომ ეს ორგანიზაცია აინშტაინის დაარსებული ყოფილა. გთხოვთ მიპასუხოთ რამდენი წელია, რაც მუშაობს წითელი ჯვარი და რამდენ ქვეყანაში აქვს ფილიალები.

*ლუდა გოგოხია*



თქვენი ახლობელი ცდება, აინშტაინმა მართლაც დიდი მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო ორგანიზაციის დაარსებაში, ოღონდ მას სულ სხვა სახელი ჰქვია და განსხვავებულ საქმიანობას ეწევა. ეს არის საერთაშორისო მაშველთა კომიტეტი (IRC). ხოლო რაც შეეხება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, მისი შექმნის ინიციატორი ბრძანდებოდა შვეიცარიელი ანრი ჟან დუნანი, რომელიც 1859 წელს, იტალიაში გამართული საბრძოლო მოქმედებების უნებლიე მონაწილე შეიქნა. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ, მას თვალწინ გადაეშალა ველი, რომელზეც ათასობით დაჭრილი მებრძოლი იწვა. დუნანმა შეაგროვა მოხალისეები და პირველადი დახმარება გაუწია ასობით დაჭრილს. ამის შემდეგ მას მოსვენებას აღარ აძლევდა დაჭრილთა ბედი. 1864 წელს, დუნანისა და მისი თანამოაზრეების ინიციატივით, ჟენევაში ჩატარდა კონფერენცია, რომელსაც 16 ევროპული ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სწორედ ამ შეხვედრის შედეგად, 12 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საყოველთაოდ ცნობილ ჟენევის კონვენციას, რომელიც დაჭრილებისადმი ჰუმანურ მოპყრობას მოითხოვდა. იქვე დამტკიცდა ახალი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის ემბლემაც. მის საფუძველს შვეიცარიის დროშა წარმოადგენს, ოღონდ, ფერებია შეცვლილი, ანუ თეთრ ფონზე წითელი ჯვარია გამოსახული, ნაცვლად შვეიცარიული წითელი ფონისა და თეთრი ჯვრისა.

1907 წელს ორგანიზაციამ დაცვის ქვეშ აიყვანა საზღვაო ბრძოლების მონაწილეები, 1929 წელს სამხედრო ტყვეები, ხოლო 1949 წელს საომარი მოქმედებებისგან დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა.

ოფიციალურად, ორგანიზაციას „წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია" ეწოდა ჰააგაში 1928 წელს, ხოლო 1986 წელს ამ სახელს დაემატა წითელი ნახევარმთვარეც.

## რატომ დაერქვა «ნაძალადევი»...

— „კვირის პალიტრის" საშუალებით მრავალ ახალ ინფორმაციას ვღებულობ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროდან. ამჯერად მაინტერესებს, თუ რატომ დაერქვა თბილისის ერთ-ერთ უბანს ნაძალადევი...

*მაია მარჯანიძე*



— XX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმებზე რკინიგზის გადაღმა აღნიშნულია ძველი და ახალი ნაძალადევი, რომელთაც ხუდადოვის ტყის მასივი ყოფდა. ქალაქის ეს ნაწილი (ძველი ნაძალადევი) აღმოცენდა XX საუკუნის 80-იან წლებში. რკინიგზის მუშები აქ ხელისუფალთა და მიწათმფლობელთა დაუკითხავად (ნაძალადევად) აშენებდნენ მცირე სახლებს (ხელისუფლებამ სცადა უკანონო მშენებლობის აღკვეთა და სახლებიც არაერთხელ დაანგრია, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მუშები სახლს ღამით აშენებდნენ, დილით კი ხელისუფალთა წარმომადგენლები ანგრევდნენ. საბოლოოდ გაიმარჯვეს მუშებმა). ოფიციალურმა ხელისუფლებამ ხელი ჩაიქნია, ამ უბანს „ნაძალადევი" შეარქვა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის კეთილმოწყობას. XX საუკუნის დასაწყისში ტყის მეორე მხარეს ასეთივე დასახლება — „ახალი ნაძალადევი" აღმოცენდა. სტიქიურად აღმოცენებული მუშათა დასახლებები (Нахаловка) რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებშიც წარმოიშვა.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

## მილოცვა

**ირაკლი ლაჭავას და თათია დავითაშვილს**

ვულოცავთ შეუღლებას, ვუსურვებთ უკვდავ სიყვარულს, ულევ ბედნიერებას, გამრავლებას, დიდხანს სიცოცხლეს...

*მოსიყვარულე მშობლები*

**ჯაოშვილებო!**

ვულოცავთ მსოფლიოს, ვფიცავდეთ ლეთისმშობელი გაცნობებთ, რომ ამ 20 ოქტომბერს (კვირას), თბილისში მოეწყობა ჯაოშვილების გვარის შეკრება და ფილმი-ნარკვევი „ჩემი გვარი – ჯაოშვილის" ჩვენება. ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვთ, დაგვიკავშირდეთ 20 სექტემბრამდე: 822 36-88-69; 899 90-08-62

*პატივისცემით, ტელეჟურნალისტი ირაკლი ჯაოშვილი*

**ჩემს ყველაზე საყვარელ ადამიანს, რეზოს!**

ვულოცავ დაბადების 50 წლისთავს! გისურვებ დიდ, ნამდვილ სიყვარულს და ამ ლამაზი გრძნობის დიდხანს შენარჩუნებას. მინდა, რომ ასეთი კარგი, კეთილი და თბილი საყვარელი იყო, როგორიც ახლა ხარ.

მე ძალიან მიყვარხარ! გავასებ, პატივს გცემ და ყოველ წუთს მენატრები. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ყველას იმედად, შენს მეუღლესთან და ლამაზ შვილებთან ერთად. ხარ ბედნიერი მამა, ყოველივეა ბედნიერი ბაბუა. შენ ხომ საუკეთესო მეგობარიც ხარ.

*„რა ვქნა, ვერ დავივიწყე*
*სიყვარულის ბრალია...*
*მენატრები ძალიან..."*

*შენი ყველაზე საყვარელი ადამიანი (ვიმედოვნებ, არ ვცდები. მიხვდები, ვინც ვარ)*

## ბინები

იტალიური ეზოში, იზოლირებული, 3-ოთახიანი, სუფთა ბინა, ლოჯიით, ტელეფონით, სარდაფით, 2-სართულიანი სახლის I სართულზე. ფასი $16.000. მის: ნუცუბიძის რ-ნი, ჯავახიშვილის ქ. №30. ტ: 96-71-53

3-ოთახიანი, სუფთა ბინა, კაპიტალური გარაჟით, 6(9). მის: ნაძალადევის რ-ნი, ზეგანის ქ. №4. ტელ: 69-04-14 (საღამოს); 899 18-45-90

4-ოთახიანი ბინა, ახალაშენებულში, 7-სართ. კორპუსში, VI სართულზე (სფ – 150 კვმ; 45+18+15+13; სამზარეულო – 17 კვმ), დიდი ჰოლით, ვარდერობით, ჩვეული წერტილებით, მეზრით, იზოლირებული ეზოთი. ავტოფარეხი – ბინის ქვეშ. მის: სარაჯიშვილის №10 (რუსთაველის გამზირიდან 200-მი), მეტროსადგურთან ახლოს. ტელ: 877 42-42-50; 893 36-36-40

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) მუხრანში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $800. ტელ: 23-07-65

2,5-ოთახიანი სუფთა ბინა ქობულეთში, პრესტიჟულ ადგილას, 9(7). ფასი $7.500. ტელ: 899 91-64-81

## ქირავდება

1-ოთახიანი, ახალგარემონტებული, მაღალჭერიანი, არასტანდარტული ბინა, III სართულზე, დიდი აივნით, მარით, ცხელი წყლით, ტელევიზორით, ტელეფონით, მაცივრით, ავეჯით, ვაკის პარკთან (აბაშიძის №68). ფასი $180. ტელ: 39-49-41; 899 54-49-29; 899 11-00-18

1, 2 და 3-ოთახიანი ბინები, ასევე 1 ოთახი პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად, როგორც კერძო სასტუმრო ნომერი წინასწარი შეთანხმებით. უცხოელებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებზე მოვლით ტურისტულ ჯგუფს 15-20 კაცამდე. ფასები 1 დღეღამე 1 კაცი 7$; 12$; 17$; 22$; 30$; და 50$, ოთახების შერჩევით. საკ. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893-33-03-86

აკ. წერეთლის გამზირზე, ძალიან მეტროსთან, 3-ოთახიანი, კარგად გარემონტებული, მაღალჭერიანი ოფისი (საფ. – 70 კვმ), მუდმივი დენით, ცხელი წყლით, ტელეფონით, მეტალის ჟალუზებით, ფასადით პროსპექტზე შესასვლელი – პროსპექტიდან. 5 კაბით. ფასი $500. ტელ: 34-20-56; 899 53-05-55

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯანის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ამერიკულ-საფრანგეთის ერთობლივ საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ სამუშაოს სამსახურს, მაღალი ანაზღაურებით. ხელფასი გამომუშავებით, თვეში – $300-500, აშშ სტანდარტებით. ვიწვევთ 17-40 წლამდე ასაკის ადამიანებს. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46; 899 15-89-92. თიკა

გვაქვს 4 ვაკანსია. გვესაჭიროება რუსული ენის მცოდნე, განათლებული თანამშრომლები. ვთანამშრომლობთ მსოფლიოში საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა, კომპანიის ხარჯებით. გამომუშავება ახალი ამერიკული სტანდარტებით $200-400-ის გამომუშავებით. მიმდინარეობს შერჩევა! მის: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38; 899 90-54-78. მენეჯერი ბატონი დიმიტრი

## მომსახურება

დასვენება ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში – ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ჩაქვი; ასევე ბაკურიანში, ბორჯომში – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის: ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტურ. კომპანია „Dilaplus". http://dilaplus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით უკვლიოდ, გულმკერდის შეთხელებისა და განსაკუთრებით ზედა ტუჩის ჩაშავება უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ეძლევა მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

> ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ნაყოფიერებასი სეზონი ქობულეთში! 10-დღიანი საგზურები 60 ლარიდან, 3-ჯერადი კვებით, „იეგრიასთან", ფიჭვნარში. ბავშვებზე და ჯგუფებზე – შეღავათები. მობრძანდით: თბილისი, დავით აღმაშენებლის 113/115, (ცირკის ეზოში, სამკ. ცენტრი „ფანასკერტელი"), კაბ №31. ტ: 69-18-38 (ბინა); 91-18-38 (სამს); 877 41-86-16. ციანა სუმბაძე

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეკერვა-ადგენა-გამოცვლას, მატრასების, სკამის ადგენას. ვულპავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 95-97-12. ვალერი

პიანინოს, როიალის, ავეჯისა და სხვადასხვა ტვირთის გადაზიდვა სპეციალური ამწე-ქანით, საქართველოს ფარგლებში, გზებით, ჩვენივე მუშამტვირთავებით. ტელ: 32-69-14; 899 57-00-28. ალეკო

KNAUF – ვაწარმოებ ნებისმიერ სამუშაოს ვიზიტკარდონით (თაბაშირ-მუყაო). აგრეთვე, ჭერი – „AMF-ARMSTRONG", ნებისმიერი დიზაინის. ტელ: 96-71-53; 877 71-09-89

KNAUF – Монтаж подвесных потолков, перегородок из гипсокартона, а также, „AMF-ARMSTRONG", любой дизайн. Лучшие специалисты города. Тел: 96-71-53; 877 71-09-89

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემის მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძეს მოწვეული ჰყავს რუსეთისა და ისრაელის კლინიკაში მომუშავე ექიმები. მკურნალობენ: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების დაავადებებს, უნებლიე შარდვას, ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს, ხერხემლის გამრუდებას, მუხლის, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდას, თმის ცვენას, მეჭეჭების მოშორებას, ჭარბ წონას; გადაგარჩევთ თამბაქოს. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

ტკივილის სინდრომის, ქვედა კიდურების სისხლძარღვების დაავადების, ჰაიმორიტის, ტროფიკული წყლულების, კუჭ-ნაწლავის, სახსრების დაავადების, ფსორიაზის სწრაფი და ეფექტური მკურნალობა. მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ხელმძღვანელი პროფ. ლეილა მარსაგიშვილი. ბახტრიონის ქ. 18. ტ: 38-27-52

მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, ნაწიბურების, სპირანგების და სხვა არასასურველი წარმონაქმნების სწრაფი, უმტკივნეულო მოცილება, კოსმეტიკური დეფექტების შესწორება, ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი CO₂ ლაზერით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ბახტრიონის 18. ტ: 38-27-52; 877-46-82-53

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საქმიანობის მიზნით – ელექტრო სათანადო აპარატურით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღმოფხვრის ბგერისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ჭაბურიაკობის, ენაბლუობის, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმის. მიღება საჭიროებისამებრ ჩაწერით: 899 55-05-75

საიხლე არტერიული პიპერტონიის მკურნალობაში! მაღალი წნევის ნორმალიზაცია, ახალი, კომბინირებული, აპარატ „Eleqtroeffeqtor"-ისა და მედიკამენტების (გვერდითი ეფექტების) საშუალებით. ავადმყოფებს ერთიანი მკურნალობა უტარდებათ სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში, (ვაჟა-ფშაველას №29), ამბულატორიულად, მედიც. მეცნ. დოქტორის მიერ, მე-4 სართულზე (მიმღების მხრიდან), №481 ოთახში, 11-13 სთ. ცნობები და წინასწარი ჩაწერა: 66-04-67; 899 24-49-20

მაიზღალი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (ხერხემლის გამრუდება, კისერ-მხრები), თავბრუს ხვევა, მეწალისებური და ქიმიისებური გულმკერდი, სიმსუქნეში ზრდა. ექიმი, მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხელაიშვილი. მის: აღმაშენებლის №60. ტელ: 75-06-14; 877 44-01-08

ლიმფის გართულებული დაავადებები, ჩირქოვანი გლანდები, ჰაიმორიტი, ბრონქების გაწმენდა ნახველისა და ნიკოტინის დანალექებისაგან. საფუძვლიანი მკურნალობა და ნემსოვლებით პროფილაქტიკა ცნობილი მცენარეული ნაყენით – „მკურნალი სუმბაძე". ტელ: 91-18-38; 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ციანა სუმბაძე. მის: აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ცირკის ბოლოში, სამკურნალო ცენტრი „ფანასკერტელი"), კაბ. №31. ციანა სუმბაძე

> მუწუკებისა და ნაიარევების (ქალების, კვალდების, ძოლების) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. ექიმი რუსეთიდან საყვარლიძე პაციენტებს იღებს ახალ მისამართზე: ზურაბ ჭავჭავაძის (ყოფ. შერონოვის, შესახვევი დავით აღმაშენებლის №99-იან) ქ. №10. „ოქროს დილიანსერი", კაბ. №2. ტელ: 95-30-26 (სამს); 39-00-70 (ბინა); 899 56-96-61

ალერგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა – ლოგონევროზი), წნევის, (ჰიპერტონიის) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. ვაჟა-ფშაველას 16, ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა, მე-13 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარაიშვილი. 10-16 სთ. ტ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „ლიდი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების და უცხო ენის სწრაფშემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ნაძალადევის კულტურის სასახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. სწავლა შეიძლება დახარისხებულად. გაიცემა სერტიფიკატი. მის: „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", ლდიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

მოსწავლეებისა და აბიტურიენტების საყურადღებოდ! გამოცდილი ფიზიკა-მათემატიკოსები მოამზადებენ მათ მათემატიკურ საგნებში ან დაეხმარებიან სკოლის საგნების მომზადებაში, მაღალი ნიშნის გარანტიით. ტელ: 39-08-42. ნატო; 34-42-67; 34-93-09. ქეთინო

მოვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკასა და ფიზიკაში. მეცადინეობები – კვირაში 3-ჯერ, 2 სთ-ის განმავლობაში. აგრეთვე იქმნება სამკაციანი ჯგუფები VII-IX კლასელთათვის. შესაძლებელია მეცადინეობა ინდივიდუალურად, ყველა მათემატიკურ საგანში. ტელ: 38-83-45. მაია

გამოცდილი მასწავლებელი მოამზადებს მათემატიკაში, დაეხმარება სხვა საგნების მომზადებაში. ტელ: 35-08-92; 893 35-16-51

ახალგაზრდა მასწავლებელი გერმანიაში შესწავლილი მეთოდით შეასწავლის სკოლის ასაკის ბავშვებს გერმანულ სასაუბრო ენასა და გრამატიკას. ტ: 39-24-74 ანა

საზღვარგარეთ სტაჟირებული უნივერსიტეტის პედაგოგი მოამზადებს სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში, ინგლისურის ჩათვლით. მსურველებს შეასწავლის ინგლისურსა და იურიდიულ თანამედროვე მეთოდებით, მათი მიზნების გათვალისწინებით, გარანტიით. ტ: 77-50-08; 893 31-34-00. ნანა

მოვამზადებ ინგლისურ და ფრანგულ ენებში, სკოლის მოსწავლეებს და ნებისმიერ მსურველს. შესაძლოა ბინაზე მისვლა. ტელ: 41-08-88; 41-59-26

ვასწავლი ინგლისურ ენას, ნებისმიერი ასაკის მსურველს, უახლესი პროგრამებით, აუდიო-ვიდეო საშუალებების გამოყენებით. აგრეთვე ვასწავლი ბიზნეს-ინგლისურს. ტელ: 899 51-75-98

ვასწავლი ინგლისურს ნებისმიერი პროგრამით, შეღავათიან ფასებში, 7 წლის ასაკიდან და ზემოთ, ვარდა აბიტურიენტებისა. ტელ: 38-97-05

ვასწავლი ფრანგულ ენას. მოვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს იაფად და ხარისხიანად. ტელ: 75-73-32. ნათია (საღამოს)

კორეელი საერთაშორისო ოსტატი – VI დანი შეასწავლით კორეულ ნაციონალურ სამხედრო-საბრძოლო ხელოვნებას – ტაეკვონ-დოს (ITF). შეიძენთ სულიერ განვითარებას, აიმაღლებთ ფიზიკურ მონაცემებს. მიიღებთ მონაწილეობას რესპ. და საერთაშორისო ტურნირებში. ატესტაცია – შავ ქამარზე (I, II, III დანი). ვარჯიში 3-ჯერ კვირაში. ტელ: 94-01-82; 96-22-89; 899 94-13-79

## იყიდება

ცხვარიჭამიაში, პირველი ბანაკ „მერცხალთან", 1000 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით. ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

პიანინო „ცინდრანი", მხოლოდ მცოდნეთათვის – ვინც იცის ამ ინსტრუმენტის ხარისხი! ძალიან კარგ მდგომარეობაში. ფასი $600. ტ: 22-66-96

I ნოემბრიდან გავყიდით ხეხილის ყველა ჯიშის ნამყენ ნერგს, უწამლავებს, ვარდებს, მარადმწვანე და სხვა დეკორატიულ მცენარეებს. მოვამსახურებით პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. ტელ: 69-97-05

დიდი მოცულობის სპილენძის, არყის სახდელი ქვაბი, ყველა მოწყობილობით. ტელ: 893 32-88-01

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## ხსოვნა

**გამოსათხოვარი**

საქართველოს მეცნიერთა დღევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის განყოფილების ლაბორანტთა და თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **მედეა მელია**.

იგი იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც რეგიონებით ჩნდენ ინსტიტუტის სახელსა და ღირსებას. ქალბატონმა მედეამ ლურჯით ხელში შემოიარა საქართველოს მთა და ბარი, რათა შეეგროვებინა და შეესწავლა ჩვენი ფლორის მავნე სოკოები. მის ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა აღზრდაში...

ქალბატონო მედეა, თქვენი მშობლიური ინსტიტუტის კოლექტივი უკანასკნელ პატივს მოგაგებთ და სინანულით, სიყვარულით გემშვიდობებათ. ნათელში განისვენოს უფალმა.

**ნინო კვინიკაძის ხსოვნას!**



ჩვენო ნინო, ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან; ერთი წელია, დაგტირიან შენი ძვირფასი შვილები, შვილიშვილები.

ძალიან ტკბილად გვიგონებენ შენი ახლობლები, ყოფილი თანამშრომლები, მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ყველა ბიბლიოთეკარი, სადაც შენ, შენი ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარე.

ყოველთვის გვემახსოვრები, ძვირფასო ნინო, ნათელში იყავი შენს საყვარელ მეუღლესთან ერთად, რომლის ერთგული და მოსიყვარულე იყავი მუდამ.

*მირზა გელოვანის სახელობის სახ. ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა*

**კახა სტეფანიშვილის მონატრება**



ყოველივე ღვთისგან გაჩენილი ბედისწერაა, თორემ რა ძალა მოგრიოდა სწორედ ბედობის დღეს, შენს ლამაზ სულს, ჩვენო კახა!

10 სექტემბერს 24 წლის გახდებოდი და ექიმის დიპლომთან ერთად, აღვნიშნავდით შენს დაბადების დღეს.

ახლა კი, შენი მონატრების ტკივილს ცრემლებით ვყუჩებთ.

ნათელში იყოს შენი წმინდა სული, შვილო!

*ნანა მამიდა*

**ვენერა მამულაშვილის მონატრება**

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში დასრულდა შენი ამაბოქრებული სიცოცხლე.



ობლობაში გაზრდილმა, მთელი შენი ცხოვრება სწავლას, სამშობლოს ეკონომიკურ სიძლიერესა და ოჯახის ერთგულებას შესწირე. საკუთარი თავი კი ყოველთვის გავიწყდებოდა. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, გულით მიგქონდა და ძალიან განცხებოდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. ამიტომაც შეგვრჩა ჯანმრთელობა. შენმა ცხოვრებამ სახელოვან მამულიშვილთა ცის კაბადონზე, ვარსკვლავივით გაიელვა და შენი ცხოვრების 70-ე წელს, მიწყდა. შეწყდა გულისცემა, რომელსაც ოქროს ვარსკვლავი გიმშვენებდა.

ძალიან უშენოდ ცხოვრება შენი ძმა-შვილისთვის, შვილიშვილებისთვის, რომლებიც ბოლო დროს, გვერდიდან არ იშორებდი. კეთილად გიხსენებს შენი სიძე, რომელსაც სამაგალითო სიდედრობა გაუწიე.

დიდი სიცარიელე და ტკივილი დაუტოვე შენს ერთადერთ დას, რომელსაც თვალიდან ცრემლი არ შორდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

*შენი და, ლამარა მამულაშვილი*

**რევაზ ქებულაძის გახსენება**



შეუმჩნევლად გარბიან წელიწადი, მას შემდეგ, რაც ყველასათვის მოულოდნელად წაგვიდა ამ ქვეყნიდან და სამუდამო სასუფეველში დამკვიდრდა, მაღალი ზნეობით, შინაგანი კულტურით, საოცარი გულისხმიერებით, სითბოთი და სიკეთით შემკული კაცი, ყველასათვის საყვარელი რევაზ ქებულაძე; კაცი, რომელსაც ბუნებამ უხვად დაანერგა შინაგანი კეთილშობილება, სიდარბაისლე, ნიჭიერება და სულიერი სისპეტაკე. რეზო ქებულაძე გახლდათ დიდებული ოჯახის შვილი, უაღრესად განათლებული, ფართო ერუდიციის ადამიანი, შესანიშნავი მეცნიერი, ნიჭიერი ინტელიგენტი. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე, ერთგულად ემსახურებოდა თავის ქვეყანასა და ხალხს, მეცნიერებას, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას.

ჩვენო რეზო! შენ იდეალად იყავი შეყვარებული სიცოცხლეზე, რომ სიკვდილის წინა დღესაც საყვარელ მეუღლეს უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ესაუბრებოდი. იგი დღესაც ცხარე ცრემლებით დასტირის თქვენს დიდ სიყვარულს, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ცოცხალ-ტოლი სიყვარულისა და ურთიერთგაგების ეტალონადაა მიჩნეული.

უშენოდ განვლილმა წელმა კიდევ უფრო წარმოაჩინა ჩვენს ცნობიერებაში, თუ რა ძვირფასი იყავი ჩვენთვის – მეგობრებისა და კოლეგებისათვის. 70 წელი იცხოვრე მშვენივრად, ღირსეული შემოქმედებითი წარმატებებით, ოჯახისა და მეგობრების სიყვარულით და ერთგულებით. ნახევარი საუკუნე შეალიე საყვარელ საქმეს – ქართული ისტორიული მეცნიერების შესწავლასა და განვითარებას. შენი რამდენიმე მონოგრაფია და მრავალი სტატია მიძღვნილია ქართული ნუმიზმატიკის აქტუალური საკითხებისადმი. ასევე მრავალი მაგვარი გამოიცა საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში. რეზო გახლდათ ღირსეული გამგრძელებელი ამ დარგში დიდებული მეცნიერისა და მოქალაქის, სათაყვანებელი მასწავლებლის – პროფესორ დავით კაპანაძის საქმისა. იგი უშურველად გადასცემდა თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას სტუდენტ ახალგაზრდობას. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რეზო სარგებლობდა დამსახურებული სიყვარულით და პატივისცემით.

რეზო ქებულაძის მიერ განვლილი გზა – ეს არის კვალი ნათელი კაცისა. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული, ამინ!

*მეგობრები და კოლეგები*

**ლელი ყიფშიძის მონატრება**

ოთხი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. დრომ ვერ გაანელა ის მწუხარება, რომელსაც უშენობით განვიცდით. უპრეტენზიო იყავი და ისე წახვედი, შენი ავადმყოფობა არავის გაუგია. ყველას დამშვიდე იყავი, ვისაც კი შენი ხელის შეშველება სჭირდებოდა. გული არ გიწყდებოდა, – იბრძოდი ხოლმე და ასეთი ახალგაზრდული ენერგიით ეხმარებოდი შენს სტუდენტებსა და ახლობლებს.



ძალიან აკლიხარ შენს შვილიშვილებს, რომლებსაც ყოველთვის მოძღვრავდი და გზის გაკვალვაში ეხმარებოდი. ამიტომაც, შენს საფლავს სათუთად უვლიან, ჩვენო საყვარელო ლელიკო. გვენატრები და გვიყვარხარ.

*შენი ოჯახი*

**ლილი ბერიძე-ნათიძის ხსოვნას**



10 სექტემბერს ორმოცი დღე შესრულდება, რაც წახვედი ამ წუთისოფლიდან, ჩვენო საყვარელო, თბილო და კეთილო ლილი დედა. თქვენ და მამა გოგიმ ერთი შვილი გაზარდეთ, მაგრამ თქვენი ნანას ყველას მეგობარი, კლასელი თუ თანაკურსელი შვილივით გიყვარდათ. შვილივით საყვარელი სიძე შეხვდათ – ზურა საამაყო შვილიშვილები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გიორგი და ზურა აზნაურაშვილები ხომ გულს გიხარებდნენ საყვარელ ბებიას. თქვენ აქაც კეთილი კვალი დატოვეთ და იქაც პირნათლად მიუხვალთ უსაყვარლეს მეუღლეს გიორგი (გოგია) ნათიძეს. სოფელ თოხლიაურში იმდენი ხალხი დაგხვდათ, ამბობდნენ კიბოვილმე „ფესვების" ფილმი გავახსენდათ.

სასუფეველში დაემკვიდროს თქვენი ალალმართალი სული!

*ნანას მეგობრები*

**თემურ თორიძის მონატრება**

4 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. რა სიხარული მოჰქონდა ამ დღეს შენი ოჯახისათვის, ახლობლებისათვის, თანაკლასელებისათვის.



10 წელი შესრულდა, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. ნაადრევად წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი.

როცა თავს მოვიყრით თანაკლასელები, პირველად შენს ვაჟკაცობას, რაინდულ სულს, დიდ ინტელექტს, მტკიცე ნებისყოფას, სიკეთის უშურველობას ვიგონებთ, თემურ!

ახლა, შენს დედასთან ლავდივართ, ყოველ 4 სექტემბერს და ვცდილობთ, ოღონდ მანაც შევიმსუბუქოთ დედისერთას დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. თემურ, დიდი სიყვარულით, ტკივილით, ცრემლებით გილოცავთ 46-ე წლისთავს.

ამ თარიღს წმინდა სანთლებით დავდივართ შენს საფლავზე, ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისათვის.

– გვიყვარხარ, უსაზღვროდ გვენატრები, თემურ! ნათელში გამყოფოს უფალმა.

*ნავთობის, 1973 წლის კურსდამთავრებულები*

**გასო ბერაძის ხსოვნას!**



დრომ ვერ მოაშუშა შენგან დატოვებული იარა. დრო, უფრო ტკივილით, დანანებით გვახსენებს შენს თავს. იმის წარმოდგენა, თუ ამ ექვსი წლის მანძილზე როგორ დავაჟკაცდებოდი, როგორ ივლიდი თბილისის ქუჩებში, წარმოსადეგი, ხალისიანი, ღიმილიანი, მეტ სინანულს გვგვრის და გული გვტკივა უშენოდ.

ცხოვრება მიდის... გვაკლდებიან, გვემატებიან ადამიანები დასანანია, ასეთი მოსიყვარულე, კეთილმოყვარე, რომ ვერ გვიზიარდები ჭირსა თუ ლხინში.

უშენობა გვტკივა, გვენატრები.

*დეიდაშვილები*

**არჩილ შელიას გახსენება**



15 სექტემბერი, მეორე სევდიანი წელია, რაც შენი ლამაზი სული სიცოცხლეს გამოესალმა. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად, ჩაიფერფლა ჩვენი აწ აუხდენელი მრავალი ოცნება და ნატვრა. შენი არყოფნით გამოწვეულ სიცარიელეს ვერავინ გვივსებს. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი დამწუხრებული დედ-მამა*

**დათო ტომარაძის გახსენება**



13 სექტემბერს 50 წელი შეგისრულდებოდა. შენი ლამაზი ბუნებით და უშურველი ხასიათით, ყველასათვის ერთგულმა, არც შენი ერისა და მიწა-წყლისთვის დაზოგე თავი. მტერს ეკვეთე, როგორც კი დასჭირდა შენს სამშობლოს და სიცოცხლე შესწირე.

ჩვენ კი დაგვიტოვე მწარე ნაღველი, სევდით სავსე ცრემლები. 12 წელია, რაც შეწყდა ჩვენს ოჯახში შენი ლაზათიანი სიცილი.

ნათელი არ მოგაკლოს ღმერთმა მარადიულ სამყაროში.

*დოდო და დედა*

**ლიკა კუჭავას ხსოვნას!**



ჩემო ლიკა, ჩემო ძვირფასო! 14 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. იმ ქვეყნად გილოცავ ამ დღეს.

წახვედი მოულოდნელად და დამიტოვე უდიდესი ტკივილი, მონატრება.

გიმუხთლა ბედისწერამ!

ჩემო საყვარელო, ერთგულო და ღირსეულო მეგობარო, ჩემო სიხარულო და მწუხარებავ, ჩემო დიდო მონატრებავ, ჩემო ლიკუნა!

შენი წასვლით გამოწვეულ დანაკლისს, ვერაფერი შემივსებს. ძალიან მაკლიხარ, დაუვიწყარო, მოუშუშებელო ტკივილო. შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს შევინახავ.

*შენი - მაია*

**ერეკლე გაბუნიას!**



რა მალე გასულა გაუსაძლისი 5 წელი. 8 სექტემბერი ხომ შენი დაბადების დღეა. ძნელია გამოხატო ის ტკივილი, რომელსაც შენი არყოფნა ჰქვია. ბრძენს უთქვამს, – დრო ყველაფრის მკურნალია, ჭირმა შენმა იცისო. ტყუილია! უშენოდ განვლილი წლები ვერ აღმოჩნდა მკურნალის როლში, ჩვენო მოკრძალებულო, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ბიჭო – პატარა ვაჟკაცო!

ტკივილს მიყენებულს უშენობით, ვერავინ და ვერაფერი მოაშუშებს. იმ ტკივილს, რომელსაც მონატრება ჰქვია, არაფერი შველის. ვერაფერი შეავსებს შენი ნაადრევი წასვლის სიცარიელეს, ჩვენო სათაყვანებელო, საფიცარო ერეკლე ბიჭო!

შენზე უზომოდ შეყვარებულ ოჯახის წევრებს დაგვიტოვე მოურჩენელი გულისტკივილი. ჯერ კიდევ პატარამ, რომელიც მხოლოდ 15 გაზაფხულს ითვლიდი, როგორ, რანაირად დატოვე ამდენი სითბო და სიყვარული, შენს ნატვრადქცეულ თბილისსა თუ უცხოეთის ნაცნობ-მეგობრებში, ახლობლებში, ოჯახში?!

... სულის ტკივილამდე აკლიხარ და ენატრები შენს ლუკას, გიორგის, ირაკლის (შენ ხომ მათ, ჯერ კიდევ პატარებს, ნაადრევად ასწავლე მოურჩენელი, განუნელებელი სულის ტკივილი). უბით დაატარებენ მათთვის წმიდათა-წმიდა შენს ხატებას...

არდადეგებზე, უცხოეთიდან ჩამოსვლისთანავე, დარბიან ჯერ კიდევ გაუხსნელ ბარგს, და გარბიან შენკენ, საათობით უხმოდ სხედან შენს საფლავთან და ნეტავ ვიცოდე, რას გეჩურჩულებიან გულით... უცხო ქვეყნის მეგობრებმაც კი უწყიან მათი სულის ტკივილი...

... მაგრამ მეტეორივით გაელვებულმა შენმა სიცოცხლემ, დიდ ტკივილთან ერთად, დაგვიტოვა შენი კეთილშობილებით, იუმორითა და სიყვარულით სავსე გული და ნათელი ხსოვნა...

... ამასთანავე, უფალმა შენს გულდაკოდილ მშობლებს – მაიკოს და სოსოს (როგორც ეძახდი მათ), ბიჭიკო ბაბუას, თამარა „ბიბოს" – ჩვენ ყველას, ნუგეშად მოგვივლინა ბოკვერა ბიჭი ნიკუშა, რომელშიც გაგრძელდება შენი ნაადრევად წასული, ლამაზი სიცოცხლე და ასევე გადაეცემა ნიკუშას, ნუკას, გიორგის, ირაკლის შთამომავლობას. მადლობა უფალს!

როდესაც შენს პატარა ძმიკოს – ნიკუშას, შენსავით ლამაზს, „ბუშტას", საოცრად გონიერს, ვუყურებთ ტკივილიანი სიხარულით, მასთან ერთად, შენც გულერისხებით; გვეჩვენება, თითქოს მის გვერდით დგახარ, დაჰყურებ შენებური სიყვარულით და ლოცავ ზეციდან.

... და შენც ხომ მოგივლინა უფალმა საყვარელი გივი ბაბუა, ჩასახუტებლად... ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

... ყოველ მწუხრის ჟამსა და ცისმარე, მწარე ცრემლმოწოლილს, თვალწინ მესახება შენი ბავშვობის ხატება. ვათვალიერებ შენს სურათებს, წერილებს – სავსეს იუმორით, მონატრებით, სიყვარულით და ვეძებ უბედური ბებია – „რატომ, რატომ?!"...

... წახვედი და თან გაიყოლე უზომო სევდა, მონატრება, სიყვარული...

... და მაინც, რამდენის ატანა შესაძლებელია ადამიანს, რა შეუცნობელი, ტკბილ-მწარე ყოფილა წუთისოფელი...

... უზომო გულისტკივილით გილოცავთ დაბადების 20 წლისთავს!

... გვიყვარხარ, ძალიან გვენატრები, გვჯერებით, ჩვენში იცოცხლებ მუდამ.

შენს საფლავზე მოვალთ და ცრემლით, ყვავილებით და ლოცვით შევთხოვთ უფალსა ჩვენსა, ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ალალი იყოს ჩვენი ცრემლი.

*ნათელა ბებია*

**ბესო გაბედავას!**



ძმაო ბესო, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. 5 სექტემბერს ერთი წელი სრულდება, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, ყველას გვაკლიხარ. შენ ჩვენ შორის ხომ გამორჩეული იყავი. რა ვუთხრათ შენს უბედურ მშობლებს, შენს საყვარელ დას, რომელსაც უშენოდ ცხოვრება წარმოუდგენელი ეგონა. ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, შევთხოვთ უფალს, რათა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი, უბოროტო სული.

*დეიდაშვილები*

**ეთერ ინჯია-მასხულიას ხსოვნას**



ჩვენო კეთილო, უწყინარო და ღვაწლმოსილო ქალბატონო ეთერ, თავზარდამცემი იყო, როგორც შენი ოჯახისათვის, ისე ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის შენი გარდაცვალება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული. ილოცე აქ დარჩენილი შენთვის საყვარელი ადამიანების დიდხანს სიცოცხლისთვის.

მუდამ გვემახსოვრები.

*საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომლები*

# მამაჩემი უცხოპლანეტელია



ეს ათი წლის გოგონა, ნინა, რომელიც დაბადებიდან ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზაში ცხოვრობს, ნახევრად ადამიანია.

მას აქვს უცნაური, ვერტიკალურგუგებიანი „კატის“ თვალები, ხერხემლის გასწვრივ, რეპტილიის მსგავსად, ამობურცული ძვლიანი რქოვანა, თითებს შორის კი აპკი.

ვაშინგტონელმა გენეტიკოსმა, დოქტორმა ფარლეი იუნგბერდმა 2000 წელს მიიღო გოგონას ფოტო, საბუთები და გენეტიკური მასალის ნიმუშები.

— ფოტოს ზედაპირული კვლევის დროსაც კი, — ამბობს იუნგბერდი, — ცხადია, რომ გოგონას არაადამიანური ნაკვთები აქვს, რომლის ახსნა შეუძლებელია სამშობიარო ტრავმით, თანაც ნინას დნმ-ის ნაწილი „უცნობი წარმოშობისაა“.

გოგონა დაბადებიდანვე ცხოვრობდა აშშ-ის ელისის ზესაიდუმლო სამხედრო ბაზის ე.წ. 51-ე ზონაში, რომლის არსებობასაც მთავრობა უკანასკნელ დრომდე უარყოფდა, რადგან აქ განსაკუთრებით საიდუმლო კვლევები მიმდინარეობს.

რამდენიმე წლის წინ სენსაციებზე მონადირეებმა შეძლეს ნინას უნიკალური ფოტოების გადაღება: გოგონა თამაშობს, ველოსიპედით დასეირნობს, სახტუნაოთი ხტის პატარა სახლის წინ, რომელსაც ირგვლივ მაღალი ღობე აქვს შემორტყმული.

მიუხედავად იმისა, რომ გოგონა ნამდვილად არსებობს, მთავრობა უარს ამბობს მასმედიის მიერ მოპოვებული ამ ფოტოების კომენტირებაზე — ჩვენს ბაზაში ასეთი გოგონა არ არსებობს, არც არამიწიერ სიცოცხლეს ვიკვლევთო.

დოქტორი იუნგბერდი ფიქრობს, რომ ნინას დედა, ჯეკი ჰუბიკი გარმიანელებმა მოიტაცეს. ოფიციალური მონაცემებით, მემფისელი (ტენესის შტატი) ქალიშვილი 1989 წელს მთებში დაიკარგა და ექვსი დღის შემდეგ სრულიად შიშველი მეტყევის ქოხში იპოვეს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ჯეკი გაუპატიურებული იყო, მაგრამ გოგონას არ ახსოვდა, ვინ იყო მოძალადე.

— მსგავსი ჰიბრიდების არსებობა ახალი არ არის, — ამბობს დოქტორი იუნგბერდი, — მე უკვე საკმაოდ სქელი ალბომი მაქვს ამ უბედური ბავშვების ფოტოებით. მთავრობას რომ ეს ამბავი არ გაესაიდუმლოებინა და შეექმნა მეცნიერთა ინტერნაციონალური ჯგუფი, რომლებიც სპეციალურ სამეცნიერო ცენტრში შეძლებდნენ ასეთი ბავშვების შესწავლას, ეს ხელს შეგვიწყობდა ამოგვეხსნა სამყაროს ბევრი იდუმალება; ამას გარდა, შესაძლოა დადგენილიყო ამ ბავშვების ვარსკვლავური მშობლების გარეგნობა და ორგანიზმის თავისებურება.

**ტაინაია ვლასტ №16**

# გიფიქრიათ, რატომ ჰქვია ჩერნობილს ასეთი სახელი?!



ვასილ შმაკოვი ეროვნებით რუსია, თუმცა თავს ქართველად მიიჩნევს. მისმა შვილებმა ბედი ქართველებს დაუკავშირეს.

შმაკოვების წინაპარი ოდესღაც ჩერნობილიდან წამოსულა, ბევრად ადრე, ვიდრე იქ ატომურ ელექტროსადგურს ააშენებდნენ — ჩემი დიდი ბებია ნათელმხილველი ყოფილა და იმას დაუჟინია იმ მიწიდან აყრა. ჯერ მარტო სახელზე თუ გიფიქრიათ, რას ნიშნავს და როგორ იშიფრება — ჩერნობილ. „ჩერნო“ — შავს, ცუდს ნიშნავს, ბილი — ამბავია, ნამდვილი ამბავი. ე.ი. შავი, ცუდი ამბავი ანუ კოდია ჩადებული იმ მიწა-წყალში. არ ვიცი, ისტორიულად როგორ ხსნიან ამ სახელს, მაგრამ ბებია ნასტიას თავისი ვერსია ჰქონდა და დღემდე მგონია, რომ იგი მართალია, მით უმეტეს, როცა მისი სხვა წინასწარმეტყველებაც გამართლდა. ზუსტ თარიღს ვერ ამბობდა, თორემ საუკუნეების წინ, ჩემი ნათელმხილველი ბებოს მტკიცებით, იმ ადგილებში დიდი ბრძოლები ყოფილა, უდანაშაულო ხალხის სისხლით ირწყვებოდა თურმე მიწა. ჩერნობილის მიწაში უამრავი უსახელო მიცვალებული დაუმარხავთ, რომელთაც არც ზიარება ღირსებიათ და არც კურთხევა. იმ ადგილებში თურმე მოჩვენებებიც დაძრწოდნენ, რომელთა გამოჩენას აუცილებლად ავი ამბები მოსდევდა. ღრმად მოხუცებულ ბებიაჩემს შვილებისთვის უბრძანებია, — ამ მიწიდან უნდა აიყაროთ, უზარმაზარი შავი ძალა მძვინვარებს, აქ სიკეთის თესლი არასოდეს იხარებს, მალე თქვენი თვალით იხილავთ ეშმაკი თავის ქარხანას როგორ ააგებს, იქ მოხარშული კუპრი კი უამრავი უდანაშაულო ადამიანის სულს შთანთქავსო.

ვერ გეტყვით, რას გულისხმობდა ბებია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩერნობილში ააშენეს ატომური სადგური, რომელიც ბევრისთვის სასაფლაოდ იქცა... ბებია ამბობდა, ჩერნობილი ყველაზე ავ საქმეს აწი გააკეთებს — მისი კუპრის ზღვა საბოლოოდ XXI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გაიხსნება და მაშინ გაცხადდება ოდითგან დაფარული საიდუმლოო.

**— ძია ვასო, სწორედ საქართველოში თქვენი გადმოსახლებაც ბებიის სურვილი იყო?**

— ჰო. ამბობდა თურმე, — მხოლოდ საქართველოს მიწაა განათებული, იქაა ღვთის ნიშანი. როცა დედამიწას ყველა ენერგია გამოეცლება, ერთადერთი ცოცხალი ნაწილი მის სხეულზე იქ იქნება, სადაც ახლა საქართველო მდებარეობს. ვერ გეტყვით, რა მოხდება, ადრე თუ გვიან ყველა საქართველოს მოაშურებს სულის გადასარჩენად, მაგრამ მისი კარები დაიკეტება და მხოლოდ რჩეულნი შეაღწევენ შიგო. დაუჯერეს მას ოჯახის წევრებმა და აი, ახლა აქა ვართ, ლამის საუკუნე მოიყრება, საცაა.

**— ბარემ რწმენაზეც მითხარით!**

— ჰო, ჩვენ ადრე კათოლიკეები ვყოფილვართ, მაგრამ ისევ ბებო ნასტიას დაჟინებული მოთხოვნით მართლმადიდებლური წესით მოვინათლეთ და ქართულ ტაძარში ვლოცულობთ, ყველა რიტუალს ვიცავთ. მამაჩემი რომ იყოს ცოცხალი, ის უფრო მეტს და საინტერესოს მოგიყვებოდათ. სამწუხაროდ, თავის დროზე ამ ამბებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მართლმადიდებლობა ყველაზე ახლოსაა იესოს ცხოვრების წესთან და მხოლოდ ამ რელიგიის ყველა წესის დაცვით და აღიარებითაა შესაძლებელი უფალთან მოხვედრა.

**— ბარემ ქართულ ენაზეც მითხარით!**

— ჩვენ ყველანი თავისუფლად ვლაპარაკობთ ამ ენაზე და ესეც ბებიას დაჟინებული მოთხოვნით მომხდარა: ქართულ ენაში დამარხულია ის კოდი, რომელიც მეორედ მოსვლის ჟამს დაეხმარება ადამიანებს უფალთან საერთო იპოვონ და რჩეულთა შორის აღმოჩნდნენო. ასე რომ, საქართველო რომ ბევრი რამით გამორჩეული ქვეყანაა, მე, რუს კაცს, წამითაც არ მეეჭვება და როგორი რთულიც უნდა იყოს ცხოვრება, მაინც არაფრის მეშინია ამ ღვთით კურთხეული, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე. ადამიანები ბევრ შეცდომას ვუშვებთ და უფალი უსაზღვროდ გულმოწყალე რომ არ იყოს, კარგა ხნის წინ გაგვანადგურებდა, მაგრამ მას ვუყვარვართ და უამრავ ნიშანს გვაძლევს, რათა ვიხილოთ, ვიწმუნოთ და გადავრჩეთ!...

**— ბებია ნასტიას რაიმე წინასწარმეტყველება ხომ არ იცით საქართველოსთან დაკავშირებით?!**

— ვიცი ერთი, საქართველო აუცილებლად გამთლიანდება და აღსდგება, თანაც აქ მხოლოდ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე არ არის ლაპარაკი, ის იმ საარაკო საზღვრებში აღსდგება, უფრო ზღაპარს რომ წააგავს თანამედროვე ქართველებისთვის და ვერც დაუჯერებიათ!.. ასი წლის შემდეგ საქართველოს ცნობა შეუძლებელი იქნება, ჭეშმარიტად გაბრწყინდება!

**— მაგრამ ამას ჩვენ რომ ვერ ვიხილავთ?**

— რატომ ვერ ვიხილავთ?! ჩვენ ვიქნებით ნეტარი სულები, ზეციური საქართველოს მკვიდრები. ესეც არ იყოს, ჩვენი შვილები და შვილიშვილები ხომ იქნებიან ბედნიერნი და მე ესეც მყოფნის იმედად და სიხარულად!..

...ვასილ შმაკოვთან საუბრის შემდეგ ისე მიხაროდა ჩემი ქართველობა, რომ... ვერც გამოვხატავ... იყოს ასი წლის შემდეგ, ოღონდ ბედნიერები იყვნენ ქართველები და ჩემი სული ჩემს წინაპრებთან ერთად კარგად იგრძნობს თავს...

**ინგა ჯაყელი**

## „საზალლო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ნიანგი, სირაქლემა, სელაპი და ციყვი;

II. **რებუსი**

სწავლა სინათლეა, უსწავლელობა — სიბნელეო;

III. მერხი;

IV. 1 — გ); 2 — ბ);
3 — ა); 4 — დ);

V. მე-2 და მე-4 წიწილა.

# უჩვეულო და ამოუცნობი



ფისო ევროპის ბევრ ქვეყანაში ყველაზე საყვარელ შინაურ ცხოველადაა აღიარებული. ამჟამად დიდ ბრიტანეთში 7,5 მლნ კატაა. მათ გამოსაკვებად ბრიტანელები წელიწადში 1,5 მლრდ გირვანქა სტერლინგს ხარჯავენ, საფრანგეთში კი 8,7 მლნ კატაა.

ამბობენ, თანამედროვე კატები აფრიკელი კატების მემკვიდრეები არიანო. მათი მოშინაურება პირველად, 6 ათასი წლის წინათ, თურმე ძველმა ეგვიპტელებმა მოახერხეს.

ადამიანებთან კატებს უფრო რთული ურთიერთობა აქვთ, ვიდრე ძაღლებს. შეიძლება ადამიანს თავდავიწყებით უყვარდეს კატა, მაგრამ ეს უკანასკნელი გულგრილი იყოს მისდამი, ან პირიქით, შეიძლება ყურადღებას სულაც არ აქცევდეს ვინმე ფისოს, მაგრამ მან სულ მის ფეხებთან იტრიალოს, იკრუტუნოს ყურადღების მისაქცევად. ასე იმიტომ ხდება, რომ კატა გრძნობს ადამიანის ემოციურ განწყობილებას და ურჩევნია, ურთიერთობა უფრო მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანებთან ჰქონდეს.

კატა დღემდე ამოუცნობ ცხოველად რჩება. მას ფენომენალური თვისებები გააჩნია. დღემდე აუხსნელია, როგორ გრძნობენ კატები, როდის ბრუნდება შინ მისი პატრონი, უფაქიზეს ბარომეტრზე უკეთ იტყობენ წვიმის მოახლოებას, ორი დღით ადრე აქვთ გუმანი მოსალოდნელი მიწისძვრისა.

კნუტის გაჩუქება ან გაყიდვა არ შეიძლება, მის ნაცვლად, როგორც წესი, უნდა გაიღოთ ხურდა ფული და მაგრად მოხარშული კვერცხი.

ნათქვამია, ახალ ბინაში პირველად კატა უნდა შეუშვათ და დაუკვირდეთ, ბინის რომელ ადგილს აირჩევსო. ავეჯი იმ ადგილას უნდა დაალაგოთ, რომელიც კატას ყველაზე ნაკლებად მოეწონა. ამის ახსნა კი შემდეგნაირად შეიძლება: კატებს სწორედ ის ზონები უყვართ, რომლებიც თავისი ენერგეტიკით ადამიანისათვის საზიანოა, ანუ ისინი ირჩევენ გეოპათოლოგიურ ზონებს, სადაც უარყოფით ენერგიას იწოვენ, გადაამუშავებენ დადებითად, გააწონასწორებენ ბინის ენერგეტიკულ ფონს. ასე რომ, თქვენი ფისუნიას მიერ შერჩეულ ადგილებში არავითარ შემთხვევაში არ დადგათ საწოლი და საწერი მაგიდა, არც სავარძელი, რომელშიც ჩაჯდომა გიყვართ. ის, რაც კატისთვის კარგია, ადამიანისთვის მავნეა.

არ მისცეთ კატას მაგიდაზე დაწოლის უფლება, ამან შეიძლება ოჯახში უბედურება მოიტანოს.

თუკი კატა გაზაფხულობით მოკუნტული წევს, ზაფხული გრილი იქნება.

თუკი მთელი დღე სძინავს — კარგი ნიშანია, სითბო და მზიანი დღე იქნება.

თუკი ბრჭყალებით იატაკს ფხაჭნის — ქარიანი ამინდია მოსალოდნელი, შესაძლოა ქარიშხალიც ამოვარდეს.

თუკი ზურგზე წევს — სითბო იქნება.

თუკი კუდს ლოკავს და თავს მალავს — ცუდი ამინდის ნიშანია. ცხვირის ცემინება კი წვიმის მომასწავებელი. საგულისხმოა, რომ კატის კუდი მისი განწყობის საუკეთესო მაჩვენებელია. ზემოთ აპრეხილი — სიხარულის მაუწყებელი, ნელი ქნევა — სიამოვნებისა, მაგრამ კუდის ძლიერი ქნევა იმას გვანიშნებს, რომ მას რაღაც არ მოსწონს.

თუკი კატა მიეჩვევა ოჯახის რომელიმე წევრის თავთან ახლოს წოლას, ხალხური გადმოცემით, ეს ადამიანი მძიმედ გახდება ავად, მაგრამ თუკი ოჯახში ვინმე მძიმე ავადმყოფია, მისი ოთახის იატაკი მორეცხეთ, ჭუჭყიანი წყალი კი კატას გადაასხით და მაშინვე გარეთ მიაბრძანეთ. ნათქვამია, ჭუჭყთან ერთად ეს იდუმალი ცხოველი სახლიდან ავადმყოფობასაც გაიტანსო.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კატის სახლში სიკვდილი. აუცილებლად სადმე გაიყვანეთ და საჭმელიც დაუდგით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახს დიდი უსიამოვნება ელის.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კატა 100 განსხვავებულ ბგერას „წარმოთქვამს“ იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს პატრონისაგან. სხვათა შორის, ისინი ყოველთვის აღწევენ საწადელს.

**ნიუ ზუიქი**




საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

## სტუმართმოყვარეობის რეკორდი

ინგლისელი მოგზაური როი სიმფსონი ათი წელი შეისწავლიდა აფრიკის და ლათინური ამერიკის ტომების ცხოვრებას, რომლებიც ცივილიზაციას მოწყვეტილნი არიან და წინაპრების წეს-ჩვეულებებით ცხოვრობენ.

აღმოჩნდა, რომ ცენტრალურ აფრიკაში ცხოვრობს ნგირის პატარა ტომი, რომელიც უჩვეულო სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა.

როცა ამ სოფელში უცხოელი სტუმარი ჩნდება, აქაური ქალები ბელადის სახლის წინ გამწკრივდებიან და ყოველნაირად ცდილობენ სტუმრის მოხიბვლას. მას შემდეგ, რაც სტუმარი ერთ-ერთ მათგანს აირჩევს, ქალის ქმარი სიხარულით უთმობს მას თავის სარეცელს. ის ძალიან ამაყობს იმით, რომ მისი ცოლი საუკეთესო აღმოჩნდა.

თუკი სტუმარი ყურადღებას გასათხოვარ ქალიშვილზე შეაჩერებს, მაშინ მამას ეუფლება სიამაყის გრძნობა, რადგან ქალიშვილს კარგად გათხოვების მეტი შანსი ეძლევა. ასეთი ქალის საქმრო ტრაბახობს ხოლმე, — ჩემი საცოლე ისეთი შეუდარებელია, რომ უკვე არაერთი სტუმრის სარეცელი გაიზიარაო.

ყველაზე დიდ ქებად ქალისათვის მიიჩნევა, თუკი მასზე იტყვიან, რომ ის „წვება ყველასთან, ვინც კი მათთან სტუმრად ჩამოდის“.

***ინტერპოლ-ექსპრესი №32***

## ძაღლი — პატიმარი

ბრაზილიის ქალაქ მარანაოს „მკვიდრმა“ ქუჩის მაწანწალა ძაღლმა, სახელად ბინგომ, უკბინა სატვირთო მანქანის მძღოლს. მძღოლმა ძაღლს სასამართლოში უჩივლა და ყველას გასაკვირად, სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო ძაღლს მიესაჯოს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.



ეს გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ, რომელიც გამოირჩეოდა ცხოველებისადმი სიყვარულით და ამგვარად, საბრალო, უპატრონო ძაღლი „ბინითა“ და საკვებით უზრუნველყო..

საპყრობილეში ბინგოს პერსონალური საკანი გამოუყვეს და წელიწად-ნახევრის განმავლობაში ის ჩვეულებრივი პატიმარივით ცხოვრობდა. იღვიძებდა დილით, მას საუზმე ელოდა, შემდეგ გასეირნება, ფიზიკური ვარჯიში, სადილი, ვახშამი და ძილი.

წელიწად-ნახევრის შემდეგ გულჩვილი მოსამართლე სხვაგან გადაიყვანეს, მის ადგილზე მოსულმა ახალმა მოსამართლემ კი ბინგო გაათავისუფლა და ამგვარად დასრულდა საბრალო ძაღლის უზრუნველი ცხოვრება ციხეში.

***ინტერნეტ-ექსპრესი***



## ებრაელები „სტალინური“ სოსისის წინააღმდეგ

ყოფილი საბჭოთა ებრაელები, რომლებიც ლოს-ანჯელესში ცხოვრობენ, პიკეტის მოწყობას გეგმავენ გასტრონომიული სიახლის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ სოსისების ამერიკელმა მწარმოებლებმა გადაწყვიტეს, საბჭოთა კავშირიდან ემიგრანტების გახარება ახალი სოსისით, რომელსაც „სტალინური“ დაარქვეს. მაგრამ იანკების ამ გადაწყვეტილებამ რუსი ებრაელები ააბობოქრა და ხმაურიანი გამოსვლებით ცდილობენ გააგებინონ ამერიკელებს, რომ ებრაული კუჭი ვერ იტანს ამ სახელწოდების მქონე სოსისს, ვინაიდან ცხონებული დიქტატორი ყველა ებრაელს გაციმბირებას უპირებდა...

ამერიკელებს კი მაინც არ ესმით, რითია „სტალინური“ სხვა სახის სოსისებზე უარესი.

***სთარი***

## უსამა ბინ ლადენს ჯადოქრები ებრძვიან...

მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, დღემდე №1 ტერორისტის უსამა ბინ ლადენის დაჭერა ვერ მოხერხდა. უთუოდ ამის გამო გადაწყვიტა ძფბ-მ ჯადოქრების მოწვევა. ისინი ჰაიტელები არიან. ყოველმა მათგანმა (14 ქურუმი მამაკაცი და 10 ქურუმი ქალი) უკანონოდ გადმოლახა ამერიკის სახელმწიფო საზღვარი და მას მერე ციხეში სხედან. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისთვის მათ ჰპირდებიან ამერიკის მოქალაქეობას. უარი არავის უთქვამს. ძფბ-ში სწამთ, რომ უსამა ბინ ლადენი ზებუნებრივ ძალას ვერ გაექცევა. ავღანეთის გამოქვაბულებში თუ რაიმეს პოულობენ (თმის ბეწვებს, ფრჩხილებს და სხვ.), ყველაფერს აგროვებენ და ამერიკაში ჩააქვთ. ქურუმები მოგროვილი ნივთებით აკეთებენ თოჯინებს, რომელთა პროტოტიპები ტერორისტები არიან, ჩხვლეტენ მათ ნემსებით. სწამთ, რომ თუ ეს შელოცვა სწრაფად არ მოკლავს ბინ ლადენს, დიდ სარგებელს მაინც მოიტანს. ცნობილია, რომ ბინ ლადენი და მისი ამალა ძალზე რელიგიურები არიან.



ჯერჯერობით, ქურუმთა ძალისხმევას რეალური შედეგი არ მოუტანია, მაგრამ ნათესავებისა და დაახლოებულ პირთა ინფორმაციით, ტერორისტები ძალიან შეშინებულნი არიან. ბინ ლადენი კოლოს ნაკბენზეც კი კანკალებს და ბავშვივით ყვირის, მიაჩნია, რომ ეს ქურუმების ნემსის ჩხვლეტაა.

***მირ ნოვოსტეი №34***



## თხები ქსელს ქსოვენ...

ყველაზე ბუნებრივი, თხელი და ულპობი ობობას ქსელია. ის ფოლადზე მტკიცე და ნეილონზე მოქნილია. სამწუხაროდ, ობობები ქსელს ძალიან ნელა, მცირე რაოდენობით ართავენ.

მეცნიერები ეძებენ ხელოვნური ქსელის მიღების საშუალებას — კანადელმა და ამერიკელმა მკვლევარებმა თხის მემკვიდრეობით გენში შეიყვანეს ობობას გენი, რომელიც პასუხს აგებს ქსელის დამუშავებაზე.

თხას კლონირება გაუკეთეს და მისი რძისგან მიიღეს განსაკუთრებული ცილა, რომელიც სიმყარით მეტალს სჯობს. სწორედ ამ ცილისგან აპირებენ ძაფის მიღებას.

მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ექსპერიმენტით იწყება უდიდესი ცვლილებები, რაც მოაქვს თანამედროვე გენურ ინჟინერიას.

***ორაკული №7***

## ნაომი ქემფბელი გათხოვდა!



„შავი ავაზა“ ნაომი ქემფბელი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აუზში მოგზაურობდა, ერთ-ერთ იტალიელ ჟურნალისტს გამოუტყდა, რომ ცოლად გაჰყვა თავის ბოლოდროინდელ ბოიფრენდს ენრიკე პალაციოს. ვენეციელებმა ენრიკეს და ნაომის ხელზე საქორწინო ბეჭდებიც კი შენიშნეს. ბოლო დროს ნაომი ხშირად ამბობდა, — გათხოვებას ვაპირებო. ექვსი წლის წინ კინაღამ მართლა გაჰყვა ცოლად დიზაინერ ლუკ ორლანდის, მეტიც — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ მას უკვე ჰყავს ქმარი. თუმცა ორლანდის მალე დაშორდა. ამან ზოგიერთ ენამწარე ჟურნალისტს ათქმევინა, — „შავი ავაზასთვის“ ცნებები — „ბოიფრენდი“ და „ქმარი“ სინონიმებიაო.

ორლანდის შემდეგ ნაომის „ქმრები“ იყვნენ მსახიობი რობერტ დე ნირო და ჯგუფ „უ2“-ის წევრი ადამ კლეიტონი. და აი, ახლა გამოჩნდა ენრიკე პალაციო.

გამორიცხული არ არის, რომ ახლა ყველაფერი „ნაღდია“ და მოდელმა, როგორც იქნა, იპოვა ნანატრი ბედნიერება.

***ტვ ნიუსი***

## კონტინენტები აურიეს

ერთი ბრიტანელი წყვილი ავსტრალიაში, სიდნეიში მიემგზავრებოდა, კანადაში კი ამოყო თავი.

ცოლ-ქმარს გულმა რეჩხი მაშინ უყო, როცა კანადის აეროპორტში სხვა თვითმფრინავში გადაჯდომა შესთავაზეს. პატარა ქალაქ გალიფაქსიდან ისინი კანადის სიდნეიში ჩაფრინდნენ. კანადის სიდნეი პატარა ქალაქია, სულ 26. 083 კაცი ცხოვრობს და ერთადერთი ღირსშესანიშნაობა — მეტალურგიული ქარხანა აქვს. გაოგნებამ რომ გაუარა 19 წლის ლონდონელებს, ამ მივარდნილ პროვინციაში ცოტა ხანს დარჩენა გადაწყვიტეს. როგორც ამბობენ, ეს მოგზაურობა დიდხანს დაამახსოვრდებათ.

ბილეთები მათ თურმე ინტერნეტით შეუკვეთიათ.

***ეხო პლანეტი №34***



## არომატი სელინ დიონისგან

ცნობილ კანადელ მომღერალს სელინ დიონს საპარფიუმერიო ფირმა „კოტის“ სპეციალისტები ახალი არომატის შექმნაში დაეხმარებიან.

პოპ-მომღერლის თქმით, ახალი სურნელი მის განწყობასა და გემოვნებას უნდა შეეფერებოდეს: „ისევე, როგორც მუსიკაში, აქაც მნიშვნელოვანია, რომ არომატი ადამიანის ცნობიერებასა და ემოციებს ეხამებოდეს“, — თქვა დიონმა.

სხვათა შორის, სელინ დიონი პირველი არ არის, ვინც საკუთარი იმიჯისთვის ნელსურნელების შექმნაზე ფიქრობს. თავიანთი არომატები უკვე აქვთ ვარსკვლავებს: ელიზაბეტ ტეილორს, ნაომი ქემფბელს, ჯენიფერ ლოპესს, ხულიო იგლესიასს, შერის, ომარ შარიფს და მაიკლ ჯორდანს.

***პარი მატჩი***

## ირანის თეატრში ღვინო და სიყვარული აკრძალულია



190 დოლარი ჯარიმა და სამუშაოს პირობითი ჩამოცილება მიუსაჯა ირანის სასამართლომ თეირანელ რეჟისორს, ალი რაფის, რომელმაც თეატრალური განათლება საფრანგეთში მიიღო და სამშობლოში სამუშაოდ დაბრუნდა.

სპექტაკლის „ბატონიშვილ ენთეჯარის“ ერთ-ერთ სცენაში მოქმედი პირი ავადმყოფ ცოლს აიძულებს ღვინის დალევას, რათა ამით მისი სიკვდილი დააჩქაროს. სასამართლომ ეს ისლამით აკრძალული ღვინის პროპაგანდად მიიჩნია. რეჟისორი კი ირწმუნება, ღვინო მე სიკვდილის ინსტრუმენტად გამოვიყენეო და გაოცებული დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილებით. „რომეო და ჯულიეტას“ დადგმისას რაფი იძულებული გახდა, ამოეღო შეყვარებულების კოცნის სცენა, რათა არ დაერღვია რელიგიური კანონი, რომელიც კრძალავს საზოგადოებრივ ადგილებში ქალისა და მამაკაცის ფიზიკურ კონტაქტს.

***ვერსია №34***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ტ | ი | ნ | ო | ც | რ | ი | კ | ი | ძ | ი | ე | რ | ე | ს | ა | ნ | რ | ა | ა | ო |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** რა ერქვა გიორგი ბრწყინვალეს მამას; **ა.** ნახევარკუნძული, რომელზეც განლაგებულია იტალია; **ი.** ერთგვარი კალმახი; **ს.** იტალიური წარმოშობის ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; **ვ.** ქალაქი იტალიაში; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** ქართული ხალხური „ანტიბიოტიკი“; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **თ.** ცხოველი, რომელიც ერთი ენის გასატეხის მიხედვით „თეთრ თრთვილზე თრთოდა“; **ჩ.** ქართველი ფეხბურთელი, რომელიც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი იყო; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** დაასახელეთ სპინოზას ეროვნება; **ნ.** მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგი; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა.** იანვრის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **რ.** გერმანელი მწერალი; **თ.** დინების უნარის მქონე; **ა.** ქვითკირის სამარე; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დოპინგი; **ა.** ამონალი; **ი.** იმედი; **ს.** სატურნი; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ეუსებიო; **ნ.** ნათლია; **ე.** ეტაპი; **თ.** თორა; **პ.** პეგასი; **ა.** აჩმა; **ლ.** ლონდონი; **ი.** იკარუსი; **ტ.** ტუში; **რ.** რეესტრი; **ი.** ილუზია; **ს.** სიძვა; **ფ.** ფილე; **ე.** ესენცია; **რ.** რუბაია; **ე.** ელეგია; **ბ.** ბილი; **შ.** შაილოკი; **ი.** იტალია.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: პოეტის თარგმნა შეუძლებელია.

# ავტოსალონი

## ქართველი „ენცო“

— აი, ეს არის. არ ვიცი, თუ დაგაინტერესებთ...

*ჩემ წინ 18-19 წლის ბიჭი იდგა. უხერხულად შეიშმუშნა და მაგიდაზე ორი წუთის წინ პარკიდან ამოღებული ავტომობილის მოდელი დადო.*




*თავდაპირველად დავიბენი — ამხელა კაცი სათამაშო მანქანით მოდის და თან მეკითხება, თუ დაგაინტერესებთო. მერე კი მანქანას დავაკვირდი. ჩემი გაოცება თანდათან მატულობდა, რადგან ეს ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე სათამაშო მანქანა, ან თუნდაც, ქარხნულად დამზადებული რომელიმე მარკის მოდელი. ჩემ წინაშე ხელით დამზადებული, სრულყოფილი ავტომობილი იდო და ერთადერთი, რაც არ ჰქონდა, ძრავა იყო. ისიც, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი პატარა შიდაწვის ძრავა ჯერ არავის დაუმზადებია. დანარჩენი, ყველაზე უმნიშვნელო დეტალიც კი, უნიკალური სიზუსტით იყო დამზადებული — კარის გასაღები საკეტით დაწყებული და „ლუქის“ დამცავი პანელით დამთავრებული. ავტომობილს საკმაოდ გამართული საკიდარი აქვს — ზამბარებზე. გარდა ამისა, აბსოლუტურად გამართულად მუშაობს ელექტრობა — ხელსაწყოების პანელი, სალონის განათება, ახლო და შორი განათების(!) მაშუქები... თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა ავტომობილს მუხრუჭის მაჩვენებელი „სტოპ-სიგნალი“ და რადიოც კი აქვს!*

*მაგრამ ყველაზე დიდი გაოცება*



*თურმე წინ მელოდა. შალვა მელიქიშვილი 19 წლისაა, მეტალურგიის ფაკულტეტზე სწავლობს. ავტომობილების მოდელირება კი მისი ჰობია.*

— **ასეთი ხარისხის მისაღწევად, ალბათ საკმაოდ სრულყოფილი ხელსაწყოები და სახელოსნო გექნება...**

— ჩემი „სახელოსნო“ სამზარეულოს მაგიდაა, ხელსაწყოები კი არც ისე ბევრი მაქვს — პინცეტი, წვრილწვერა ფანქრები, წებო და რკინის საჭრელი ხერხის („ნაჟოვკის“) პირისგან გაკეთებული დანა. ეგ არის და ეგ.

— **ამ მოდელს რამდენი ხანი აწყობდი, ან მასალები სად იშოვე?**

— თითქმის 6 თვე მოვუნდით მე და ჩემი ძმა. მასალები კი... სადაც გაიხედავ, ყველგან მასალებია. მთავარია, გამოყენება მოუძებნო. მაგალითად, ამ მოდელის საბურავები ორლარიანი ფლოსტების ძირისგან გამოვჭერი; კორპუსი სქელი, სახაზავი ე.წ. ფორმატის ფურცლებისგან დავამზადე; დისკები და მეტალის სხვა დეტალები შესქელებული რძის თუნუქის ქილისგან გამოვჭერი...

— **მინაზე და მინაქსოვილზე რაღას იტყვი?**

— მინაქსოვილისა რა გითხრა, ბაზრობაზე მოვაგროვე სათამაშოების და ტკბილეულის ცარიელი პლასტიკატის ყუთები, ზოგან კი „ბორჯომის“ ბოთლის მასალა გამოვიყენე.

...არადა, ფოტოებიდანაც დარწმუნდებით, რომ ავტომობილი უზადოდ არის დამზადებული. აღმოჩნდა, რომ შალვა დასამზადებელ მანქანას ჯერ დეტალურ ესკიზებად ხატავს. შემდეგ კი ფორმატის ფურცლისგან ცალკეულ დეტალებს ჭრის და წებოთი აერთებს. შემდეგი ეტაპი კი ნაწიბურების დაფარვა, გახეხვა და შეღებვაა.

— **ალბათ, ბევრი წვალება გიწევს...**

— შრომა კი სჭირდება, მაგრამ ისე ვარ გატაცებული, რომ დროის გასვლას ვერც ვიგებ ხოლმე. გადაწყვეტილი მაქვს, ამის შემდეგ „სედანის“ ტიპის მანქანა დავამზადო.

— **ოჯახში შენს გატაცებას როგორ უყურებენ?**

— საკმაოდ კარგად და გაგებით. ჩემი ძმა ბევრ რამეში მეხმარება, ერთად ვაწყობთ ყველაფერს და რაც მე ვიცი, იგივე იცის მანაც. მშობლებსაც მოსწონთ — შრომის შედეგი რომ ნახეს...

## ავტომობილიზმის ისტორიიდან

### „ოლდსმობილი“



ამერიკის ერთ-ერთი უძველესი ავტოფირმა 105 წლის წინ შეიქმნა. მაშინ ავტომობილი თვითდამკვიდრებისთვის იბრძოდა, რადგან მექანიკური გადაადგილების საშუალებას ხალხი ეჭვის თვალით უყურებდა და უპირატესობას კვლავაც ცხენს ანიჭებდა. „ოლდსმობილმა“ პირველმა გამოუშვა ისეთი ავტომობილი, რომელიც ცხენს სიმძლავრეში აჯობებდა და მასზე იაფი იქნებოდა.

ლეგენდარული კომპანია 1897 წელს, რანს ელი ოლდსმა დააარსა. ის ჯერ კიდევ 22 წლის იყო, როდესაც სამთვლიანი, ორთქლისძრავიანი ავტომობილი დააპროექტა. საავტომობილო კომპანიის საწყისი კაპიტალი 50 ათასი დოლარით იყო განსაზღვრული. წარმოების საწყის ეტაპზე „ოლდსმობილმა“ 11 სხვადასხვა მოდიფიკაცია გამოუშვა. თავდაპირველად ოლდსს ფიქრადაც არ ჰქონდა იაფფასიანი, „ცხენზე“ უკეთესი მოდელების წარმოება. მას ძვირად ღირებული ლიმუზინებით მოჰქონდა თავი. მაგრამ ავტომობილიზმის ისტორიაში ძალიან ხშირად გადამწყვეტ როლს ავბედითი შემთხვევითობა ასრულებდა — ამჯერადაც ასე მოხდა. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ოლდსმა ვაგზალზე შეძენილი გაზეთიდან შეიტყო, რომ მის ქარხანას ხანძარი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა. ოლდსი თვალებს არ უჯერებდა, როდესაც ქარხანაში მივიდა — ფერფლად ქცეულიყო ყველაფერი, რაც კი მანქანის წარმოებას უკავშირდებოდა — ნახაზები, დეტალები, გამზადებული ექსპერიმენტული მოდელები. ერთადერთი, რაც გადარჩა, იაფფასიანი მოდელი იყო. ისიც, იმიტომ, რომ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და ჭიშკართან ახლოს, ღია ცის ქვეშ იდგა. ხანძარი რომ გაჩნდა, დარაჯებმა მხოლოდ მისი გამოგორება და გადარჩენა მოახერხეს. ოლდსს ფარ-ხმალი არ დაუყრია. მან სასწრაფოდ, იმ ღამესვე შეკრიბა თავისი კონსტრუქტორები და ოსტატები და დარჩენილი თანხით ახალი, იაფფასიანი მოდელის დაპროექტება-წარმოებას შეუდგა. კონსტრუქტორებმა გადარჩენილი მოდელი საძირისძიროდ დაშალეს და თითოეული დეტალის ნახაზი შეადგინეს. პროცესი იმდენად შრომატევადი იყო, რომ ოლდსი გადაღლილობისგან საავადმყოფოში მოხვდა. მისმა კოლეგებმა არ დაალალატეს და ერთი თვის თავზე იმ საავადმყოფოს ეზოში, სადაც ოლდსი იწვა, ორი ავტომობილი შეგრიალდა. ერთი გადარჩენილი მოდელი იყო, მეორე კი ახალი ნახაზებით დამზადებული, მისი ზუსტი ასლი. წარმოების განახლება უკვე შეიძლებოდა. ამ ფაქტმა ოლდსი გამოაცოცხლა. იგი მაშინვე წამომდგარა საწოლიდან და როგორც შემდეგ მისი კოლეგები ჰყვებოდნენ, კარიდან გასვლა არც უფიქრია, ფანჯრიდან გადაძვრა და პირდაპირ საამქროში გაიქცა.

ახალი მოდელი მართლაც, ძალიან მარტივი იყო. სულ 5 ცხ.ძ სიმძლავრის მქონე ავტომობილს სამი სიჩქარე ჰქონდა — აქედან ერთი უკუსვლისთვის. განსაკუთრებული მოწონება კი იმით დაიმსახურა, რომ დაქოქვას მანქანიდან გადმოსვლა და რადიატორის წინ ჩამაგრებული სახელურის ტრიალი არ სჭირდებოდა. ასეთი სახელური ავტომობილს გვერდით, კაბინაზე ჰქონდა დამონტაჟებული და მძღოლს მისი დატრიალება გადმოუსვლელად, ცალი ხელითაც შეეძლო. მანქანა სულ 300 კგ-ს იწონიდა. ავტომობილი არნახული წარმატებით გაიყიდა — ერთი წლის განმავლობაში 12.500 მოდელი. ეს კი იმ დროისთვის რეკორდული რიცხვი იყო. მიუხედავად დიდი წარმატებისა, ოლდსის კომპანიონმა სმიტების ოჯახმა (მათი ფინანსებით აღორძინდა „ოლდსმობილის“ წარმოება) იაფფასიანი მოდელის წარმოება იუკადრისა და ძვირფასი, უზარმაზარი ლიმუზინების წარმოება დაიწყო. ოლდსი, რომელიც ამაზე არ თანხმდებოდა, კომპანიას ჩამოაშორეს. მაგრამ სმიტების ბიზნესი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაკოტრდა — სულ რამდენიმე წელიწადში, იგი „ჯენერალ-მოტორსმა“ შეიძინა. 2002 წლიდან „ოლდსმობილის“ წარმოება შეჩერებულია, რადგან კორპორაციის მესვეურებმა იგი არარენტაბელურად ჩათვალეს.

## „როლს-როისი“ BMW-მ და VW-მ გაინაწილეს



„ავტოსალონის“ წინა გამოშვებაში უკვე ვწერდით კომპანია „როლს-როისის“ შესახებ, რომლის ბედიც გაურკვეველი იყო. როგორც ჩანს, ბრიტანელთა თავმოყვარეობა საბოლოოდ შეილახება — მათი საამაყო მარკა გერმანელმა ავტომწარმოებლებმა გაიყვეს — „როლს-როისი“ BMW-ს ერგო, მისი ერთ-ერთი პრესტიჟული განშტოება „ბენთლი“ კი „ფოლკსვაგენის“ საკუთრება გახდა. ოფიციალურად ხელშეკრულება ძალაში 16 სექტემბერს შევა. მის მიხედვით, ქალაქ კრიუში განთავსებული ქარხანა, რომელიც ლეგენდარულ ლიმუზინებს 1946 წლიდან უშვებდა, „ბენთლის“ წარმოებასთან ერთად „ფოლკსვაგენის“ მფლობელობაში გადავა. ბავარიული BMW კი მხოლოდ „როლს-როისის“ მარკას დასჯერდება — მისი სერიული წარმოების შესახებ „კვირის პალიტრის“ მკითხველს წინა ნომერში ვწერდით. ბავარიელმა მწარმოებლებმა ახალი მოდელისთვის სახელის შესარჩევად მსოფლიო კონკურსი გამოაცხადეს — მასში „როლს-როისის“ ფანკლუბები მონაწილეობენ. ტრადიციულად, „როლს-როისებს“ აბრევიატურისა და ციფრების ნაცვლად ორიგინალური სახელები ერქვათ. ჯერჯერობით, შემოთავაზებულ წინადადებებში სახელი „მერლინი“ ლიდერობს. ბედის ირონიაა, მაგრამ ასე ერქვა „როლს-როისის“ მიერ გამოშვებულ საავიაციო ძრავებს, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომში ბრიტანეთის ავიაფლოტი იყენებდა. გერმანიის დამარცხებაში ამ ძრავებმა დიდი წვლილი შეიტანა. მიუხედავად ამისა, ათწლეულების შემდეგ მათ მწარმოებელ ფირმას კვლავ გერმანელები დაეპატრონნენ. გერმანელების ერთობლივმა საწარმომ „როლს-როისის“ დაშლა-გასხვისებამდე სიმბოლური, უკანასკნელი „როლს-როის სილვერ გასთი“ გამოუშვა. „ვერცხლის მოჩვენებად“ მონათლული მოდელი როლსმა და როისმა თავისი ფირმების შეერთების აღსანიშნავად, 1907 წელს გამოუშვეს. პირველი „როლს-როისის“ ანალოგი, ხელით აწყობილი უკანასკნელი მოდელი არ გაიყიდება, იგი ქარხნის ადმინისტრაციის მფლობელობაში, სამუზეუმო ექსპონატად დარჩება.

## ახალი „ლენდ კრუიზერი“




იაპონური „ტოიოტას“ ყველგანმავლის სერია თავისი უბრალოებისა და საიმედოობის წყალობით უკვე 51 წელია, მსოფლიო საავტომობილო ბაზარზე არსებობს. საშუალო გაბარიტების ჯიპის, „პრადოს“ ახალი მოდიფიკაცია ამჯერად ფრანგულმა დიზაინ-სტუდიამ, ED2-მა შეიმუშავა. ამ სტუდიასთან „ტოიოტა“ დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობს — სწორედ მის მიერ მოხდა „ტოიოტა იარისისა“ და „ტოიოტა კოროლას“ გახმაურებული მოდელების შემუშავება. ახალი „პრადო“ კვლავაც ორგვარი ძარით გამოვა — ხუთ და სამკარიანი ვარიაციებით. მას ძრავაც ორი ტიპის ექნება — ტურბოდიზელის და ბენზინის. როგორც ყველა ახალი თაობის ყველგანმავალი, „ტოიოტას“ ჯიპიც ათასნაირი ელექტრონული მიღწევებით არის „გამოტენილი“. ზოგიერთი მათგანი ზედმეტიც კი შეიძლება მოგეჩვენოთ — მაგალითად, დაღმართზე უსაფრთხოდ დაშვების ელექტრონული მოწყობილობა, დიფერენციალის სინქრონიზაცია, კომპიუტერული ბლოკირება და სხვა მრავალი. მიუხედავად ამისა, „ტოიოტას“ მენეჯერები ირწმუნებიან, რომ ავტომობილი ტრადიციულად საიმედო და ექსპლუატაციისთვის მარტივი იქნება.

## კაბრიოლეტი „სიტროენისგან“




„სიტროენმა“ საზოგადოებას ახალი კაბრიოლეტი წარუდგინა. ავტომობილი განსაკუთრებული პრაქტიკულობით გამოირჩევა და, ამავე დროს, კომფორტსა და ფუფუნებაზეც აქვს პრეტენზია. ღილაკის მეშვეობით ავტომობილის სახურავი სანახევროდ ან მთლიანად შეიძლება გადაიხადოს. იმ შემთხვევაში, თუ ბევრი ბარგია წასაღები, უკანა სავარძლების გადაწევა და მის ხარჯზე საბარგულის გადიდებაც შეიძლება. ავტომობილი 1,4 და 1,6 ლ მოცულობის ძრავებით აღიჭურვება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უსაფრთხოებას — ახალ ავტომობილში ოთხი უსაფრთხოების ბალიში იქნება დამონტაჟებული.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***

# კახა კალაძე: „მილანი“ ჩემპიონობისათვის იბრძოლებს

*კახა კალაძემ პიროვნულზე მაღლა საქართველოს ინტერესები დააყენა და ამით გაამართლა ხმები, უკრაინის ნაკრებში თამაშზე მის ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიამდე ფიქრობდა. ცნობილია, რომ „მილანის“ მცველმა ამგვარი გადაწყვეტილება ალექსანდრე ჩივაძესთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ მიიღო. ვფიქრობთ, ჩიხერული არ იქნება კახასთან ინტერვიუს გაცნობა.*

**— კახა, შენი ძმა ჯერ არ გაუთავისუფლებიათ, მაშ რატომ გადაწყვიტე ნაკრებში დაბრუნება?**



ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო.

**— თურქეთში რომ ითამაშე, გაჩნდა ვერსია, თითქოს შენი ძმა გაათავისუფლეს.**

— (დაფიქრდა) ტყუილია, ლევანი ისევ ტყვეობაშია, ისევე მის გათავისუფლებაზე ვოცნებობთ. ასე რომ, ეს ხმები მორიგი სიცრუეა.

**— მაინც რატომ შეცვალე პრინციპული გადაწყვეტილება?**

— თურქეთის თამაშამდე დიდი ხნით ადრე გადავწყვიტე ნაკრებში დაბრუნება. თამაშზე ჩასული კი ვფიქრობდი, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბაზელში ვითამაშებდი თუ ტრაპიზონში და გადავწყვიტე, ეს ნაბიჯი გადამედგა.

ალბათ საინტერესოა, რატომ შევიცვალე აზრი. ჩემს თავს რაც ხდება, ყველამ მშვენიერად იცის, მაგრამ ქართველ ხალხს მომხდართან არანაირი კავშირი არ აქვს. ამიტომ მე მისთვის უნდა ვითამაშო და მეირჩიდით ბოლოს გავახარო. მოლდოვაში რომ გავიდი, უზომოდ ბედნიერი ვიყავი. ბოლოს და ბოლოს საქართველოში დავიბადე, გავიზარდე და ქართველად უნდა მოვკვდე. მინდა ყველაფერი გავაკეთო, ჩვენზე მსოფლიო რომ ალაპარაკო. ქართველებს ასეთი სიხარული სჭირდება.

**— კენჭისყრამ უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ მეტოქედ ლიბერეცის „სლოვანი“ არგუნა, რომელიც მასმედ „მილანსაც“ შეხვდა. იქნებ, დაგვიხასიათო, როგორი გუნდია?**

— ჩეხებმა მშვენიერი თამაშით, ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით არა მარტო ჩვენზე, საერთოდ, იტალიელ სპეციალისტებზეც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. „სლოვანი“ ძალიან მოხერხებული და აგრესიული გუნდია. შემთხვევითი არ არის, შარშან მათ უეფას თასიდან ესპანური და საფრანგეთის ძლიერი გუნდები რომ გამოთიშეს. წარმოიდგინეთ, ჩვენ გაგვიჭირდა მოგება და „დინამოს“ რას უმზადებენ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ჩვენებს უდავოდ მძიმე თამაშები ელით. თავადაც დამეთანხმებით — „დინამოსა“ და „მილანის“ დღევანდელი კლასი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება.

**— „სლოვანი“ თამაშის სტილით ჩვენთვის უფრო კარგად ნაცნობ „სპარტაკს“ ხომ არ ჰგავს?**

— იტალიის პირველობის გადატვირთული კალენდრის გადამკიდე, „სპარტაკის“ თამაშები თითქმის არც მინახავს.

**— სპეციალისტთა დიდი ნაწილი სერია A-ს ფავორიტად „ინტერს“ ასახელებს. შენც ასე ფიქრობ?**

— პირადად მე, წინასწარ ფავორიტად დასახელება აბსურდი მგონია. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდი, რომელიც ჩემპიონატის მსვლელობის დროს, შეიძლება გაბათილდეს. არა მგონია, რომ იგივე „მილანი“, „რომა“ ან „ლაციო“ „ინტერზე“ სუსტები არიან, ან ნაკლები პრეტენზიები გააჩნიათ. ერთი რამ ნამდვილად ვიცი — „მილანი“ წელს მხოლოდ „სკუდეტოსათვის“ იბრძოლებს.

საერთოდ, წინასწარ ფავორიტის გამორჩევა არასწორი რომ არის, ეს მსოფლიო ჩემპიონატმაც დაგვანახვა. ვინ წარმოიდგენდა თურქეთისა და კორეის წარმატებას, არგენტინის, საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის წარუმატებლობის ფონზე? — ვერც ვერავინ.

**— ქართველი გულშემატკივრის ნაწილს ილუზიები ექმნება: სადაც თურქეთმა მუნდიალის ბრინჯაო მოიპოვა, ქართველებიც მოვახდენთ სენსაციასო. შენი აზრით, რატომ არ მართლდება ასეთი იმედები?**

— თურქეთის მესამე ადგილზე გასვლაც სენსაციად მონათლეს, არა? კორეისა და თურქეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური პროგრესი აშკარაა. მათ საქართველოს ათჯერ და ათასჯერ გაასწრეს. ამიტომაც მათი წინსვლის შემთხვევითად მონათვლა არასწორი მგონია.

ეტყობა, ეს ილუზიები ოცი წლის წინანდელი წარმოდგენებითაა ნასაზრდოები, როდესაც თურქულ კლუბებთან შეხვედრას არათუ „დინამო“, უფრო სუსტი ქართული გუნდებიც არ კადრულობდნენ. და თუ მაინც ვხვდებოდით — 7:0 და 5:0 ვუგებდით. სამწუხაროდ, ახლა თურქებს უზომოდ ჩამოვრჩით, თურქ და კორეელ ფეხბურთელებს სახელმწიფო უდიდეს დახმარებას უწევს, მათი ფედერაციებიც ფინანსურად მეტად გაძლიერდნენ და ნელ-ნელა საფეხბურთო ინფრასტრუქტურაც ფეხზე დააყენეს. წლების წინ ჩაყრილმა საფუძველმა ახლა გამოიღო შედეგი და სასაცილოც არის, დღეს რომ მათ შევედაროთ. თუკი გინახავთ თურქული ქალაქები, დარწმუნდებით, რომ ისინი ევროპელებზე ნაკლებად აღარ ცხოვრობენ. პირადად მე, სტამბოლზე ლამაზი ქალაქი ბევრი არც მინახავს.

ამ დროს, ხომ იცით, რა ხდება საქართველოში? ეკონომიკურმა გაჭირვებამ ადამიანები ისეთ დღეში ჩააგდო, ბევრს პურის ყიდვისა და ელემენტარული პირობების შექმნის საშუალება არ გააჩნია. ასეთი ქვეყნით გვინდა თურქეთისა და კორეის დარი სენსაციებით გამოვიჩინოთ თავი? მეც ძალიან მინდა, მაგრამ ვეჭვობ, რომ უახლოეს პერიოდში ასე მოხდეს.

# რა ხდებოდა საფეხბურთო კულისებში?



27 აგვისტოს ღამით, დაახლოებით ათი საათისთვის ფეხბურთის ფედერაციის შენობა დაცხრილეს. ისეთი არაფერი მომხდარა, როგორი აჟიოტაჟიც ატყდა, სულ ორიოდე ფანჯარა დაზიანდა, მაგრამ ვინ რას ერჩოდა ახალაშენებულ ოფისს? ხომ არ იყო ყოველივე ეს 24 აგვისტოს ფედერაციის ხელახლა არჩეული პრეზიდენტისათვის გაფრთხილების ნიშანი? ისიც ცხადია, რომ ტყვია, სროლა და სკანდალები ფეხბურთისთვის უცხო არ არის. მეტიც, დღევანდელი ქართული ფეხბურთი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც კრიმინალიზებულია და ხშირად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას საკუთარ თავზე „ავტორიტეტები“ იღებენ. კანონისა და ოდესღაც საამაყო ქართული ფეხბურთის გზები დიდი ხანია გაიყო.

თითქმის ორი კვირა გავიდა ყრილობის შემდეგ და რატომღაც პასუხგაუცემელი დარჩა კითხვები — თუ რატომ „მოიპარეს“ დარბაზიდან მინი-ფეხბურთის ასოციაციის დელეგატი, რომელსაც „მოკრძალებულად“ აუხსნეს, რა შედეგებს მოიტანდა პეტრიაშვილის მხარდაჭერა. ასევე ყურადღების მიღმა დარჩა, რატომ შემოვიდა დარბაზში I ლიგის ერთ-ერთი წარმომადგენელი თვალებდალურჯებული და საერთოდ, რა გარჩევის შედეგები მივიღეთ 24 აგვისტოს.

დასრულდა ყრილობა და მასთან ერთად თითქმის ყველას დაავიწყდა კარგად ჩაეხედა საფეხბურთო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებულ წესდებაში. ფედერაციის თავკაცებსა და დელეგატებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ ფიფას ჩინოსნის, ვინსენტ მონიეს რჩევისთვის აქამდე არსებული თვალსაჩინო დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე.

ყრილობის შემდეგ ბევრი ისეთი ფაქტი მჟღავნდება, თმა ყალყზე დაგიდგება კაცს და იფიქრებ — მთავარი იყო არა კანონის აღსრულება, არამედ ის, თუ ვინ ვისზე მოახდენდა ზეგავლენას, ჟარგონით რომ ვთქვათ — „დააჩმორებდა“.

ვერავინ იტყვის, რომ პეტრიაშვილი შეაშინეს, მაგრამ მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ იგი მეტისმეტი წესიერების გამო დამარცხდა. მან არ ისურვა „ქუჩის“ დახმარება და მხოლოდ დელეგატების კეთილგონიერებას მიენდო.

საფეხბურთო კულისებში დღემდე მიიჩნევენ, რომ გამარჯვებული გამოავლინეს კენჭისყრამდე ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ვერავითარი სპექტაკლი და ჟორდანიას გენიალური რეჟისურა ვერ მოახდენდა მათზე გავლენას — შენიანებს მანდატებს რომ დაურიგებ, სხვას არ აირჩევენ.

სპექტაკლი მაინც დაიდგა, ფორტუნა თითქოს პეტრიაშვილისკენ იხრებოდა, მაგრამ ბოლოს იგი „გაყიდეს“. ვერსია ასეთია: პეტრიაშვილის მომხრე საფრანგეთში მოღვაწე ბიზნესმენი გააფრთხილეს, რომ საფეხბურთო ბიზნესი უკვე ზედამხედველობის ქვეშ არის მოქცეული და არ ღირდა სხვის „ტერიტორიაზე“ გახედვა. უძლური აღმოჩნდა არა მარტო ბიზნესმენი, არამედ ხელისუფლებაც სისხლიან გარჩევებს თავი აარიდეს და პოზიცია დათმეს. აი, ამგვარი ვერსია ფიგურირებს ფეხბურთის სამყაროში. 10-მილიონიანი ინვესტიციის გამო კი გავლენის სფეროს არავინ დათმობს.

არსებობს იმედის მომცემი ინფორმაცია, თითქოს ფედერაციის პრეზიდენტი უახლოეს ოთხწლეულში საქმიანი ადამიანების დაწინაურებასა და საფეხბურთო საზოგადოებაში არაპოპულარულ პირთა გათავისუფლებას აპირებს. ჟორდანიას ოპოზიცია ირწმუნება, ეს ცვლილებები ოთხი წლის წინ რომ გაეტარებინა ფედერაციის პრეზიდენტს, 24 აგვისტოს, შესაძლოა, ბევრი ჩვენგანიც არ დაპირისპირებოდაო. ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე ჟორდანიაც ხმამაღლა საუბრობს, თუმცა დაკონკრეტების გარეშე.

რეფორმა და წმენდა კი ქართულ ფეხბურთს ნამდვილად სჭირდება.

# ელდარ კურტანიძე მსოფლიო ჩემპიონია!



გუშინ ირანში დასრულდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი. როგორც იქნა ელდარ კურტანიძემ სანატრელი აისრულა და მსოფლიოს პირველი ფალავნის სახელი მოიპოვა.

კურტანიძემ 96 კგ წონით კატეგორიაში იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ მან გზიდან ორი ქართველი ჩამოიცილა: მეოთხედფინალში შარშანდელი გამარჯვებული, რუსეთის სახელით გამოსული დავით გოგშელიძე დაამარცხა, ნახევარფინალში კი საბერძნეთის სახელითა და აწ უკვე ქსანტოპულოსის გვარით მოასპარეზე ავთანდილ მგელაძე.

ფინალში კურტანიძის მეტოქე, მასპინძელთა ერთ-ერთი უმთავრესი იმედი, ალირეიზა ჰეიდარი გახლდათ. ქართველი ფალავნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ვერც მრისხანე მეტოქემ და ვერც ირანელმა ფანებმა ვერ დათრგუნეს. ელდარმა ნამდვილად დიდი გამარჯვება მოიპოვა. ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში კურტანიძე მეოთხე სპორტსმენია, რომელმაც საქართველო მსოფლიო ჩემპიონობით გაახარა. „კვირის პალიტრა“ ულოცავს ელდარს პირველობას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

***გვერდი მოამზადა ლაშა დუმბაძემ***

# ჩივაძე, ათამაშე კურტანიძე!

## შვეიცარია-საქართველო 4:1

ბაზელი. „სენტ-იაკობ პარკი“

საქართველო: გვარამაძე, შეყილაძე, კობიაშვილი, კალაძე, საჯაია (ბურდული 46), ნემსაძე, ცქიტიშვილი, ჯამარაული, დემეტრაძე, ქინქლაძე (რეხვიაშვილი 46, ყაველაშვილი 83), არველაძე.

მსაჯი: ვ. მინაკი (სლოვაკეთი).

გაფრთხილება: შეყილაძე, კალაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ჰაასი.

გოლები: 1:0 ფრაი (37); 1:1 არველაძე (62); 2:1 ფრაი (63); 3:1 მიულერი (76); 4:1 შაპუიზა (81).

ბაზელის მატჩამდე გულშემატკივართა შორის შემორჩენილ ოპტიმისტებს კიდევ სჯეროდათ სასწაულების — ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წარმატებით დაწყების იმედი ჰქონდათ. ამ იმედს ნაკრებში კახა კალაძის დაბრუნება აღვივებდა.

ეს ყოველივე წყალწაღებულის უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავდა. მართალი აღმოჩნდა ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი**, რომელიც მატჩამდე გასაგებად მიანიშნებდა ეროვნული გუნდის მინუსებზე:

— *თუკი ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება გვსურს, აუცილებელია მისი გადახალისება. ეს უკრაინისა და თურქეთის ნაკრებებთან ამხანაგურ შეხვედრებში ნათლად გამოჩნდა. ჩემი აზრით, ამ მატჩებში არასწორი იყო ზოგიერთი მოთამაშის ნაკრებში მიწვევა. ამაო გამოდგა ჩივაძის, გულშემატკივრებისა და საერთოდ, ყველას იმედები.*



ქართველი ფეხბურთელები ისევე უნიათოდ თამაშობდნენ, როგორც წინა ორ მატჩში. მათთვის, როგორც ჩანს, სტიმულად ვერც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა და ვერც ასეთ შემთხვევაში მილიონი შვეიცარიული ფრანკის განაწილების პერსპექტივა იქცა.

საქართველოს ნაკრები მასპინძლებმა ყველა კომპონენტის მიხედვით დაჩაგრეს და წარმატების მცირედი შანსიც არ დაუტოვეს. საერთოდ, გაუგებარი დარჩა რატომ ათამაშა ჩივაძემ ქინქლაძე, რომელმაც მიმდინარე სეზონში პრემიერ-ლიგიდან გავარდნილ „დერბიში“ მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა. ძალზე სუსტად გამოიყურებოდა ნახევარდაცვა, უყურადღებოდ — დაცვა, უკბილოდ — თავდასხმა.

ქართველთა განადგურება პირველი ტაიმის დასასრულს ფრაიმ დაიწყო. ქართველების უნიათო თამაშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნაკრების ფეხბურთელებისთვის ღირსება მეორე პლანზეა. მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში გამოცოცხლდნენ ჩვენები და აშკარად გამოჩნდა, რომ შვეიცარიის გუნდიც ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტდა. მეტიც, საკმარისი აღმოჩნდა ლადო ბურდულის (ერთადერთი ნათელი წერტილი ნაკრებში) მოედანზე გამოსვლა და მისი თამაშში აქტიური ჩართვა, რომ შვეიცარიელები შედრკნენ.

62-ე წუთზე ერთადერთხელ გავიხარეთ. კობიაშვილის მიერ საჯარიმო მოედანზე ჩამოწოდებულ ბურთს პირველად შოთა არველაძემ მიუსწრო და თავური დარტყმით ანგარიში გაქვითა.

ეს იყო და ეს. მასპინძლებმა ქართველებს სულ რაღაც ორმოც წამში მიუჩინეს „საკუთარი ადგილი“. ჯერ ფრაიმ დააწინაურა თავისიანები, შემდეგ კი მიულერმა და შაპუიზამ დაასრულეს „შინდისფერთა“ განადგურება.

აბა, ასეთი ფეხბურთით და ასეთი უგულობით 12 ოქტომბერს შინ, რუსეთის ნაკრებთან რა გველის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ამის ფონზე რეალურია, ახდეს ვლადიმირ ჟირინოვსკის პროგნოზი, რომელმაც რუსეთის გუნდს თბილისში 5:0 მოგება უწინასწარმეტყველა.

სამწუხაროდ, კვირას ნანახი საქართველოს ნაკრები უკეთესი პროგნოზის საშუალებას არც ჩვენ გვიტოვებს.

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. I ტური. 7 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კვიპროსი — საფრანგეთი | 1:2 | საბერძნეთი — ესპანეთი | 0:2 |
| სლოვენია — მალტა | 3:0 | სომხეთი — უკრაინა | 2:2 |
| ბოსნია — რუმინეთი | 0:3 | თურქეთი — სლოვაკეთი | 3:0 |
| ნორვეგია — დანია | 2:2 | ბელგია — ბულგარეთი | 0:2 |
| ჰოლანდია — ბელორუსი | 3:0 | ხორვატია — ესტონეთი | 0:0 |
| ავსტრია — მოლდოვა | 2:0 | აზერბაიჯანი — იტალია | 0:2 |
| ლატვია — შვედეთი | 0:0 | ფინეთი — უელსი | 0:2 |
| სან მარინო — პოლონეთი | 0:2 | რუსეთი — ირლანდია | 4:2 |
| ლიტვა — გერმანია | 0:2 | შვეიცარია — საქართველო | 4:1 |
| ფარერები — შოტლანდია | 2:2 | ლიხტენშტაინი — მაკედონია | 1:1 |

# მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №35 (309) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

როგორც წინა რეიტინგის შედეგებიდან შევიტყვეთ, ქალებს ყველაზე მეტად ღალატის ეშინიათ. საინტერესოა, **რა უკარგავს მოსვენებას საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს?**

ამ კითხვას 604 რესპონდენტი გამოეხმაურა. მხოლოდ სამი ბარათი აღმოჩნდა არასწორად შევსებული. საკონკურსო იყო 237 ქალისა და 364 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი-რეიტინგი.

მამაკაცებს ყველაზე მეტად უფულობის ეშინიათ — ასე ფიქრობს მკითხველთა 39, რომელთაც მაქსიმალური — 8 ქულით შეაფასეს „უფულობა“. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სამმა რესპონდენტმა (0,5) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **6,76** საშუალო ქულით „უფულობა“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „ღალატია“, საშუალო ქულაა 6,14. მკითხველთა 33-მა მიაკუთვნა „ღალატს“ მაქსიმალური — 8 ქულა. ჩვენი რეიტინგის შედეგების მიხედვით, ქალები ყველაზე მტკივნეულად ღალატს განიცდიან, ისინი, სიღარიბესაც გაუძლებენ, ოღონდაც ერთგული ადამიანი ეგულებოდეთ გვერდით.

რესპონდენტთა აზრით, მამაკაცებს ძალიან ეშინიათ ავადმყოფობის. „ჯანმრთელობის პრობლემები“ მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,14.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, კაცებს შედარებით ნაკლებად აშინებთ მარტოობა, ვალდებულებები და ინტრიგები.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (37) „ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას“ ხვდა წილად.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 50 წლის **კოზა მიქაძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 11 სექტემბერს, 17 საათზე.

## №36 (310) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№36 (310) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 11 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 12 სექტემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №36 (310) — მტრები**

**თქვენი აზრით, რომელ პოლიტიკოსს ჰყავს ყველაზე მეტი მტერი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№36(310) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 2 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 3 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | ზურაბ ჟვანია | |
| 5 | ასლან აბაშიძე | |
| 6 | ლევან გაჩეჩილაძე | |
| 7 | შალვა ნათელაშვილი | |
| 8 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | |
| 9 | ჯუმბერ პატიაშვილი | |

**დამატებითი კითხვა**

**მატერიალური შესაძლებლობების მიხედვით რომელ ფენას მიაკუთვნებდით თავს?**

| შეძლებული | საშუალო შეძლების | ღარიბი | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|
| | | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**მკითხველის რეიტინგის შედეგები**

**ყველაზე ჭკვიანი ქართველი პოლიტიკოსი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ედუარდ შევარდნაძე | 24 % |
| 2. | შალვა ნათელაშვილი | 11% |
| 3-4. | ზურაბ ჟვანია | 9 % |
| 3-4. | მიხეილ სააკაშვილი | 9 % |
| 5. | ნინო ბურჯანაძე | 8 % |
| 6. | ასლან აბაშიძე | 7 % |
| 7-9. | ვახტანგ ბოჭორიშვილი | 3% |
| 7-9. | გიორგი თარგამაძე | 3 % |
| 7-9. | აკაკი ასათიანი | 3 % |
| 10-12. | ნოდარ ნათაძე | 2 % |
| 10-12. | გურამ შარაძე | 2 % |
| 10-12. | ჯუმბერ პატიაშვილი | 2 % |

მკითხველთა 6 აცხადებს, რომ არც ერთი პოლიტიკოსი არ გამოირჩევა ჭკუა-გონებით; ერთ-ერთმა მკითხველმა ისიც აღნიშნა, რომ დღეს ყველა პოლიტიკოსს ჭკუაზე მეტი ფული აქვს.

2-ს გაუჭირდა ყველაზე ჭკვიანი პოლიტიკოსის დასახელება.

***მკითხველის რეიტინგს 496 რესპონდენტი გამოეხმაურა***

**მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:**

1. ვაჟა გაგაშელი — „რა კატეგორიის დამნაშავეს აღარ შევხვედრივარ, მაგრამ მადლენას ისტორიები ყველა რეკორდს ხსნიდა...“ — 123 ხმა

2. ინგა ჯაყელი — „მხიარული მგზავრული, ანუ „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში-2“ — 64

3. ლელა ჯიყაშვილი — „პირველი მერცხალის“ რეჟისორი — ფილმი და სინამდვილე ფეხბურთის სიყვარულზე“ — 62

4. თამარ კაპანაძე — „ეპიზოდები ფოტოკამერის თანხლებით“ — 48

5. ზვიად ჩაკვეტაძე — „ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრი გასამართლდება“ — 28



თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა რუბრიკა „ვერსიის“ ავტორს — ვაჟა გაგაშელს.

მკითხველის პრემიის გამოვლენაში 457-მა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა.

# ფოტოანტიკვარი ©

ფოტოანტიკვარი ©

**პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?“ თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები“, გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.**



**ეკა კახიანი, ორწლინახევრის,**
ფოტო გადაღებულია სოხუმში

**„ფოტოანტიკვარის“ მონაწილეთა უმრავლესობამ რატომღაც ჩათვალა, რომ ეს გოგონა ინგა გრიგოლიაა, ზოგმა ნატო ონიანსა და ეკა ხოფერიასაც მიამსგავსა იგი. მოკლედ, რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა ამ პატარა გოგონაში ცნობილი ტელეჟურნალისტები „ამოიცნო“.**

**ასევე, დასახელდნენ — თამრიკო ჭოხონელიძე, ნინო ბურჯანაძე, სოფიკო ჭიაურელი, ნანა დევდარიანი, ლელა წურწუმია, ია ფარულავა...**

**ერთ-ერთმა მკითხველმა ივარაუდა, — ეს ან კობა ნარჩემაშვილია ან დუტა სხირტლაძეო.**

**მხოლოდ ერთი რესპონდენტი გამოგვიტყდა — შემრცხვა, ვერ ვიცანიო...**

**გოგონას ნამდვილი ვინაობის გამოცნობა ვერავინ მოახერხა — ვერავინ მიხვდა რომ ეს ეკა კახიანის ბავშვობის ფოტოა.**





**ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი**



— აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— **საქართველოში ხშირად ვერ მხედავთ. მაგრამ, ვიცი, რომ გიყვარვართ...**

C

ფოტო განცყობისთვის



— ჩემს ძენოს ველოდები...

წინა კროსვორდის პასუხები



13/IX — პირველი მეოთხედი

მაგნიტური დღეები:

11/IX — 19-დან 21 სთ-მდე

13/IX — 5-დან 8 სთ-მდე

## საკუთარ თავს საჩუქარი გაუკეთა...



მხოლოდ და მხოლოდ 22 ათასი დოლარი გადაიხადა და ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი გვინეთ პელტროუ მობილური ტელეფონის მფლობელი გახდა. მისი ჩარჩო და კლავიატურა 18-კარატიანი ოქროსა და პლატინისგან არის დამზადებული, ხოლო თავსახური ძვირფასქვებიანი მონოგრამით დამშვენებული. ერთი სიტყვით, მთავარია მეტი ფეშენი...

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება **თბილისში** ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ივანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქოვანის (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიღომში, „სამი ქოშის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაშლიჯვრის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: **მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე** – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. **ახმეტასა და დედოფლისწყაროში** ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. **ქინვალსა და დუშეთში** – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანა). **„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

**(36) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**სიტყვა და საქმე**

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№36 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 12 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

- კაზინო, ბროლი
- ტყემალი, სიტკბო
- ბრიტანეთის დაზვერვის განყოფილება, ნოტი
- ბრაზილიელი მწერთნელი, იპოლიტე ხვიჩია
- ვიტამინი, „მერსედესის" კლასი
- პარიზის ვარიეტე, ვენეციის კინოფესტივალი; ფული „გურულად", ცხვრის ჯოგი
- მთვარე, ბეთჰოვენი
- სპარტაკი, ჯოკონდა — ... ლიზა; სპირტიანი სასმელი, იტალია
- აკვანი, ცა
- პარკოსანი, დონდლო, უგერგილო
- ყური, მოლუსკი
- ესპანეთი და იტალია, ნოტი
- ფუნიკულიორი, მამა დავითი
- აქროლადი სითხე, აბესალომი
- საკუთრება მიწაზე, დასავლეთ ევროპის ფეოდალი
- ჯავახიშვილი, მცხეთა
- ტელეკომპანია, იტალია



შეადგინა რამაზ ალანია




ქართული საინფორმაციო ტელედიქტორი:

— ახლა მოუსმინეთ კულტურის ამბებს:

გუშინ საკუთარ სახლში დააყაჩაღეს ერთ-ერთი კინოთეატრის დირექტორი...



ფირმა „ბერმუხა"

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პოლიგრაფში".